




სამუშაო გუნდი „**ვლასტურები და საზოგადოება**  
(ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“

Scientific magazine  
AND SOCIETY **“AUTHORITY**

Научный журнал “**ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО**  
(История, Теория, Практика)”



№ 4


2007



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის  
უცხოური ენაზე და კომუნიკაციის  
ფერართებების  
სამეცნიერო ჟურნალი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY  
HUMANITARIAN-SOCIAL FACULTY  
Scientific magazine of Department  
of Foreign Languages and Communication


ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ  
УНИВЕРСИТЕТ  
Гуманитарный-социальный факультет  
Научный журнал департамента Иностранных  
языков и коммуникации



EISSN 1512-4029

UDC 378(479.22)(051.2)

b. 402



## სარადაპიო ჰოლეგი:

### შოთა დოლონაძე

- მთავარი რედაქტორი

### გიორგი გალათარიძე

- მთავარი რედაქტორის მოადგილე

### ოთარ გალათარიძე

- ჰასახისმეცვალი მდივანი

ესა ავალიდი, მიზროვოლი აზრისი (გარმალი),  
ვახტანგ გურული, თაიმურაზ თოლეა, როინ  
მეტროვალი, ქათი ქოქოშვილი, ოთარ ქოჩორიძე,  
ლუსალან ქათათალაძე, მარა ჩხეიძე



უზრნალი სელმძღვანელობს საქართველოს კანონით „პრესისა  
და მასობრივი ინფორმაციის სსევა საშუალებების შესახებ“.

გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებლია  
ავტორი. გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს მხოლოდ  
ავტორთა პოზიციას და შესაძლოა არ გმოხვეოდეს რედაქტორის  
შეხედულებებს.

### მისამართი:

საქართველო, თბილისი 0160 ქოსტავას ქ.77, VI კორპუსი VIII  
სართული ტელ. 36.45.14

77 Kostava st., 0160 Tbilisi, Georgia. Tel. [995 32] 36.45.14

Mail: [DLPA@gtu.edu.ge](mailto:DLPA@gtu.edu.ge)

გარეკანის გაფორმება: დავით გალათარიძე

შარიალის კლეპტორები ვარსია გამოქვეყნაზე:

<http://www.gtu.ge/katedrebi/kat124/>

## სარჩევი

გიორგი ბალათურია, ოთარ ბადათურია  
სახელმწიფო უნივერსიტეტი სოლიდარული მსოფლმხედველობის  
საფუძვლები----- 5

თემურ თოლუა, შოთა დოლონაძე  
არისტოტელე სახელმწიფო მართვის შესახებ----- 28

პროფესორ შოთა დოლონაძის ინტერვიუ სამხრეთ  
კავკასიის ინტერნეტგამოცემა “ახალი რეგიონი”-სათვის----- 38

ოთარ ქოჩორაძე  
ივანე ბერებილი  
საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი მშენებლობა:  
მომავლის ხედვა და პერსპექტივები  
(შედარებითი ანალიზი) ----- 39

ოთარ ქოჩორაძე  
ნიკოლოზ ბერებილი  
პოლიტიკა და პოლიტიკური  
ინტერესი (შედარებითი ანალიზი) ----- 45

გენადი იაშვილი  
სტრატეგიული მენეჯმენტის კონცეფცია მცირე  
წარმოებებში ----- 51

ბელა გოდერძიშვილი  
მაია დანელია  
ტერიტორიული განვითარების სტრატეგია----- 60

გენადი იაშვილი  
თანამედროვე სტრატეგიული მენეჯერი და მისი როლი  
წარმოებაში ----- 69

გიორგი მჭედლიშვილი  
სვანეთი დიდი ტურიზმის მოლოდინში----- 77

თენგიზ ენდელაძე მეზობელი ქვეყნების ძალოვანი სტრუქტურები საქართველოს გასაბჭოებისათვის ბრძოლაში-----	98
დავით თაქთაქიშვილი რელიგიის საკითხები იმანუილ კანტოან და გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ პეგელთან-----	107
<b>ლალი გგასალია მხატვრული სახის ცნების ესთეტიკურ-ულტუროლოგიური კონცეპტი-----</b>	114
მაია ჩხეიძე კულტურათაშორისი კომუნიკაციის პრინციპები (ინგლისურ ენაზე)-----	119
რუსულან თაბუკაშვილი ენისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების პრობლემა სოციოლინგვისტიკაში-----	124
<b>სტუდენტური გეერდები -----</b>	131-154
თინათინ იაშვილი, ირინა იაშვილი გაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (ვმო) და მისი როლი მსოფლიო ეკონომიკაში-----	131
თინათინ იაშვილი, ირინა იაშვილი რუსეთი და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, პრობლემები, წინააღმდეგობები.-----	144
სოფიო ტიტვინიძე ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნები და საერთაშორისო გაჭრობა-----	154

გიორგი ბალათურია  
ოთარ ბალათურია  
სახელმწიფოებრივი სოლიდარული  
მსოფლიმხედველობის  
საფუძვლები

პოლიტიკური იდეოლოგია (მსოფლიმხედველობა) –  
სახელმწიფოებრიობის ბაზისი

ნებისმიერ სახელმწიფოში ხელისუფლების საქმიანობა იმთავითვე განწირებულია, თუ არ არსებობს ხალხის გამაერთიანებელი დირექტულება – ის ღირებულება, რომელსაც სახელმწიფოში მცხოვრები ადამიანები საბუთარი კეთილდღეობის აუცილებელ პირობად მიიჩნევენ და რომლის თაობაზეც არსებობს ეროვნული თანხმობა. ასეთ ზოგად ღირებულებას საქართველოსთვის ერთიანი და ძლიერი სახელმწიფო წარმოადგენს. ძლიერი სახელმწიფო საზოგადოების კეთილდღეობის წინაპირობაა, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, სახელმწიფოს გაძლიერების უმნიშვნელოვანები ფაქტორი ხდება.

მეორე მხრივ, ნებისმიერი ქვეყნის განვითარების მამოძრავებელი ძალა, მისი არსებობის გამართლება, როგორც წესი, ამ ქვეყანაში დამკვიდრებული იდეოლოგის მეშვეობით ხორციელდება. ასეთი გახლდათ ლიბერალური თუ კინსერვატორული, სოციალისტური, კომუნისტური თუ სხვა იდეოლოგიები. ზოგიერთ ქვეყნაში მთავარი, წამყვანი იდეოლოგიური როლი რელიგიურ მრწამს ენიჭება (ძირითადად მაკმადიანურ ქვეყნებში).

როგორია ჩვენი ქვეყნის, ახალი ქართული სახელმწიფოს იდეოლოგია? საქართველოს სახელმწიფო იდეოლოგიის მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში კიდევ უფრო გაიზარდა, ვინაიდან, სწორედ ქვეყნის სახელმწიფოებრივ მსოფლიმხედველობას ძალუბს გაუძლოს გლობალიზაციის ეპოქით გამოწვეულ საფრთხეებს, რათა ქვეყნამ თავიდან აიცილოს როგორც უკიდურესი ნაციონალურ-რელიგიური ფანატიზმის, ისე ულტრათანამედროვე ლიბერალიზმის (ფაქტობრივად, ფსევდოლიბერალიზმისა და ნეომარქიზმის) მავნე ზეგავლენა.

საქართველოსთვის, როგორც პოლიტიკურ და ეკონომიკურ გზაჯგარედინზე მყოფ ქვეყანას, სადაც ერთმანეთს ეჯახება მსოფლიოს ზესახელმწიფოთა ინტერესები, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს განვითარების ზოგად ტენდენციებს.

კაცობრიობის განვითარების პერსპექტივებს თანამედროვე დასავლური მეცნიერება ძირითადად ორი ურთიერთსაწინააღმდეგო კონცეფციით განსაზღვრავს. ერთია ლიბერალური იდეების საბოლოო დამკვიდრება [1], მეორე – ცივილიზაციათა დაპირისპირება [2, 3]. უფრო მეტიც ზოგიერთი მკვლევარი (ორიანა ფალაჩი) თვლის, რომ მალე ევროპა აღარ იარსებებს, იგი მაჰმადინაური კულტურული ან ძალადობრივი ექსპანსიით იქნება ასიმილირებული (ან განადგურებული) და ევროპის ნაცვლად ევრიპის მივიღებთ.

ამ ორივე კონცეფციის უდიდესი ნაკლია ის გარემოება, რომ ისინი არ ითვალისწინებენ შემოქმედის არსებობას, შემოქმედისა, რომელიც განაგებს ჩვენს სამყაროს [4] და ურველივე მინდობილი აქვთ მანკიერი კაცობრიობის ვნებათადელვის შემთხვევითობასა თუ მათ მიერ „აღმოჩენილ“ ეწ. „ისტორიულ კანონზომიერებაზე“. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ისე ისლამის მიმდევრები [5] კაცობრიობის მომავალს ცივილიზაციათა და კულტურათა დიალოგში ხედავს, სხვადასხვა კულტურების მშვიდობიან თანაარსებობაში.

„თანამედროვე ადამიანის ტრაგედია იმშია, რომ კულტურა და მეცნიერება (განსაკუთრებით ფილოსოფია) დიდად დასცილდა ეკლესიას. ბევრს ეწვენება, რომ მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები დადასტურებაა ადამიანური გონების სრულყოფილებისა და გონიათ, რომ მას შეუძლია დროთა ვითარებაში ახსნას მოვდი სამყაროს საიდუმლოვებანი; ამიტომაც შემოქმედისადმი რწმენა ნაკლებად გაცნობიერებული საზოგადოების გამოვლინებად და დღეისთვის სრულიად ზედმეტად მიაჩნიათ, ანდა იმდენად მისაღებად, რამდენადაც შეიძლება იგი გამოადგით მოსახლეობის „დაბალი“ უცნების მართვის საშუალებად. ისინი უარყოფენ სახწაულს, რადგან ნებისმიერ სახწაულში არის ის, რასაც ლოგიკითა და მიწიერი კანონებით ვერ ახსნი. მორწმუნებათვის კი ცხოვრება დათისა და სამყაროში მისი სახწაულების აღიარების გარეშე წარმოუდგენელია. მშვიდობად თქვა გოუთებ: როგორადაც არ უნდა მოიხდომოს ადამიანმა, ბენება და მასში მიმდინარე პროცესები გონებაზე უნაშთოდ არ იყოფა. ანუ ყველგან და ყველაფერში რჩება ადგილი ირაციონალურისთვის, რწმენისთვის. რწმენა არ გამორიცხავს მეცნიერებას, პირიქით,

მის მიღწევებსა და მტკიცებულებებს იყენებს და ახალი აღმოჩენებისთვის თვითონაც იღწვის (XIX-XX საუკუნეებში არაერთი გამოცონება უკავშირდება მორწმუნებულების და მკვდევარ სახელით პირთა სახელების). მისთვის გასაგებია, რომ ესა თუ ის თეორია ან პიპოთება შეიძლება ხვალ საერთოდ მიუკეთდეს აღმოჩნდეს ან უკოებით შეიცვალოს. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ადამიანის გონება და მისი შესაძლებლობები შეზღუდულია და სრულყოფილებისგან დაშორებული. რწმენის გარეშე სიცოცხლე ძალიან მნელი, შემთხვეულების და გაუმართლებლია. სიკვდილი უაზროდ ხდის მას და აუხსენდ, მტანჯველ გამოცახად აქცევს“ [6]. აღნიშნულს ადასტურებს აგრეთვე თანამედროვე მეცნიერებული აღმოჩენები, რომელთა თანახმადაც სამყაროს შექმნა და განაგებს გონიერი შემოქმედი [4].

როგორ გავითვალისწინოთ ეს ყოველივე საქართველოს პოლიტიკური იდეოლოგიის (სახელმწიფო ებრივი მსოფლმხედველობის) ჩამოსაყალიბებლად?

პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ სახელმწიფოს სუვერენიტეტის, მისი განვითარების, სახელმწიფო ებრიობის შეგრძნების უმნიშვნელოვანეს ქვაკუთხედს საყოველთაოდ ცნობილ პოლიტიკურ და ეკონომიკურად აუცილებელ წანამდლოვრებითან ერთად წარმოადგენს ისეთი სახელმწიფო ებრივი მსოფლმხედველობა (იდეოლოგია), რომელიც მოცემულ სახელმწიფოში მცხოვრები მოსახლეობის ფართო ფენების მიერ აღქმული იქნება, როგორც მისი ფიზიკური და სულიერი არსებობისა და განვითარების გარანტი [7].

### პოლიტიკური იდეოლოგიის არსი

იდეოლოგია იდეებისა და შეხედულებების სისტემაა, რომელშიც გაცნობიერებული და ასახული უნდა იყოს როგორც ცალკეული ადამიანების, ისე მთლიანად სოციალური ფენების, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების დამოკიდებულება ერთმანეთისა და საქართველოსა და მსოფლიოში არსებული სინამდვილისადმი. ამ სისტემამ უნდა მოიცას საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენის პოლიტიკური ცნობიერების მთელი სპექტრი და დასახოს მათი სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზები, ოცნებებისა და იმედების აღსრულებისა და მიზნების მიღწევის შესაძლებლობების საერთო ქართული სახელმწიფოს ფარგლებში.

ასეთმა იდეოლოგიამ თვითრიცვლად უნდა უზრუნველყოს როგორც თითოეული ინდივიდის, ისე სხვადასხვა სოციალური,

ეთნიკური, სარწმუნოებრივი (კონფესიური) ჯგუფებისთვის ერთიანობის ანუ, საბოლოო ანგარიშით, მამულიშვილობის შეგრძნება, რათა პირველი მოთხოვნისთანავე ყველა მათგანი დადგეს ქვეყნის დაცვის სადარაჯოზე. სახელმწიფოს ესაჭიროება არა მხოლოდ სამხედრო აგრესიისგან თავდაცვა, არამედ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ქვეყნის წინააღმდეგ განხორციელებული შეგნებული ოუ შეუგნებული მსოფლმხედველობითი, იდეოლოგიური დივერსიების მოგერიება, ტრადიციული დირებულებებისა და ეროვნული, სარწმუნოებრივი თვითმყოფადობის შენარჩუნება-განვითარება. ამასთან, დაცული უნდა იქნეს პიროვნების თავისუფლებისა და ცივილიზებული სამყაროს დემოკრატიული, საყოველთაოდ აღიარებული ზოგადსაკაცობრიო ლირებულებები.

სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირებიცხოვანი ერებისთვის გლობალიზაციის ობიექტურად მიმდინარე პროცესების ფონზე, რათა, ერთი მხრივ, ქვეყანაშ დაუბრკოლებლად შეძლოს გახდეს გლობალური, ცივილიზებული სამყაროს სრულუფლებიანი წევრი, ხოლო მეორე მხრივ, შეინარჩუნოს თავისი ისტორიული, კულტურული მემკვიდრეობა და საბუთარი ეროვნული თვითმყოფადობით გაამდიდროს საერთო საკაცობრიო საგანძურთო. სამყაროში ჯერ კიდევ არსებული კულტურულ-ეროვნულ-ისტორიული მრავალფეროვნების შენარჩუნება როგორც მთელი კაცობრიობის, ისე თითოეული ქვეყნის წმიდათა-წმიდა მოვალეობაა, მაგრამ მისი მიღწევა მხოლოდ სათანადო სახელმწიფოებრივი მზრუნველობითაა შესაძლებელი, რაც სწორედ სახელმწიფოებრივ მსოფლმხედველობაში უნდა იქნეს ასახული.

ტერმინის „იდეოლოგიის“ წარმოქმნისთანავე (XIX საუკუნეში შემოტანილი ფრანგი ფილოსოფის დესტიუტ დე ტრასტის მიერ) ამ ცნების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება დამკვიდრდა. ეს პერიოდი ხასიათდება ევროპაში რევოლუციური გამოსკლებით, კლასობრივი დაპირისპირებით, სისხლისღვრით, რამაც თვალნათლივ აჩვენა, რომ წარსულის დიდ მოაზროვნეთა ჩამოყალიბებული თეორიული მსჯელობანი სამყაროს უკეთ მოწყობის შესახებ მახინჯი ფორმებით მატერიალიზდებოდა, იდებდა ახალი რელიგიის მსგავს სახეს და რეალურ მსხვერპლ შეწირვას მოითხოვდა.

განსაკუთრებული და საყოველთაო მნიშვნელობა იდეოლოგიის ცნებამ მიიღო მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნეში, როდესაც განსაკუთრებით გამწვავდა

კლასობრივი, ეთნიკური, რელიგიური და რასობრივი დაპირისპირებანი (მარქსიზმი, რაიოზმი).

თვით მარქსი და ენგელსი ტერმინ იდეოლოგიას იყენებდნენ დამახინჯებული, გაუკუდმართებული ცნობიერების აღსანიშნავად. ცნობიერება გაუკუდმართებულია, როდესაც ცოდნა საზოგადოებასა და სოციალური კონფლიქტების შესახებ აისახება არა ობიექტურად, მიუკერძოებლად, არამედ გარეული ინტერესების თვალთახედვის აუთხით. მარქსის მიხედვით, იდეოლოგია (გაუკუდმართებული ცნობიერება) ყოფიერების ილუზორული ასახვა, კლასის მიერ საკუთარ თავზე ილუზიის შექმნა. შემდგვ ეს ილუზიები იდეოლოგიურ კონსტრუქციებად გარდაიქმნება, თავად ხდება თვითქმარი და პირველადი რეალურ ობიექტებთან და ინტერესებთან მიმართებაში. რადგანაც იდეოლოგია შეზღუდულია სოციალურად (რაგი იგი გარკვეული სოციალური კლასის ინტერესებს გამოხატვებს), მას შეუძლია დაამახინჯოს საზოგადოებრივი ცხოვრების რეალური სურათი. ამასთან, ასეთი იდეოლოგიური დამახინჯება შესაძლოა განხორციელდეს წინასწარგანზრახვით ან შეუგნებლად მოვლენების, ისტორიული გარემოებების, საზოგადოებრივი განვითარების არასაკმარისი ცოდნისა და მცდარი ინტერპრეტაციის გამო. მიუხედავად იმისა, თუ რატომ ხდება იდეოლოგიური დამახინჯება, იგი გამოიტვამს პრეტენზიას, რომ თეორიულად სწორად ასახავს სოციალურ ობიექტს და პროცესებს და ყველა ხერხით იცავს თავის სიმართლეს, მათ შორის ძალისმიერი მეთოდებით, – როგორც ეს ტოტალიტარული რეჟიმებისთვის იყო და არის დამახასიათებელი.

თავად მარქსი და ენგელსი თავიანთ მოძღვრებას იდეოლოგიად არ თვლიდნენ და იგი მეცნიერებად მიაჩნდათ. საკუთარ ამოცანას ისინი სოციალური ყოფიერების გაბატონებული კლასის იდეოლოგიური კლიშეებიდან განთავისუფლებაში ხედავდნენ. თუმცა იმთავითვე ნათელი იყო, რომ მარქსიზმიც იდეოლოგიაა, ოღონდ პროლეტარიატის, ჩაგრული და არა მხაგვრული, გაბატონებული კლასის იდეოლოგია. ეს კარგად დაასაბუთა ლენინმა და ახალი ტერმინიც შემოიღო – „მეცნიერული იდეოლოგია“, ე.ი. მარქსიზმი. ამრიგად, ლენინისა და შემდეგ მარქსისტების შეხედულებით დადგინდა, რომ სოციალური მეცნიერება, მარქსიზმი და პროლეტარული იდეოლოგია ერთი და იგივეა. ფაქტობრივად „შესანიშნავი“ ტერმინი მოინახა - „მეცნიერული იდეოლოგია“, რაც იმას ნიშნავდა, რომ ყველა სხვა არსებული იდეოლოგია არამეცნიერული იყო, და, მაშასადამე, ყველა ვინც მარქსისტად თვლიდა თავს (ან თანაუგრძნობდა მარქსიზმს),

დებულობდა (უნდა მიეღო) ახალი პოლიტიკური იდეოლოგია, როგორც სრული და საბოლოო ჭეშმარიტება, აქსიომად მიეჩნია მისი უცდომელობა. შესაბამისად ნებისმიერი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც მარქსიზმის პოზიციიდან კეთდებოდა, აპრიორი გამართლებული გახდათ.

ცხადია, რომ იდეოლოგიის ასეთი გამოყენება, მართლაც, სოციალური ფენის, ამ შემთხვევაში, პროლეტარიატის, გაუკულმართებულ ცნობიერებას წარმოადგენს. იქმნება პროლეტარიატის იდუზორული შეხედულება საკუთარ თავზე, როგორც მოწინავე და პროგრესული კლასისა, რამაც გარკვეულწილად წარმატებით განახორციელა პროლეტარიატის და, საზოგადოდ, მშრომელთა ფართო ფენების სულიერების დამახინჯება, მათი ფაქტობრივი ზომბირება ქვენა გრძნობების გაღვივებითა და რევოლუციური ნგრევისკენ მოწოდებებით, რომელთა შორის განსაკუთრებით პოპულარული გახდა „ძარცვე ნაძარცვი“. მარქსისტულმა და, შემდეგ, რასისტულმა იდეოლოგიამ მოახერხა ეწ. „რჩეულთა“ კასტის ჩამოყალიბება, კასტისა, რომლისადმი კუთვნილებაც განაპირობებდა საკუთარი ქმედებების უცდომელობასა და კანონიერებაში დაჯერებას. შეიქმნა სრულიად უნიკალური ფსიქო-ფილოსოფიური დამოკიდებულება, მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირი ყირამალა დადგა – ადამიანის ცნობიერება (მიზეზი) კი არ განაპირობებდა მის რომელიმე სოციალური, საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური გაერთიანების წევრობას (შედეგი), არამედ პირიქით, საზოგადოებრივი გაერთიანების წევრობა (შედეგი) განსაზღვრავდა პიროვნების ცნობიერებას (მიზეზს). ამით კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში განხორციელდა გრანდიოზული, მის წინააღმდეგ მიმართული ექსპერიმენტი, ფაქტობრივად წარმატებით გამოიცადა პიროვნების გარკვეული აზროვნების ძალადობრივი ჩამოყალიბების მექანიზმი - „მანქურთოზმის“ თანამედროვე გარიანტი.

სინამდვილეში იდეოლოგია სრულებითაც არ არის, არ უნდა იყოს ყალბი შემეცნება, რადგანაც ადამიანი დვთიური ქმნილებაა განგებით, უზენაესით მინიჭებული ცნობიერებით აღბეჭდილი და არა ცხოველი, რომელმაც „არსებობისათვის ბრძოლაში“, ევოლუციური განვითარების გზით, შეიძინა ცნობიერება, აზროვნება, ზეორბა და სულიერების სხვა ელემენტები. ამიტომ ზემოაღნიშნული მიზეზობრივ-შედეგობრივი ბუნებრივი კავშირის დარღვევა ხანგრძლივი დროით, მეტ-ნაკლებად ფართო მასშტაბით, შეუძლებელია და, საბოლოო ანგარიშით ცნობიერების დამახინჯების მექანიზმი კრასს განიცდის, მათ შორის იმის გამოც, რომ ადამიანებს

მაინც რჩებათ თავისუფალი აზროვნების ელემენტები და ისინი ბოლოს და ბოლოს ახერხებენ ერთმანეთისგან განასხვავონ ყალბი, დამახინჯებული ცნობიერება ბუნებრივი, თავისუფალი ცნობიერებისგან, რასაც დამახინჯებული ცნობიერების ამბოხი მოსდევს. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ყალბი, დამახინჯებული ცნობიერება და შესაბამისი იდეოლოგია ვერ იპოვის ერთგულ მიმდვერებს. ადამიანებს სხვადასხვა შესაძლებლობები აქვთ მიმადლებული, ზოგი ადვილად ექვემდებარება ზომბირებას, ზოგი ძნელად, მაგრამ საკმაოდ სანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ადამიანთა ფართო მასების კოლექტიური, ძალადობრივი ზომბირება შეუძლებელია. ამრიგად, ჩვეულებრივ, იდეოლოგიაში ხორციელდება, განსხვაულდება საზოგადოების შესახებ ჭეშმარიტი ცოდნისა და სოციალური ინტერესების მეტად როგორი სახის კავშირი. თანამედროვე საზოგადოება როგორც მთლიანად მსოფლიოში, ისე, კერძოდ, საქართველოში, როგორც მდიდარ, ისე ღარიბ ქვეყნებში, ძლიერ დიფერენცირებულია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით (არა მხოლოდ სოციალური მდგომარეობით). ცივილიზაციის მთელი ისტორიის განმავლობაში ადამიანთა დიფერენციაცია მუდამ არსებობდა, არსებობს და იარსებებს, თუმცა იცვლებოდა და შეიცვლება თვით დიფერენციაციის ნიშნები და ხარისხი.

რაკი ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისგან სოციალური მდგომარეობით, ეთნიკური წარმომავლობით, სარწმუნოებით, კულტურული დირებულებებით, ზმნებრივი და სულიერი ფასეულობებით, განგებით მინიჭებული სხვადასხვა ფიზიკური (ბიოლოგიური) თუ ფსიქოლოგიური თავისებურებებით და შესაძლებლობებით, ამდენად მათ განსხვავებული ინტერესი ექნებათ. მაგრამ სწორედ ამ განსხვავებულ ინტერესთა სიმრავლის გამო წარმოიქმნება ერთგვარად გასაშუალოებული „ოქროს კვეთა“, მდგრადი წარმოდგენები სიცოცხლის აზრის, სოციალური იდეალის, სხვადასხვა დირებულებების შესახებ, რაც ზოგჯერ ყალიბდება ეწ. „დაუწერელი კანონების“ სახითაც და თაობიდან თაობას გადაეცემა.

განსხვავებულ მასობრივ მოვლენათა ჯამური ზემოქმედების მდგრადი და გასაშუალოებული მნიშვნელობისკენ მისწრავების ტენდენცია სავსებით მეაფიოდ არის გამოხატული ბუნებაში. ბუნებრივი მოვლენების ეს თვისება დაწვრილებით არის აღწერილი სხვადასხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერების მეთოდებით (ალბათობის თეორია, ინფორმატიკა, ფიზიკა - თერმოდინამიკის კანონები, ენერგიის მუდმივობის კანონები და სხვ.). ფილოსოფიაში

მსგავსი მოვლენები აღიწერება „წინააღმდეგობათა ურთიერთობისა და ურთიერთოქმედების“ დიალექტიკური კანონით.

იდეოლოგიაში უნდა დაფიქსირდეს საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მოვლენები, სიტუაციები, რომლებიც ყოველთვის წარმოიქმნება საზოგადოების ცხოვრებაში და რომლებიც შეგნებული არჩევანის გაკეთებას მოითხოვენ. გადაწყვეტილებათა მიღებისა და მისი განხორციელების დროს ყალიბდება სოციალური იდეალები, როგორც ამა თუ იმ სოციალური ფენის, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების, თაობების სტრატეგიული მისწრაფებანი.

ასეთი იდეალებისა და მისწრაფებების საფუძველზე უნდა აიგოს სისტემატიზებული და ოეორიულად ჩამოყალიბებულ იდეათა სისტემა (სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობა), რომელიც აღწერს, ერთი მხრივ, სხვადასხვა საზოგადოებრივ ფენათა როგორც ინტერესებს, ისე მათ ურთიერთდამოკიდებულებას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს საზოგადოების თავისუფალ განვითარებას აუცილებლობებით განპირობებულ გარემოში, სახელმწიფოს დამოუკიდებელ და სუვერენულ არსებობასა და განვითარებას რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებებით გაჯერებულ გეოპოლიტიკურ სივრცეში.

**ამრიგად, სახელმწიფოებრივი იდეოლოგია** (მსოფლმხედველობა) იქნება არა მხოლოდ სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ თავისი ყოფიერებისა და ობიექტური განვითარების ტენდენციების შეცნობა, არამედ, შესაძლოა უფრო მეტადაც, ორიენტირები, მიზნები სახელმწიფოსა და საზოგადოების, სოციალური ფენების, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების, თაობების აქტიური ქმედებებისთვის.

თუ სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობა სწორად არის ჩამოყალიბებული, მაშინ იგი გახდება ქვეყნის მთელი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი რესურსების, ძალისხმევის მობილიზების იმპულსი და წყარო საერთო მიზნების მისაღწევად. ამოცანა მდგომარეობს საზოგადოების მთელი მრავალფეროვნების მდგრადი ინტერესების გამოვლენასა და ისეთი ორიენტირების დასახვაში, რომელიც საშუალებას მისცემს როგორც საზოგადოებას, ისე სახელმწიფოს, იარსებოს და განვითარდეს პარმონიულად არსებულ წინააღმდეგობრივ და კონფლიქტურ გარემოში. მხოლოდ ამ შემთხვევაში განხორციელდება სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობის (იდეოლოგიის) ზემოქმედება თითოეულ პიროვნებაზე, როგორც

საზოგადოებრივ არსებაზე და ხელს შეუწყობს მის სოციალურ, პოლიტიკურ, ეთნიკურ, რელიგიურ თვითიდენტიფიკაციას. მსოფლმხედველობითი, სახელმწიფო ებრივი გირივი, იდეოლოგიური ფასეულობები მიანიჭებენ აზრს მთელი საზოგადოების, სახელმწიფოს არსებობას და ჩამოაყალიბებენ სოციალურად აქტიური ქმედებების გარემოს.

### საქართველოს სახელმწიფო მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პრობლემები

უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი საქართველოში ფაქტობრივად არ დამდგარა სახელმწიფო ებრივი მსოფლმხედველობის მეცნიერულად განსაზღვრისა და ჩამოყალიბების საკითხი. თანამედროვე პირობებში საქართველოს სახელმწიფო იდეოლოგიის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება, ვინაიდან, სწორედ ქვეყნის სახელმწიფო მსოფლმხედველობას ძალუბს გაუძლოს როგორც გლობალიზაციის ეპოქით გამოწვეულ საფრთხეებს, ისე „ახალგაზრდა დემოკრატიის“ ქვეყნებისთვის დამასასიათებელ „დამოუკიდებლობის საყმაწვილო სენს“. ამ საფრთხეს კარგად ხედავდა მერაბ მამარდაშვილი [8]:

„თუ საბჭოთა ხელისუფლებამ რამეს მიაღწია, ეს, რა თქმა უნდა, ადამიანის ახალი ტიპის შექმნაა. ჯერ რაღაც მეტაციების, შემდეგ კი მაზანდასახული ზემოქმედების შედეგად ჩამოყალიბდა ახალი ანთროპოლოგიური ტიპი, რომელიც ამავე დროს არის გადაგვარებული ვარიანტი ნორმალური, ტრადიციული ადამიანური სახისა. როცა ჩვენ ვამბობთ, რომ ოკუპირებული ვართ იმპერიის მიერ, მთელ სიმართლეს არ ვამბობთ; ჩვენ ოკუპირებული ვართ ახალი ადამიანის მიერაც. საოჯახაციო ჯარი მხოლოდ იმპერიული ჯარი არ არის. ეს არის ადამიანის ვარკვეული ტიპი, სოციალური, მენტალური, ყოფითი სტრუქტურები. კველაციერი, რაც ჩვენ ვარშემო ხდება, ამ სტრუქტურებითაა განპირობებული; ისინი, რა თქმა უნდა, არ ვამომდინარებენ ჩვენი ისტორიიდან და ჩვენი საზოგადოების ტრადიციებიდან და ამ გაგებით გარედან, ოკუპაციის გზითაა შემოტანილი, მაგრამ, ჩვენ, ქართველ ერხაც, შეგვეხმ პროცესი ამ ახალი ანთროპოლოგიური ტიპის აღმოცენებისა, რომელიც იმზვარად აზროვნებს, რეგისტრებს და ა.შ., რომ ინტუიციით ვხედვებით: ჩვენს წინაშე საბჭოთა ადამიანია. ახლა ჩვენ გვიდგას პრობლემა: როგორ დაგადწიოთ თავი ამას, როგორ შევქმნათ საკუთარ თავში სხვა საყრდენები, ან როგორ განვაახლოთ რაღაც ისტორიული ძაფები, რითაც მოვახერხებთ

ქირურგიულად მოვიცილოთ ეს გამონაზარდი სტრუქტურები? რა თქმა უნდა, ეს სულიერი ქირურგია უნდა იყოს, და არა ფიზიკური – ფიზიკურად ასეთ რამეს ვერ მოიცილებ.

... ჩვენ, ქართველები აშკარად ვდგავართ საფრთხის წინაშე. ბეჭრი რამ, რაც მოვცილებელი ნიშანი იყო ქართველის ტრადიციული ხატისა, რომელიც ყოველ ჩვენგანს სულ შე უზის, გაქრა, ან გადაგვარდა. როგორ მოხდა ეს? ჩვენ გადაეირჩინეთ თავი, მოვირგეთ საბჭოთა სისტემა და ისე არ გავდატაკებულვართ, როგორც რუსული სოფელი, უფრო კარგად ვცხოვრობთ, ვიდრე მოსკოვებულები ან სხვები, მაგრამ ყველაფერ ამას თავისი ფასი ადგებს.

ჩვენი მთავარი პრობლემა, ჩვენი აღორძინების პირობაა, შევაჩეროთ ეს პროცესი და ამოვინირეცვოთ ხისტემა, რომელიც საქართველოში გამეფებულია საბჭოთა მეურნეობის, მენტალიტეტის, ჩვევების და ა.შ. სახით.

... თუ ნამდვილად დავვიტრდებით იმაზე, რანი გავმხდარვართ ამ 70 წლის შემდეგ, რაღაც შემზარავ, საშინელ სურათს დავინახვთ და შეიძლება ვერც ავიტანოთ ეს საშინელება, არ მოვინდომოთ მისთვის თვალის გასწორება, ე.ი. ფიქრი. ფიქრის გარეშე კი არაფერი გამოვა. ეს გამოიწვევს სულიერ ნერევას, რომელიც უფრო საშინელი გაგრძელებაა უქვე მომხდარი სულიერი, ხოციალური და ზეობრივი კატასტროფისა, რომელიც ტოტალიტარიზმა მოგვიტანა. როცა ადამიანებს აღარ შეუძლიათ აზროვნება, არ შესწევთ ძალა, შეასრულონ აზროვნების აქტი, დაისჯებიან. ხომ არის ნათქვამი ერთ-ერთ ბიბლიურ ტექსტში: „დიდხანს არ აზროვნებდნენ, მერე მოვიდა წყალი და უკელა წალეკა“ [8].

აი, სწორედ იმის გამო, რომ ქართველმა ერმა ჯერ კიდევ ვერ მოიცილა საბჭოთა მენტალიტეტი, ხოლო მმართველმა ელიტამ ბოლშევიკური აზროვნება, საქართველოში დაიწყო დემოკრატიის პრინციპების არა არსებითად, არამედ ფორმალურად და ძალადობრივი დამკვიდრება, რამაც სხვა პრობლემები წარმოშვა. თანამედროვე საქართველოში გამოჩდნენ ადამიანები, რომლებიც დემოკრატიისა და ადამიანთა საყოველოაო უფლებების დაცვის საბაბით ებრძვიან ყოველივეს, რაც ოდნავ მაინც შეეხება ქართული ეროვნული მეხსიერების შენარჩუნებასა და საქართველოს ისტორიული მემკვიდრეობის გაფრთხილებას, რაც თითქოსდა შემაფერხებელი გარემოებაა ცივილიზაციულ სამყაროსთან ინტეგრაციის გზაზე. ვითომცდა დემოკრატიული, ფაქტობრივად კი ფსევდოლიბერალური იდეოლოგია მოითხოვს სასწავლოდ დავივიწყოთ ჩვენი ეროვნული და სარწმუნოებრივი, ტრადიციული დირებულებები,

როგორც წარსულის მაგნე გადმონაშთი, ხელისშემშლელი ბარგი თანამედროვე, გლობალიზაციის ეპოქაში. „არატრადიციული ღირებულებების ხელოვნურად დანერგვას ხელს უწყობებ გარკვეული ძალებიც და ამას თავისუფლების, დემოკრატიისა და განვითარების პროცესად წარმოაჩენენ, როთაც დარტყმას, უპირველეს ყოვლისა, ქართულ სახელმწიფოს და ხელისუფლებას აუკენებენ“ [9].

ეს ამბავიც არ ახალია, მევლია. გვახსოვს, როგორ მოუწოდებდნენ ქართველობას დროზე გარუსებულიყვნენ გიორგი მეუხერან-ბატონი და ივანე ჯაბაძარი. მაგრამ არის არსებითი განსხვავებაც. ისინი, XIX საუკუნეში მოდვაწე ადამიანები, გულწრფელად თვლიდნენ, რომ ასე უკეთესი იქნებოდა საქართველოს მოსახლეობისთვის.

გლობალიზაცია გარდაუვალი ისტორიული პროცესია და ეკონომიკურად იგი საქართველოსთვის შესაძლოა სიკეთის მომტანიც იყოს თუ ქვეყანა მას მომზადებული შევხდება. „ხმლიანნა მტერმა კერ დაგვათმობინა, კერ წაგვაროვა ჩვენი მიწაწყალი, ჩვენი ქვეყანა... შრომითა და გარჯოთ, ცოდნით და ხერხით მოსულია თან გაგვიტანს, ვეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვებს, სახსენებული ქართველისა ამოიკვეთება... თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მიგავით...“ (ილია ჭავჭავაძე). სათანადო, თანამედროვე ცოდნით აღჭურვილმა საქართველომ ისევე უნდა გამოიყენოს გლობალიზაცია, როგორც სერფინგისტმა აბობოქრებული ტალღები. თუ ვეცდებით, რომ გავექცეო გლობალიზაციის ტალღას, სწორედ მაშინ დავმარცხედებთ.

მაგრამ როგორ გავუშკლავდეთ გლობალიზაციის საფრთხეს, რომელიც ჩვენს სულიერებას ემუქრება? რა არის ის ძირითადი ღირებულებები ანუ ჩვენი გადარჩენის იარაღი, რასაც უნდა გავუყროთხილდეთ და შევინარჩუნოთ გლობალიზაციის ეპოქაში? ეს უმთავრესი ღირებულებები თავის დროზე მკაფიოდ ჩამოყალიბდა ილიასული ტრიადით – მამული, ენა, სარწმუნოება!

საქართველოში განსაკუთრებულია მართლმადიდებელი სარწმუნოების როლი. „მართლმადიდებელმა სარწმუნოებამ ჩამოყალიბა არა მხოლოდ ერთიანი, ქართული სახელმწიფო და უნიკალური ქართული კულტურა, არამედ განსახლერა ქართველი ქაცის ცხოვრებისა და აზროვნების წესიც. დღესაც ჩვენი ხალხი – მართლმადიდებლური კულტურის ერს წარმოადგენს. თვით მესულმანი ქართველებიც კი საუკუნეთა მანძილზე ინარჩუნებდნენ ისეთ ტრადიციებს, რომლებიც ქრისტიანული სწავლებიდან მომდინარეობენ და მამა-პაპათაგან აქვთ შესისხლხორცებული“ [9]. საქართველოს ისტორია ხომ

ფაქტობრივად სახელმწიფოსა და ეკლესიის განკურელი, პარმონიული ქაშირის, საერო და საეკლესიო ცხოვრების ერთიანობის ისტორიაა. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ საქართველოს კონსტიტუციით დეკლარირებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი, რომელიც კიდევ უფრო განმტკიცდა საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმებით.

კარგად ვიცით, რომ რწმენის გაძლიერება იწვევს სახელმწიფოს გაძლიერებას, ხოლო სახელმწიფოებრიობის შესუსტება ერში რწმენის შესუსტებაზე მიგვანიშნებს. საქართველოს ისტორიაში საეკლესიო და საერო ცხოვრება ისეა ერთი მეორეზე გადაჯაჭვული, რომ შეუძლებელია გადმოსცე ერთი მათგანის ისტორია, მეორის გარეშე. სწორედ ამიტომ „ნათესავი ქართველთა”, როგორც ქრისტეს ცხოვრების წესის სარწმუნოების დამცველი ჩენების მატიანეში „ჯვარის მოსავალ“ ან „ჯვარის მსახურად“ იწოდებიან „ჯვარის მტერთა“ საპირისპიროდ. არსებითად ეს ზედწოდება - „ჯვარის მსახურნი“ - ქრისტეს მხედრობას გულისხმობს, რომელთა ყოველი ბრძოლა ქვეყნის დასაცავად, ამავე დროს, საღვთო ომია. „ამიტომაც იყო, რომ მთელი ისტორიის მანძილზე... დამპყრობლები ცდილობდნენ ხელოვნურად თავს მოეციათ არა მხოლოდ თავინთო პოლიტიკური გავლენა, არამედ მოუხდინათ კულტურულ-რელიგიური ასიმილაციაც, რაც გულისხმობდა როგორც რწმენის, ასევე სიმღერის, ცეკვის, სამოსლის, ლიტერატურული ღირებულებების, სუფრის წესის და ა.შ. შეცლას. ეს ხელოვნური ექსანსია, რათქმა უნდა, განსხვავდებოდა და განსხვავდება კულტურათა შორის ურთიერთობამდიდრების ბუნებრივი პროცესისგან...“[9]

ამდენად საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ჩამოყალიბებას, იდეოლოგიისა, რომელიც უმტკიცებულოდ ჩაეწერება როგორც თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ-პოლიტიკურ პროცესებში, ისე დაუმახინჯებლად შეინარჩუნებს მთელი კაცობრიობისათვის ძვირფას, უნიკალურ ქართულ სულიერ საგანძურეს.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოებაც, განსაკუთრებით ევროპაში, სწორედ ამ, ან მსგავსი მარადიული ღირებულებებისკენ იხრება. იქ უკვე მიხვდენ, რომ მხოლოდ „არსებობისათვის ბრძოლა“, მხოლოდ მატერიალური სიმდიდრე საბოლოო ანგარიშით დამდუპველია. ამიტომ, დღეს მსოფლიოში შეინიშნება შემობრუნება საყოველთაო მომხვეჭელობიდან

სულიერების სკენი, ზეობრივი ღირებულებების სკენი, ისტორიული მექსიერების სკენი, წინაპართა მიერ დატოვებული ფასდაუდებელი მემკვიდრეობის შენარჩუნების სკენი. საქართველოში კი თოთქოს ხელახლა უნდა გავიაროთ ეკონომიკურად დაწინაურებული ქვეყნების მწარე გზა - გზა გაუცხოებული საზოგადოების გამოვხილავისა.

განსაკუთრებით ადგნიშნავთ, რომ სრულყოფილი შედეგების მიღწევა რაღა თქმა უნდა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც თვით სახელმწიფო ებრივი მსოფლიშეგველობა სულიერი საფუძვლებით იქნება განმტკიცებული, როგორც ეს თავის დროზე წმიდა მეფე დავით აღმაშენებელმა მოიმოქმედა. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი იდეოლოგით მხოლოდ დროებითი წარმატების უზრუნველყოფა შესაძლებებელი.

სახელმწიფო განსაკუთრებული ტიპის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც, მიუხედავად იმისა, თუ როგორი ტიპის და ფორმისა (დემოკრატიული თუ ავტორიტარული, საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო), სწორედ იმ მიზნით არის შექმნილი, რომ ქვეყანაზე პოლიტიკური ბატონობა განახორციელოს, უზრუნველყოს თავისი ძალაუფლების უზენაესობა მთელი ქვეყნის ფარგლებში. სახელმწიფოს არსებობის ძირითადი ნიშან-თვისება სწორედ ის არის, რომ მას შესწევს უნარი, უზრუნველყოს სახელმწიფოს ამოცანების განხორციელება და მისი მოთხოვნების შესრულება ყვალბა მოქალაქის მიერ.

მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ საზოგადოდ გარდაუგადია, გნებავთ, ფატალური სასიათისაა წინააღმდეგობა და დაპირისპირებულობაც კი მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის? ნიცშე აღნიშნავდა, რომ ხალხის ერთობის (სახელმწიფო სამსახურის) გრძნობა უფრო ადრე გააჩნდა, ვიდრე საკუთარი „მე“-ს გრძნობა. სწორედ ერთობის გრძნობის განვითარებამ განსაზღვრა სახელმწიფოს წარმოშობა. ამდენად ადამიანის, მოქალაქის რეალიზება მხოლოდ სახელმწიფოშია შესაძლებელი და, შესაბამისად, იგი ვალდებულია დაძლიოს სახელმწიფოსადმი საკუთარი დაპირისპირებულობის გრძნობა. მოქალაქისა და სახელმწიფოს დაპირისპირებულობის ან წინააღმდეგობის აღმოფხვრის უნივერსალური, თუმცა ტრანსცენდენტური და, ერთგვარად, მისტიური გზაა მოქალაქისა და სახელმწიფოს სწრაფვა სრულყოფილებისაკენ. ცხადია, რომ სრულყოფილებისკენ სწრაფვის პროცესი ვერ იქნება ფორმალიზებული, ვერც ამ პროცესის სასრული, საბოლოო მიზნის განსაზღვრაა შესაძლებელი და არც არავინ იცის, შესაძლებელი გახდება თუ

არა ოდესმე ამ მიზნის თუნდაც კონტურების მონიშვნა. მაგრამ მაინც არსებობს ზოგადი მითითება იმის შესახებ, თუ როგორია მოქალაქის, საზოგადოდ ადამიანის ადგილი სახელმწიფოში. „სახელმწიფო – ბუნებრივი განვითარების შედეგია, ხოლო ადამიანი, თავისი ბუნებით – პოლიტიკური არსება... ადამიანი, რომელმაც თავისი არსი სახელმწიფოში პოვა – კველაზე უფრო ხრულყოფილია და, პირიქით, ადამიანი, რომელიც კანონისა და სამართლის გარეშე ცხოვრობს, კველაზე უძადრუებია“ [10]. სახელმწიფო მოთხოვნათა შესრულების ეფექტიანობას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მოქალაქეთა საკუთარი ინტერესები. რაც უფრო ახლოა სახელმწიფოს მოთხოვნები მთელი საზოგადოების ინტერესებთან, მით უფრო მაღალია ამ მოთხოვნათა შესრულების ხარისხი. ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოებრივ იძულებას მოქალაქისთვის ნებაყოფლობითი ხასიათი აქვს. ასეთი დამოკიდებულება სახელმწიფოსა და მოქალაქის სრულყოფილების განუსაზღვრელი მიზნის ერთგვარი განხორციელებაც იქნება.

#### იდეოლოგია და მმართველი ელიტა

სახელმწიფოებრივ იძულებას ანუ სახელმწიფო მართვას ახორციელებს ელიტა - გარკვეული ტიპის უმცირესობა, რომელიც მართავს უმრავლესობას. ელიტა, რომელიც ხელისუფლებას ფლობს, მერიტოკრატიული თვალსაზრისით, დირსეული ადამიანებისგან შედგება. ელიტა ფლობს ძალაუფლებას, რადგანაც მას სამასო თვისებები აქვს. ამრიგად ესაა დირსეულთა ხელისუფლება, დამსახურებათა ხელისუფლება. მმართველი უმცირესობა მართავს უმრავლესობას იმიტომ, რომ იგი უკეთაა ორგანიზებული. ორგანიზებულობის უნარი თვით ხდება ხელისუფლების სიმტკიცის გარანტია. ამასთან, ორგანიზაციის სტრუქტურა აუცილებლად ხელს უწყობს ელიტის ფორმირებას. „ოლიგარქიის რეინის კანონის“ (რ.მიხელსი) თანახმად, ელიტა იქმნება, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურების არსებობის შედეგი – ორგანიზაციული პირობები განაპირობებს მმართველი უმცირესობის არსებობას.

ხელისუფლება ყოველთვის უმცირესობის ხელშია, მიუხედავად იმისა არისტოკრატიულია იგი თუ დემოკრატიული. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ არისტოკრატული მმართველი კლასი შესხებას იდებს ჩაკეტილი ხოციალური ჯგუფიდან, დემოკრატიული მმართველი კლასის ფორმირება კი ფართო სოციალური ფენებიდან ხორციელდება. დემოკრატიული არჩევნებით რეალურად მმართველი ელიტის

განახლება ხორციელდება და არა მასების მიერ ხელმძღვანელობის კონტროლი და/ან ქვეყნის მართვაში მონაწილეობა.

პოლიტიკური ელიტა შესაძლოა იყოს დია ან ჩაკეტილი. ჩაკეტილი ელიტის მაგალითია ტოტალიტარული, ფეოდალური რეჟიმები. ასეთი იყო მმართველი ელიტა საბჭოთა კავშირშიც. როგორც ნებისმიერ ჩაკეტილ სტრუქტურას, ელიტასაც აქვს გადაგვარებისკენ მიღრეკილება. სოციალური თანასწორობა მოითხოვს ელიტის მუდმივ განახლებას, მაგრამ ეს არ ხდება მმართველი ელიტის ჩაკეტილობის გამო. „ელიტის მიმოქცევის“ კანონის შესაბამისად, დროთა განმავლობაში ელიტაში იწყება ფსიქოლოგიური ცვლილებები, რეფორმატორებს ცვლიან კონსერვატორები, ნოვატორებს – სტაბილიზაციის მომხრენი და ელიტა უძრაობაში ეფლობა; წონასწორობა დამსახურებებს, უნარსა და ხელისუფლებას შორის ირვევა და რევოლუციების ან გადატრიალებების გზით ელიტას ცვლის ახალი ელიტა – კონტრელიტა (შესაბამისი უნარის მქონე აღამიანები, რომლებიც არ იყვნენ ხელისუფლებაში). შემდეგ ეს ახალი ელიტა იკეტება და მწიფდება ახალი ცვლილების პერიოდი. ციკლი მეორდება. კაპიტალის მიხედვით კაცობრიობის ისტორია ელიტების მუდმივი ცვლილებების ისტორიაა. ერთი აღზევდებოდა, სხვა ეცემოდა.

დია ელიტა დამახასიათებელია ლიბერალურ-დემოკრატიული სისტემებისთვის. ამ შემთხვევაში ელიტის შევსება ხდება ყველა სოციალური ფენიდან, ოღონდ ხანგრძლივი შერჩევით და არა მასობრივი განახლებით, ფაქტობრივად თანახმად ბიბლიური შეგონებისა „მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედი რჩებულ“ (მათვ 20, 16). ელიტის მასობრივი განახლების შემთხვევაში იგი კარგავს თავის ფუნქციას.

განვასხვაოთ სახელისუფლებო და იდეოლოგიური ელიტა. სახელმწიფოს მართვას ახორციელებს სახელისუფლებო ელიტა, რომელიც აერთიანებს პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ (ბიუროკრატიულ), ეკონომიკურ (საქმიან), სამხედრო ელიტას.

ცალკე უნდა განვიხილოთ იდეოლოგიური ელიტა. იგი შეიცავს პროფესიონალ იდეოლოგებს, რომლებიც აყალიბებენ ქვეყნის სახელმწიფო მსოფლიხედველობას, მის იდეურ ცხოველებას. იდეოლოგიური ელიტა აერთიანებს მასობრივი ინფორმაციის საშეაღებების საქმიანობის წარმმართველ პირებს, მეცნიერებს, შემოქმედებით ინტელიგენციას, სასულიერო პირებს (თეოკრატიულ და ისეთ ქვეყნებში, სადაც რელიგია პოლიტიკაში ერევა).

იდეოლოგიური ელიტის არსი გამოიხატება მისი დამუშავიდებლობით. იგი ხშირად პოლიტიკური ელიტის ოპოზიციაა, მაგრამ ვინაიდან თანამედროვე საზოგადოების ეფექტიანი მართვა შეუძლებელია მისი იდეური ცხოვრების მიზანმიმართული წარმართვის გარეშე, ამიტომ პოლიტიკურ ელიტას სასიცოცხლოდ ესაჭიროება იდეოლოგიური ელიტის მხარდაჭერა, რისთვისაც პოლიტიკური ელიტა ვალდებულია (იმულებულია) კომპრომისი ექცევის იდეოლოგიურ ელიტასთან.

ამავე დროს, მეტად სახიფათოა სახელმწიფოს მართვა იდეოლოგიური პოზიციებიდან, როგორც ეს მიღებულია ტოტალიტარული რეჟიმების მქონე ქვეყნებში, სადაც „უკელავერი აკრძალულია, რაც არაა ნებადართული (ან, უფრო მეტიც, ნაბრძანები)“. ასეთ შემთხვევაში იდეოლოგია გადაქცეულია რელიგიის თავისებურ სამოქალაქო ფორმად. ტოტალიტარული იდეოლოგია ამჟარებს თავის მონოპოლიას ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროზე და სხვაგვარად აზროვნების ნებისმიერ გამოვლენას მკაცრად სჯის.

დემოკრატიულ ქვეყნებში ნებადართულია ნებისმიერი იდეოლოგიის არსებობა, თუკი იგი მიზნად არ ისახავს საკონსტიტუციო წესის და არ არის ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული. ამ შემთხვევაში იდეოლოგია ვლინდება როგორც სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი პირობა, სახელმწიფოს საშინაო ფუნქციების წარმატებით შესრულების ხელშემწყობი ინსტრუმენტი. საქართველოს სახელმწიფოებრივი იდეოლოგია მოწოდებულია, იტვირთოს ქვეყნის კულტურულ-სახელმწიფოებრივი ფუნქცია და ისტორიული გამოცდილებისა და არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რეალობიდან გამომდინარე, პოლიტიკური პროცესების განვითარების პროგნოზის გათვალისწინებით, შეძლოს ქვეყნისათვის ისეთი ეკონომიკური და სოციალ-პოლიტიკური სისტემის შეთავაზება, რომელიც ასახავს, ძირითადად, ქვეყნის მთელი მოსახლეობის (ან მისი დიდი უმრავლესობის) პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სულიერ და ზეობრივ მოთხოვნებსა და უზრუნველყოფს მის შემდგომ მდგრად განვითარებას.

### სოლიდარული სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობის ნიშნები

ახალი ქართული სახელმწიფოს განვითარების დამამუხრუსებელი შინაგანი მიზეზების დაძლევის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ქმედითი საშუალება სწორედ საქართველოს

სოლიდარული სახელმწიფოებრივი იდეოლოგია გახდავთ, იდეოლოგია, რომელიც ჯერ კიდევ არ არის მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებული. საქართველოს სახელმწიფოებრივ იდეოლოგიად უნდა იქცეს ქვეყანაში ოდითგან არსებულ ფასეულობებზე დაფუძნებული მოძღვრება. მან უნდა შექმნას პოლიტიკის, ეთიკისა და მოქალაქეობრივი აღზრდის ბაზისი. ნათელია, რომ ქართული სახელმწიფოებრივი იდეოლოგია უნდა ითვალისწინებდეს დღევანდელი დღის რეალობებს, მაგრამ იგი უნდა განისაზღვროს არა მხოლოდ საყოველთაოდ გავრცელებული ზედაპირული მოთხოვნებით როგორც შეცნობილი ყოფიერება, არამედ, უმთავრესად, იმ უზენაესი, მისტიკური დანიშნულებით, რომელიც ერებსა და ქვეყნებს აქვთ განგების მიერ დაწესებული.

ქართული სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ჩამოყალიბების დროს უნდა ვისელმძღვანელოთ იმ გარემოებით, რომ იდეოლოგია წარმოადგენს იდეების სოციალურად მნიშვნელოვან და თეორიულად გაფორმებულ სისტემას, რომელშიც გამოხატულია არა მხოლოდ რომელიმე განსაზღვრული ფენების ინტერესები, როგორც ეს შესაძლოა დასაშენები იყოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან სახელმწიფოსთვისაც კი, არამედ საქართველოს მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის. სახელმწიფო იდეოლოგია ორიენტირებული უნდა იყოს ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობების დამყარებასა და განვითარებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკური ცნობიერების ჩამოყალიბებას. ასეთი პოლიტიკური ცნობიერების მატარებელი ნებისმიერი ეთნიკური, სოციალური თუ კონფესიური ჯგუფი სისხლხორცეულად, სრული შეგნებით და საგებით გაცნობიერებულად იქნება დაინტერესებული საერთო ქართული სახელმწიფოს მშენებლობით. ამ თვალსაზრისით, საქართველოს, როგორც მრავალეროვნული, მრავალონფესიური, მრავალგარი კულტურის მატარებელი ქვეყნის სოციალურ-ჯგუფური აზროვნების მასისტემატიზებელი, გამაერთიანებელი ფუნქცია ქართულმა სახელმწიფოებრივმა სოლიდარულმა იდეოლოგიაში უნდა შეასრულოს. სოლიდარული სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობა იმ იდეოლოგიურ ბაზისს წარმოადგენს, რომელსაც უნდა დაეყრდნოს სოლიდარული სახელმწიფო [7].

სოლიდარულ სახელმწიფოებრივ იდეოლოგიაში გათვალისწინებული უნდა იქნეს სამართლებრივი, სოლიდფარული სახელმწიფოს ნიშან-თვისებების უზრუნველყოფა. ეს ნიშან-თვისებებია:

- ხალხის სუვერენიტეტი – ხელისუფლების წყაროა ხალხი, ხოლო სახელმწიფო უფლებითი სუვერენიტეტი მხოლოდ წარმომადგენლობით ხასიათს ატარებს;
- კანონის უზენაესობა – კანონი ემყარება ქვეყნის კონსტიტუციას (ძირითად კანონს) და აქვს უმაღლესი პრიორიტეტი ნებისმიერ სხვა დადგენილებებსა და განარგებებთან შედარებით. კანონით განისაზღვრება სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონირება. კანონით განმტკიცებულია ადამიანის საყოველთაოდ დეკლარირებული უფლებები, იგი უნდა იყოს პუბლიკური და სამართლიანი, მისი გაუქმება ან შეჩერება შეუძლებელია საუცილებო-ნორმატიული აქტებით, ან მთავრობის გადაწყვეტილებებით. კანონის დარღვევის უფლება არავის აქვს, მათ შორის არც სახელმწიფოს, რომელმაც გამოსცა ეს კანონი.
- სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთვალდებულებებისა და მოვალეობების გაცნობიერება;
- ხელისუფლების დაყოფა მკაცრად განცალკევებულ და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ საპანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად ისე, რომ ხელისუფლება არ იყოს თავმოყრილი ერთი რომელიმე ორგანოს ხელში, რათა თითოეულ მათგანს შეეძლოს ხელისუფლების სხვა შტოს მოქმედების გაკონტროლება და შეზღუდვა;
- ურყევია პიროვნების თავისუფლება, მისი ღირსებისა და უფლებების დაცვა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (1948 წ.) შესაბამისად, არსებობს მოქალაქეთა უფლებების დაცვის კონტროლისა და ზედამხედველობის ეფექტური ფორმები;
- სახელმწიფო სისტემა სოციალურად ორიენტირებულია – გათვალისწინებულია მოსახლეობის სოციალური დაცვა, პირობების შექმნა მოქალაქეთა ღირსეული არსებობისთვის, მათი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად;
- სამართლებრივი სოლიდარული სახელმწიფოს ჩამოყალიბება და არსებობა შესაძლებელია მხოლოდ განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების საფუძველზე. სამოქალაქო საზოგადოება არის სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და ურთიერთობების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ცალკეული ინდივიდებისა და კოლექტივების თვითრეალიზაციას, მათი კერძო ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებას. დემოკრატიული

მმართველობის დროს სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება ურთიერთქმედებენ, როგორც თანასწორი პარტნიორები, საზოგადოებრივი ცხოვრების დამოუკიდებელი სუბიექტები.

ამრიგად, სახელმწიფო ამოცანების წარმატებით შესრულებას განაპირობებს ისეთი სოლიდარული სახელმწიფო იდეოლოგიის არსებობა, რომელიც მისაღები და გასაგები იქნება მთელი მოსახლეობისთვის (ან მისი მნიშვნელოვანი უმრავლესობისთვის). დემოკრატიული ტიას სახელმწიფოთა ზოგადი უპირატესობა ტოტალიტარულ რეჟიმებთან შედარებით მოსახლეობის ფართო ფქნებისა და ხელისუფლების უმაღლესი ეშველონების ინტერესებს შორის თანხვედრის მეტი შესაძლებლობით გამოიხატება, თანხვედრისა, როდესაც მოქალაქეებს შეგნებული აქვთ, რომ სახელმწიფო გადაწყვეტილებები მიმართულია მათ საკეთილდღეოდ და, ამდენად, სახელმწიფო ამოცანების შესრულებას აქვს არა იძულებითი, არამედ საქრთო მიზნის მისაღწევად ერთობლივ მოღვაწეობაზე კოლექტიური თანხმობის ხასიათი. ეს საერთო მიზანია იცხოვრო თავისუფალ, ძლიერ, ეკონომიკურად აუკავებულ ქვეყანაში, სადაც განუხერედად დაცულია როგორც ცალკეულ პიროვნებათა უფლებები, ისე ქვეყანაში მცხოვრები გველა ეთნიკური თუ კონფესიური ჯგუფების ინტერესები, მათი ტრადიციული დირებულებები.

როგორც თვით საზოგადოებაში, ისე საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის კოლექტიური თანხმობის მიღწევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა საერთო სახელმწიფო იდეოლოგიის არსებობა, რაც სრულებით არ გამორიცხავს სახელმწიფოში სხვა იდეოლოგიური შეხედულების არსებობას და არ გულისხმობს სხვა შეხედულების მქონე პირების ან პირთა ჯგუფის დევნას (თუ მათი საქმიანობა არ ეწინააღმდეგება არსებულ კანონმდებლობას). სახელმწიფო სოლიდარული იდეოლოგია სრულებითაც არ წარმოადგენს იძულების მექანიზმს, როგორც ეს გაგებულია არადემოკრატიული რეჟიმების მიერ, არამედ შინაგანი მოტივაციის საფუძველია (როგორც მთლინად სოციუმის, ისე ცალკეული ინდივიდუალისთვის).

სწორედ დიქტატორული რეჟიმის მქონე ქვეყნებში იდეოლოგიის ცნების არსებულმა ინტერესებაციამ წარმოშვა ამ ცნებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება საზოგადოების ცნობიერებაში, ვინაიდან იდეოლოგიური მოთხოვნებისა და ნორმების დარღვევა ან მათთან ამა თუ იმ ნიშნით

შეუსაბამობა, ავტომატურად იწვევდა იმ პირების რეპრესიებს, ვინც ბედავდა სახელმწიფო იდეოლოგიის მოთხოვნების დარღვევას. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ამ შერივ რასისტული იდეოლოგიის ქვენე ნაცისტური გერმანიისა და მარქსისტული იდეოლოგიის ქვენე ზოგიერთი კომუნისტური სახელმწიფოს გამოცდილება, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირისა მეორე მსოფლიო ომამდე, პოლ-პოტის რეჟიმისა კამპუჩიაში, თანამედროვე ჩრდილოეთ კორეის, ჩინეთისა კულტურული რევოლუციის პერიოდში, ერაყისა ბაასისტური პარტიის მმართველობის დროს. სხვა საკითხია მაკმადინურ სამყაროში გავრცელებული, რელიგიურ ფუნდამენტალიზმზე აგებული სახელმწიფოები (თალიბების ავლანეთი, საუდის არაბეთი, ნაწილობრივ ირანი), აგრეთვე ზოგიერთ არაბულ სახელმწიფოში არსებული ავტოკრატიული მმართველობა (სირია, ლიბია).

ამგვარად, დიქტატორული მმართველობის რეჟიმების იდეოლოგიური მრწამსის მრავალი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა ის, რომ ამ ქვეყნებში იდეოლოგიური ნორმების შეუსრულებლობა ან ეჭვი იმისა, რომ მავანი არ ეთანხმება მათ, იწვევს ადმინისტრაციულ ან, უფრო მეტიც, სისხლის სამართლებრივ დევნას, რასაც არაფერი საერთო არ უნდა ჰქონდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის გაგებასთან. საქართველოს სახელმწიფო იდეოლოგიას მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მრავალფეროვანი საზოგადოების გამაერთიანებელი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭება და იგი ქართული საზოგადოების პოლიტიკური შემეცნების შემწყნარებლური ბუნების დემონსტრირებას უნდა ახდენდეს.

### დასკვნა

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩენოს, რომ თავისუფალ, დემოკრატიულ სამყაროში აღარ არის საჭირო სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობის (თუნდაც სოლიდარულის) არსებობა, ვინაიდან დემოკრატიული სამყარო უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფალ და ჰარმონიულ განვითარებას მისი საკუთარი შეხედულების შესაბამისად. მაგრამ როგორ იქმნება და ფორმირდება ეს შეხედულებები? თუ თავისი ქვეყნისა და ერის ისტორიული მისიის გათვალისწინებით ამ შეხედულებათა ფორმირებაზე არ ზრუნავს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა, ტრადიციულ ეროვნულ და სარწმუნოებრივ დირექტულებებზე დაფუძნებული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებზე ორიენტირებული საზოგადოებრივი (არასამთავრობო) ორგანიზაციები, ოჯახი,

მაშინ ადამიანთა შეხედულებები ფორმირდება სტიქიურად, ძირითადად ყვითელი პრესისა და ტელევიზიის მიერ და ქვეწის მოსახლეობა შესაძლოა გადაიქცეს მხოლოდ ამქვექნიურ სიკეთეთა მომხმარებლად, რომელსაც სავარაუდოა, კარგად ეცოდინება საკუთარი პიროვნული უფლებები, ხოლო მოვალეობებს, როგორც პიროვნულს, ისე საზოგადოებრივს მთლიანობაში მიუდგება მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში. ამგარი ცნობიერებით ჩამოყალიბებულ საზოგადოებას სულიერი სიღატაპე და ზნეობრივი განადგურება ემუქრება.

ადამიანთა ურთიერთობის მხოლოდ კანონმდებლობით რეგლამენტირება შეუძლებელია და არც არის საჭირო. უფრო მეტიც, ასეთი რეგლამენტირების მცდელობა უკიდურესად მავნეა და ქვეწის მოსახლეობის რობოტიზებას იწვევს, როგორც ეს ხდება კიდეც დიქტატორული რეჟიმების ქვეწებში. მაგრამ ქვეწის პოლიტიკური შემცნების ფორმირების მინდობა მხოლოდ ღემოკრატიული უფლებების დეკლარირებისა და მოვალეობების კრებითი კანონმდებლობის ამარად, იმას ნიშნავს, რომ სრულიად დაუცველი რჩება ქვეწის მოსახლეობის ზნეობრივი და სულიერი სამყარო, გაუცონდიერებელი ადამიანის ადგილი ქვეანასა და მის ისტორიაში, საზოგადოდ - სამყაროში. ეჭვს ქვეშ დგება სულიერი და ტრადიციული ლირებულებების მოვლა-პატრიონობისა და განვითარების აუცილებლობა. ასეთ შემთხვევაში არსებობს იმის საშიშროება, რომ ქვეწისადმი მტრულად განწყობილი ძალები, აგრეთვე მხოლოდ პირადი კეთილდღეობით დაინტერესებული პირები იპოვან არსებულ კანონმდებლობაში დია ხვრელებს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება ქვეწისა და, საზოგადოდ, კაცობრიობისათვის უცხო და დამდუპველი წეს-ჩვეულებების პროპაგანდა, მოსახლეობის, ძირითადად ახალგაზრდობის ზომბირება, ნარკომანიის, გარეუნილების (სექსუალური აღზრდის თავისუფლების მოტივით), ძალადობის, თაობათა დაპირისპირების, ეთნიკური და რელიგიური შუღლის ქადაგება და ა. შ. (როგორც ეს ხდება ხოლმე კიდეც დღევანდელ საქართველოში).

ნებისმიერ ნორმალურ ქვეანაში და, მათ შორის, საქართველოშიც მოსახლეობის სულიერი და ზნეობრივი აღზრდა ყოველთვის ტარდება მეტ-ნაკლები ინტენსიურობითა და მასშტაბურობით, მაგრამ ჩვენში მას არა აქს სისტემატიზებული და ყოვლისმომცველი ხასიათი, არ არის გაცნობიერებული პოლიტიკური შემცნების დონეზე. როგორც შედეგი, საქართველოში არ არის გასიგრძებანებული, რომ

პიროვნების სულიერი და ზნებრივი სრულყოფილება არის არა მხოლოდ მოცემული ინდივიდის უფლება, არამედ მისი მოვალეობაც საკუთარი თავის, წინაპრების და მომავალი თაობების, ქვეყნისა და მთლიანად მსოფლიოს წინაშე და, რაც მთავარია, მის პიროვნებაში არსებული უკვდავი სულის წინაშე. ყურადღების მიღმა რჩება აგრეთვე ურთიერთობა საქართველოში არსებულ სხვადასხვა სოციალურ, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის, განსხვავებული კულტურული წარსელის, ტრადიციებისა და მენტალიტეტის მქონე ადამიანებს შორის, არ არის გაცნობიერებული, თუ რა არის ის საერთო, რომელიც წარმართავს ორგორც ჯგუფთა შორის, ისე თაობათა შორის ურთიერთობებს, სახელმწიფოსთან და ქვეანასთან დამოკიდებულებას.

საქართველოს სოლიდარული სახელმწიფოებრივი იდეოლოგია (მსოფლმხედველობა), რომელიც თავის მხრივ, საქართველოს ტრადიციული სულიერი საფუძვლებით იქნება განმტკიცებული, როგორც ნებისმიერ პარტიულ და ეთნიკურ დოქტრინაზე მაღალი და გამაერთიანებელი საერთო სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობა, შემდებს უზრუნველყოს XXI საუკუნეში თავისუფალი, დამოუკიდებელი, ერთიანი, ძლიერი და დემოკრატიული საქართველოს მსოფლიო თანამეგობრობაში პარმონიული თანაარსებობა და საკუთარი წვლილის შეტანა როგორც ეროვნული, ისე ზოგადსაკაცობრიო დირებულებების დამკიდრებაში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფრენსის ფუკუიამა - ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი, 1999.
2. S.P.Huntington. The Clash of Civilizations and the Remaking of World Order. 1996.
3. Oriana Fallacci. The Force of Reason (2005), Rage and Pride (2001)
4. „პირველად იყო სიტყვა“ საქართველოს საპატიოარქოსთან არსებული კრეაციული საზოგადოების შრომები. 2006.
5. მოჰამედ ჰათაში. ისლამი. ცივილიზაციათა დიალოგი და კაცობრიობის მომავალი. 2005
6. სააღდგომო ეპისტოლებ უწმიდესისა და უნეტარესისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს, 2005 წ.
7. გ.ბადათურია, ო.ბადათურია. საერთო ნიადაგის კონცეფცია – სოლიდარული სახელმწიფოებრივი მსოფლმხედველობა თანამედროვე საქართველოში.

8. მერაბ მამარდაშვილი. „ფილოსოფიის საფუძვლები“. ლექციების ციკლი. თბილისი, „მეცნიერება“, 1992.
9. საშობაო ეპისტოლე უწმიდესისა და უნეტარესისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს, 2006 წ.
10. არისტოტელე, პოლიტიკა.

### **Summary**

**Giorgi Bagaturia, Otar Bagaturia**  
**The Basis of the State Solidary Philosophy**

The essence and value of the state philosophy as a theoretical basis for modern state construction, the problems of forming Georgian state philosophy, the relations between the ruling elite and political ideology are considered in the article. The author believes that for safe existence and steady development of Georgia its state philosophy should be based on the national and universal political, economic and social postulates. The State Solidary Philosophy of Georgia is formulated in view of a modern objective reality and process of globalization.

### **Резюме**

**Георгий Багатурия, Отар Багатурия**  
**Основы государственного солидарного**  
**мировоззрения**

Рассмотрены суть и значение государственного мировоззрения (идеологии) как теоретического базиса для современного государственного строительства; проблемы формирования государственного мировоззрения Грузии; взаимозависимость идеологии и правящей элиты. Показано, что для безопасного существования и устойчивого развития Грузии государственное мировоззрение страны должно опираться на национальные и общечеловеческие политические, экономические и социальные постулаты. С учетом современной объективной реальности и процесса глобализации сформулированы признаки государственного солидарного мировоззрения Грузии.

**თემურ თოდუა**

**შოთა დოლონაძე**

**არისტოტელე სახელმწიფო მართვის შესახებ**

სახელმწიფო მართვა, როგორც მეცნიერება პოლიტიკური აზროვნების ფრიად მნიშვნელოვანი და ამავე დროს პერსექტიული მიმართულებაა. მან განვითარების როლი და საინტერესო გზა განვლო. მართალია არაფინ უწყის თუ როდის დაიწყო ადამიანმა ფიქრი მართვაზე, მაგრამ ერთი რამ უდავოა: სახელმწიფო მართვის საკითხის განზოგადებას პირველად ეგვიპტელების, ბაბილონელების, შუმერების, ინდოელებისა თუ ჩინელების მოძღვრებებში ვხვდებით. სახელმწიფო მართვის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებასა და მისი განვითარების საქმეში განსაკუთრებული წელილი ძელ ბერძნებს მიუძღვით [3, გვ.28-37]. მათ შორის გამორჩეული ადგილი ძვ.წ. IV ს-ის მოაზროვნესა და ენციკლოპედიისტს არისტოტელეს უკავია. სწორედ არისტოტელე იყო პირველი, რომელიც სახელმწიფო მართვას მეცნიერული პოზიციიდან განიხილავდა.

არისტოტელე წერდა: “რამდენადაც მეცნიერება სახელმწიფოს შესახებ მეცნიერებათა მონაცემებს იყენებს და გარდა ამისა, კანონმდებლობით განსაზღვრავს თუ რა ნაბიჯები გადაიდგას და რისგან თავი შეიკავოთ, მაშინ მის მიზანს შეადგენს სხვა მეცნიერებათა მიზნები” [1, I, გვ.32].

თანამედროვე სახელმწიფო მართვის მეცნიერება, რომელიც XX საუკუნის 80-იან წლებში პოლიტოლოგიისა და მენეჯმენტის თეორიების გადაკვეთაზე ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება [6, გვ.21], კვლევისას იყენებს ისეთ სოცილურ მეცნიერებათა მიღწევებს, როგორიცაა ფინანსონისტიკა და სოციოლოგია, პოლიტოლოგია, ეკონომიკა, იურისპრუდენცია და სხვა. მაგრამ ეს მეცნიერებანი სახელმწიფო მართვის მეცნიერების საგანს როდი წარმოადგენენ. თანამედროვე სახელმწიფო მართვის მეცნიერების საგანია სახელმწიფო ორგანიზაციის ზოგადი თეორიების შემუშავება, სახელმწიფო მოხელეთა საშტატო შემადგენლობის ოპრიმალური სტრუქტურის, პერსონალის მართვის, პოლიტიკური პროგნოზირების, გადაწყვეტილებების მიღების შემუშავებისა თუ კრიზისულ სიტუაციებში სახელმწიფო მართვის მეთოდების საკითხების შესწავლა.

სხენებული პრობლემები გარკვეულწილად არისტოტელეს პოლიტოლოგიურ თუ ფილოსოფიური ხასიათის თხზულებებშია მეტ-ნაკლებად გაშუქებული, მაგრამ ეს საკითხები

სკრუპულოზურად მაინც მის ფუნდამენტურ ნაშრომში – “პოლიტიკაშია” გაანალიზებული [1].

აღნიშნულ ნაშრომში ღრმად და ყოველმხრივ გაანალიზებულია სახელმწიფო მართვის ორგანიზაციის ასპექტები. ავტორი კრიტიკულ მსჯელობს დემოკრატიული და ავტორიტარული მართვის მოდელების შესახებ, რაც დღესაც პტეალურია სახელმწიფო მართვის ოეორიასა და პრაქტიკაში. არისტოტელეს მიხედვით, დემოკრატიული მართვა შემდეგი ნიშნებით ხასიათდება: “უკელა ხელმძღვანელ პირს ირჩევს უკელა, უკელა ხელმძღვანელებს თითოეულს, თითოეული კი უკელას, თუმცა უკელა რიგრიგობით. უკელა თანამდებობა არჩევითა. არ შეიძლება ერთი და იმავე პირის მიერ ერთი და იმავე თანამდებობის ორჯერ დაკავება. სასამართლოში მონაწილეობს უკელა მოქალაქე. სახალხო კრება არის უკელაზე მთავრი ხელმძღვანელი ორგანო. უკელა თანამდებობა ანაზღაურებადია. დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითად პრინციპს თავისუფლება წარმოადგენს” [1, II, გვ.51-52].

არისტოტელეს თანახმად, დემოკრატიული მართვის საწინააღმდეგო ფორმა ტირანია. ტირანული მართვის დროს მოქალაქენი ერთმანეთს არ ენდობიან, მოქმედების უნარი არ გააჩნიათ და სულმდაბალნი არიან. ტირანს – წერს არისტოტელე „არასოდეს არ უკვარს არც დირსეული და არც თავისუფალი ადამიანი, რადგან ამ თვისებების მქონედ ტირანი მხოლოდ თავის თავსა თვლის. ტირანები ცდილობენ, რომ ქვეშვრდომები სულმდაბალნი იყენენ, უნდობლობა ჩამოაგდონ მოქალაქეთა შორის. ტირანები სდევნიან პატიოსან ადამიანებს, როგორც მათი ხელისუფლების მტრებს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი არ ემორჩილებიან მათ დესპოტურ მმართველობას, არამედ იმიტომაც, რომ მათ ენდობიან, როგორც მისიანები, ისე სხვები, რადგან ისინი არ ასენენ არც თავისიანებს და არც სხვებს. ტირანები ცდილობენ მოახდინონ მოქალაქეთა პარალიზება, რადგან უუნაროს არაფერი არ შეუძლია. უკელაზერი ეს ახასიათებს და იცავს ძალაუფლებას ტირანისას, რომელსაც არავითარი ბოროტება არ აკლია” [1, II, გვ.43].

თანამედროვე დემოკრატიულ და ავტორიტარული მართვის სტილს არსებითი ცვლილებები არ განუცდია. დემოკრატიულია ისეთი მართვის სტილი, როდესაც პიროვნებისათვის მნიშვნელოვან მომენტად შრომა, მოგვაწეობა ითვლება. მას უნარი შესწევს თვითმართვისა, თვითკონტროლისა და პასუხისმგებლობას არ გაურბის. დაშვებულია დისკუსია, ლიდერისადმი ერთსულოვანი მხარდაჭერა აუცილებელი არ არის. ავტორიტარული მართვის დროს კი, პიროვნება შრომას და პასუხისმგებლობას გაურბის. იგი უნდა აიძულო, კონტროლი გაუწიო. ასეთი მართვის შემთხვევაში

პასუხისმგებლობა და კონტროლი ზედა ეშელონებშია თავმოყრილი [4, გვ.20-21].

არისტოტელე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მართვის იერარქიული სტრუქტურისა და ფუნქციების განაწილების პროცესებს. მისი აზრით, “თანამდებობის პირთა გარეშე სახელმწიფო ვერ იარსებებს, ხოლო წესრიგისა და განვითარების გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოს კარგად მართვა. პატარა სახელმწიფოებში ხელმძღვანელი თანამდებობების ნაკლები რაოდენობაა საჭირო, დიდ სახელმწიფოებში კი მეტი. არ უნდა გამოგვრჩეს მსედველობიდან საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი თანამდებობები უნდა გაერთიანდეს და რომელი დაიყოს” [1, II, გვ.61].

არისტოტელე საჯარო სამსახურის იერარქიულ სისტემაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბაზრის მოედნის მოწესრიგებას და მის ხელმძღვანელობას. “აუცილებლად ყურადღებას მოითხოვს ბაზრის მოედანი. საჭირო იქნება თანამდებობა, რომელიც უხელმძღვანელებს ვაჭრობას და წესრიგს დაამყარებს ბაზარზე. აგრეთვე ყურადღებას მიაქცევს ხელშეკრულებებსა და სახელმწიფოსავის აუცილებლად საჭირო საქონლის ყიდვა-გაყიდვას. ამის შემდეგ და ამასთან ახლოს მდგომი საკითხი, რომელიც არისტოტელეს აზრით, მოითხოვდა ყურადღებას იყო “ქალაქის საზოგადო და კერძო ნაგებობები. ისინი წესრიგში უნდა იყვნენ. ხოლო სახლები და გზები, რომლებიც ინგრევა აღდგენილი და გასწორებულ იქნან” [1, II, გვ.61-62].

საჯარო სამსახურის მეორე მნიშვნელოვან სფეროდ არისტოტელეს ქალაქისა და მისი პერიფერიის კონტროლი მიაჩნია. ამ სფეროს ხელმძღვანელობა ორ პირზე უნდა იყოს განაწილებული. არისტოტელეს სიტყვით, “ერთი მათგანი აწარმოებს სახელმწიფოს შემოსავლის კონტროლს და მის განაწილებას. მეორე თანამდებობის პირი აწარმოებს კერძო ხელშეკრულებებისა და სასამართლო განაჩენების ჩაწერას. მასვე ექვება წერილობითი საჩივრების მიღება და სასამართლოში წარდგენა” [1, II, გვ.62].

არისტოტელე მართვის იერარქიულ სტრუქტურაში რთულ და ძნელად შესაძლებელ კატეგორიათა რიცხვს მიაკუთვნებს სასამართლო გადაწყვეტილების სისრულეში მოვანას, გადასახადების აკრეფასა და პატიმრებზე თვალყურის დევნებას, რადგან მათი ხელმძღვანელობა დიდ სიძულევილს იწვევს. სწორედ ამიტომაცაა, რომ ამ თანამდებობებზე მსურველი ცოტაა. თუ ვინმე თანახმად, ის თავის ფუნქციებს არ ახორციელებს კანონების შესაბამისად. არისტოტელე აღნიშნული სფეროების ეფექტურად მართვისათვის გარკვეულ რეკომენდაციებს იძლევა: მისი რჩევით, თანამდებობა უნდა არსებობდეს არა ერთ, არამედ რამდენიმე

სასამართლოში, ასევე სასურველია, რომ გადასახადების ამკრეფის თანამდებობა გაიყოს რამდენიმე პირს შორის, აგრეთვე მისი განაწილება იმ პირთა შორის, რომლებიც სხვა თანამდებობებსაც ასრულებენ, ზოგჯერ იმათ შორის, რომლებიც იწყებენ თავისი მოვალეობის შესრულებას [1, II, გვ.63].

პენიტენციალურ სისტემაში კი არიტოტელეს თანახმად ხელმძღვანელად არ უნდა დააყენონ მხოლოდ ერთი კაცი, ან ერთი და ოგივე კარგი იქნებოდა ახალგაზრდების გამოყენებაც, რომლებმაც სრულწლოვანებას მიაღწიეს.

იურარქიული სტრუქტურის ქვედა რგოლში არისტოტელე სამხედრო სამსახურს ათავსებს, თუმცა მისივე განცხადებით, უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე საჯარო სამსახურის ზემო აღნიშნული სფეროები, რადგან ისინი დიდ გამოცდილებას და საიმედოობას მოითხოვენ. ავტორის მიხედვით, “სამხედრო სამსახურის მართვისათვის ზოგიერთ სახელმწიფოში ბევრი თანამდებობა არსებობს, ზოგან ნაკლები. ასე მაგალითად, პატარა სახელმწიფოში ამ თანამდებობაზე მხოლოდ ერთი პირი ინიშნება. თუ სახელმწიფოში არსებობს ცხენოსანი არმია, ქვეითნი, მოისარნი და მეზღვაურნი, თითოეული ამ განაყოფისათვის ინიშნება ცალკე ხელმძღვანელი და მათი ქვეგანაყოფების ხელმძღვანელები” [1, II, გვ.63].

არისტოტელე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, ასევე სახელმწიფოს შემოსავლების ანგარიშებას და მათ გაკონტროლებას. “საჭიროა არსებობელი თანამდებობა რომელიც მიიღებს ანგარიშს, გააკონტროლებს ამ თანხებს და სხვა მოვალეობა არ აკისრია” [1, II, გვ.64].

არისტოტელესეული სახელმწიფო მართვის სისტემასა და იერარქიული სტრუქტურის სქემაში წინა პლანზეა წამოწეული ეკონომიკური სფერო. მისი მართვის ორგანიზაცია და მეთოდები, რაც თანამედროვე ეპოქაშიც აქტუალურია. ეკონომიკური სფერო, რომელიც სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციათაგანია, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირებას ნიშნავს. ის სხვადასხვა მექანიზმით ხორციელდება. ტოტალიტარულ სახელმწიფოში ეკონომიკა გასახელმწიფოებრულია, ხოლო დემოკრატიულ ქვეყნებში საბაზრო პრინციპებია პრიორიტეტული. თანამედროვე პირობებში ამ უზრუნველყოფის არსი იმაში მდგრამარეობს, რომ გამოასწოროს საბაზრო სტიქიის სარვეზები. ეკონომიკის სფეროში სახელმწიფოს მართვა ესაა მრეწველობის, ხოვლის მეურნეობის, პროდუქციის ზრდის უზრუნველყოფა. ეკონომიკური მართვის პროცესი ეკონომიკური და ადმინისტრაციული მეთოდებით რეგულირდება [5, გვ.140].

არისტოტელესეულ სქემაში გამორჩეული ადგილი უკავია მართლმსაჯულებას, რომლის გარეშეც არისტოტელეს სიტყვით,

“საზოგადოებრივი ურთიერთობა შეუძლებელია.” თანამედროვე დამოკრატიულ სივრცეშიც სასამართლო, როგორც ხელისუფლების ერთ-ერთი შტო სახელმწიფო მართვაში აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან ერთად მონაწილეობს. სახელმწიფოს ყველა ორგანო ვალდებულია სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილებები შეასრულოს.

თანამედროვე სასამართლო ხელისულებას აქვს სპეციფიური აპარატი. ზოგიერთ ქვეყანაში ესაა თვითონ მოსამართლენი და მოსამართლეთა ტექნიკური პერსონალი. ზოგში კი ეწ. საგამომძიებლო მოსამართლენი, სასამართლო პროცერორები და კომენდანტები [5, გვ.236-242].


არისტოტელეს აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ამავე დროს საპასუხისმგებლო განშტოებებად მიაჩნია არმია, პოლიცია და სასჯელადსრულების სამსახური, რომლებიც დღესაც სახელმწიფო აპარატში ერთობ განსაკუთრებულ ფუნქციებს ასრულებენ. ისინი აღმასრულებელ ხელისუფლებასთან “მიკედლებული” სახელმწიფოს მატერიალური დანამატებია, მაგრამ აღმასრულებელ ხელისუფლებას მნიშვნელოვანწილად აძლიერებენ.

არისტოტელეს სახელმწიფო მართვის მთავარ ფუნქციად, როგორც ეს მისეული სქემიდან ჩანს, კონტროლი მიაჩნია. მართლაც, კონტროლის გარეშე მართვა ვერავითარ წარმატებას ვერ აღწევს. კონტროლი მიღებული გადაწყვეტილებების სწორად გარევებას გულისხმობს. კონტროლის ორი ძირითადი სახე არსებობს: შინაგანი და გარეგანი. შინაგანი კონტროლი მოცემულ მართვის ორგანოში შემოწმებას ითვალისწინებს. გარეგანი კონტროლი კი ზემდგომი ოუ სახელმწიფო კონტროლის სპეციალიზირებული ორგანოებისაგან, მოქალაქეებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებებისაგან ხორციელდება. მათ შორის არსებითია სახელმწიფო კონტროლი, სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა საქმიანობის შემოწმება ინსპექტირების ფორმით, სახელმწიფო კონტროლის გზით ხდება [5, გვ.248].

მთელ რიგ ქვეყნებში კონტროლს პროცერატურა, კონსტიტუციური სასამართლოები, სპეციალური ორგანოები, გენერალური კონტროლიორები, ომბუდსმენები ახორციელებენ. კონტროლის ორგანოები, როგორც წესი, მითითებებს არ იძლევიან. ისინი მხოლოდ ფაქტებს აფიქსირებენ და ობიექტის შემოწმების ანგარიშებს პარლამენტს ან მთავრობას წარმოუდგენენ.

აღსანიშნავია რომ არისტოტელესთან მართვის იერარქიული სტრუქტურა თითქმის არ არის გამიჯნული. თანამედროვე მართვის იერარქია კი თეორიულად და პრაქტიკულადაც დახვეწილი და მკვეთრად დეფინიცირებულია. თეორიულად ის დაქვემდებარების მაჩვენებელი სქემაა. იერარქიულ სტრუქტურას აქვს მიმართულება

ზემოდან ქვეყითკენ ე.ი. მართვა რეალიზდება სუბიექტისა და ობიექტის მართვის ურთიერთკავშირით. სუბიექტისაგან მოდის ბრძანებების ინფორმაცია, ობიექტისაგან უკუკავშირის ინფორმაცია. სქემაზე ის ასე გამოიყერება:



პირაპირი კავშირისა და უკუკავშირის პროცესი დამოკიდებულია სუბიექტისა და ობიექტის მართვის ხასიათზე. მაგალითად, არმიის მართვაში უმთავრესია ბრძანებების არხი, ხოლო უკუკავშირის პროცესი თითქმის არ არსებობს. საბაზო ეკონომიკის რეულირებისას კი პირიქით [4, გვ.19-20].

არისტოტელები ვრცლად მსჯელობს გადაწყვეტილების მიღების საკითხებზე, რომელიც სახელმწიფო მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოქმენება. არისტოტელებს მიხედვით. “სწორი გადაწყვეტილება იგივეა, რაც კარგი გადაწყვეტილება და მას სიკეთე მოაქვს... ზოგს გადაწყვეტილებისათვის დიდი დრო ჭირდება, ზოგს ნაკლები. სისწრაფე არ ნიშნავს გადაწყვეტილების სისწორეს. სწორია ის გადაწყვეტილება, რომელიც საჭიროა და როდესაც საჭიროა სწორი გადაწყვეტილება არის ზოგადი, მიმართული კონკრეტული მიზნისაკენ. მაგრამ არსებობს ისეთი ზოგადი, რომელიც ზოგადივე მიზნისაკენ არის მიმართული. კონკრეტული გადაწყვეტილება კი კონკრეტულ მიზანს ისახავს” [2, გვ.138].

ამ ვრცელი ამონარიდიდან ნათლად ჩანს თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არისტოტელები სწორი, მიზანმიმართული გადაწყვეტილების მიღებას. მაგრამ მას სამწუხაროდ თდნავი მინიშვნებაც კი არა აქვს გადაწყვეტილების მიღებისა და მისი შესრულების პროცედურებსა თუ მექანიზმებზე, რაც დღეს მეცნიერულად საკმაოდ შესწავლილი პრობლემაა. ჩვენს დროში გადაწყვეტილების მიღების პროცესი რამდენიმე ეტაპისა და სახეობისგან შედგება: გადაწყვეტილების მიღების პირველი ეტაპია

საკითხის, პრობლემის დასმა. მეორე ეტაპია ინფორმაციის შეგროვება და მისი დამუშავება. მესამე ეტაპი პროგნოზირებაა, რომელიც გულისხმობს წინასწარ განვივრებას, მართვის დადებითი და უარყოფითი შედეგების წინასწარ გარკვევას. მართვის ციკლის ბოლო, ფრიად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ეტაპია გადაწყვეტილების მიღება, რის შედეგადაც იწყება მიღებული გადაწყვეტილების დაყვანა აღსრულებამდე და შესრულების შემოწმებამდე.

გადაწყვეტილება შეიძლება ორი სახის იყოს: ცნობილი მზა ვარიანტებიდან ერთ-ერთი ვარიანტის ამორჩევა და ახალი, უცნობი ვარიანტი. ამათგან იოლია ვარიანტების გადარჩევის მეთოდი. ამ მეთოდის ძირითადი არსი ისაა, რომ განიხილება უველა შესაძლებელი გადაწყვეტილება. შემდეგ ხორციელდება გადაწყვეტილების იმ ვარიანტის არჩევა, რომელიც ოპტიმალურ შედეგს იძლევა.

გადაწყვეტილების მიღება შეიძლება იყოს კოლეგიალური ან ერთპიროვნული. მართვის გადაწყვეტილება სკრუპულოზურად უნდა იყოს მომზადებული. კონკრეტიზირებული უნდა იყოს მისი შესრულების შესაძლებლობა, შედეგი, პასუხისმგებლობა.

მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების ვადებთან დაკავშირებით, განასხვავებენ ოპერატიულ, ტაქტიკურ და სტრატეგიულ მართვის პროცესებს. ოპერატიული მართვის მიზანია კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტა. სტრატეგიული მართვა ქვეყნის ან ცალკეული სფეროს განვითარების ხანგრძლივი ორიენტაციის მიზნებსა და ამოცანებს განსაზღვრავს. ტაქტიკური მართვა სტრატეგიული ამოცანების რეალიზებისას კონკრეტულ მოქმედებებში ვლინდება. საიმედო ინფორმაციის ბაზაზე სტრატეგიული გეგმის შეჯრება მიღწეული შედეგის მაჩვენებელთან დროის გარკვეულ პერიოდში ხდება [4,გვ.24-26].

არისტოტელე ვრცლად მსჯელობს, ასევე სახელმწიფო მართვის მთავარი ფიგურების – ხელმძღვანელისა და მოხელეების ოვისებების შესახებ. მისი რეკომენდაციით, “ვისაც მაღალი თანამდებობის დაკავება სურს, მას უნდა პქონდეს სამი თვისება: 1. უნდა იყოს არსებული სახელმწიფო წეობილების მომხრე. 2. უნდა პქონდეს იმის უნარი, რომ შეასრულოს სახელმწიფო მართვის ურთულესი საქმეები 3. უნდა პქონდეს არსებული სახელმწიფოს შესაბამისი ზნეობა და სამართლიანობა...” ხელმძღვანელის საქმე სახელმწიფო მართვა და სასამართლო გადაწყვეტილებების გამოტანა. იმისათვის რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები სამართლიანი იყოს და ხელმძღვანელი თანამდებობები დირსეულებზე იყოს განაწილებული, აუცილებელია რომ მოქალაქენი იცნობდნენ ერთმანეთის თვისებებს [I, II, გვ.32].

თანამედროვე ტიპის სახელმწიფოს ხელმძღვანელის, სახელმწიფო მოხელეების წინაშე იგივე მოთხოვნები დგას. ზემოთადნიშნული თვისებების გარდა, მათ უნდა გააჩნდეთ კომპეტენტურობა, პროფესიონალიზმი, მენეჯერული ანალიზისა და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარები, დიპლომატიურობა, მომხილვების და სამუშაოს განხილვა.

საყურადღებოა ასევე არისტოტელეს “პოლიტიკის” ის ადგილები, სადაც განხილულია ემიგრანტთა როლისა და სახელმწიფო მართვაში მოსახლეობის საშუალო ფენის მონაწილეობის ასპექტები. “სტუმრობა უცხოელებისა, რომლებიც ადზრდილი არიან სულ სხვა კანონებზე, სახელმწიფოსათვის არა სასარგებლო და ეწინააღმდეგება სახელმწიფოს კარგად მართვის საქმეს” – წერს არისტოტელე [I, II, გვ.75]. მართლაც, პრაქტიკულად დადასტურდა, რომ ემიგრანტების მოზღვავება განსაკუთრებით კი მცირე სახელმწიფოსათვის დემოკრატიული ვითარების თვალსაზრისითაც წამგებიანია.

რაც შეეხება სახელმწიფოს მართვაში მოსახლეობის საშუალო ფენის ჩართვას არისტოტელეს განმარტებით, “სახელმწიფო, რომელიც უფრო საშუალო ფენას ემყარება, ვიდრე მდიდრებს დემოკრატიას უახლოვდება და ის უფრო მყარია” [I, II, გვ.14].

თანამედროვე დემოკრატიულ ქვეყნებშიც სახელმწიფო უპირატესად საშუალო ფენას ემყარება, ოუმცა სახელმწიფოს ამა თუ იმ პრინციპულ მიმართულებას, ზოგჯერ მსხვილი ბიზნესმენები განსაზღვრავნ.

ლირებულად გვეჩენება, ასევე არისტოტელეს მოსაზრება სახელმწიფო მართვაში და საერთოდ პოლიტიკაში ახალგაზრდების მონაწილეობა-არმონაწილეობის შესახებ, რაც დღესაც აქტუალურად ითვლება. არისტოტელეს დასკვნით, “ახალგაზრდები პოლიტიკოსებად ვერ გამოდგებიან, რადგან მათ გამოცდილება აკლიათ. პოლიტიკა ცოდნის პრაქტიკული დარგია. მას ნაკლები კავშირი აქვს თეორიასთან. ახალგაზრდა ცხოვრებისეულ საქმეებში გამოუცდელია. ოუმცა მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ მსმენელი წლოვანებით არის ახალგაზრდა, რადგან ადამიანის ნაკლი წლოვანებაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ განცდებით აღსავსე ცხოვრებაზე და წერილმანებით გატაცებაზე” [I, II, გვ.27]. არისტოტელე ნაშრომის სხვა ადგილას წერს: “ძალა აქვთ ახალგაზრდებს გონიერება კი მოხუცებს, ამიტომ მათ ამის შესაბამისად უნდა გაითაწილონ ძალაუფლება, რაც იქნება სამართლიანი და სასარგებლო” [I].

ვფიქრობთ, სახელმწიფო მართვაში ახალგაზრდებისა და ახალგანი პირების ერთობლივი მონაწილეობა მართვის ეფექტურობისა და მისი ოპტიმაციისათვის მიზანშეწონილია, აუცილებელი და უდავოდ მომგებიანია.

ამრიგად, არისტოტელე სახელმწიფო მართვის თეორიის ფუძემდებლად შეიძლება ჩაითვალოს. მართალია, არისტოტელეს შემდეგ სახელმწიფო მართვის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემებს არაერთი მონოგრაფია მიეძღვნა, [2] რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულებს სახელმწიფო მართვის აზროვნების განვითარებისა და სახელმწიფო მართვის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბებაში, მაგრამ არისტოტელეს მრავალი დებულება და კონცეფციები სახელმწიფო მართვის მეცნიერებაში სახელმძღვანელოდ დღესაც გამოღვება.

- 
1. ოდნავ განსხვავებული აზრია გატარებული ძველი ბერძენი ისტორიკოსისა და ფილოსოფოს-მორალისტის პლუტარქეს ტრაქტატში “ უნდა მონაწილეობნენ თუ არა მოხუცები სახელმწიფო მართვაში”. პლუტარქე ამ კითხვაზე დადებითად პასუხობს: “ პოლიტიკა სოლიდური ასაკის ხალხის საქმეა და არა პატივმოყვარე, ქარაჯშუტა ახალგაზრდებისა. სახელმწიფო მართვაში ხანდაზმულობის ასაკშიც კი უარი არ უნდა ითქვას სახელმწიფო მართვაში მონაწილეობაზე [3, გვ.34].
  2. დაწვრ. იხ. პ. ჰედი [7, გვ.1-53].

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. არისტოტელე. პოლიტიკა. თარგმანი ძველი ბერძნულიდან, შესავალი წერილი და შენიშვნები თამარ გუკავასი. ნაწილი I და II, თბ. 1995-1996
2. არისტოტელე. ნიკომაქეს ეთიკა. თარგმანი ძველი ბერძნულიდან, შესავალი წერილი და შენიშვნები თამარ გუკავასი. თბ. 2003
3. თოდება თ. სახელმწიფო მართვის აზროვნების ისტორიიდან. (“ კლასიკური” თეორიები.) – ხელისუფლება და საზოგადოება, №1, 2006
4. Пикулкин А. Система Государственного управления. М. 2001
5. Чиркин В. Государственное управление. М. 2002
6. Dimoch M. Philiosophy of administration. N. Y. 1975
7. Heady P. Public administration. N. Y. 1991

## Summary

### **Temur Todua, Shota Dogonadze Aristotle about the State Government**

Aristotle, the great Greek talented encyclopedist of the IV-th century B. C., was the first, who discussed the state government problems in the scientific context. The questions of state government are precisely analyzed in Aristotle's fundamental work – "Politics".

The aspects of organizing state government are analyzed in this monograph. The author discusses the models of democratic and authoritarian governing, which is nowadays actual in the theory and practice of state government too. Aristotle pays great attention to the problems of hierarchical structure of government and its functions. He also considers talks the question of making solution, which is one of the most important factors in state government. As the author thinks, the decision must be right and goal-directed.

Aristotle discusses the rights and responsibilities of the leaders and officials in detail. He recommended that these people must have three features: They must be supporters of the designated system; They must have the ability to govern; They must have definite code of values and a sense of justice.

Aristotle is the founder of the theory of the state government. His regulations are used in the science of state government at present time too.

## Резюме

### **Темур Тодуа, Шота Догонадзе Аристотель о государственном управлении**

Большой Греческий мыслитель и энциклопедист 4-го века п.т. Аристотель был первым, рассмотревшим проблемы государственного управления с научной точки зрения. Эти вопросы предельно скрупулезно проанализированы в его фундаментальном труде "Политика".

В данной монографии глубоко и всестороннее рассмотрены организационные аспекты государственного управления. Автор подробно рассуждает о демократической и авторитарной моделях управления, что и по сей день остается актуальным в практике госуправления. Аристотель особое внимание уделяет иерархической структуре и проблемам его функционирования. Аристотель основательно рассуждает о вопросах принятия решений, так как это

один из важнейших воросов государственного управления. По мнению автора "Политики" решение должно быть правильным и целенаправленным.

Аристотель детально рассматривает права и обязанности государственных служащих и руководителей. По его рекомендации эти руководители должны обладать тремя характерами : должны быть сторонниками существующего строя; обладать способностью руководить; иметь соответствующую мораль и справедливость.

Аристотеля можно считать основателем теории государственного управления. Многие его положения пригодны и для современной науки госуправления.

**პროფესორ შოთა დოდონაძის ინტერვიუ სამხრეთ კავკასიის  
ინტერნეტგამცემა  
“ახალი რეგიონი”-სათვის**

**Шота Догонадзе надеется, что хороший настрой Михаила Саакашвили будет принят в России**

15.01.2008

- "Начало отношений России и Грузии с чистого листа должно входить в интересы Российской Федерации, так как это придаст ей имидж демократической страны", - говорит эксперт Шота Догонадзе.

По его мнению, инициатива кандидата в президенты Михаила Саакашвили начать отношения с "чистого листа" - это ответ на протянутую дружественную руку президента РФ Владимира Путина, которую он когда-нибудь, да и протянет Грузии.


Как сообщил Шота Догонидзе, в том, что отношения между двумя странами в период президентствования Михаила Саакашвили крайне обострились, виноват не только Михаил Саакашвили, но и Владимир Путин.

По мнению эксперта у Михаила Саакашвили, помимо поддержки Соединенных Штатов, для того, чтобы заставить русского коллегу забыть "о старых обидах" есть настрой Грузии на добрососедские отношения с РФ.

Также Россия должна смириться с тем, что во внутренние дела Грузии никто не должен вмешиваться.

Эксперт надеется, что нынешний хороший настрой Михаила Саакашвили будет принят в России, так как "подобных примеров в истории Грузии и России не мало".

<http://www.nregion.com/txt.php?i=20106>



ჩვენი გაოქის მთავარ თავისებურებაა ელვისებური ცვლილებები ცხოვრების ყველა სფეროში, და ის, ვინც საკუთარი პრობლემების გადასაწყვეტად მოძველებული და არაადეკვატური წარმოდგენებით, მეორედებითა და თეორიებით, იხელმძღვანელებს თვითონვე შექმნის წანამძღვრებს საკუთარი დამარცხებისათვის.

ამიტომ, არსებული პრობლემების ანალიზისას, მიგვაჩნია, რომ პოლიტიკური მოვლენების კვლევისა და დასკვნების გაკეთების დროს აუცილებლად გათვალისწინებული იყოს სამი ძირითადი ასპექტი: სასურველი, ხშირად იდეალის სახით და იდეალის საფუძველზე პრობლემის გადაწყვეტა; შესაძლებელი, ანუ მისი გადაწყვეტის ალტერნატიული გარიანტი; რეალური, ანუ მოცემული საკითხების დამუშავებისა და რეალიზაციის ოპტიმალური ვარიანტი. ყოველივე ამის მეცნიერებულად გააზრებასა და განზოგადებაში კი დაგვეხმარება ისტორიულ-პოლიტიკური გამოცდილება და შედარებითი მეთოდი, რომლებიც, თავის მხრივ, საშუალებს მოგვცემს შევიმუშავოთ ქვეყნის შიდა პოლიტიკური მდგომარეობის ანალიზის მეთოდიკა. ჩვენი აზრით, იგი უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ პარამეტრებს:

- პოლიტიკური ურთიერთობების სუბიექტების განსაზღვრა;
- პოლიტიკის სუბიექტების ხარისხობრივი და რაოდენობრივი შემადგენლობის ანალიზი;
- პოლიტიკის სუბიექტების მიზნებისა და ამოცანების ანალიზი;
- საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში რეალური პროცესებისა და მოვლენების ანალიზი და მათი განვითარების

ტენდენციების გამოვლენა:

- ეკონომიკის მდგრმარეობის ანალიზი;
- ეროვნული და სოციალურ-კლასობრივი ურთიერთობების მდგრმარეობის ანალიზი;
- საზოგადოებრივი ცნობიერებისა და კულტურული ცხოვრების ანალიზი;
- ქვეყანაში კრიმინალური სიტუაციის ანალიზი;
- შიდა სამხედრო-პოლიტიკური მდგრმარეობის ანალიზი;
- პოლიტიკური ხელისუფლების ლეგიტიმურობის ანალიზი.
- ქვეყანაში პოლიტიკური მდგრმარეობის შეფასება;
- პოლიტიკური სიტუაციის განვითარების პროგნოზი. (2)

ჩვენი საკვლევი თემისათვის, ისტორიულ-პოლიტიკური გამოცდილების შედარებითმა ანალიზმა საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა, მეტად მნიშვნელოვანი მიგნება. მსოფლიოს ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ახალი ისტორიის პრეინდუსტრიულ გარდამავალ ეტაპს. ათასწლოვანი პაუზის შემდეგ ეპორპამ დაიბრუნა პოლიტიკური და ეკონომიკური ლიდერის სტატუსი. შესაბამის მდორე, შენელებული, ტრადიციული და გათვლადი განვითარება იცვლება კრიზისებისა და რევოლუციების, მზარდი არამდგრადობისა და მოუწესრიგებლობის, დაჩქარებული ისტორიული ტემპის ეპოქით: ერთმანეთს უპირისპირდებიან ძველი და ახალი ტრადიციები, სულიერი ცხოვრების ფორმები; სოციალური, ეროვნული და სახელმწიფო ეროვნული ინსტიტუტები; ფართოვდება ოკუმენეს საზღვრები, რამაც თავის მხრივ გააფართოვა ბაზრის საზღვრები და გზა გაუხსნა კაპიტალიზმს; ანტიკური ხანის შემდეგ პირველად მოხდა ადამიანის პიროვნული “მე”-ს აღორძინება, რამეთუ მას მიენიჭა თავისუფალი არჩევანის უფლება, არნახული გასაქანი მიეცა გონებრივ შემოქმედებას, რამაც თავის მხრივ კარდინალურად შეცვალა წარმოდგენები გარესამყაროზე და მისი შეცნობის შესაძლებლობებზე.

საფუძველი ჩაეყარა ადამიანის მოწოდებისა და როლის შესახებ წარმოდგენების ახალ სისტემას. წინამორბედი ტრადიციული ცოგილიზაციის ადამიანი დარწმუნებული იყო მისი გარემომცველი ბუნებისა და საზოგადოების სტაბილურობაში არსებული სიტუაცია მის მიერ აღიქმებოდა, როგორც სადმრთო კანონების შესაბამისად არსებული უცვლელი რამ. მისგან კარდინალურად განსხვავდება პრეინდუსტრიული ცივილიზაციის ადამიანის ცნობიერება.

ადამიანს მიაჩნდა, რომ საზოგადოება და ბუნება, არათუ შესაძლებელი, არამედ სასურველია რომ ქონტროლირდებოდეს, და მთ უმეტს იცვლებოდეს. შეიცვალა აგრეთვე დამოკიდებულება სახელმწიფო ხელისუფლებისადმი. ხალხის ოვალში მან დაპკარგა ღვთიური შარავანდედი. ხელისუფლებაზე უკავ მსჯელობები მისი მოქმედების შედეგების მიხედვით. ევროპის წამყვან ქვეყნებში – პოლანდიასა და ინგლისში – ფეხს იყიდებს და ონდათანობით ძალას იკრეფს სამოქალაქო საზოგადოება. (1)

სამოქალაქო საზოგადოება ეს არის საზოგადოებრივი ურთიერთობების, ფორმალური და არაფორმალური სტრუქტურების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის ცხოველმოქმედებას, პიროვნებისა და სოციალური ჯგუფების მრავალფეროვანი მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაკმაყოფილებასა და რეალიზაციას.

არსებობს სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირებისათვის საჭირო შემდგენ საფუძვლები:

- ეკონომიკური: მრავალდარგობრივი ეკონომიკა, საკუთრების სხვადასხვა ფორმები, რეგულირებადი საბაზრო ურთიერთობები;
- პოლიტიკური: სახელისუფლებო უფლებამოსილებების დეცენტრალიზაცია, სელისუფლების დანაწილება, პოლიტიკური პლურალიზმი, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმიანობაში ადამიანების მონაწილეობის დაშვება, კანონის უზენაესობა და მის წინაშე ყველას თანასწორობა;
- სულიერი: ერთი იდეოლოგიისა და მსოფლმხედველობის მონოპოლიის არ არსებობა, სინდისის თავისუფლება, ცივილიზებულობა, მაღალი სულიერება და ზნეობრიობა.

სამოქალაქო საზოგადოებას გააჩნია შემდგენ მირითადი დამახასიათებელი ნიშნები: საზოგადოებაში წარმოების საშუალებათა თავისუფალი მფლობელების არსებობა, დემოკრატიის განვითარება და განშტოებები, სამოქალაქო კულტურის გარკვეული დონე.

არსებობს სამოქალაქო საზოგადოებას ფუნქციონირების შემდეგი მირითადი პრინციპები: წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება, პიროვნების ინდივიდუალური თავისუფლება და დამოუკიდებლობა, სახალხო სუვერენიტეტი (ხალხის უფლებამოსილების უზენაესობა), სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმიანობაში ხალხის ჩახედულება, საზოგადოებრივი აზრის ფორმირების თავისუფლება,

კანონების სამართლიანობა და მათი შესრულების  
სავალდებულობა.

არსებობს სამოქალაქო საზოგადოების შემდეგი  
ისტორიული ტიპები: თემი, სოციალური წარმონაქმნები  
(წოდება, სოციალური ჯგუფი, კლასი), საზოგადოება, როგორც  
ქვეყნის მოქალაქეთა ერთობლიობა, მოქალაქეთა მსოფლიო  
თანამეგობრობა.

სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურაში შედიან:  
პოლიტიკური პარტიები და ლობისტური ორგანიზაციები  
(კომიტეტები, კომისიები, საბჭოები), რომლებიც იქმნებიან  
საკანონმდებლო და სამთავრობო ორგანიზაციები და მოძრაობები  
(ეკოლოგიური, ომის საწინააღმდეგო, სამართალდამცავი);  
მეწარმეთა კავშირები, მომხმარებელთა ასოციაციები,  
საქველმოქმედო ფონდები; სამეცნიერო და კულტურული  
ორგანიზაციები, სპორტული საზოგადოებები; მუნიციპალური  
კომუნები, ამორჩენებელთა ასოციაციები, პოლიტიკური კლუბები;  
დამოუკიდებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები;  
ეკლესია; ოჯახი.

სამოქალაქო საზოგადოებას გააჩნია არსებობის შემდეგი  
ფორმები: რეალური (კონკრეტულ-ისტორიული გარკვეულ  
ქვეყანაში), შეფარდებითი (არსებული მწარმოებლური ძალების  
ჩარჩოებში პოტენციალურად შესაძლებელი), აბსოლუტური  
(იდეალი, უმაღლესი მიზანი).

სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური  
ხელისუფლების ურთიერთკავშირის მექანიზმებში შედიან:  
ხელისუფლების დანაწილება, პოლიტიკური პლურალიზმი,  
დეებალური ოპოზიცია, დემოკრატიული კანონმდებლობა.

სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური  
ხელისუფლების ურთიერთგავლენისა და ურთიერთქმედების  
დაბალანსების პირობებში შედიან: ხელისუფლების  
დეებიმურობა, სამოქალაქო საზოგადოების ელემენტების  
(სტრუქტურების) სიმწიფე, ხელისუფლებისა და საზოგადოების  
კანონმორჩილება, სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვა  
პიროვნების განუყოფელი და ხელშეუხებელი უფლებების  
ერთობლიობით.

არსებობს სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური  
ხელისუფლების ურთიერთქმედების შემდეგი გარიანტები:  
დემოკრატიული რეემბების პირობებში მჭიდრო  
ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა, მუდმივი ოპოზიცია  
(აქტიური ან პასიური) ტოტალიტარული რეემბების პირობებში,  
ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიაზე გარდამავალ პერიოდში

სამოქალაქო საზოგადოების აქტიური დაპირისპირება პოლიტიკური ხელისუფლებისადმი.

ჩვენი აზრით, საქართველოს სახელმწიფო ეპიცონივი აღმშენებლობის საქმეში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ჩამოყალიბებასა და მის შემდგომ ინსტიტუციონალიზაციას. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის საჭიროა შემდეგი ძირითადი პირობები:

- წარმოების საშუალებათა კერძო (კოდექტიური ან ინდივიდუალური) მფლობელების ინსტიტუტის შექმნა; სამეცნიერო სუბიექტების თანასწორუფლებიანობის, ეკონომიკური კონკურენციის, აქტიურობისა და დამოუკიდებლობის განვითარება.
- ნებისმიერი სახის განუსაზღვრელი პოლიტიკური ხელისუფლების საფუძვლების დაგენერირების გადანაწილება და დეცენტრალიზაცია.
- ადამიანის ცნობიერების განთავისუფლება, პირადი დირსების გრძნობის, საკუთარი ძალისა და შესაძლებლობებისადმი რწმენის გამნტკიცება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში პასიურობის დაძლევა, პოლიტიკური პროცედურების დამოუკიდებლად დაყენებისა და გადაწყვეტის უნარისა და მზადყოფნის აქტივიზაცია.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ოთარ ქოჩორაძე. გეოპოლიტიკა. თბილისი. ESM-თბილისი. 2007
2. შებითიძე ვაჟა, ქოჩორაძე ოთარი. პოლიტოლოგია. თბ; 2001
3. Алмонд Г. и др. Сравнительная политология сегодня. М., 2002.
4. Симонов К. Политический анализ. М., 2002
5. Соловьев А. Политология. М., 2003
6. Чилкот Р. Теории сравнительной политологии. М., 2001.  
<http://philosophy.ru.ru>

## **Summary**

**Otar Kochoradze**

**Ivane Bejashvili**

### **State construction of Georgia: dynamics and prospects**

**(The comparative analysis)**

Comparative analysis of historical-political experience enables us to develop the methodology of analyzing national political situation occurring in the country. It comprises the following parameters: Determination of subjects in political relations, research of quality and amount of members/components of the subjects, analyzing targets and tasks of political subjects, analyzing and researching development trends in different fields of social life (research of economical situation, analysis of national and social-classic relations, national consciousness and cultural life, criminal conditions existing in the country, inner military-political analyis, analysis of legitimacy of the political government), evaluation of political situation in the country, predicting possible development of political situation.

## **Резюме**

**Отар Кочорадзе**

**Иване Бежашвили**

### **Государственное строительство Грузии: динамика и перспективы**

**(Сравнительный анализ)**

Сравнительный анализ историко-политического опыта дает нам возможность выработать методику анализа внутриполитической обстановки в стране. Она содержит следующие параметры: определение субъектов политических отношений, анализ качественного и количественного состава субъектов политики, анализ целей и задач субъектов политики, анализ реальных процессов и явлений в различных сферах общественной жизни и выявление тенденций их развития (анализ состояния экономики, анализ национальных и социально-классовых отношений, анализ общественного сознания и уровня культурной жизни, анализ криминальной ситуации в стране, анализ внутренней военно-политической ситуации, анализ легитимности политической власти), оценка политической ситуации в стране, прогноз развития политической ситуации.

ოთარ ქოჩორაძე  
ნიკოლოზ ბეჭაშვილი

პოლიტიკა და პოლიტიკური ინტერესი  
(შედარებითი ანალიზი)

მეცნიერულად გააზრებული პოლიტიკა ემსახურება ქვეყნის ძირითადი ფასეულობების: სახელმწიფოს სუვერენიტეტის, უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის, კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება-განვითარებას და უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას განვეუთვნება.

პოლიტიკური ცოდნა, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია არა თავისთავად როგორც პოლიტიკური ცოდნა, არამედ როგორც საშუალება პიროვნების გაცნობიერებული და აქტიური ჩართვისა საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში, რასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ადამიანისა და საზოგადოებისათვის.

მოწესრიგებული და კონცენტრირებული პოლიტიკური ცოდნა აუცილებელია სახელმწიფოს უფასებური მართვისათვის, რამეთუ პოლიტიკა ეს არის მეცნიერება მართვის შესახებ. პოლიტიკა ხომ ერთდღოულად მეცნიერებაცა და ხელოვნებაც და ეს ვლინდება ხელისუფლებაში, სახელმწიფოსა და საზოგადოების მართვაში. მაგრამ, ვიდრე ხელს მოკიდებდე ამ საქმეს, უნდა დაეუფლო მართვის ხელოვნებას, გქონდეს პროფესიონალური მომზადება. ხოლო იყო პროფესიონალი მართვის სფეროში ნიშავს: იცოდე და შესძლო გამოიყენო პოლიტიკური ცოდნის თეორიული და გამოყენებითი, აქსიოლოგიური და ინსტრუმენტალური კომპონენტები, გაცნობიერო მათი როლი და უუნქციები პოლიტიკური გადაწყვეტილებების მომზადებასა და დასაბუთებაში.

პოლიტიკის ჩვენებური გააზრების მიზანი მდგომარეობს შემდეგში: ჩამოვაყალიბოთ ერთიანი წარმოდგენა თანამედროვე პოლიტიკის ფენომენზე და მის დინამიკაზე, გავიაზროთ თანამედროვე პოლიტიკური განვითარების კანონზომიერებები, ფაქტორები, პრინციპები და განვითარებაზე გაცნობიერებული ზემოქმედების ძირითადი სტრატეგიები. ამ პრობლემის მეცნიერულად გააზრებაში ჩვენ დაგვეხმარება ისტორიული გამოცდილება, რადგანაც პოლიტიკის, როგორც

საზოგადოებრივი ცხოვრების ყოვლისმომცველი სფეროს, ძირითად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს მისი ისტორიულობა.

პოლიტიკური ცნობიერება წარმოუდგენელია ისტორიული გამოცდილების ფართო გამოყენების გარეშე. ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემაში ძალაუფლების მრავალი სტრუქტურა, ძალაუფლებრივ ურთიერთობათა დაწერილი და დაუწერებლი კანონები ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს ისტორიული გამოცდილების ბაზაზე, რაღაც ისტორიულ-პოლიტიკური გამოცდილება, შეადგენს რა პოლიტიკური ანალიზისა და გადაწყვეტილებების მიღებისათვის ემპირიულ საფუძველს, გულისხმობს საზოგადოებაში მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთობებს. პოლიტიკურ შემცნებასთან მიმართებაში კი წარსულის გამოცდილება პოლიტიკური შემცნების საფუძველს, კრიტერიუმსა და მიზანს წარმოადგენს. (2)

მოვიყენოთ პატარა, მაგრამ ყურადსალები მაგალითი მსოფლიო პოლიტიკური აზრის ისტორიიდან. დასავლეური ცივილიზაციის დერიტას წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოება, რომლის ფუნქციონირების ძირითად პრინციპებს: წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებას; პიროვნების ინდივიდუალური თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას; ადამიანის ცნობიერების განთავისუფლებას; პირადი ღირსების გრძნობის, საკუთარი ძალისა და შესაძლებლობებისადმი რწმენის გამნტკიცებას; სახალხო სუვერენიტეტს (ხალხის უფლებამოსილების უზენაესობას); სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმიანობაში ხალხის ჩახდულებას; საზოგადოებრივი აზრის ფორმირების თავისუფლებას; კანონების სამართლიანობასა და მათი შესრულების საგალდებულობას; ნებისმიერი სახის განუსაზღვრელი პოლიტიკური ხელისუფლების საფუძვლების ღია და საკუთრებული საფუძვლების გადანაწილებასა და დეცენტრალიზაციას საფუძვლი ჩაეყარა ჯერ კიდევ ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდიდან და სხვადასხვა ქვეყნების სკეციფიკიდან გამომდინარე ახალი შინაარსით ივსება.

აღნიშნულ პერიოდში განსაკუთრებული პრიორიტეტი მოიპოვა ეროვნული ინტერესის პრინციპმა (წამყვან ქვეყნებში წარმოიშვა მოსაზრება, რომ სახელმწიფოს მთავარი მიზანია ეროვნული კეთილდღეობა და უსაფრთხოება). ეროვნული ინტერესის კონცეციების ჩამოყალიბება ხდება რეალიზმისა და ძალის ბალანსის რაციონალურ კატეგორიებში. აღნიშნული ცვლილება დაკავშირებული იყო ევროპის წამყვანი სახელმწიფოების სოციალური სტრუქტურის ცვლილებასთან:

ხელისუფლების სათავეში მოსული ეროვნული ბურჟუაზია ცდილობს საკუთარ სამსახურში ჩაყენოს პოლიტიკა.

ამ კუთხით, ჩვენი ქვეყნისათვის, განსაკუთრებით ყურადსალებია ამერიკის „შეერთებული შტატების „მამა დამაარსებელთა“ თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპებზე აგებული პოლიტიკურ კონცეფციები. მათ მიაჩნდათ, რომ ხალხის ბუნებითი უფლება არის ტირანთა წინააღმდეგ აჯანყება და რომ ხელისუფლება ხალხმა უნდა შექმნას და ხალხი უნდა აკონტროლებდეს ხელისუფლებას.

ამ ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით შემუშავდა „ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაცია“, რომლის ძირითადი დებულებანი – ყველა ადამიანს ბუნებით აქვს მინიჭებული სიცოცხლის, თავისუფლების, საკუთრების, ბედნიერების, უსაფრთხოების უფლება; ხალხი ხელისუფლების წაროა და მას ეკუთვნის სუვერენიტეტი; ხელისუფლება ხალხის მოსამსახურეა; ყოველი სახელმწიფო უფლებები ხელისუფლება ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა მოქმედებდეს, ხოლო თუ ისინი უგულებელყოფებ ამ ინტერესებს, ხალხი უფლებამოსილია დამახსო მიუღებელი ხელისუფლება. ეს პრინციპები განსაკუთრებულ ყდერადობას იძენენ გარდამავალი სტადიის ქრონე ქვეყნებისათვის. (4)

შედარებითი ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაცია საშუალებას მოგვცემს ჩამოგაყლიბოთ ერთიანი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ სხვადასხვა ინსტიტუციონალურ, ისტორიულ და გეოგრაფიულ პირობებში ადამიანები როგორ რეაგირებდნენ თანამედროვეობის ძირითად გამოწვევაზე – განვითარების განუსაზღვრელობასა და რისკებზე. დაგნახოთ ჩვენ თანამემამულებებს, თუ როგორ ქმნიდნენ პოლიტიკოსები და მოქალაქეები ინსტიტუტებსა და პოლიტიკას (მიწნის მიღწევის პროცესებს), რომლებიც საშუალებას იძლეოდნენ ამა თუ იმ ზომით ზემოქმედება მოეხდინათ ან სულაც შეგნებულად ეპონტროლებინათ განვითარების პროცესები.

პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების კანონზომიერების ასენა, პოლიტიკური ცხოვრების შინაგანი ტენდენციების და კანონების გამოვლენა და შეცნობა საშუალებას მოგვცემს შევიმუშავოთ სახელისუფლებო სტრუქტურებისათვის მეცნიერებლად დასაბუთებული ის რეკომენდაციები, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს პოლიტიკური პროცესების მართვის ოპტიმალური მეთოდების განსაზღვრა, პროგრესული რეფორმების გატარება, სოციალური და ეთნიკური კონფლიქტების დარეგულირება. ეს კი თავის მხრივ საშუალებას მოგვცემს შევიმუშავოთ და

დავამკვიდროთ ეროვნული ტრადიციების, ცხოვრების წესის, ისტორიისა და ქულტურის შესაბამისი ღირებულებისა და იდეალების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ამაღლებას და შექმნის დემოკრატიული საზოგადოების სულიერ წანამდღვრებს.

პოლიტიკის ძირითად კატეგორიას მიეკუთვნება ინტერესის ცნება. ინტერესები შეიძლება იყოს: კლასობრივი, ეროვნული, სახელმწიფოებრივი. ერი-სახელმწიფოს არსებობის პირობებში ხდება ამ ინტერესების თანხვედრა.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ სახელმწიფოებრივ ინტერესებზე მაშინ ბევრი პრობლება ავტომატურად იხსნება, რამეთუ უმთავრესი სახელმწიფოებრივი ინტერესები ჩამოყალიბებულია საერთაშორისო დოკუმენტებში: გაერო-ს წესდებაში, პელსინკის თათბირის დასკვნით აქტში და სხვა. საერთაშორისო სამართლის მსგავს წყაროებში დაფიქსირებულია ქვეყნის, ან ქვეყანათა ჯგუფის, პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მათი ფიზიკური გადარჩენის პირობები, საზღვრების ხელშეუხებლობა, საშინაო საქმეებში გარეშე ძალების ჩარევის დაუშვებლობა და სხვა.

ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესების სახით შეიძლება გამოდიოდეს სანედლეულო ბაზის გაზრდა, და მის საფუძველზე ქვეყნის ეკონომიკური, სამხედრო, საფინანსო, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა სიმძლავრეების გაზრდა; მისი პოლიტიკური გადაწყის გაზრდა, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა; საზოგადოების კულტურული, ზნეობრივი, ინტელექტუალური პროგრესი.

სახელმწიფოებრივი ინტერესების შინაარსის ფორმირებას ახდენენ ქვეყნის გეოგრაფიული მდგრადრეობის სპეციფიკა, შიდაპოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია, ეროვნულ-კულტურული და ცივილიზაციური თავისებურებები, მსოფლიო თანამეგობრობაში ქვეყნის ავტორიტეტის დონე. ამასთან ერთად განსაკუთრებულ როლს თამაშობენ გეოგრაფიული, ბუნებრივ-სანედლეულო და ეკონომიკური ფაქტორები.

პოლიტიკური ინტერესების მთელი კომპლექსი განხილული უნდა იყოს დინამიკაში. ამათგან კველაზე დიდი ხევდრითი წონა აქვთ საერთაშორისო სამართლის ხორმებით დამკიცებულ ინტერესებს. სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის ის ინერესები, რომლებიც არ არღვევენ სხვა სახელმწიფოების ინტერესებს. “სახელმწიფოებრივი ინტერესის” შინაარსი ობიექტურია, მაგრამ მის ინტერპრიტებას ახდენენ სუბიექტები – პეტერი სახელმწიფოები საკუთარი ინტერესების შესაბამისად. ამ სახელმწიფოებში ძალის მთავარ ცენტრებს

წარმოადგენენ მძღავრი ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომელთა ძირითადი სამიზნებია ბუნებრივი რესურსები და მათ პროდუქციის გასაღების ბაზრები. გავიხსენოთ პანს მორგენტაუს პოლიტიკური რეალიზმის შემდეგი საბაზო პრინციპები:

- საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში პოლიტიკური მოდგაწეობის ფარდობითი ხასიათი;
- ნებისმიერი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს ეროვნული ინტერესები (მალის კატეგორიით განსაზღვრული ინტერესის კონცეფცია);
- ეროვნული ინტერესების დინამიური გაგება (მათი დამოკიდებულება ისტორიულ პერიოდზე, პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტზე);
- საერთაშორისო ურთიერთობების განსაზღვრება, როგორც ბრძოლისა ძალაუფლებისათვის და გაცლენისათვის საერთაშორისო არენაზე.(3)

განხილულ კატეგორიასთან მჭიდრო კავშირში იმყოფება პოლიტიკის საბაზო ცნება – სახელმწიფოუცხვი ინტერესების რეალიზაციის მქანიზმი. ამ საკითხის განხილვისას დაქანის კანონზომიერი კითხვა: პოლიტიკის, ზნებისა და სამართლის რა პრინციპები და ნორმები უნდა იყოს პრიორიტეტული ამ ინტერესების დაცვის პრიცესში? მრავალსაუკუნოვანი ისტორიული გამოცდილება და პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პირველ ადგილზე დგანან პრაგმატიული ინტერესები, რომლებიც მიიღწევა ყოველგვარი მორალური ნორმებისა და პრინციპების გათვალისწინების გარეშე.

განსხვავება მხოლოდ ერთ რამეშია: ერთნი, პოლიტიკურად ძლიერი სახელმწიფოები ან სახელმწიფოთა ჯგუფები ცდილობენ ერთბაშად ჩაიგდონ ხელში ყველაფერი, ხოლო მეორენი კი – ნაწილ-ნაწილ და ეტაპობრივად. ერთნი იყენებენ აქტიურ ექსპანსიას, მეორენი – მცოცავ ექსპანსიას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ოთარ ქოჩორაძე. გეოპოლიტიკა. ESM-თბილისი, 2007.
2. ვაჟა შებიოთიძე, ოთარ ქოჩორაძე. პოლიტოლოგია. თბილისი, 2001
3. Morgenthau Hans J. Politics Among Nations. The Struggle for Power and Peace. Second Edition, Alfred A. Knopf: New York, 1955.

4. Антология мировой политической мысли. М., 1997.

### **Summary**

**Otar Kochoradze**

**Nikoloz Bejashvili**

#### **Politics and national interest**

**(The comparative analysis)**

Scientifically intelligent politics serves to essential values of the country: state sovereignty, national safety, integrity, preservation and strengthening of cultural originality. This type of politics serves to the supreme bodies of state management. Essence of our approach to judgement of politics is the following: to develop uniform of a phenomenon in modern politics and its dynamics; to comprehend laws, factors and principles of political development. For scientific judgement of this problem we will be supported by historical experience, as the basic characteristic feature of politics is its history. The basic category of politics is the political interest – main reason, one of primary factors both stimulus of activity and behaviour of the subjects of politics. It is important to be able to distinguish original interests of the subjects of politics behind any political actions.

### **Резюме**

**Отар Кочорадзе**

**Николай Бежашвили**

#### **Политика и политический интерес**

**(Сравнительный анализ)**

Научно осмысленная политика служит основным ценностям страны: государственный суверенитет, национальная безопасность, территориальная целостность, сохранение и усиление культурной самобытности и относится высшим органам государственного управления. Суть нашего подхода к осмыслению политики в следующем: выработать единое виденье феномена современной политики и ее динамики; осмыслить закономерности, факторы и принципы современного политического развития. Для научного осмысления этой проблемы нам поможет исторический опыт, так как основной характерной чертой политики является ее историчность. Основной категорией политики является политический интерес – первопричина, один из главных факторов и стимулов деятельности и поведения субъектов политики. Весьма важно за любыми политическими действиями уметь распознавать подлинные интересы субъектов политики.

**გენალი იაშვილი  
სტრატეგიული მენეჯმენტის კონცეფცია მცირე  
წარმოებებში**

როგორც ცნობილია სტრატეგიული მენეჯმენტის პრობლემებს მსხვილ და დიდ წარმოებებში მიძღვნილი აქტე მრავალი ნაშრომი, რაც არ შეიძლება ითქვას სტრატეგიული მენეჯმენტის გამოყენების საკითხებზე მცირე და საშუალო წარმოებებში. მოცემულ სტატიაში განხილულია სტრატეგიული მენეჯმენტის კონცეფცია და მცირე წარმოებები.

1990-იან წლებში მცირე ბიზნესი გახდა ამერიკის, დიდი ბრიტანეთის და სხვა ქვეყნების ეკონომიკის ძირითადი საყრდენი.(1,2). ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, მსხვილი კორპორაციებიდან თანამშრომლების მასობრივი დათხოვნა, რომელთა უმრავლესობამ მოგვიანებით სამუშაო იპოვეს მცირე წარმოებებში. მეორე მიზეზი გახდა სულ უფრო ზრდადი ტენდენცია აუგსორსინგთან, რომელიც დამასასიათებელია მსხვილი კომპანიებისთვის. ეს კომპანიები ძალიან სშირად თავისი ფუნქციების ნაწილს გადაუნაწილებენ გაცილებით მცირე მოიჯარე თრგანიზაციებს. ამ პროცესის განვითარებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი თანამედროვე ინტერნეტ-ტექნოლოგიებმა. მესამე მიზეზი მდგრამარეობს იმაში, რომ 90-იანი წლების დასაწყისის ამერიკის და ინგლისის შედარებითმა სტაბილურმა ეკონომიკამ სტიმული მისცა მეწარმეობის განვითარებას. მეოთხე მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ის, რომ მთელ მსოფლიოში ახალი ეკონომიკური სუბიექტების წარმოქმნამ დააჩქარა გლობალური განვითარება, რამაც თავის მხრივ გამოიწვია მეწარმეობის შემდგომი განვითარება, ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებში. ასე რომ წინასწარი პროგნოზით (3) მცირე ბიზნესი შემდგომ ათწლეულში გააგრძელებს ძირითადი როლის თამაშს ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში და ასევე მხარს დაუჭერს ეკონომიკის ზრდას. ამიტომ მცირე ბიზნესის სტრატეგიული ზრდის პრობლემა გახდა მთელი რიგი კვლევების საგანი (4,5). მაგალითად, შრომის ბაზრის სტატისტიკის მიხედვით მცირე წარმოებების წილი დიდ ბრიტანეთში შეადგენს 84%.

ამავე 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში, მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა, საქართველოში,

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვის გარდა, ეკონომიკის ნგრევა, თითქმის ყველა დიდი საწარმოს დახურვა გამოიწვია. მხოლოდ ბოლო წლებში, საქართველოში უცხოური ინვესტიციების დახმარებით ამჟავდა რამოდენიმე დიდი წარმოება და შეიქმნა მრავალი მცირე საწარმო. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის გაონომიკისთვის მცირე და საშუალო წარმოებების მნიშვნელობა დამოკიდებულია მათ უნარზე ეფექტურად შესარულოს თავისი როლი. ეკონომიკური სტრატეგია, რომელიც მოწოდებულია მხარი დაუჭიროს ამ წარმოებებს, მიმართულია ფაქტორებზე, რომლებიც სტიმულირებას უკეთებს ან აფერხებს მათ ზრდას. კომპანიების სტრატეგია, რომელიც მიმართულია მცირე და საშუალო წარმოებების ზრდისგან დაფუძნებული უნდა იყოს ტექნოლოგიურ ან კომერციულ ინვაციებზე, ან ფოკუსირებულ (ნიშურ) სტრატეგიაზე, რომელსაც საფუძვლად უდევს პროდუქტების დიფერენციაცია ან მომსახურებათა ერთობლიობა.(6)

შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად მცირე წარმოებები ასრულებს ეკონომიკის მთავარი საყრდენისა და მისი ხერხებლის როლს. ისინი ხშირად არიან ინვაციურნი და სტიმულირებას უკეთებენ სტრატეგიული მენეჯმენტის გამოყენებას. შესაბამისად, მცირე ბიზნესის ობიექტების მოქმედების ეფექტურობის გასაზრდელად საჭიროა დირსეულად იქნეს შეფასებული სტრატეგიული მენეჯმენტის სარგებლიანობა, რომელიც ხასიათდება ორი ძირითადი პრინციპით: სტრატეგიის ფორმირებით და მისი გამოყენებით. საბოლოო ჯამში სტრატეგიის ფორმირებისადმი მიღვიმა განსაზღვრავს მენეჯმენტის შესაძლო სტილს.

მხოლოდ ამის შემდეგ, როცა კომპანია განსაზღვრავს, როგორ აპირებს სტრატეგიის ფორმირებას, შეიძლება ეფექტურად გაყვეთ სტრატეგიული მენეჯმენტის მიერ არჩეულ გზას.

სტრატეგიული მენეჯმენტის განმარტებით, ესაა მართვის პროცესები და გადაწყვეტილებები, რომლებიც განსაზღვრავს ორგანიზაციის მოღვაწეობის ხასიათსა და სტრუქტურას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ამ განმარტებაში შედის ხეთი ძირითადი ცნება: მართვის პროცესი, მართვის გადაწყვეტილებები, მასშტაბი, ორგანიზაციის სტრუქტურა და მისი საქმიანობა.

სტრატეგიული მენეჯმენტის ჩარჩოებში განასხვავებენ ამოცანის დასმას (ეხება მიზნებს) და სტრატეგიას (ეხება სახსრებს). ისინი განსაზღვრავენ ამ პროცესს როგორც სისტემურ მიღვიმას: სტრატეგიულ ცვლილებებს მართვისადმი,

რომელიც შეიცავს: 1) კომპანიის პოზიციის შერჩევას მისი შესაძლებლობის და სტრატეგიის დაგეგმვით. 2) სტრატეგიულ რეაგირებას რეალური დროის რეჟიმში, პრობლემების მართვის საშუალებით. 3) წინააღმდეგობების სისტემატურ კონტროლს და მათ გადალახვას სტრატეგიის რეალიზაციის პროცესში. ეს განსაზღვრა ასახავს ადაპტურ მიღომას სტრატეგიული მენეჯმენტისადმი.

თოვლება, რომ სტრატეგიული მენეჯმენტის არსი მდგრმარეობს ორგანიზაციის ფუნდამენტალური მიზნების დასმაში, ამოცანების შერჩევაში, რომლებიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ამ მიზნების განხორციელებას და ამ ორი ფუნქციის მუდმივ შესრულებას(7). სტრატეგიული მენეჯმენტი ესაა ფუნქციონალური გადაწყვეტილებების დამუშავების, რეალიზაციის, შეფასების ხელოვნება და მეცნიერება, რომელიც საშუალებას აძლევს ორგანიზაციას დაისახოს და განახორციელოს თავისი მიზნები. ეს განსაზღვრა გულისხმობს, რომ სტრატეგიული მენეჯმენტი ორგანიზაციის წარმატებების მიზნით, ძირითად ურადვებას ამახვილებს, მართვის შესაძლებლობებისა და ისეთი მეთოდების ინტეგრირებაზე, როგორიცაა მარკეტინგი, ფინანსური აღრიცხვის, ადამიანური რესურსების, წარმოების მენეჯმენტის, მართვაზე. ასე რომ, სტრატეგიული მენეჯმენტი წარმოადგენს მართვის გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავს კორპრაციის ხანგრძლივ ფუნქციონირებას.

ორგანიზაციების ჩარჩოებში განასხვავებენ სტრატეგიის განხორციელების სხვადასხვა მოდელს. მთლიანობაში ეს მოდელები გამოყოფენ სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესის ერთი და იგივე სტადიებს. იწყება ეს სტადიები გარემო სფეროს ანალიზიდან, შემდეგ სტადიაზე ხდება სტრატეგიის დამუშავება და მისი რეალიზაცია. როგორც წესი ეს პროცესი მთავრდება მოცემული სტრატეგიის რეალიზაციის შეფასებით (ნახ.1)

ანალიზი	დამუშავება	რეალიზაცია	კორექტირება/შეფასება
---------	------------	------------	----------------------



ნახ. 1 სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესი

როგორც წესი სტრატეგიული მენეჯმენტი იწყება კომპანიის ღირებულებებისა და ნაკლოვნებების დაწვრილებითი ანალიზით, ასევე გარემო შესაძლებლობების და საფრთხეების გათვალისწინების ეჭ. SWOT-ანალიზით (ღირებულება, ნაკლოვანებები, შესაძლებლობანი, საფრთხეები).

SWOT-ანალიზის დროს მიღებული ინფორმაცია გამოიყენება სტრატეგიის დამუშავებისას, მიმართული კომპანიის მისის შესასრულებლად. სტრატეგია ისე უნდა დამუშავდეს, რომ კომპანიის შესაძლებლობები გამოვლენილი მისი მოღვაწეობის გარემომცველ გარემოში, გაჯერებული უნდა იყოს კომპანიის შიდა ღირებულებებით. შიდა დადებითი ღირებულებების და გარე შესაძლებლობების ბალანსი თითოეული კომპანიისათვის იქნება საკუთარი. კომპანიის მაქსიმალური კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად საჭიროა, კომპანიამ შემოქმედების ის სახეები გამოიჩინოს, რომელსაც იგი ყველაზე უკეთესად ასრულებს და ასევე მოიძიოს გზები თავისი მაქსიმალური შედეგების მისაღებად.

ეფექტური სტრატეგიის დამუშავება დაფუძნებულია კომპანიის იმ განმასხვავებელ, უნიკალურ ღირებულებების აღმოჩენაზე, რომელიც არ გააჩნია სხვა კომპანიას. შემდგენი ნაბიჯი ამ პროცესის არის სტრატეგიის რეალიზაცია. ამაში შედის კომპანიის მიერ ამოცანების დასმა, იმ თანამშრომლების მოზიდვით, რომლებიც ეფექტურად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და მათი შეფასება-დაჯილდოება. მესამე და საბოლოო ელემენტი ესაა გარემო, რომელშიც მოღვაწეობენ კომპანიები და რომლებიც დროთა განმავლობაში იცვლება. გარემო სფეროს ცვლილების გარდა, შეიძლება შეიცვალოს კომპანიის მოქმედების ეფექტურობა. ის შეიძლება დაეშვას სასურველი დონის ქვევით. თითოეულ ამ შემთხვევაში კომპანიამ უნდა გადახედოს თავის მიღიომას და საჭირო კორექტირება შეიტანოს სტრატეგიაში, რათა დაუბრუნდეს ეფექტურობის უფრო მაღალ დონეს.

საჭირო გათვალისწინებულ იქნას გარემოს ცვლილების პოტენციალური მონიტორინგის მქანიზმები და ამ ცვლილებათა შესახებ ჩაყენებული იქნან საქმის კურსში მენეჯერები, რათა მოხდეს სტრატეგიის, ამოცანების, მისის, კორექტირება ან მოდიფიკაცია.

როგორც გვიჩვენა, სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესის ანალიზმა, სტრატეგიის დამუშავების ჩარჩოებში ძირითადი ყურადღება ექცევა:

1) კომპანიის მისიას, ბიზნესის ამოცანებს და მათ თანაფარდობას გარემომცველ საქმიან სფეროსთან, რომელშიც იმაღება კომპანიის საშიშროებანი და შესაძლებლობანი. 2)

სტრატეგიის რეალიზაციის სტადიების ჩარჩოებში ძირითადი ყურადღება კეთდება ხელმძღვანელობაზე, ორგანიზაციის სტრუქტურაზე, საორგანიზაციო კულტურაზე და მათ ურთიერთკავშირზე უცნებიონალურ პოლიტიკასა და რესურსების განაწილებასთან. ბოლო სტადიაზე ხდება სტრატეგიის შეფასება. აქ პირველ ადგილზე გამოიდის კონტროლი კომპანიის საქმიანობაზე, მისი ეფექტურობის შეფასების მეთოდების გამოყენებაზე, რაც საშუალებას იძლევა მივაღწიოთ პოზიტიურ უკუკავშირს, პერსონალის მოტივაციას, პოლიტიკის და ოპერაციული პროცედურების სრულყოფას ძირითადი სტრატეგიის ფარგლებში.

განვიხილოთ სტრატეგიული მენეჯმენტის უპირატესობა მცირე და საშუალო წარმოებებში. მცირე და საშუალო წარმოებების კონკურენციის დინამიკის ზრდა, თამაშობს ძირითად როლს ხალხის დასაქმების, ინოვაციების სიმრავლეში, კონკურენციის შექმნაში და ეკონომიური კეთილდღეობის გენერირებაში.

გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ მცირე წარმოებების ეფექტურობა, რომლებსაც ემსახურებოდნენ სპეციალისტები სტრატეგიული დაგეგმვის დარგში, მნიშვნელოვნად გაიზარდა. (7)

სტრატეგიული მენეჯმენტის დოქტრინა შემდეგ ძირითად ელემენტებს შეიცავს:

1) მომავლის განვითარება. საჭიროა ვიცოდეთ რომელ ბაზარზე ვმოქმედებთ დღეს და მომავალში რომელ ბაზარზე გვინდა გასვლა.

2) უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს გარებან ფაქტორებს: ტექნოლოგიურს, ეკონომიურს პოლიტიკურს და სოციალურს.

3) საჭიროა დაგენდეს და შევინარჩუნოთ წონასწორობა ამ გარე ფაქტორებსა და ორგანიზაციის შიდა მაჩვენებლებს შორის.

4) საჭიროა ყოველთვის გვახსოვდეს რომ სტრატეგიული მენეჯმენტი, ეს ინტერაქტიური პროცესია, რომელიც ითვალისწინებს უკუკავშირს და ცოდნის მუდმივ დაგროვებას.

შეიძლება მოგვეხვენოს, რომ ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ ეს ყველაფერი ადგილად შესრულებადია, რადგან სტრატეგიის მართვა – ეს უწევები პროცესია, რომლის წარმატებით შესასრულდებლად საჭიროა მოქმედება დამატებითი თანმხელები დონისძიებებით და შემდგომი სრულყოფით. შესაბამისად სტრატეგიული მენეჯმენტი ეხება იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სასურველი ბაზის ან პროდუქტის შემჩევასთან. ეს ეხმარება

კომპანიის სტრატეგიებს უკეთესად ჩაწერილი მიმღინარე სიტუაციას და გამოიმუშავონ კომპანიის მიზნები და ამოცანები. ჯერ უნდა დაისვას კითხვა, რა მდგომარეობაშია კომპანია მოცემული მომენტისათვის. მეორე შეკითხვა – რა არის მისი სასურველი მდგომარეობა. მაგალითად, რომელ ბაზარზე და გარეგანი გარემოს რომელი მახასიათებლების ჩარჩოებში მოქმედებს კომპანია. შემდეგ საჭიროა განისაზღვროს, როგორი იქნება მისი მდგომარეობა დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ, მაგალითად, ერთი, სამი ან ხუთი წლის შემდეგ და ბოლოს საჭიროა მოვამზადოთ საშუალებათა ერთობლიობა, ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად და დასმული ამოცანის შესასრულებლად. ეს ამოცანები და გეგმები დაყვანილი უნდა იქნეს ორგანიზაციის ყველა თანამშრომლამდე, ამით უზრუნველყოფილი იქნება მათი მზადყოფნა ორგანიზაციული ამოცანების გადასაჭრელად. სტრატეგიული მენეჯმენტი საშუალებას გაძლიერებს შევაფასოთ ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები და კონცენტრაცია მოხდეს სტრატეგიულად მნიშვნელოვან მიმართულებაზე.

და ბოლოს განვიხილოთ მცირე და საშუალო საწარმოებებში სტრატეგიული მენეჯმენტის გამოყენების უპირატესობანი. სტრატეგიული მენეჯმენტის სისტემა უზრუნველყოფს წარმოებებს მრავალი უპირატესობით. ეს სისტემა:

- 1) ეხმარება სტრატეგიის შემუშავების სპეციალისტებს უკეთესად გაიგონ კომპანიის მიმღინარე მდგომარეობა.
- 2) ნათელ აზრს ანიჭებს კომპანიის მისიას და მის ხედვას.
- 3) საშუალებას იძლევა შევაფასოთ კომპანიის ნაკლოვანებანი და უპირატესობანი და კონცენტრაცია მოვახდინოთ იმაზე რაც კომპანიის სტრატეგიულ ინტერესს წარმოადგენს.
- 4) სტრატეგიის დამუშავებისას ეხმარება სპეციალისტებს სწრაფად განსაზღვრონ კომპანიის მიზანი და ამოცანები.
- 5) ამზადებს საშუალებებს ამოცანის ამოსახსნელად და ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად.
- 6) საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს წინასწარ გაითვალისწინოს პრობლემები და ჩაატაროს პროფილაქტიკური მოქმედებები.
- 7) ზრდის ორგანიზაციის მზადყოფნას წინადუდგეს როგორც კონტროლს დაქვემდებარებულ ისე კონტროლს დაუქვემდებარებულ პრობლემებს.

- 8) ორგანიზაციის ჩარჩოებში ქმნის კომუნიკაციურ პროცესს, რითაც უზრუნველყოფს მზადეოფნას დასახული მიზნის მისაღწევად.
  - 9) აფასებს კომპანიის სტრატეგიის რეალიზაციის ეფექტურობას, უზრუნველყოფს ინფორმაციას სტრატეგიისა და გარემო პირობების შესაბამისობის პრობლემებზე და გვეხმარება ამ პირობების ცვლილების ბუნების გაგებაში — გათვითცნობიერებაში.
  - 10) გვებმარება გავითვალისწინოთ სტრატეგიულ პროცესში ეთიკური ასპექტების და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.
- მიუხედავად მრავალი უპირატესობისა, რომელიც უზრუნველყოფილია მცირე ბიზნესის მენეჯერებისათვის სტრატეგიული მენეჯმენტის გამოყენების შემთხვევაში ზოგიერთი მათგანი ეწინააღმდეგება მის გამოყენებას შემდეგი მიზეზების გამო:
- 1) სტრატეგიული მენეჯმენტის მეთოდიკის არასაკმარისი ცოდნა.
  - 2) არასაკმარისი დაგეგმვა და დროის უქმარისობა.
  - 3) სტრატეგიული მენეჯმენტის მნიშვნელობის შესაძლო გაუზებობა.
  - 4) აუცილებელი ცოდნის უკმარისობა ან ინფორმაციის უქონლობა სტრატეგიულ დაგეგმვაზე და მის უპირატესობაზე.
  - 5) ჩამოყალიბებული პრაქტიკა, მცირე ყურადღება დაეთმოს ფინანსურ ინდიკატორებს, ისეთებს როგორიცაა, მაგალითად ფულადი სახსრების მიმღევა.
  - 6) მართვის აუცილებელი გამოცდილებისა და თვისებების უქონლობა.
  - 7) დიდი გადატვირთვა ყოველდღიური ოპერაციებით.
  - 8) კომპანიის მომავლის რწმენის უქონლობა.
  - 9) თანამშრომელთა შტატის უქონლობა.
  - 10) მმართველი საინფორმაციო სისტემების ეფექტურობის ნაკლებობა, განსაკუთრებით თუ არსებული სისტემები არაეფექტურნი არიან და ცუდად არიან შეგუებულნი მონაცემების შეკრებისა და რეგისტრაციისათვის.
- დღეს-დღეობით როდესაც საქართველოში მცირე წარმოებები და განსაკუთრებით სხვადასხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები ყოველდღიურად მრავლდება, თითოეული მეწარმის მოქმედება, უფრო ინტეიციას ემყარება და არა ბაზრის რეალურ შეფასებას და

მართვის საფუძვლების ცოდნასა და გამოყენებას. ხშირად ეს გარევეული პერიოდის შემდეგ იწვევს ფირმის გაკოტრებასა და გაუქმებას.

მიგვაჩნია, რომ კომპანიის მომავალი მოდვაწეობის სწორი სტრატეგიის გამომუშავებისა და ნორმალური დაგეგმვის შემთხვევაში, საქართველოში გაცილებით გაიზრდება წარმატებულ მეწარმეთა რიცხვი, რაც სასარგებლო იქნება არა მარტო მათვების არამედ მთლიანად ქვეყნისთვისაც.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Schwenk,C.R. and Shrader,C.R. Effects of formal strategik planing on financial performance in smaal firms: A meta-analysis,Entrepreneurship Theory and Practike,17(3),1993
2. Storey,D.J.Understanding the Small Business Sector,Routledge, London,1994
3. Krishnan,H.A.Suplier selestion practices among small firms in the United States:Testingthree models. Journal of Small Business Management, 39(3),2001
4. Bea/Haas – Strategisches Management, 2001, Stuttgart.
5. P.J.Jost – Strategisches Konfliktmanagement in Organisationen, 1999, Wiesbaden
6. Alexahder Gerybadz – Technologie und Innovationsmanagement, 2004, München.
7. Ф. Аналоуи, А . Карами - Стратегический Менеджмент, Москва. 2005

### **Summary**

**Genadi Iashvili**

**Conception of strategic management in small enterprises**

In early nineties the ongoing political processes started destroying Georgian economy, the biggest factories and organizations got closed.

Only in recent years with the help of foreign investment large enterprises and many small businesses started working.

The article shows that insufficient attention is being paid to implementing strategic management for small and medium enterprises. Definition of the conception of strategic management and explanation of strategic management process are mentioned in the article. Positive and negative sides of using strategic management in small business, the results that follow implementing principles of strategic management are discussed.

### **Резюме**

**Генадий Яшвили**

**Концепция стратегического менеджмента в малых предприятиях**

В начале 1990-ых годов текущие политические процессы в Грузии привели к разрушению экономики Грузии и закрытия всех больших производств и предприятий. Только в последние годы благодаря иностранным инвестициям открылись в Грузии несколько больших и множество малых предприятий.

В настоящей статье показаны, как малое внимание уделяется в малых и средних предприятиях внедрению и применения стратегического менеджмента.

Приведены определение концепции, стратегического менеджмента и рассмотрены процессы стратегического менеджмента. Показаны положительные и отрицательные стороны стратегического менеджмента в случае его применения в сфере малого бизнеса . Показан тот эффект который повлечет в недрении принципов стратегического менеджмента в малом бизнесе.

**ბელა გოდერძიშვილი  
მაია დანელია  
ტერიტორიული განვითარების სტრატეგია**

საქართველოს კუნიკიცის მოდერნიზაციისა და მისი მყარი განვითარების უმნიშვნელოვანების ასპექტს წარმოადგენს - ეკონომიკაში აუცილებელი ტერიტორიული პროპრიციების უზრუნველყოფა-შენარჩუნება, სოციალუ - ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით რეგიონების ზომაზე მეტად დიფერენციაციის არ დაშვება და რაც მთავარია, ბაზრის ეფუძნებად ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ქვეყნის ტერიტორიული განვითარების ახალი სტრატეგიის განხორციელება მოითხოვს ცენტრის მიერ რეგიონული პოლიტიკის არა მარტო აქტივიზაციას, არამედ სამართლებრივი, ინსტიტუციონალური და ეკონომიკური ურთიერთობების მექანიზმების სრულყოფას.

ქვეყანაში ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე ნეგატიურ ტენდენციას წარმოადგენს რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეთა სულ უფრო და მზარდი დიფერენციაცია, განსაკუთრებით კი რეგიონების მეტად პროგრესირებადი ჩამორჩენა. ეს დაკავშირებულია:

1) უპირველეს ყოვლისა, საბაზრო კონკურენციის მექანიზმების ჩართვა-ამოქმედებასთან, რომელმაც ქვეყნის ცალკეული რეგიონები დაანაწილა მათი კონკურენტული უპირატესობებითა და ნაკლოვანებებით; გამაოვლინდა როგორც ეკონომიკის განსხვავებული სტრუქტურის მქონე, ასევე მოსახლეობისა და ხელისუფლების განსხვავებული მენტალიტების მქონე რეგიონების არათანაბარი ადაპტაცია ბაზრის მიმართ;

2) არსებითად შესუსტდა სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი, რაც გამოიხატა რეგიონის განვითარებაზე, კერძოდ სახელმწიფო ინვესტიციების მოცულობათა მკვეთრ შემცირებაში, რიგი რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური კომპენსაციების გაუქმებაში;

3) ეკონომიკურ ურთიერთობებში თავი იჩინა და გამოიკვეთა ცენტრთან სხვადასხვა სუბიექტების ფაქტობრივმა უთანასწორობის ტენდენციამ.

შედეგად, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი რეგიონული პროდუქტის წარმოებითა და რეალური შემოსავლის სიდიდით რეგიონები ერთმანეთისაგან განსხვავებულები გახდნენ, რაც მეტად მნიშვნელოვანი ნეგატიური მოვლენაა. ასეთ მკვეთრ

დიფერენციაციას თან ახლავს შედეგიც, რაც სიღარიბისა და დეპრესიის არეალის გაფართოებაში, რეგიონთაშორის ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულების მქანიზმების შესუსტებაში და რეგიონთაშორისი წინააღმდეგობების გაზრდაში გამოვლინდება. ყველაფერი ეს მნიშვნელოვნად აძლიერებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის განხორციელებას.

ცენტრისა და პერიფერიის მოსახლეობის, აგრეთვე ქვეყნის რეგიონების მოსახლეობის ცხოვრების პირობებში მკვეთრი განსხვავება საზოგადოების მიერ აღიქმება სოციალური სამართლიანობის პრინციპების დარღვევად, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს ცენტრიდანული ტენდენციებისა და სეპარატიზმის შემდგომი გაძლიერება, ამიტომ საქართველოსათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ძლიერი სახელმწიფო რეგიონული პოლიტიკის გატარება, რომელიც მიმართული იქნება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეებში არსებული მკვეთრი დიფერენციაციის შერბილებისაკენ.

მეორე ნეგატიური ტენდენციაა – საქართველოს ტერიტორიაზე ბევრი პრობლემური რაიონებისა და რეგიონების წარმოშობა, ან განსაკუთრებული ანომალიების მქონე ტერიტორიების წარმოჩენა, რომლებიც ხასიათდებიან სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების სიმწვავით.

კრიზისულს განეკუთვნება ის რეგიონები, რომლებმაც განიცადეს ბუნებრივი, ტექნოლოგიური ან სხვა სახის კატასტროფა, დამანგრევებული სტიქიური ზემოქმედება, შედარებით მაშტაბური ხასიათის საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონფლიქტები (აფხაზეთი, სამახაბლო), წარმოებისა და ცხოვრების დონის ექსტრემალური დაცემა-დაქვეითება. ყველაფერი ზემოთ აღნიშნულის შედეგი კი არის დაგროვილი ეკონომიკური პოტენციალის დანგრევა, მოსახლეობის დიდი მოცულობის იძულებითი ემიგრაცია და ადგილმონაცვლება.

სუსტად განვითარებული რეგიონების ჯგუფს განეკუთვნებიან საქართველოს ის რეგიონები და ტერიტორიები, რომელთა ეკონომიკური პოტენციალი, ობიექტები და ისტორიული მიზეზების გამო რამდენჯერმე ხამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს, ხოლო მათი ეკონომიკა იმყოფება ხანგრძლივგადინან უძრაობაში და ხასიათდება მრეწველობის მცირედივივერსიფიკაციული სტრუქტურით, სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურითა და სოციალური სფეროთი.

დეპრესიულს განეკუთვნებიან ის ტერიტორიები, რომლებიც ხასიათდებიან როგორც ეკონომიკური აქტიურობის მყარი და ღრმა დაქვეითებით, ასევე მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემითაც (კერძოდ, მელი სამრეწველო ლოგალური ზონები, აგროსამრეწველო და ზოგიერთი მომპოვებელი რეგიონები). დეპრესიის ბევრი პრობლემის დაძლევა შეიძლება გადაწყდეს შიგა მოთხოვნის გაფართოვების ხარჯზე (მათ შორის მპორტის ჩანაცვლების პრობლემაც). დეპრესიული რეგიონების მდგომარეობის გაუმჯობესება გარკვეულწილად დამოკიდებულია მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის (საქართველოს) პოზიციის გაძლიერებაზე. დეპრესიული რეგიონების გასვლა ეკონომიკის ზრდის მყარ ტრაქტორიაზე შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს საკუთარი ძალისხმევით დივერსიფიკაციის განხორციელებით, კონვერსიით, წარმოებათა მოდერნიზაციით, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობითა და წახალისებით, ადგილობრივი საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებით, გასაღების ახალი ბაზრების მიერთა და სხვა. მაგრამ ამასთან, ძალიან ღრმა ხარისხის დეპრესიული რეგიონები უნდა გახდნენ მიზნობრივი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ობიექტები.

პრობლემური რეგიონების ჯგუფში შედის ქვეყნის ჩრდილოეთი და მთაგორიანი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, ხადაც ტიპიური ნეგატიური ფაქტორები (არახელსაყრელი კლიმატი, ცხოვრების მაღალი დირებულება, მაღალი საწარმო და სატრანსპორტო დანახარჯები და სხვა) არ კომპენსირდებიან ძლიერი კონკურენტული უპირატესობებით უმდიდრესი რესურსების გამოყენების სახით (მაგალითად, ნაეთობისა და ბუნებრივი აირის, ფურადი და ძვირფასი ლითონების და სხვა). ამიტომ ასეთ ტერიტორიებზე სილარიბის დაძლევა მოითხოვს სახელმწიფოებრივი დახმარების სპეციალური დონისძიებების განხორციელებას.

მესამე ნეგატიური ტენდენციაა – ეკონომიკური სივრცის დეზინტეგრაცია. 90-იან წლებში ეს შეიმჩნეოდა უპირველეს ყოვლისა, წინათ არსებული მრავალი ეკონომიკური კავშირის შესუსტებაში და მათ შორის, რეგიონთაშორისი კავშირების საგარეო ეკონომიკურით შევიწროვება-გამოდევნაში. რეგიონთაშორისი საქონელგაცვლის მოცულობები უფრო მეტად შემცირდა, ვიდრე წარმოების მოცულობას.

საბაზრო პირობებში რეგიონთაშორისი ეკონომიკური ინტეგრაცია ბაზრის სუბიექტების ურთიერთდაინტერესებას ეფუძნება და არც ერთ რეგიონს არ არგებს განცალკევება, რამეთუ თითოეული რეგიონი დაინტერესებულია თავისი პროდუქციის ფართო გასაღების ბაზრით. განცალკევებულობის,

განსაკუთრებულობის, მარტოდმარტო თავის გატანის სინდრომის შემცვლელად შემოდის რეგიონთაშორისი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოვებისაკენ მისწრაფება.

დეზინტეგრაციული ტენდენციების დაძლევა პირველ რიგში დაკავშირებულია ეკონომიკური ზრდის განახლებასთან (განსაკუთრებით მრეწველობისა და საინვესტიციო ფორმით), იმპორტის ჩანაცვლების პროცესებთან და სატრანსპორტო ტარიფების რეგულირების პოლიტიკასთან. ინტეგრაციული ტენდენციების განახლება არ ნიშნავს იმას, რომ არ დაიწყება ყველა ძველი ეკონომიკური კავშირების აღდგენა, რომლებიც არსებობდნენ „ერთიან სახალხო მეურნეობრივ კომპლექსში“ ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 80-იან წლებში. ახალი რეგიონთაშორისი ინტეგრაცია უნდა აიგოს საბაზო ეფექტიანობის კრიტერიუმების შესაბამისად, სოციალური პოლიტიკის ამოცანებიდან გამომდინარე და ქვეყნის გეოსტრატეგიული ინტერესების შესატყვისად.

ნებატიური ტენდენციების გარდატეხა და ეკონომიკური სივრცის მყარი პროგრესული ეპოლუცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სახელმწიფოსა და საქართველოს საზოგადოების კონსტრუქციული ძალების კონსოლიდირებული პოლიტიკის ზემოქმედებით. ტერიტორიული განვითარების სტრატეგია უნდა განსაზღვრავდეს რეგიონების ეკონომიკისა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური სივრცის პრიორიტეტებსა და რესტრუქტურიზაციის ეტაპებს, ხოლო რეგიონული პოლიტიკა – სტრატეგიის სარეალიზაციო კონკრეტულ ზომებს უნდა აკავშირებდეს, ახამებდეს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ყველა დანარჩენ მიმართულებებთან და სახელმწიფოს რესურსულ შესაძლებლობებთან.

XXI საუკუნის დასაწყისში საქართველო შეეჯახა მთელ რიგ ახალ მოვლენებს, რომელთა შედეგებიც მისი ეკონომიკური სივრცის ხარისხისათვის არაერთმნიშვნელოვანია:

- ეკონომიკური ზრდის გაგრძელების აუცილებლობა ახალ ხარისხობრივ საფუძველზე;
- საქართველოს რეგიონების გაძლიერებადი (მზარდი) დამოკიდებულება მსოფლიო მეურნეობაზე;
- პოსტინდუსტრიული და ინფორმაციული საზოგადოებისაკენ გადასვლა სხვადასხვა რეგიონების განსაკუთრებული ფუნქციებით;
- ცხოვრების დონის ცვლილება და სოციალური სფეროს განვითარებასთან დაკავშირებული მოთხოვნების გამკაცრება;

- ექოლოგიურ მოთხოვნათა გამკაცრება მსოფლიო თანამეგობრობის მყარი განვითარების პარადიგმებზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ახალი რეალიტები საქართველოს ეკონომიკური სივრცისათვის შექმნის, როგორც ახალ, როგორ პრობლემებს, ასევე ახალ შესაძლებლობებსაც.

ტერიტორიული განვითარების სტრატეგიის მთავარი მიზანი მდგომარეობს ერთიანი ეკონომიკური სივრცის განმტკიცებაში, ქვეყნის პოლიტიკურ მთლიანობაში და უსაფრთხოებაში, ყველა რეგიონის პარმონიულ განვითარებაში (მათი ოპტიმალური სპეციალიზაციის საფუძველზე), შრომის საერთო-ეროვნული და საეთაშორისო დანაწილების საფუძველზე, რესურსების პოტენციალისა და კონკურენტულ უპირატესობათა გამოყენების საფუძველზე.

სტრატეგია მოიცავს რეალიზაციის სამ ეტაპს: 1) გარდამავალი პერიოდის დასრულებას; 2) მსხვილი პროგრამების განხორციელებას, რომელთაც ძალუბო გამოიწვიონ ხარისხობრივი ცვლილებები წარმოების განლაგებაში, ბუნებათსარგებლობასა და გარემომცველი გარემოს მდგომარეობაში, განსახლების სისტემაში, ტრანსპორტისა და

კავშირის საშუალებების განვითარებაში; 3) რეგიონების მყარი განვითარების ტრაექტორიაზე გასვლის დაწყება.

პირველი ეტაპის ამოცანებია - რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის შედეგების დაჩქარებული დაძლევა, ძირითადი ინსტიტუციონალური გარდაქმნების დამთავრება. სპეციალურ ამოცანებს კი - რეგიონების განვითარებაში დიფერენციაციის დონის შემცირება (1,5 – 2,0-ჯერ), ძირითადად ძალიან ჩამორჩნილი რეგიონების წინწამოწევის მიღწევითა და რეგიონთაშორისი ინტეგრაციის დაჩქარებით, ადგინისტრაციული და ეკონომიკური რეგიონთაშორისი ბარიერების დაძლევის გზით, საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებით, ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნით. ქვეყნის ეკონომიკური მთლიანობის განმტკიცების აუცილებლობა, ტერიტორიული განვითარების სტრატეგიის განხორციელების მთელ პერიოდში შენარჩუნდება, როგორც სტრატეგიის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი.

საქართველოს ტერიტორიული განვითარება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრული იქნება მსოფლიო ეკონომიკური, ეკოლოგიური და გეოპოლიტიკური ტენდენციებით. ამ მხრივ, დაახლოებით 2010-2012 წლამდე ძირითად ფაქტორებად მისაჩნდება:

- საქართველოს ეკონომიკის სული უფრო გაძლიერებადი ინტეგრაცია მთელ მსოფლიოში;
- გეოპოლიტიკური სიტუაციისა და გეოპოლიტიკური პრიორიტეტების დიფერენციაცია სახელმწიფო საზღვრების პერიმეტრის მიხედვით, მათ შორის საზღვრისაბირა ზონების არსებობა განსაზღვრული პოლიტიკური და სოციალური არასტაბილურობით, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს ეროვნული უშიშროებისათვის;
- საქართველოს ტერიტორიის განსაკუთრებული როლი, როგორც ადგილმდებარების სტრატეგიული მნიშვნელობით, ასევე დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობების დეველოპანი.

საქართველოს გეოგრონომიკური, გეოპოლიტიკური მდგრადირეობა და მდებარეობა თანამედროვე მსოფლიოში იმაში გამოიხატება, რომ ქვეყანას შეხება აქვს მსოფლიოს უმსხვილეს ეკონომიკურ ჯგუფებთან. სხვადასხვაგვარი ხასიათის საკონტაქტო ზონებისათვის სამხრეთ კავკასია მომავალში სულ უფრო მეტად მიმზიდველი გახდება.

განვითარებულ და სწრაფად განვითარებად ქვეყნებთან მეზობლობა და სტრატეგიული კავშირ-ურთიერთობები რეგიონებისათვის ქმნის არა მარტო გარკვეულ სოციალურ-ეკონომიკურ უპირატესობებს, არამედ აგრეთვე სერიოზულ პრობლემებსაც, რომლებიც დაკავშირებულია ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობასთან, მოსახლეობის მიგრაციასთან, კონტრაბანდის თავიდან აცილებასთან, ბუნებრივი რესურსების დაცვასთან და სხვა. საქართველოს, როგორც შესანიშნავი გეოგრონომიკური და გეოპოლიტიკური მდებარეობის ევროპულ ქვეყანას, შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ეკონომიკისა და საერთოდ, დასავლეთისა და აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური ჯგუფების დაახლოება-ინტეგრაციაში, შესარულოს ტრანსკონტინენტური ხიდის როლი და მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციის აქტიური მონაწილის ფუნქცია.

საქართველოს ჩართვა ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესში გამოყენებულ უნდა იქნეს შიგა ეკონომიკური ინტეგრაციის გაძლიერებისათვის. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტრანსკონტინენტური კომუნიკაციების განვითარების პროექტებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე გადიან (სარკინიგზო, საავტომობილო და სატრანსპორტო მაგისტრალები, რომლებიც ხელს შეუწყობენ დიდი აბრეშუმის გზის განვითარებას).

მიუხედავად ამისა, მთლიანად საქართველოსათვის და მისი რეგიონებისათვის ტრანსკონტინენტური და სხვა საერთაშორისო პროექტები არ შეიძლება შემოიფარგლონ მხოლოდ სატრანზიტო მაგისტრალების როლით, მათ ზემოქმედება უნდა მოახდინონ რეგიონების ეკონომიკის განვითარებაზე, მშენებლობის უზრუნველყოფაზე და სატრანსპორტო გზების ფუნქციონირებაზე.

სახელმწიფოებრივი სტრატეგიული ინტერესები მნიშვნელოვანია მრავალი ეკონომიკური სავრცისათვის, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე და ზღვისპირა ტერიტორიების განვითარებისათვის. საზღვრისპირა რეგიონები არსებით როლს თამაშობენ, როგორც ქვეყნის უშიშროების საკითხებში, ასევე საერთაშორისო თანამშრომლობაშიც.

საქართველოს მორაობამ დია (გახსნილი) ეკონომიკისაკენ და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კავშირების ლიბერალიზაციისაკენ, არსებითად გააძლიერა საზღვრების კონტაქტური ფუნქციები. ქვეყნის სუბიექტებისათვის გარკვეული უფლებების (საერთაშორისო დონეზე) მიცემამ ბიძგი მისცა სხვადასხვა ქვეყნის რეგიონებთან სპეციალური შეთანხმებების გაფორმებას, პირველ რიგში კი საზღვრისპირა რეგიონებთან. ყოველივე ამან კი წარმოშვა სრულიად ახალი პრობლემები. საზღვრისპირა გადასასვლელების არასაკმარისი რაოდენობა, საბაჟო პუნქტების და სასაზღვრო ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტების უმარისობა საშუალებას არ იძლევა მაღალ დონეზე და ხარისხიანად შესრულდეს სასაზღვრო ნებისმიერი ფუნქცია.

ქვეყნის ტერიტორიული განვითარების სტრატეგიის მთავარ შინაგან პრობლემებს წარმოადგენენ:

- ეკონომიკური სივრცის რეალური ინტეგრაციის უზრუნველყოფი საბრანსპორტო, ქნერგეტიკული, ტელემარქუნიკაციონური, ლოჯისტიკური სისტემების ახალ ტექნიკურ საფუძველზე განვითარება;
- სათბობ-ენერგეტიკული ბაზების უფრო თანაბარზომიერი განთავსება (მათ შორის ზოგიერთი რეგიონის ზედმეტად ენერგეტიკული დამოკიდებულების შესუსტება, ენერგო და სათბობ მომსარაგებელი წყაროების დივერსიფიკაცია);
- რეგიონის სამეურნეო სტრუქტურების საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებისადმი ადაპტირება და მყარი განვითარების (მრეწველობის სტრუქტურული გარდაქმნების ჩათვლით, მომსახურების ქსელის განვითარება, წარმოების ეკოლოგიზაცია და სხვა);

- განსახლების სისტემების მოდერნიზაცია - ქალაქებისა და სახლი დოქტრინისა და აგრარული რეფორმების საფუძველზე;
- მიგრაციული ნაკადების რეგულირება მოსახლეობის სურვილის და შრომის ბაზების მოთხოვნათა გათვალისწინებით (პირველ რიგში, მოსახლეობის რიცხოვნობის სტაბილიზაციის მიღწევა მთიან რეგიონებსა და ნაკლებად დასახლებულ ტერიტორიებზე, რიგ საზღვრისპირა ადგილებში მოსახლეობის ჩასახლების სტიმულირება).

ტერიტორიული განვითარების სტრატეგიის კონკრეტული მიმართულებები დაკავშირებულია მსხვილი რეგიონული პრობლემების გადაწყვეტასთან, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა არა აქვთ მთლიანი სახელმწიფოსათვის. მასშტაბების მեრივ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკის მოდერნიზაციის პრობლემას ეკონომიკულ სივრცეში ინტეგრაციის გათვალისწინებით, ინოვაციური სტაბილიზაციისა და მთიანი რეგიონების ინტენსიურად განვითარებისათვის პირობების უზრუნველყოფას. რეგიონების ეკონომიკისა და რეგიონთაშორისი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია თითოეულ სუბიექტს უქმნის პირობებს ქვეყნის ბაზარზე უფასო მომართებისათვის.

ამრიგად, ტერიტორიული განვითარების სტრატეგიის ყველა პროექტი საჭიროა დაკავშირებული და მიბმული იქნეს სოციალური, მაკროეკონომიკური, სამრეწველო, სტრუქტურული პოლიტიკის პროგნოზებთან და ღონისძიებებთან. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემა უნდა ექვემდებარებოდეს გამოცდას (შემოწმებას) მისი ტერიტორიული განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის სტრატეგიის მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. “რუსეთის ეკონომიკური უურნალი ” №9,10, 1999 (რუსულ ენაზე)
2. “მსოფლიო ეკონომიკა და საერთაშორისო ურთიერთობები” უურნალი №3 2001 (რუსულ ენაზე)
3. ეგ. ბარათაშვილი, ჯ. ზარანდია. საქართველოს რეგიონული პოლიტიკა. თბილისი, 2007

## **Summary**

**Bela Goderdzishvili**

**Maia Danelia**

**The Strategy of Territorial Development**

Implementing new strategy of the country's territorial development needs both activation of regional politics by the centre and perfection of mechanisms for legislative, institutional and economic relations.

The strategy of the county's territorial development is aimed at: 1) Reinforcement of integral economic space; 2) The country's political integrity and safety; 3) Harmonious development of all regions according to the distribution principle of national and international labour by using competitive advantages.

The strategy implies three stages: 1) Termination of the transition stage; 2) Implementation of important projects capable of causing favourable changes in the production, environment, communication and transportation systems; 3) Initial stage of regional development.

Georgia's territorial development will be determined by the world economic, ecological and geopolitical tendencies.

## **Резюме**

**Белла Годердзишвили**

**Мая Данелия**

**Стратегия Территориального развития**

Осуществление стратегии территориального развития страны требует от центра не только активизации региональной политики, но и совершенствования правового институционального механизма экономических отношений.

Основная цель стратегии территориального развития заключается в укреплении единого экономического пространства, политического единства и безопасности страны, в гармоничном развитии всех регионов на основе общенационального и международного распределения труда и на основании ресурсного потенциала и использования конкурентного преимущества.

стратегия содержит 3 этапа реализации;

1. Завершение переходного периода;
2. Осуществление крупных программ, которые могут вызвать качественные изменения в расположении предприятий, в состоянии природоиспользования, в развитии транспорта и средств связи;
3. Осуществление выхода регионов на траекторию устойчивого развития.

## გენადი იაშვილი

თანამედროვე სტრატეგიული მენეჯერი და  
მისი როლი წარმოებაში

ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, ბოლო წლებში, საქართველოში უცხოური ინვესტიციების დახმარებით ამჟავდა რამდენიმე დიდი წარმოება და შეიქმნა მრავალი მცირე საწარმო. ამასთან ახალი წარმოებების უმრავლესობა ისესნება დამფუძნებელი—მეწარმის კერძო ფინანსური სახსრებით ან მეორებრების დახმარებით.

დღეს-დღეობით როდესაც საქართველოში მცირე წარმოებები და განსაკუთრებით სხვადასხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები ყოველდღიურად მრავლდება, მეწარმეების უმრავლესობის მოქმედება, უფრო ინტენციას ემყარება და არა ბაზრის რეალურ შეფასებას და მართვის საფუძლების ცოდნასა და გამოყენებას. სშირად ეს გარეული პერიოდის შემდეგ იწვევს ფირმის გაკოტრებასა და გაუქმდებას, და დიდიალ შემთხვევებში საკმაოდ დიდი გარევებისა და ტრაგედიების მიზანიც ხდება.

ზემოთთქმულის გათვალისწინებით, ცხადი ხდება სტრატეგიული დაგეგმვის როლი მცირე ბიზნესის განვითარებაში, ისევე როგორც სტრატეგიული მენეჯერის როლი წარმოებაში.

მოცემულ ნაშრომში ნაჩვენებია, თუ რას შეიცავს მეწარმეობისა და სტრატეგიის კონცეფციები. ასენილია თუ ვინ არიან სტრატეგიული მენეჯერები, ნაჩვენებია წარმატებული მეწარმეების თვისებები და მათი როგორც კომპანიის სტრატეგების როლი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ეკონომიკისთვის მცირე და საშუალო წარმოებების მნიშვნელობა დამოკიდებულია მათ უნარზე ეფექტურად შეასრულოს თავისი როლი. ეკონომიკაზე გადასვლა დაფუძნებული გლობალურ ეკონომიკის ცოდნაზე, სხნის ახალ შესაძლებლობებს და პესპექტივებს მცირე ბიზნესისათვის. ორი ისეთი სფერო როგორიცაა სტრატეგიული მენეჯმენტი და მცირე ბიზნესი მირითადად ვითარდება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. თუმცა ორივე თავისი

ყურადღების კონცენტრირებას ახდენს იმაზე თუ როგორ შესძლებენ კომპანიები, მათი მოღვაწეობის სფეროში, გარემო ცვლილებასთან შეგუბებას, რათა წარმატებით შესძლონ თავიანთი შესაძლებლობათა რეალიზება, გაურკვეველი პირობების და ქონების შექმნის პროცესის წყვეტის დროსაც კი. მეწარმეობა ესაა შექმნის პროცესი, ხოლო სტრატეგიული მენეჯმენტი ესაა მეცნიერება როგორ შექმნათ და შევინარჩუნოთ უპირატესობა იმის საფუძველზე რაც უკვე შექმნილია (1). საუკუთხოს ეფექტს იძლევა რასაკვირველია, სტრატეგიული და სამეწარმეო აზროვნების ინტეგრაცია, რამეთუ ბიზნეს სტრატეგები უბრალოდ ვალდებული არიან დაუფლონ და გამოიყენონ სამეწარმეო აზროვნება, რათა შესძლონ შესაძლებლობათა ამოცნობა, რესურსების მობილიზება, ამ შესაძლებლობათა ექსპლუატაცია განსაკუთრებით უკიდურესი გაურკვევლობის პირობებში. სტრატეგიული მენეჯმენტის პრაქტიკის შესწავლისას მცირე და საშუალო წარმოებებში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მეწარმის როლს. ბიზნესის სფეროში ცოდნის დაგროვება ხდება სტრატეგიული დაგეგმვის საშუალებით. მრავალი მცირე და საშუალო წარმოებების მფლობელი და მენეჯერები რეგულარულად გვემავნენ თავიანთ ყოველდღიურ ოპერაციებს, ისე რომ არც აცნობიერებენ, რომ აქაც შეიძლება სტრატეგიული დაგეგმვა (2). თუმცა ითვლება, რომ არც ერთი ბიზნესი არა ისე პატარა, რომ არ იქნეს მოთხოვნილი მაფიო სტრატეგია, შესაბამისი სტრატეგიული გეგმით. გარდა ამისა ბიზნესის განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ისეთი ფაქტორები, როგორც მეწარმის პერსონალური მიზნები, მისი თვისებები და მისი სტრატეგიის საქმის ცოდნა. სტრატეგიის დამუშავების პროცესის ეფექტურობა დიდადაა დამოკიდებული მცირე წარმოების მფლობელ-მენეჯერზე, ხოლო უნარი გაიაზროს და ჭავიანურად გამოიყენოს სტრატეგიული მენეჯმენტი დამოკიდებულია თუ რა დაგროვილი გამოცდილება აქვს ამ მეწარმეს.

სტრატეგიული მენეჯმენტის მიხედვით მენეჯერი ორგანიზაციას იხილავს თავიდან ბოლომდე, მენეჯერის პოზიციიდან. მიზანდასახული, გაბედული მენეჯერი ყოველთვის ცდილობს ორგანიზაციის უპირატესობის განმტკიცებას, მისთვის სასარგებლოდ შექმნილი მდგრამარეობიდან კაპიტალის დაგროვებას და სუსტი მხარეების მინიმიზაციას (3). იგი ეცდება გადალახოს პოტენციალური არახელსაყრელი სიტუაციები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ორგანიზაციას. ასე რომ სტრატეგიის მართვის ამოცანა თრგანიზაციის სტრატეგიული მენეჯერების კომპეტენციაში შედის.

სტრატეგიული მენეჯერი შეიძლება იყოს მმართველი დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, მმართველი და ა.შ. პიროვნება რომელიც პასუხისმგებელია მიღებული სტრატეგიული გადაწყვეტილების და ცვლილებებისა კომპანიაში. სტრატეგიული ხელმძღვანელი (მენეჯერი) შეიძლება იყოს ერთი ადამიანი ან აღმასრულებელ დირექტორთა გუნდი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მოცემული ბიზნესით დაინტერესებულ პირთა წრის მიმართ.

თუ სტრატეგიული ხელმძღვანელი მოქმედებს უფასებურად, ის უზრუნველყოფს ორგანიზაციის სტრატეგიულ ხედვას და მის შესაბამის მართებულ სტრუქტურას, რომელიც საშუალებას იძლევა რეალიზება გაუკეთოს წარმატებულ სტრატეგიებს. შესაბამისად კომპანიის აღმავლობისათვის აუცილებელია, რათა სტრატეგიული ხელმძღვანელი უზრუნველყოფდეს ორგანიზაციაში ბალანსირებული შემსრულებელი გუნდის შექმნას და მათ შენარჩუნებას. ასევე აუცილებელია, რომ სტრატეგიული ხელმძღვანელი ინარჩუნებდეს აუცილებელ კოორდინირებას სტრატეგიული ხელმძღვანელობის სხვადასხვა ფაქტორებს შორის, როგორიცაა მაგალითად, სტრუქტურა, კულტურა და ორგანიზაციის რესურსები. (4)

თუ მსხვილ კორპორაციებში სტრატეგიული მენეჯერები წარმოადგენენ ხელმძღვანელობის უძალლეს ბირთვს და დირექტორთა საბჭოს წევრებს, მცირე და საშუალო წარმოებებში სტრატეგიული მენეჯერები—ესაა აღმასრულებელი დირექტორები ან ფირმის მესაკუთრენი, რომლებიც ასრულებენ ხელმძღვანელის ფუნქციებს. როგორც წესი კომპანიაში სტრატეგიაზე უშუალო პასუხისმგებლობა აკისრია მაღალი დონის მენეჯერებს: მენეჯერებს რომლებიც მართავენ ბიზნესს და კორპორაციის სტრატეგიას. ბიზნეს მენეჯერებს პასუხისმგებლობა აკისრიათ ბიზნესის სტრატეგიულ ელემენტებზე. დივერსიფიცირებულ კომპანიებში, რომლებიც ბიზნესის სხვადასხვა სფეროში მოქმედებს, ისენი პასუხისმგებელი არიან ბიზნესის სტრატეგიული ელემენტების ქმედებისადმი, მართავენ ბიზნესს და უკავიათ სხვადასხვა თანამდებობა, მათ შორის ბიზნესის მენეჯერის, განყოფილების ხელმძღვანელის და ბიზნესის სტრატეგიული ელემენტის ხელმძღვანელის.

კორპორაციულ მენეჯერებს კომპანიის ბიზნესის კველა მიმართულებისადმი აკისრიათ პასუხისმგებლობა. შესაბამისად ისინი არსებობენ მხოლოდ კომპანიებში, რომლებიც მოქმედებენ ბიზნესის რამოდენიმე სფეროში. დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მცირე წარმოებაში ძირითადი

სტრატეგები, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ არიან თვით მეწარმეები, კომპანიების მფლობელი და აღმასრულებელი დირექტორები, რომლებიც მოქმედებენ კომპანიის სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების სამივე დონეზე, როგორც კორპორაციულ დონეზე ასევე ბიზნესისა და ფუნქციონალურ დონეზე. როგორც წესი, სწორედ მეწარმეები, ფირმის ხელმძღვანელები შეიმუშავებენ ფირმის სტრატეგიას, თავიანთი წარმოების მისიას და ამ გზით ახდენენ თავიანთი კომპანიების ბიზნესის სტრატეგიის ფორმირებასა და რეალიზაციას. (5)

თუ განვიხილავთ წარმატებული ბიზნესმენების მირითად თვისებებს— ისინი არიან სტრატეგები, რომლებიც კარგად არიან მოტივირებულნი, არიან მოქნილნი, არ ეშინიათ რისკის, არიან კრეატიულები ისინი აქტიურად იყენებენ სტრატეგიულ დაგეგმვას და მთელ პერსონალს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. წარმატებულ მეწარმეებს, როგორც წესი ახასიათებთ მენეჯმენტის საუკუთხესო თვისებები და გამოცდილები არიან ბიზნესში. ესენია თვითმოტივირებული პიროვნებები, დაჯილდოებული დიდი ენთუზიაზმით, რომლებმაც როგორც წესი დაიწყეს თავისი საპუთარი ბიზნესით მიაღწიეს წარმატებას და დღეს უკვე დამოუკიდებლად აფინანსებენ თავის ბიზნესს.

ისინი სტიმულირებას უკეთებენ სხვა თანამშრომლებს, რათა მათ გამოიჩინონ აქტიურობა და ენთუზიაზმი ორგანიზაციული ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად. მათი მოტივირებული ქმედებანი თანამშრომლებისთვის, კარგი მაგალითია ორგანიზაციული გარემოს პირობებთან ადაპტაციისთვის. მოყლევ თუ ჩამოგაყალიბებთ წარმატებული მეწარმეების მახასიათებლებს, ესენია:

- 1) მაღალი მოტივაცია.
- 2) მოქნილობა და მიღრეკილება ინოვაციებისადმი.
- 3) რისკზე წასვლის მზადებლება.
- 4) სიტუაციების განკვრების უნარი.
- 5) კარგი დაგეგმვის უნარი და ორგანიზატორული ნიჭი. (შესაძლებლობანი)
- 6) თავისი წინა მოდვაწეობის გამოცდილებიდან სარგებლის მიღების უნარი.
- 7) ტექნიკური ცოდნა.
- 8) მაღალი შრომის მოყვარეობა
- 9) მიღრეკილება საქმეების დაწყებისადმი.
- 10) საკუთარი ფინანსური რესურსები.

წარმატებული მეწარმეები – შემოქმედებითი პიროვნებებია, რომლებსაც შეუძლიათ წინასწარ განჭვრიტონ და დასახონ მიზნები. მათ შეუძლიათ კლიენტების მოსმენა და საწარმოს გადაწყობა, რათა დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნები. თავიანთ მოქმედებებში ისინი არასოდეს იზღუდებიან მხოლოდ საკუთარი შეხედულებებით ბაზრის მდგომარეობაზე, ორგანიზებული პრობლემების გადაწყვეტისას ისინი მზად არიან მიმართონ ინვაციურ მიღღომებს. მათ შეუძლიათ შეაფასონ რისკის დონე, გონივრულად წავიდნენ რისკზე, რადგანაც თავიანთი ბუნებით ისინი არ არიან აზარტულები. გამოკვლევები გვიჩვენებენ გაწეული რისკისა და მიღღებული შედეგების დადებით ურთიერთკავშირს. მაღალი ხარისხის რისკი, როგორც წესი დიდ უუგბას იძლევა. წარმატებულ მეწარმეებს ესმით ეს, თუმცა ხვდებიან, რომ მათ გადაწყვეტილებას შეუძლია, როგორც დადებითი ისე უარყოფითი შედეგების მოგანა. წარმატებული მეწარმეები ხასიათდებიან დიდი წინასწარ განჭვრეტის უნარით. მათ უყვართ როგორც პრობლემების გადაჭრა, მზად არიან მოახდინონ გარემო ცვლილებებზე რეაგირება, არ ეშინიათ კონკურენციის. არ ელოდებიან იდეალურ პირობებს, მოქმედებენ აქტიურად, იხმობენ რა შეფასებისათვის პროფესიონალებს, იყენებენ სპეციალისტების კონსულტაციებს. ისინი მუდმივად ეძებენ შესაძლებლობას გააუმჯობესონ თავისი ბიზნესი. ისინი კომუნიკაბელურნი არიან, ადვილად შედიან ხალხთან ურთიერთობაში, შეუძლიათ დაიყვანონ სხვებამდის თავიანთი შეხედულებანი, სურვილები და მოთხოვნები. კარგად აკონტროლებენ თავიანთი ხელკეთების მუშაობას, რათა დარწმუნდნენ, რომ მათი მითითებები სრულდება.

ცნობილია, რომ სამყარო საკმაოდ როგორია, იგი არ პატიობს არაორგანიზებულებას და ზედაპირულობას. ამ თვისებებით ბაზარს დიდხანს ვერ შერჩები. წარმატებული მეწარმეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ როგორც საკუთარი დროის დაგეგმვას, ასევე ბიზნესის თითოეული დეტალის დაწერილებით დამუშავებას. ეს მეწარმენი ისე მართავენ თავის დროს, რომ ყოველთვის შეუძლიათ იმოქმედონ ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებებით, ისე რომ წვრილმანზე არ გაამახვილონ დიდი კურადღება. რადგანაც მეწარმეებს სშირად უხდებათ რამოდენიმე ამოცანის ერთდროულად გადაჭრა, მათ შორის ისეთების როგორიცაა გაყიდვის, მარკეტინგის, წარმოებისა და ანგარიშების გადახდის პრობლემები, ამიტომ მეწარმემ უნდა გამოავლინოს მოქნილობა და მოითმინოს ცნობილი ქაოსები.

ნულიდან დაწყებული ბიზნესის ორგანიზაციის წინა, გამოცდილება წარმატებული მეწარმის ერთ-ერთი ძირითადი დამასასიათებელი ნიშანია. საკუთარი საქმის დაწყება ნულიდან – საქმაოდ როგორც შიდა ასევე გარე გარემოს მრავალ არაკონტროლირებად ფაქტორებს. ეს გზა მოიცავს მრავალრიცხოვან პოტენციალურ საფრთხეებს ისეთი როგორიცაა მაგალითად არაპროგნოზირებადი ეკონომიური და ტექნოლოგიური ცვლილებები. თუ მეწარმეს წინათ ერთხელ უკვე მოუწია მთელი ამ წინააღმდეგობების გადალახვა, მაშინ მას შექმნილი აქვს ყველა წინაპირობა რათა წარმატებული იყო მომავალში. გამოცდილი და წარმატებულ მეწარმეებს უკეთესად ესმით ბაზრის მოთხოვნები და მდგომარეობა. რაც მეტი აქვთ მათ დაგროვილი გამოცდილება, მით უკეთესად შეუძლიათ მათ დაამუშაონ წარმატებული კონკურენტული სტრატეგია, რათა მოემსახურონ მომხმარებელს. წარმატებული მეწარმეები პარგი ბიზნესმენებია, რომლებიც ყოველთვის აკონტროლებენ კომპანიის მოგებას და საბოლოო შედეგს. მათ იციან რა დგას ფინანსური მაჩვენებლის უკან, ორიენტირებულნი არიან საფინანსო ანგარიშებში, ფულადი სახსრების ნაკადის დაგეგმვაში, ისევე იციან როგორ მოიპოვონ ფინანსირება. ისინი კარგად ერკვევიან მარკეტინგის პრობლემებში, საწარმოო ტექნოლოგიებში, კარგად გრძნობენ მთლიანობაში ბიზნესის კლიმატს. აქვთ საქმიანი ალლო და იდებენ გადაწყვეტილებას, თავისი ბიზნესის და ბაზრის კონკრეტურის რეალური შეფასებიდან გამომდინარე.

წარმატებულ მეწარმეებს თავისი ბიზნეს-გარემოში გააჩნიათ, როგორც მართვისათვის აუცილებელი თვისებები, ასევე ტექნიკური ცოდნა. აუცილებელი და კატეგორიული მოთხოვნა წარმატებულ მეწარმეებისადმი, როგორც ბიზნესის ზოგადი პრაქტიკის ღრმა ცოდნაა, ასევე პროცესებისა, რომლებიც უზრუნველყოფს შესაბამისი საქმინდის მომარაგებით და საჭირო მომსახურების გაწევით. მეწარმეები გადიან მომზადებას და ანგითარებენ თავიანთ მართვის თვისებებს, ისეთ სფეროში როგორიცაა მარკეტინგი, აღრიცხვა, ადმინისტრირება და ხალხის პერსონალის მართვა. ისინი სასიათდებიან კარგი საბაზო განათლებითა და სხვა აუცილებელი ტექნიკური ცოდნით.

წარმატებული მეწარმეები, როგორც წესი არიან შრომისმოყვარენი, ენერგიულნი, დაუზარებლად აკეთებენ თავიანთ საქმეს. მეწარმეები როგორც წესი დამოუკიდებლად იწყებენ საკუთარ პროექტებს. ისინი იწყებენ თავიანთ ბიზნესს

თავიანთი შინაგანი ხედვიდან და მეწარმის ინსტიქტიდან გამომდინარე.

წარმატებული მეწარმეების ზემოთმოცემული ოვისებების, ეკონომიკის შესაბაზისი სფეროების შესწავლა, დაკავშირებული დასაწყისში პროფესიონალი მენეჯერების კონსულტაციებთან, ესაა წინაპირობაა დამწევები მენეჯერებისათვის საკუთარი კომპანიის წარმატებული სტრატეგიის შესამუშავებლად, დაფუძნებული ტექნოლოგიურ ან კომერციულ ინოვაციებზე, და ფოქუსირებულ (ნიშურ) სტრატეგიაზე. მიგვაჩნია, რომ ზემოთმოყვანილი მიღებობების ინტეგრირება ესაა გზა, მცირე და საშეალო წარმოებების ნაყოფიერების ზრდისაკენ და წარმატებებისაკენ.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Beate Kremin-Buch – Strategischesmanagement. 2004, Wiesbaden
- 2 . Berry, M. Strategic planning in small higt-tech companies, Long Range Planning, 1998, 31 (3),
3. Analoui, What motivates senior managers? The case of Romania, journal of Managerial Psuchology, 2000,15 (4),
4. Chan, S.Y. and Foster, J. M.Strategy Formulation in small business: The Hong Kong experiences, International Small Business Journal, 2001,April-June, 56-71.
5. Bea/Haas – Strategisches Management, 2001, Stuttgart.

### **Summary**

#### **Genadi Iashvili**

#### **The role of a modern strategic manager in enterprises**

Several large enterprises started working in recent years due to foreign investments in Georgia, while small businesses are coming into existance due to the personal investment.

Operation of entrepreneur is mainly based on intuition rather than on knowledge and practice of management in estimating actual market. In such cases companies often go bankrupt after a short period of time and in conclusion court examinations and tragedies occur.

Based on aforesaid the importance of strategic planning and development of small businesses is clear, as well as the role of strategic manager in success of the enterprise.

The article includes the conception of strategy and business undertakings. The meanings of strategic managers and their role as strategists of company are discussed. Characteristics of successful entrepreneurs are cited as well.

### **Резюме**

**Геннадий Яшвили**

**Роль современного стратегического менеджера  
в предприятиях**

За последние годы в Грузии, благодаря иностранным инвестициям начали работать несколько крупных предприятий. Малые предприятия открываются на основе собственных капиталовложений.

Действия предпринимателей основываются больше на интуицию, чем на знания и применения основ управления в оценке реального рынка. Часто после короткого периода это приводит к банкротству фирм и большинстве случаев является причиной судебных разбирательств и трагедий.

Исходя из выше сказанного становится ясным важность роли стратегического планирования в развитии малого бизнеса , а также роль стратегического менеджера в успехе предприятия.

В настоящей работе показано что включает в себя концепция стратегии и предпринимательство. Объяснено, кто такие стратегические менеджеры и их роль как стратегов компаний. Приведены характеристики успешных предпринимателей.

## გიორგი მჭედლიშვილი

სვანეთი დიდი ტურიზმის მოლოდინში

**ტერმინი სვანეთი და სვანი.** სვანები ძირმველი ქართველური ტომებია, რომელთაც ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ ცნობილი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი მოიხსენიებს „სოან“-ის სახელწოდებით. მისი ცნობით „სოანები“ მოვდს კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი და ტერიტორიაზე ფართოდ განსახლებული ხალხია. სტრაბონი იმასაც აღნიშნავს, რომ „სოანებს“ სვანაირად იბერებსაც უწოდებენ. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ძველი ბერძნების ცხოვრებაში სვანები იგივე იბერებია (ქართველები).

იგივე სახელით მოიხსენიებენ სვანებს სხვა ბერძენი და რომაელი ავტორები. აღსანიშნავია, რომ კოლხეთის სამეფოს დაცემის შემდგომ I და II საუკუნის ავტორები: სტრაბონი, პლიტიუსი, არიანე და სხვ. დღევანდველ სოხუმსა და ადლერს შორის ჯერ ასახელებენ პერიოდებს, შემდეგ სანიკებს. ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნის ავტორი კლავდიოს პტოლომეუს სუანო-კოლხებს მოიხსენიებს. ეს ფაქტი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ პერიოდები, სანიგები და სუანო-კოლხები ერთი და იგივე ხალხის მნიშვნელი ეთნონიმებია. ამ მოსაზრებას ადასტურებს აგრეთვე VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიაში დაცული ცნობა დასახელებულ ტერიტორიაზე „სუანთა“ განსახლების შესახებ. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ტერმინები „პერიოდები“ და „სანიგები“ ქართულ ენაზე ასენას ექვემდებარება.

ქართველური ტომებიდან ქართები ამ ხალხს უწოდებენ სვანებს, ხოლო მათ მხარეს – სვანეთს; მეგრელების (ჭანები, ზანები) მიერ კი შონია შონეთია წოდებული. სვანები თავიანთ თავს მუშან-ს ეძახიან, ხოლო სვანეთს – შუან-ს.

ძველ ქართულ ნარატიულ წყაროებში იხმარება „სუანი“ და „სუანები“. ქართულ ში შ-ს ნაცვლად ს-ს ხმარება ბუნებრივია, რაღაც სვანურ-ზანური შ ქართულ ში ს-ს გვაძლევს.

ტერმინი სოან-შოან-სვან-მუშან და სვანეთი-შუან, ორი ათასი წლის მანძილზე ფიგურირებს ქართულ და უცხოურ წერილობით ძეგლებში, რაც ერთგვარი დითონის სახელისაგან შანარ უნდა მომდინარეობდეს. ლითონის ეს სახელი დაფიქსირებულია მეზობლად მდებარე რაჭაში. შანარ ტერმინში არ წარმომავლობა – მრავლობითის აღმნიშვნელი სუფიქსია. მუშან ეთნონიმში მუ მაწარმოებელი პრეფიქსია, რაც ძელითონებს ნიშნავს.

ისტორიული განვითარება. სვანეთი ანტიკური ხანიდანაა ცონბილი სხვადასხვა ლითონების მოპოვების კუთხედ. ძველი ბერძნი ავტორები სვანეთს უკავშირებენ მითს ოქროს საწმინის შესახებ. სვანთა წინაპრების მიერ მთის ამ რეგიონის ათვისება იქ ლითონის მოპოვებას უნდა მოჰყოლოდა.

ძველად სვანეთი ჯერ კოლხეთის სამეფოს ნაწილს წარმოადგენდა, ხოლო შემდეგ ეგრისის სამეფოს (ლაზიკის) შემადგენლობაში შედიოდა. ფარნავაზის დროს (ძ.წ. III ს. პირველი ნახ.) ის ქართლის სამეფოს ერთი საერთოსთაოთაგანია.

სვანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ალექსანდრე მაკედონელის 340-მდე ოქროს სტატერი, აგრეთვე ლისიმაქეს ოქროს სტატერებიც. უცხოური მონეტები მრავლადაა მიკვლეული დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებშიც, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ელინისტურ სამყაროსთან კოლხეთს გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ქწონდა..

მართალია, სვანეთის შესახებ ცნობებს უკვე სტრაბონისა (ძვ.წ. 64/63 – ახ.წ. 23/24 წწ.) და პლინიუსის (ახ.წ. 23/24 წწ.) შრომებში ვხვდებით, რომლებიც ისესენიებენ სვანებს, როგორც ყველაზე ძლიერსა და მეტროლ ტომს „დიოსკურიის მახლობელ მთიანეთში მცხოვრებ ტომთაგან“ სტრაბონი, XI, 2, 19), რომელთაც შეეძლოთ შეეკრიბათ 200000 კაცის რაოდენობით ლაშქარი. მიუხედავად ამისა, მისი ისტორიული წარსულის ზოგიერთი პერიოდი დღემდე უცნობია. სტრაბონის გადმოცემით, სვანები იმ დროისათვის პირველყოფილი თემური წყობილების უმაღლეს საფეხურზე იმყოფებოდნენ – გააჩნდათ სატომო საბჭო, ბეჭდი და სხვა.

IV ს-ში ლაზთა სამეფოს გაძლიერების შედეგად დამორჩილებული სვანები, როგორც ამას ანტიკური წეაროები გვიდასტურებს, ლაზეთის მეხარპენი გახდნენ. სარკოან (თაფლი, ტყავი) ერთად ისინი სამხედრო სამსახურსაც უწევდნენ ალბათ სამეფოს საზღვრების დასაჯვად.

თუმცა, სგანებს საკუთარი მთავარი ჰყავდათ, დასავლეთ  
საქართველოს სხვა ტომების მხგავსად, მისი გარდაცვალების  
შემდეგ ლაზთა მეფე მათივე ტომიდან უნიშნავდა მათ ახალ  
მთავარს. 457-474 წწ. შორის, გერისის დასუსტების შედეგად,

სვანეთი თავისუფლდება ლაზეთის ქვეშევრდომობიდან, იგი დამოუკიდებელი ხდება.

ვახტანგ გორგასლის დროს სვანეთი ქართლის შემადგენლობაში შედის და ინაწილებს მის ისტორიულ ბეჭდს. მემატიანის ცნობით, ვახტანგის ხელქვეით ერისთავთა ჩამოთვლისას იხსენიება სვანეთის ერისთავი. თუმცა, VI საუკუნის დასაწყისში ქართლს ეს უპირატესობა დაუკარგია და სვანეთი კვლავ დამოუკიდებლობას აღწევს, სარგებლობს რა ლაზეთსა და ბიზანტიის შორის ურთიერთობის გართულებით.

ქრისტიანობა სვანეთში, როგორც ჩანს, მიღებულ იქნა ლაზიკასთან ერთად, 523 წ.

VI ს-ში ბიზანტია და ირანი ერთმანეთს ექიშპებოდნენ სვანეთის გამო, რაც მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით აიხსნება. სვანეთი იცავდა ლაზიკის სამეფოს ჩრდილო კავკასიის ტომების თავდასხმებისაგან. 552 წ. ირანელები სარგებლობენ ბიზანტიასთან დროებითი (5 წლიანი) ზავის დადებით და იმორჩილებენ ლენქუმსა და სვანეთს, რაც იმით იყო განპირობებული, რომ ეგრისელები ცდილობდნენ თავი დაედწიათ ბიზანტიის ბატონობისაგან და მათი გარეპეული ნაწილი მხარს უჭერდა ირანელებს, მაშინ როდესაც ლაზეთის მეფე გუბაზი ბიზანტიიელებს უჭერდა მხარს. ეგრისელმა წარჩინებულებმა უქიმერიონის ციხე ჩააბარეს ირანელებს, რითაც ისინი ლენქუმ-სვანეთთან ერთად ეგრისსაც დაეპატრონენ. მაგრამ მალე მდგომარეობა შეიცვალა, მრავალი შეტაკების შედეგად გამარჯვება ბიზანტიიელებს დარჩათ. ეგრისში ირანელებმა დამარცხებულად ჩათვალეს თავი და ბიზანტიიელებს 25 წლიანი ზავით შეეკრნენ. ეგრისზე კი ხელი აიდეს, მაგრამ სვანეთის დატოვებას არ აპირებდნენ. 575 წ. შეტაკების შედეგად ბიზანტიიელებმა ირანელები არა მარტო სვანეთიდან გააძევეს, არამედ მთლიანად დასავლეთ საქართველო დააცლევინეს.

ამ დროისათვის ეგრისი მთლიანად ბიზანტიის გავლენის ქვეშ მოექცა. ეგრისის სამეფო თანდათან სუსტდებოდა, ხოლო აფხაზთა სამთავრო ძლიერდებოდა. VIII ს-ის 80-იან წლებისანგრით იმპერიის მხარდაჭერით ლეონ აფხაზთა ერისთავმა, რომელიც ამ დროს ბიზანტიის გასაღი იყო, შესძლო ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება, ხოლო საუკუნის დასასრულისათვის გაერთიანებულმა ეგრის-აფხაზეთმა თავი გაითავისუფლა ბიზანტიის გასაღი იყო და „სამეფო“ ჩამოედინდა. სხვა ქართველ ტომებთან ერთად, ეგრის-აფხაზეთის სამეფოში შედის სვანეთიც, როგორც ერთ-ერთი საერისთაო.

თავისი ტერიტორიით, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობით (ქართები, მეგრელ-ჭანები, სვანები, რომელთა

ეროვნულ ქნას ქართული წარმოადგენდა) და კულტურით აფხაზთა სამეფო ამ დროს ქართველ ქვეყნად წარმოგვიდგება, რაც უფრო მეტად განმტკიცდა, როდესაც მდვდელმშახურებაც ბერძნულის ნაცვლად ქართულ ენაზე გადავიდა. სანამ დასავლეთ საქართველო ბიზანტიის გამგებლობაში იოვიციალურ, გალესიისა და სახელმწიფო კანცელარიის ენის როლს ბერძნული ენა ასრულებდა. IX-X სს.-დან ოფიციალურ წარწერებში ბერძული ენის აღილს უკვე ქართული იკავებს.

დასავლეთ საქართველოს მთიანეთში – აჭარასა, აფხაზეთსა და განსაკუთრებით სვანეთში, სადაც თავიდანვე ესოდებ მძლავრად იყო გამოვლენილი და საუკუნეების მანძილზე მნიშვნელობას ინარჩუნებდა გვაროვნული ურთიერთობა, ფეოდალური საწყისები შედარებით სუსტად იყო გამოხატული.

XI ს-დან საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ, სვანეთი მისი ერთ-ერთი საერისთაოა. X ს-ში სვანთა ერისთავი ვარდანი ნანია ქვაბულისქეთან და კლდეგარის ერისთავ ივანე ლიპარიტის ძესთან ერთად ილაშქრებენ გიორგი II-ის წინააღმდეგ, რათა ხელში ჩაიგდონ ძალაუფლება დასავლეთ საქართველოში, მაგრამ დამარცხდნენ.

იმას, რომ სვანი ერისთავები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საქართველოს სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ადასტურებს XII ს-ის მაცხევიშის ეკლესიის მოხატულობაში წარმოდგენილი დემეტრე I-ის მეფედ კურთხვის სცენა, სადაც სვანთა ერისთავი ვარდანისძე მონაწილეობს მეფისათვის ხმლის შემორტყმის ცერემონიალში.

თამარ მეფის დროს სვანეთი საერისთავოთ-საერისთაოა, რომელსაც სათავეში უდგას ბარამ ვარდანისძე. მას მეჭურჭლეოუჩუცესის თანამდებობა ეჭირა. სვანები ამ დროს სამეფო ჯარში შედიოდნენ. თამარ მეფის კურთხვის ცერემონიალში მონაწილეობდნენ სვანეთის და მათთან ერთად არგვეთის ერისთავები – ვარდანისძე და ამანელიძე. მიუხედავად იმ დიდი სიყვარულისა, რომლითაც სარგებლობდა თამარ მეფე საქართველოში, თავის დროზე მას მოწინააღმდეგებიც გამოუწინდნენ. ფეოდალთა ერთი ჯგუფი გადაუდგა თამარს, მათ შორის იყო სვანი ფეოდალი ბარამ ვარდანისძეც.

სვანეთის ერისთავთა მუდმივმა მისწრაფებამ პოლიტიკური ავტონომიისაკენ გამოხატულება პპოვა იმ ფაქტში, რომ XIII ს-ის დასასრულს, დავით ნარინის სიკვდილის შემდეგ, შერვაშიძემ, დადიანმა, გურიელმა და მათთან ერთად სვანეთის ერისთავმა თავის საერისთაოებში დამოუკიდებელ

მმართველებად გამოაცხადეს თავი. მაგრამ შეფერ აღკვეთა მათი თვითნებობა, გაილაშქრა სვანეთში და ეცერში მორჩილებაში მოიყვანა სვანები. სვანთა ერისთავი ვარდანი გადასყვანა და მის ნაცვლად სვანი გელოვანი დანიშნა.

XIV ს-დან მოყოლებული საქართველო მუდმივ შემოსევებს განიცდიდა გარეშე მტრებისაგან. ამას თან ერთვოდა შინაგანი უთანხმოება, იზრდებოდა ადგილობრივ ფეოდალთა სეპარატისტული ტენდენციები. სუსტდებოდა ცენტრალურ ხელისუფალთა ძალაუფლება, რამაც კიდევ უფრო მეტად გაზარდა სვანეთის ფეოდალთა მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ. თუ განვითარებული შეს საუკუნეების ხანაში სვანეთი საქართველოს ერთ-ერთი საერისთაო იყო, ერთიანი საქართველოს სამთავროებად დაშლის შემდეგ, XV ს-ში, იგი რომელიმე ნაწილად დაიყო – ზემო – ბალზემო, „თავისუფალ“ ანუ „უბატონო“, ბალქემო - „სათავადო“, ანუ „სადადეშქელიანო“ სვანეთად – და ქვემო, ანუ „სადადიანო“ სვანეთად.

მართალია, სვანეთს არ განუცდია გარეშე მტრების შემოსევები, მაგრამ შექმნილმა ისტორიულმა ვითარებამ იგი თავის საზღვრებს მორის მოაქცია, შესუსტდა კავშირი მეზობელ რაიონებთან, ჩაიკეტა. ამ გარემოებამ გავლენა იქონია სვანეთის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რადგან მოიშალა ისტორიულად ჩამოყალიბებული ურთიერთობანი.

XVIII ს-ის პირველ ნახევარში სვანეთის შესახებ მეტად მცირე ცნობებია მოღწეული. ვიციოთ მხოლოდ, რომ სვანეთი კვლავ კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა და არავითარ მონაწილეობას არ დებულობს იმდროინდელ გაუთავებელ შინაომებში. კიდევ უფრო მეტად გაართულა ცხოვრების პირობები, საქართველოს ცენტრალური რაიონების ყოველდღიურ ცხოვრებას მოწყვეტამ დააკვეთითა კულტურული დონე; თუ მეორე მხრივ, სვანებს და საერთოდ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობას ადგილის სიმცირის გამო ისედაც ბარში უხდებოდათ სამუშაოს ძებნა, ახლა ქართლსა და კახეთშიაც კი ჩადიოდნენ სამუშაოს საძებნელად.

სვანეთი ყოველთვის საქართველოს ეკლესიის შემადგენელი ნაწილი იყო. XV ს-ის გუჯართა მიხედვით იმ დროს აფხაზეთისა ან იმერეთის ერთ-ერთ ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა. მოგვიანებით კი ძალაუფლება გადავიდა ლეჩხუმის ეპისკოპოსზე, რომელიც ცაგერში იმყოფებოდა.

XVIII ს-ში ქვემო სვანეთი – ლეჩების, ჩოლურისა და ლაშეთის თემები სამეგრელოს მთავარს ემორჩილებოდა, მაგრამ როგორც ამ დროის ისტორიული საბუთებით დასტურდება, დადიანის ხელისუფლების ძალა ლეჩხუმზედაც

გრცელდებოდა. დანარჩენი ნაწილი კი იმერეთის ხელქვეითად ითვლებოდა თავიდანვე. თუმცა, ამ დროს იმერეთის მეფეც სადადებელიანო და თავისუფალ სვანეთზეც ავრცელებდა თავის ხელისუფლებას. ყოველი ასეთი დაყოფა ეკლესიური დაყოფითაც იყო განმტკიცებული. XVIII ს-ში სადადიანო და თავისუფალი სვანეთი ცაგერის ეპარქიაში შედიოდა, ხოლო სადადებელიანო სვანეთი ცაიშელი ეპისკოპოსის სამწყსო იყო.

სვანეთის საერთო სახელმწიფო მომავალი თრგანიზმიდან გათიშვა საეკლესიო პრაქტიკაშიც აისახა. მღვდლების ხელდასმა აღარ იყო აუცილებელი. დვისმსახურება, რომელსაც ასრულებდა პაპი ან ბაპტი, როგორც მათ უწოდებდნენ სვანეთში, დაცილდა ჩამოყალიბებულ წესებს.

სვანეთის სამოვე ნაწილი – ქვემო ანუ სადადიანო სვანეთი (ცხენისწყლის ხეობა), ბალქემო ანუ საბატონო სვანეთი („სვანეთის სამთავრო“) და ბალზემო „თავისუფალი სვანეთი“ (ენგურისპირა სვანეთის აღმოსავლეთი ნაწილი) საგრძნობლად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან თავიანთი სოციალური განვითარების დონით. მაგალითად, XVIII ს-ში სადადიანო სვანეთში განვითარებული ფეოდალური ურთიერთობა იყო. მათი თემები დადიანებისა და თავადების – გელოვანებისა და გარდაფხაძეების ყმები იყვნენ. „თავისუფალ სვანეთში“ კი ამ დროს სოციალური განვითარების განსხვავებული საფეხური აღინიშნება. მართალია, იქ არსებობდა აზნაურთა ანუ „გარგო“ ფენა, მაგრამ ისინი მცირე უპირატესობით სარგებლობდნენ – მათ პქონდათ უფლება ბარის ფეოდალებს დამოუკრებოდნენ, პქონდათ ცალკე სასაფლაო და შრიგების დორს მათი სისხლი ორჯერ მეტად ფასობდა მეომეთა სისხლზე. სამაგიეროდ, მეომეები თავისუფლები იყენენ გლეხური ბეგარა-სამსახურიდან. მათი მეურნეობა არაფრით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. „გარგები“ თვითონვე ამუშავებდნენ მიწას. მიუხედავად ამისა, სოციალურ ფენებს შორის დაპირისპირება შეიგრძნობოდა, თემებსა და საგვარეულოებს შორის გაუთავებელი შუღლი და მტრობა სუფევდა. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ სვანი იმ ხალხთა რიგს მიეკუთვნებოდა, რომელმაც არ დაიდგა მონობის უდელი, ქედი არ მოიხარა, თუმცა ძალიან უჭირდა მწირი მიწის, ხანგძლივი ზამთრის დამებისა და უამინდობის გამო, რაც იძულებულს ხდიდა სარჩეოს საშოვნელად ბარში წასულიყო.

სვანეთის სამთავრო მოიცავდა ზემო სვანეთის დასავლეთ ნაწილს, ენგურის ხეობას, ბალის ქედის ქვემო მხარეს – იგივე სადადებელიანო სვანეთს. XVII-XVIII საუკუნეებში დადიშქელიანებსა და რიჩგვიანებს შორის გადამწყვეტი ბრძოლა გაჩადდა. XVIII საუკუნის შუა სვანებამდე ცხემარში

რიჩვიანები მძლავრობდნენ, ხოლო ეცერში დადიშქელიანები; ისინი ბრძოლას ეწეოდნენ პირველობისათვის. XIX საუკუნის 20-იან წლებში თვით მათი გვარეულობა და სამთავრო ორად გაიყო: დადეშქელიანთა უფროსი შტო ჩუბეხევს (სამეგრელოს მოსაზღვრე ტერიტორია) და უფლა, ხოლო უმცროსი – ეცერის, ცეუმარისა და ბექო-ლევანგანის თემებს. ორივე შტოს მეთაურები ერთპიროვნულ ბატონობას, სამთავროსა და მთელი სვანეთის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ. დადეშქელიანები დანარჩენ პრივილეგიებულ გვარეულობასაც დაუპირისპირდნენ. 1830 წლის მონაცემებით დადეშქელიანთა სამფლობელო 12 ათასი სულისაგან შედგებოდა, მაშინ როცა მთელი სვანეთი 25 ათასს ითვლიდა.

1857-1858 წწ. სვანეთის სამთავრო გაუქმდა, ხოლო მისი მოსახლეობა სვანეთის საბოქაულოში გაერთიანდა, რომელიც ლეჩემის მაზრაში შედიოდა.

**ბალსხემო სვანეთი** შემდეგში „თავისუფალ სვანეთად” იწოდებოდა. ტერიტორიულად მოიცავდა მდ. ენგურის ზემო დინების აღმოსავლეთ ნაწილს, ბალის ქედიდან სოფ. უშგულის ჩათვლით – ლატალის, ლენჯერის, მესტიის, მულახის, წვირმის, იფარის, ჰადიშის, კალისა და უშგულის თემებს. 1853 წელს ზემო სვანეთის ამ ნაწილს „თავისუფალი სვანეთი” ეწოდა, რადგან იგი მეფის რუსეთის ხელისუფლებას დაემორჩილა. ეს იყო უბატონო თემები და პირობით შეერქვა ასეთი სახელი.

**ქვემო სვანეთი** ანუ მოგვიანო პერიოდის სადადიანო სვანეთი მოიცავდა ცხენისწყალის ხეობას – ლაშეთის, ჩოლურისა და ლენტეხის თემებს. XVIII საუკუნის II ნახევარში ლენტეხის თემი დადიანებმა დაიმორჩილეს, ხოლო XIX საუკუნის დასაწყისიდან ქვემო სვანეთს, ანუ „ცხენისწყალის სვანეთს,” სადადიანო სვანეთი ეწოდა.

1930 წლიდან სვანეთის ტერიტორიაზე შეიქმნა ზემო სვანეთისა და ჩოლურის რაიონები. მალევე ჩოლურის რაიონი ქვემო სვანეთის რაიონად გარდაიქმნა, ხოლო 1953 წელს ზემო სვანეთის რაიონს მესტიის რაიონი ეწოდა, ხოლო ქვემო სვანეთისას – ლენტეხის რაიონი.

**არქეოლოგია.** სვანეთში არქეოლოგიური მონაპოვრების საერთო რაოდენობა ასეულობით განისაზღვრება. მათი ზოგადი ქრონილოგიური ჩარჩოები მოიცავს ხანგძლივ დროს – ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრიდან დაწყებული, ვიდრე გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით. როგორც ტიპოლოგიურ-ქრონილოგიურმა კლასიფიკაციამ გვიჩვნა, ეს მასალები განეკუთვნებიან ბრინჯაოს, ანტიკური და ფეოდალური ეპოქების სხვადასხვა საფეხურებზე გავრცელებულ

კულტურებს. მათში სწორედ სვანეთის ძველი მოსახლეობის სამეურნეო-კულტურული ცხოვრების და სოციალური ურთიერთობის სურათებია მეტ-ნაკლები სისრულით ასახული.

ნივთების დასამზადებლად გამოიყენებული მასალისა და დანიშნულების მიხედვით გამოიყოფა: 1. ქვის, ბრინჯაოსა და რკინის საბრძოლო-სანადირო და სამეურნეო დანიშნულების იარაღი: კაჟის ისრისპირები, ბრინჯაოს ცულები და ნამგლები, რკინის ნაირსახეობის ისრისპირები, ჭუბისპირები და სხვა. 2. ნახევრად ძვირფასი ქვის, მინის, პასტის, გიშრის, ქარვის, ძვლის, ბრინჯაოს, ვერცხლის და სხვა მასალისაგან დამზადებული ფუფუნების საგნები: მძივ-სამკაული, სამაჯურები, სათითე ბეჭდები და სხვა. 3. საკულტო-სარიტუალო, საპარადო დანიშნულებისა და ხელისუფლების მანიშნებელი ინსიგნიები: ბრინჯაოსა და რკინის კვერთხები, ლითონის, ქვის, გიშრისა და ძვლისაგან დამზადებული პლასტიკური გამოსახულებები. მხატვრულად გაფორმებული იარაღი, საბეჭდავები, სამჯურნალო ქვები და სხვა. 4. ნუმიზმატიკური მასალა: სხვადასხვა საუკუნეებში ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოსაგან მოჭრილი ქართული, ბერძნული, ბიზანტიური, არაბული, სპარსული და თურქული მონეტები.

ყველა არქეოლოგური ნივთის დეტალური აღწერა-განზოგადება ძალიან შორს წაგვიყვანდა, რაც ჩვენი თემის მიზანს სცილდება.

**ყოფის დამახასიათებელი რეალიები.** XIX ს-მდე სვანეთში ძირითადად ცხოვრობდნენ ქვითკირის ორსართულიან სახლში, რომლის ზედა სართულში ინახავდნენ სანოვაგესა და საქონლის საკებებს. ქვედა სართულში ოვითონ ცხოვრობდნენ. მძიმე საზამთრო პირობების გამო, განყენებულად არსებულ „გვალში“ ათავსებდნენ საქონლსაც. შეუადგილას ენთო ცეცხლი, რომელთანაც მოწყობილი იყო ოთხფეხა რკონის „კერაი“, რომელზედაც ცხვებოდა პური. ცეცხლთან ჩამოშეებული იყო „ნაჭა“, რომლითაც იხარშებოდა საკვები. ოთახში იდგა შესანიშნავად მოწუქურომებული ხის სკამები და „საკუცხვილ.“ (საუფროსო სკამი „მახვშვისათვის“). სტუმრთმოყვარე სვანებს მუდამ მზად ჰქონდათ ჩუქურთმებიანი სავარძელი ეწ. „ლურგმალ.“ ცომის მოზელვა ხდებოდა სპეციალურ ხის ჯამში, რომელსაც „ჯარ“ – ეწოდებოდა. ქერში ნაჭის პირდაპირ გაკეთებული იყო საკვამური. სახლში განსაკუთრებულად სუფთა კუთხე მიჩნეული იყო რძის ნაწარმის მოწყობილობა და წყლის ჭურჭლისათვის. ქვედა სართულს „მაჩუბი“ ეწოდებოდა, ხოლო ზედა სართულს - „მაჟიბ“ ანუ „დარბაზ“. ზაფხულში ავეჯი აჯონდათ დარბაზში და იქ იძინებდნენ. ზამთარში კვლავ

მაჩუბს უბრუნდებოდნენ. სახლს დიდი თოვლიანობის გამო ფართო ფანჯრებს ვერ უკეთებდნენ და განათება ძირითადად კვარის ან ხის გამხმარ ქერქის საშუალებით ხდებოდა. ოთახში ხის ჯამ-ჭურჭელთან ერთად ხშირი იყო სპილენის ღოქები და სხვა ჭურჭლეულობა. კედელს ამშენებდა არჩვის და ჯიხვის რქები. ზაფხულში საქონელი ცალკე ბაგბში გადატყვადათ. სახლს გარს ერტყა სუფთა ეზო, კალო და ბალსქვემო და ქვემო სვანეთის რიგ სოფლებში – ბოსტანიც. თავისთვად ცხადია, რომ მებატონე დადეშქელიანებისა და მთელ რიგ აზნაურთა სახლებარი შედარებით უკეთ იყო მოწყობილი.

სვანებს აღნიშნულ დროს ეცვათ პერანგი, ჩოხა, შარვალი, პაიჭები, ყაბალახი და სხვა. შეკერილი შალის ან ტილოსაგან. თავზე იხურავდნენ მშვენიერ სვანურ ქუდს. ფეხთ ეცვათ წინდები, ქალამანი („ჯაბირ,” „ბანდული”) „ლბარარებით” შემოჭერილი ქალამნებში იტნენენ, „წერქას.” ეს იყო ძაფივით წერილი და გრძელი ბალახი, რომელიც მთაში იზრდებოდა და ფეხის თბილად შენახვაში დიდ სამსახურს უწევდა ადამიანს. დიდ თოვლიან მგზავრობაში ხმარებაში იყო მრგვალი თხილამურები ან წრიპები.

სვან ქალებს ეცვათ პერანგი, შალის ქაბა, ხავერდის ქათიბები და გულზე ნაქარგი „ჩაფრასტარი”. ფეხზე ეცვათ ნაზად დამუშავებული ტყავის რბილი ქალამნები, ყელზე ეკეთოთ მძივები ქარვისა და გიშრისაგან. ატარებდნენ ბეჭდებს, საყურებებს, სამაჯურებს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქალი სვანეთში საერთოდ დიდი პატივისცემით სარგებლობდა. მაგრამ ამასთან ერთად ეკისრებოდა და მის უმაღლეს მოვალეობად ითვლებოდა შვილების ღირსეულად აღზრდა და სისუფთავის დაცვა. ქალს სვანეთში აუცილებლად უნდა სცოდნობდა ჭრა-კერვა, ქარგვა, ქსოვა და საოჯახო საქმე. ამიტომაც დედები თავიანთ ქალიშვილებს დიდის მონდომებით ასწავლიდნენ და თაობიდან თაობას გადაეცემოდა ეს ცოდნა.

მეომარი სვანი შეიარაღებული იყო შვილდ-ისრით, კაჟიანი თოვით, რომლისთვისაც საჭირო – მისსივე დამზადებულ ტყვია-წამალს სარტყლით ატარებდა სავაზნითა და ქისით. მასვე ეკეთა ადგილობრივი დამზადების ხანჯალი, დანა, ხელში ეჭირა „მჯრა” – ხის ჯოხი, რომლის რეინის წვეტანით მთავრდებოდა და ძალზე მოხერხებული იყო, როგორც სამოგზაუროდ საფრთხე ადგილებში, ასევე ბრძოლის დროსაც. იგი გამოყენებული იყო, როგორც დასამიზნებლად თოვდასაყრდენი საშუალება. XIX ს-ის მეორე ნახევრიდან, ჩანს რომ შეიარაღება გაუმჯობესებულა. ხმარებაში შემოდის დამბაჩა, „ლივერი,” დაშნა, ბერდანისა და მარტინის სისტემის თოვები. აღნიშნული საბრძოლო იარაღები, ცხადია,

გამოყენებული იყო ნადირობის დროსაც. ნადირობა ადრიდანვე, საკმარი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ამ მხარის ცხოვრებაში. მონადირე დილით გამოენისას ოჯახის წევრებისა და სოფლის მცხოვრებთა გაუგებრად გაიპარებოდა სანადიროდ, თან მიჰქონდა ჯგრაგისათვის (წმინდა გიორგისათვის) შესაწირი არაყი, „ლეგმზირარ“ (საღოცავი ხაჭაპური) სანთელი და სწირავდა ღმერთს. ბედნიერი ნადირობის შემდეგ ისევ ჩუმად ბრუნდებოდა ოჯახში. ხორცით გაუმასპინძლდებოდა მეზობლებს, ხოლო არჩვის ან ჯიხვის რქებს ან ეპლების სწირავდა, ან სახლში იტოვებდა, ან ყიდდა. რაც შეეხება დათვის და კვერნის ტყავს – ყიდდნენ. სვანეთში დასაბამიდანვე მისდევდნენ მჭედლობას. თვით მჭედლები დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. მათი ხელით „მაგიური ძალის მქონე რიგი“ თვინიერდებოდა. ისინი ამზადებდნენ ნაჯახს, ცულს, დანას, ბარს, ნამგალს, ხერხს, საჭრეთელს, სახნისებს, ჯაჭვებს, „ზამს“ (არყის გამოსახდელად).

სვანეთის მთავარი სიმდიდრე - ტყე - დურგლობის განვითარების კარგ საშუალებას იძლეოდა. სვანები ადგილზევე ამზადებდნენ: უდელს, მარხილს, ხის გუთანს, კავს, კვერს და ყველა ნიგოს რაც ადგილობრივ მეურნეობას ესაჭიროებოდა. ხელოსნების ხელით ითლებოდა კვებასთან დაკავშირებული საოცარად ლამაზი ჯამ-ჭურჭელი, ასევე არყის გამოსახდელი მოწყობილობა: „რაყ“ (მრგვალი ხის დიდი გომი) „ბარ“ – წყლის სათავსო გამოხდის პროცესში, სხვადასხვა სახის პატარა გომები, რომელთაც „გაბარს“ უწოდებდნენ.

სვანურ ოჯახში ტრადიციულად საქმაოდ მაღალი ქულტურის ავეჯი იყო ხმარებაში. „ფიჩ“ – მაგიდა სტუმრისათვის, „საბურცხილ“ – სკამი მახვისათვის, „ბოჯგ“ – სამფეხა სკამი, „ლეგიმ“ – გრძელი ზურგმისაუდებელი დივანისებური ფართო ხის სკამი, „ბანდარ“ – გრძელი ოთხფეხა ერთიანი ფიცრის საჯდომ-საწოლი, ლამაზად მოჩუქურთმებული „ლგინ“ – საწოლი და სხვ. ოჯახში პრაქტიკულად დიდ როლს თამაშობდა „ტაბაგ“ – პატარა სამფეხა ან ოთხფეხა სუფრა. მისი გადაადგილება ადვილი იყო. ძვირფასი ნივთები ინახებოდა კიდობანისა და სკივრებში. კიდობები და სკივრები მოჩუქურთმებული იყო მზის, მთვარის, ჯვრისა და სხვა საღვთო გამოსახულებებით. კარგი სკივრი მზითვისათვის მზადდებოდა.

ოდითგანვე სვანეთში მდეროდნენ როგორც საერთო ქართულ, ასევე სვანურ ისტორიულ საყოფაცხოვრებო, სანადირო, სარწმუნოებრივ, საწესჩვეულებო, „ტყვეთა სყიდვის,“ ბატონიური დამოკიდებულების, სასიყვარულო, საბრძოლო და

სხვა თემატიკის ხასიათის სიმღერებს. მათ შორის უძველეს ისტორიულ სიმღერებს განეკუთვნებიან „ჯგურაგიშ”, „ლილე” „კვირია”, „რიპო”, „დალაკოჯას ხელდგაუალე”, „ბარბალდოლაშ” და სხვ. ასევე ისტორიულია სიმღერები: „თამარ დედოფალ”, „ყანსავ ყიფიანე”, „დედეშ გურმაჩი”, „ლაბმლდ ლაშქარ”, „ბერვია ლაშქარ” და სხვ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ XIX ს-ში სვანეთის ბრძოლა რუს დამპურობელთა წინააღმდეგ აისახა სიმღერებში როგორიცაა: „ბახთუნგერ,” სადაც მებრძოლ გმირად გამოყვანილია ისმაილი. „ვატი ნარსავიძე” – სადაც მებრძოლი გმირია ოვით ვატი ნარსავიძე, „გაულგავხე” – სადაც 1876 წ. აგვისტოში ზემო სვანეთში სოფ. ხალდესთან დამპურობელ ცარიზმის რუსეთის წინააღმდეგ გმირულად მებრძოლი ხალდელი ვაჟაცები გურმაჩი და ჭოხანი მოიხსენებიან, როგორც მტრის წინააღმდეგ „სასტიკი მებრძოლები,” „კონსტანტინე დადეშქელიანი” – სადაც ხოტბაა შესხმული კონსტანტინე დადეშქელიანისადმი, რომელმაც ქუთაისში ხალჯლით განგმირა გენერალი გ. გაგარინი და სხვ. ბატონუმური ურთიერთობა ასახულია სიმღერებში: „ვოთარ ფუსდა დაჩქელანა,” „ციუჟ ი მიჩა ლაშქარ,” „ვიცბილ-მაცბილ,” „ნამსურ,” „ლებსუჟ ჯაჭვლიან,” „ვარგალ,” „როსტომ ჭაბიგ” და სხვ. მრავალში. „ტყვეთა სყიდვა” – ასახულია სიმღერებში „ჯაფსუჟ გოშთელან,” „ვიცბილ-მაცბილ” და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ სიმღერა სვანთაოვის საკმაოდ დამახასიათებელი თვისება იყო. ისინი მდეროდნენ შრომის, მგზავრობის, ქიოვის დროს. ცნობილია სვანური სამგლოვიარო სიმღერებიც: „ზარი,” „დედეშდედეშ მირანგულა.” „ზარი” – მრავალვარიანტში სრულდება. სხვათა შორის სიმღერის სახელს ატარტებს სოფ. ხაიშის გარეუბანში არსებული ეკლესია - „ლალრალაშ თარგლეზერ.” სვანურ სიმღერათა ციკლი იმდენად მრავალფეროვანია, რომ ყველას ჩამოთვლა უბრალოდ შეუძლებელია.

ცეცხლოვანია სვანური ცეკვა-თამაშობანი. მას განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი. თავისი მადალი ახოვანი ტანით საოცარი დარბაისლობით, ცეკვა-თამაშითა და სილამაზით მნახველის, და საერთოდ ქალთა საზოგადოების უურადღებას იქცევდა სვანეთის უკანასკნელი მთავარი კონსტანტინე დადეშქელიანი, რომელსაც სვანეთში თათარ-ხანს უწოდებდნენ.

სვანეთში უხსოვარი დროიდან მიწათმოქმედების და მესაქონლეობის კულტურა იდგა საქმაოდ მაღალ დონეზე. კარგად იყო განვითარებული მეფუტერეობის კულტურა და საერთოდ კულტურის სხვა დარგებიც.

**სვანური ენა.** სვანები წარმოადგენენ უძველეს იბერიულ-კავკასიური წარმოშობის მოსახლეობას და მიეკუთვნებიან ქართველურ ეთნიკურ ჯგუფებს, მსგავსი თავისებურებების მქონე ენითა და კულტურით. მაგრამ რადგან სვანური უდამწერლობო ენაა, ამიტომ სვანებისათვის იმთავითვე სალიტერატურო ენად საერთო ეროვნული, ქართული ენა ითვლებოდა.

ენობრივი მონაცემების საფუძველზე მეცნიერები ასკვნიან, რომ ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში სვანურ ტომებს ურთიერთობა პქონიათ ხეოურ-ხურიტულ მოსახლეობასათან. სვანები ამ დროს ქართველურ ტომთა გავრცელების ჩრდილოეთ არეალში იყვნენ დასახლებულნი. ამავე ენობრივი მონაცემების საფუძველზე ვარაუდობენ, რომ მათ იმ დროს გაცილებით მეტი ტერიტორია ეპავათ, ვიდრე მოგვიანებით. სვანთა ტომი დასახლებული იყო არა მარტო მთიან, არამედ ბარის რაიონებშიაც. ამას ტომონიმიების მონაცემებიც ადასტურებს, ხოლო სვანური ენის ლექსიკა რომ უფრო ვრცელ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული, გეოგრაფიულ სახელწოდებათა კვალიც მოწმობს.

**სვანური კოშკები.** სვანეთის სიმბოლოა კოშკები. დიდი რაოდენობითაა შემორჩენილი სვანური კოშკები მასზე მიღებული საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების სხვა ნაგებობებითა და ციხე-დარბაზებით. მათ შორის, გამოირჩევა დადიანის ციხე-დარბაზის კომპლექსი ლენტებში, ლექსურის შუა საუკუნეების კოშკები და სხვ. მრავალი. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ბალსზემო სვანეთზე მოდის. უფრო იშვიათია საბატონო და სადადიანო სვანეთში. მათი რიცხვი 200-ს აღემატება. თუ როდის დაიწყო მათი შენებლობა, ეს ჯერ-ჯერობით დაუდგენელია. ის კოშკები, რომელთაც სათოფური ჭუჭრუტანები („სამცხვირ“) აქვთ, ძირითადში უნდა აშენებულიყვნენ XV საუკუნიდან, რადგან ჩემი თოვფი ფაქტიურად XV საუკუნის ბოლოდან შემოდის სმარებაში. ადგილობრივ მეცნიერთა ვარაუდითაც სვანური კოშკები 400-500 წლისა მაინც უნდა იყო.

სვანეთში კოშკი ოჯახთა იმრავლესობას ჰქონდა და სანგძლივი დროის განმავლობაში ურთიერთდახმარების გზით უნდა აშენებულიყო. მისი მშენებლობა მოითხოვდა მრავალმხრივ ცოდნას -ზვავთსაში შროების, მიწის სიმაგრის, მტრის დასახვედრად მოხერხებული თუ საშინაო საქმიანობისათვის შესაფერისი ადგილის გამონახვას. ერთი სიტყვით, საჭირო იყო სანგძლივი გამოცდილება, საუკუნეობრივი თვალთახედვით მიღებული პრაქტიკა, რომ ეს

საოცარი კოშკები, ასეთი სიმაგრისა და აგებულების აშენებულიყო.

საბრძოლო დანიშნულების მიზნით კოშკები შენდებოდა ისე, რომ საჭიროების დროს შესაძლებელი ყოფილიყო მშვიდილისრის სროლა, ლოდების გადმოგდება, ცხელის გადმოსხმა, თოვით სროლა და სხვ. კოშკები ერთომეტორეზე დადგმულ ოთხებად არის დაყოფილი. მირი მისი ანუ პირველი ოთახი „დილეგის“ სახელწოდებითაა ცნობილი. მეორე და მესამე სართულზე ხშირია ჩაკირული ქვევრები და კიდობნები. ისინი საჭირო იყო თავდაცვის დროს. ე.ი. როცა მერის შეშით გასასვლელი გზა შეკრული იყო, შიგნით მყოფი ადამიანი ქვევრში შერნახული წყლითა და კიდობნებში მოთავსებული საკვებით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ. კოშკები ძალზე მტკიცე შენდებოდა. 1876 წელს, როცა დამპყრობელმა ოუსებმა „ხალდეს ტრაგედია“ დაატრიალეს, კოშკს მთის ზარბაზანი დაუშინეს, მაგრამ ვერ დაანგრიეს. მისი წაქცევა მოახერხეს ოთხივე მხრიდან ძირში ლალუმის ჩადებით და ისიც წაიქცა დაშლისა და დანგრევის გარეშე თითქმის მოლიანი.

სეანეთში კოშკებს, გარდა თავდაცვისა, იყენებდნენ საოჯახო-სამეურნეო დანიშნულებისთვისაც. იქ ინახვდნენ სხვადასხვა-ხიბაკ-ხებაკს, არაყს, ლორს, ყველს, ხორცს ზაფხულში სიგრილისათვის. კოშკი შესანიშნავად ინახვდა ხორბალს და საერთოდ პურულს. ზოგს კოშკში ჰქონდა პურის სათავსო კიდობნები. იგი ინახვდა ყველანაირ ნივთს, რომლის გამოჩენაც ოჯახს არ უნდოდა. ყოველივე ამის გამო კოშკი ძვირად ფასობდა და ღირდა „ერთი მესამედი სახლ-კარობისა.“

**მოსახლეობა.** საქართველოს კავკასიონის სხვა მთიანი რაიონებისაგან განსხვავებით სეანეთში ბოლო დრომდე მოსახლეობის რაოდენობა არ მცირდებოდა. პირიქით, თითქმის საუკუნის განმავლობაში (1886-1979 წწ.) იგი გაორმაგდა, რაც პირველ რიგში, სეანების ცხოვრების ტრადიციებითა და ანტიმიგრაციული განწყობით აიხსნება.

სეანეთის მოსახლეობის ადგილზე დაკავება განპირობებული იყო შემდეგი მიზეზებით: 1. ერთ სულ მოსახლეზე სასოფლო-სამეურნეო მიწების, კურძოდ სათიბ-საძოვრების გაცილებით მეტი ფართობი (4,2 ჸა, 1970წ.) მოდიოდა, ვიდრე რაჭა-ლექჩეულში (0,9 ჸა), აღმოსავლეთ კავკასიონის მხარეში (2,5 ჸა) და სხვ. ამდენად, აქ მეცხოველეობის განვითარებისა და მოსახლეობისათვის შედარებით უკეთესი მატერიალური პირობები არსებობდა; 2. სეანეთის გეოგრაფიულმა მდებარეობამ, „გარე სამყაროსაგან“ მისმა შედარებითმა იზოლირებულობამ ხელი სეუწყო

საუკუნეების მანძილზე შექმნილი ტრადიციების, მათ შორის თემისა და გვარის ცხოვრების წესის შემონახვას, რაც მიგრაციის შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენს. 3. მაღლმთიან ბუნებრივ პირობებს შეგუებული მოსახლეობა ძნელად იტანდა მიმდებარე კოლხეთის ბარის ჭაობიან კლიმატს. სვანეთში მოსახლეობის შედარებითმა დამაგრებამ ხელი შეუწყო შედარებით მაღალი ბუნებრივი ნამატის შენარჩუნებას და მცხოვრებთა რიცხვის ზრდას.

მაგრამ უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში მხარის დემოგრაფიული სიტუაცია გაუარესდა. 1987 წ. დიდოვლების შედეგად მომხდარმა სტიქიურმა უბედურებებმა გამოიწვია სამთავრობო ღონისძიება-სვანი მოსახლეობის ორგანიზებული ჩამოსახლება საქართველოს ბარის რაიონებში. აღნიშნული გარემოების და, მთლიანად, ქვეყანაში განვითარებული პროცესების შედეგად, სვანეთში მოსახლეობის რიცხოვნობის და ბუნებრივი მატების მაჩვენებლების შემცირება მოხდა.

2000 წლის დასაწყისისათვის სვანეთის მოსახლეობა 24,5 ათას კაცს შეადგენდა (საქართველოს მოსახლეობის 0,53%). აქედან, ზემო სვანეთში მცხოვრებთა რიცხვი 15,0 ათასი (61,1%), ქვემო სვანეთში-9,5 ათასი (38,8%). მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ერთგვაროვანია-ქართველები მოსახლეობის 99,3%-ს შეადგენენ. საქართველოს ამ ერთ-ერთი ყველაზე მეტებრად დასახლებული რეგიონის მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კმ<sup>-2</sup> 5,4 კაცია, მაგრამ მაღალია მოსახლეობის სიმჭიდროვე დამუშავებულ მიწებზე (475 კაცი, განსაკუთრებით ზემო სვანეთში-655 კაცი 1 კმ<sup>-2</sup>).

სვანეთი სასოფლო განსახლების მხარეა (189 დასახლებული პუნქტიდან 187 სოფელია), სადაც ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 77,5%. ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარეობს უშაულის თემის ს. ჟიბიანი (2200 მ-ზე). სვანეთის მოსახლეობის მცხოვრებთა დაახლოებით 77,0% განსახლებულია ზ.დ. 1200 მ-ზე ზევით, ხოლო ამავე საზღვრებში-ქვემო სვანეთში მხოლოდ 1/3. მესტიის რ-ნის განსახლების არეალი მიუკება მდებრურისა და მისი შემდინარეების (მულეურა, დოლასევიფი, მესტიაჭალა და სხვ.) ხეობებს. 1200 მ ზევით იზრდება სოფლების და იქ განლაგებული სვანური კოშკების რიცხვი, რომლებსაც ძველად მტრებისაგან თავშესაფრად იყენებდნენ. ლენტეხის რ-ნის განსახლების არეალი ძირითადად მდ. ცხენისწყალს მიუკება.

მხარის სოფლების უმრავლესობა მცირე ზომისაა. 90 სოფელში მცხოვრებთა რიცხვი 10 კაცამდეა, ხოლო 80 სოფელში -50-მდე. ნასოფლართა რიცხვი ორ ათეულს აღწევს.

ზემო სვანეთში ყველაზე დიდი სოფელი ხაიშია (529 კაცი), ქვემო სვანეთში-ს.ხელვედი (590 კაცი). სუსტად ურბანიზებულ სვანეთში არც ერთი ქალაქი არ არის. ქალაქის მოსახლეობა მხოლოდ ორი დაბის-მეტისისა და ლენტების მცხოვრებლებით (5,4 ათასი კაცი) არის წარმოდგენილი.

**მესტია** (ყოფილი სეტი, დაბად 1968 წელს გამოცხადდა) ადმინისტრაციული და აულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრია (3,0 ათასი მცხოვრები); მდებარეობს მესტიის ქვაბულში, მდინარეების-მესტიაჭალისა და მულხურის გაშლილ ნაპირებზე, ზ.დ. 1500 მ სიმაღლეზე. დაბა ქართული ხუროთმოძღვრებისა და ეთნოგრაფიის ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლია, სადაც კარგად არის შემონახული სვანური სახლ-სიმაგრეები და შეუძლია საკულტო ნაგებობანი, მათ შორის ადსანიშნავია მაცხოვრის ქვით ნაგები ორსართულიანი დორისმშობლის („ლამარია“) სეტის მთავარანგელოზთა და ფუსტის ეკლესიები. მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული მდიდარი მასალიდან უნდა აღინიშნოს სვიმონ მესვეტის ხატი (XI ს.), ძველი ქართული ენისა და მწერლობის უძველესი ძეგლი-ადიშის ოთხთავი (879 წ.), ქართული ჭედური ხელოვნების მრავალი ლირსშესანიშნავი ნიმუში და სხვ. მესტია სვანეთის ტურიზმის ცენტრია, რომელსაც განვითარების კარგი შესაძლებლობანი გააჩნია.

**ლენტები** (დაბად 1969წ. გამოცხადდა) რაიონის ადმინისტრაციულ-კულტურული და სამეურნეო ცენტრი (2,4 ათასი მცხოვრები მდებარეობს სვანეთის ქედის სამხრეთი კალთის ძირში, მდ. ცხენისწყლის ნაპირზე (ზ.დ. 760 მ) და უახლოესი რკინიგზის სადგურიდან (ქუთაისი) დაშორებულია 102 კმ-ით. დაბის საყურადღებო ლირსშესანიშნაობებია დადიანების ციხე-დარბაზის კომპლექსი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ტურისტული ბაზა.

**ტრანსპორტი.** საქართველოს ბართან სვანეთი ორი საავტომობილო გზით არის დაკავშირებული. პირველი-მესტია-ზუგდიდის (136 კმ) მდ. ენგურს მიუყვება, მეორე კი-ლენტები-ქუთაისის (102 კმ)-მდ.ცხენისწყალს. ზემო და ქვემო სვანეთს კი ერთმანეთთან მუდმივი სატრანსპორტო მიმოსვლა არა აქვთ. მათი დამაკავშირებელი საავტომობილო გზა მხოლოდ ზაფხულში მოქმედებს. ადგილობრივი საავტომობილო გზების საერთო სიგრძე დაახლოებით 315 კმ-ს შეადგენს. დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს რეგიონისთვის სათიბ-

საძოვრებამდე მისასვლელ გზებს, რომელთა უმრავლესობა კეთილმოუწყობელია.

ორივე რაიონს აქვს სპასტორი კავშირი თბილისთან და ქუთაისთან, მაგრამ რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო იგი არარეგულარულია.

**სვანეთის ხელოვნება.** სვანეთი მდიდარია ძველი კულტურის ძეგლებით. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ სვანეთში შემორჩენილია ჭედური ხელოვნების 1000-ზე მეტი ძეგლი, 200-ზე მეტი კოშკი და 100-მდე ეკლესია. განსაკუთრებულ სიმრავლეს ჯვარ-ხატებისა და ხელნაწერებისა, რომელიც სვანეთში იყო და დღესაც არის ბევრს აფიქრებინებდა და ცდილობდნენ აეხსნათ იმით, რომ სვანეთში ეზიდებოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ამ ნივთებს შესანახად და გადასარჩენად, რათა ეხსნათ მტერთა შემოსვების დროს განადგურებისაგან. ეჭვი არ არის რომ ამასაც ექნებოდა ადგილი განსაკუთრებით წვენი ერის ისტორიის უმძიმეს პერიოდებში, მაგრამ როგორც ჩატარებულმა მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ აჩვენა, ცხრა მეათედი ჯვარ-ხატებისა თვით სვანეთშია დამზადებული. ამას მოწმობს სვანიზმები წარწერებისა, გვარები შემკვეთელებისა და ოქრომჭედელთა.

საქართველოში ყველაზე უფრო მკვეთრად გამოსახულმა ეთნიკურმა რეგიონმა განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შემოგენიახა მის ბუნებრივგაორაფიულ გარემოსთან შესამებული მდიდარი მატერიალური და სულიერი კულტურა – არქიტექტურის, ფერწერის, ოქრომჭედლობის, ქანდაკების, ძველი მეტალურგიის, ხელნაწერების, მინიატურის, ქსოვანაქარგობის, მუსიკისა და პოეზიის სრულფასოვანი ძეგლები. მათ პირველწეროს მნიშვნელობა აქვთ საქართველოს ძველი ისტორიისა და კულტურის გასაშუქრებლად. ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი უნიკალურია და მეცნიერები მსოფლიო-მნიშვნელობას ანიჭებს. ამიტომ, ბუნებრივია, ის დიდი ინტერესი, რასაც სვანეთის მიმართ იჩენდნენ ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან მოყოლებული.

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში მატერიალური კულტურის ძეგლებიდან დაცულია ქართული ხელოვნების მრავალი დირსმესანიშნავი ნიმუში. დღემდე მოაღწია ათასზე მეტმა ჭედურმა ჯვარ-ხატმა, კედლის მხატვრებამ, ეპიგრაფიულმა ძეგლებმა, ფრესკებმა. შემორჩენილია საღვთო წიგნები – მათ შორის IX საუკუნის ხელნაწერი „აღიშის სახარება – ოთხთავი,” სახარების X-XIII სს. ხელნაწერი და სხვ.

ამჟამად სვანეთის ნიკოლერი კულტურის ძეგლების უმთავრესი ნაწილი მესტიის მუზეუმსა და ეკლესიებშია დაცული, ხოლო უფრო მცირე – მოსახლეობაშია გაბნეული. ბუნების ძეგლები. სვანეთის ბუნების ძეგლებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მყინვარის მიერ გადაადგილებული ვეებერთელა ლოდები. მყინვარის მიერ სვანეთის ქედის უმაღლესი წერტილიდან ჩამოტანილია ლაპიჭალის (მესტიის რი) ლოდი. ეს 10 მეტრიანი ლოდი ტყიან ზოლში მდებარეობს. ზემო სვანეთის რეგიონშია აგრეთვე ფერხულის ქვა (20X20X18), რომელიც ხალდეს მყინვარის მიერაა ჩამოტანილი “მცირე გამყინვარების ეპოქაში”. ლოდი დახრილად დევს ალპურ მდელოზე. სოფ. იფარში კი ერთ-ერთ ლოდზე სვანური კოშკია დაშენებული.

კლდეებარისებურ ხეობაში მიედინება მდ. ენგურის ზემო ნაწილი. ხეობა კლდოვან ნაპრალს წარმოადგენს, ჯერ მთავარ და სვანეთის ქედების კონტრფორსებს, შემდეგ კი აფხაზეთ-სვანეთისა და სამეგრელოს ქედებს შორის. კანიონისებური ხეობა მესტიაჭალის ქვემო ნაწილში, მესტიის მიდამოებსა და უფრო დაბლაც. მულხრის ხეობის ფსკერში ჩაჭრილია ვიწრო და საკმაოდ ღრმა კანიონი, რომელშიც მდინარე ხმაურით მიედინება. სოფელ ჟაბეშს ზემოთ მდ. მულხრას მდგენელი, მყინვარებიდან გამომდინარე ნაკადები ვიწრო, კლდოვან ხეობებში მოედინებიან, რომლებიც ნაწილობრივ, ჩამოზვავებული ოვალით ივსება ხოლმე.

**ტურიზმი.** მთის ჯანსაღი ჰავა და მინერალური წყლების უხვი რესურსები ფართო შესაძლებლობებს ქმნის კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტების მშენებლობისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ თუ სვანეთის საკურორტო მეურნეობა, მისი ოპტიმალური განვითარების პირობებშიც ძირითადად ადგილობრივი მნიშვნელობის დარჩება, სამაგიეროდ, ტურიზმს აქვს შესაძლებლობა საერთაშორისო მნიშვნელობის გახდეს. ამისათვის აქ არსებობს შესანიშნავი ბაზა-კავკასიონის მაღალმთიანი ლანდშაფტები, ტყეში ჩაფლული მდინარეთა ხეობები, საცეცხლო სილამაზის ჩანჩქერებით, მაღალი მწვერვალები, მხარის ცხოვრების წესის ამსახველი ძეგლები (საგვარეულო-საცხოვრებელი სახლები საბრძოლო კოშკებთან ერთად, ეკლესიები, სალოცავები და მრავალი ორიგინალური არქიტექტურის ნიმუში), რომელიც ყოველთვის იზიდავს მნახველს.

სვანეთი ალპინიზმის მხარეა. კავკასიონის მთავარი ქედისა და სვანეთის ქედის ძნელადმისადგომი მწვერვალები (უშბა,

შეარა, თეონულდი, აილამა, რუსთაველის პიკი და სხვ.) დიდი ხანია იზიდავენ ალპინისტებს. ასევე მაღალია ადგილობრივი მთასვლელების ოსტატობა და ავტორიტეტი, რამაც თავის დროზე ალპური ბანაქებისა და ბაზების შექმნა განაპირობა. მათი აღორძინება მხარის და ქვეყნის პრესტიუს საქმეა.

ამჟამად სვანეთში ტურისტულ საქმიანობას რამდენიმე მცირე კერძო ფირმა ახორციელებს. დამყარებულია უშუალო კავშირები დასავლეთ ეკრაპის რიგ სახელმწიფო ბორბოტონი (გერმანია, პოლანდია, საფრანგეთი და სხვ.). მომავალში ტურიზმი სვანეთის ეკონომიკური აღმავლობის ერთ-ერთ არსებით ფაქტორად უნდა იქცეს.

სვანეთი მდიდარია ხუროთმოძღვრული და ეთნოგრაფიული დირსებულებით, კერძოდ, შუა საუკუნეების ეკლესია-მონასტრებით და საერთო-თავდაცვითი ნაგებობებით, რომლებიც ორგანულად არის შერწყმული მხარის ბუნებრივ დანდშაფტებთან. დღემდე მოაღწია ასამდე ეკლესიამ, ათასზე მეტმა ჭედურმა ხატ-ჯვარმა, კედლის მხატვრობამ, ფრესკებმა და სხვ.

**პერსპექტივები.** ჯვრის წყალსაცავის ჩრდილოეთური ნაწილის სახით, გარკვეული აღილი დაიკავა აკალურმა ლანდშაფტმა, რომელიც საყურადღებო რესურსია სანიჩოსნე ტურიზმის განვითარებისათვის.

სვანეთის ბუნებრივი და ანთროპოლოგიური ლანდშაფტების მიზანმიმართული გამოყენება შეიძლება საფუძველი გახდეს შემდეგი დარგების განვითარებისათვის:

განსაკუთრებით აქტიური და კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის უნიკალურად შეიძლება ჩაითვალოს:

I. ცად აწვდენილი ჭაღარა მწვერვალები მყინვარებითა და ფირნის ველებით, მდინარეთა ხშირი ქსელი, ჰიდრომინერალური და მთა-ტყის რესურსები;

1. ისტორიულ-ეთნოგრაფიული (საკარმიდამო ტერიტორიის ორგანიზაციის მკვეთრად განსხვავებული ძველი და თანამედროვე სახე), სხვადასხვა პერიოდის 40-მდე ეკლესია, 12 282 დასახელების უნიკალური მატერიალური კულტურის ძეგლი.

II. სამთო ტურიზმისა და ალპინიზმის განვითარებისათვის:

1. სამთო-სათხილამურო სახეობისათვის აუცილებელი 5 - 25 -მდე დახრილი ფერდობების საერთო სიგრძე (160 კმ) და თოვლის საფარის სანგრძლივობით და საფარის სისქით გამორჩეული;

2. კლდეზე ცოცვის სახეობებისა და ალპინიზმისათვის აუცილებელი მაღალი და საშუალო სიმაღლის მწვერვალები;

3. საწყლოსნო ტურიზმის განვითარებისათვის (მდ.მდ. ენგურის, ნეკრესის, ჯვრის წყალსაცავის) აუცილებელი რესურსები.

უკველივე აღნიშნული წარმოადგენს ზაფხულისა და ზამთრის სახეობათა განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს.

ზემო სვანეთში ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებზე მიღწევადობის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს მდ. ენგურის ხეობის გაყოლებით არსებული სახმელეთო კავშირების მთავარი სატრანსპორტო არტერია და აქ არსებული მოკლე სიგრძის ხეობების (მდ.მდ. ნენსკრის, დოლრას, მუხურის, წანერის) და სხვა დამაკავშირებელი 5-დან 15 კმ-ის სიგრძის გრუნტიანი გზები და ბილიკები, რაც ქვეითად მოსიარულეთათვის და საჭაპანო სატრანსპორტო საშუალებებით გადამსვლელთათვის მიღწევადს ხდის ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტება თუ ტურისტთათვის საინტერესო ტერიტორიას. აღნიშნული ფაქტი გარკვეულ წილად უშლის ხელს აქაური ინფრასტრუქტურის განვითარებას და ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ათვისებას. ამ პრობლემის გადაწყვეტით მიღებული უკუგება მაღალ რენტაბელურს გახდის აქ ტურიზმს.

დღეს, როდესაც საქართველო ფართოდ ებმება საერთაშორისო ტურისტულ ურთიერთობაში, სულ უფრო აქტუალობას იძენს მაღალმთიანი რაიონების სამთო ტურიზმისა და ალპინიზმის სახეობათა განვითარებისათვის რეალური რესურსული ბაზის შესწავლა. მით უმეტეს ეს მეტად აუცილებელია იმ რეგიონისათვის, როგორიცაა სვანეთი. ამ თვალსაზრისით ზემო სვანეთში მაღალია მოცემული რესურსების პოტენციალის სიდიდე. მისი სწორი დაგეგმვარება და გამოყენება შესაძლებელს გახდის მთისა და ბარის ჰარმონიული ტურისტულ-რეკრეაციულ განვითარებას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გელოვანი არჩილ, სვანეთის კულტურის ისტორიიდან, თბ., 1998. – 56 გვ.
2. გაბლიანი ეგნატე, თავისუფალი სვანეთი, ტფ., 1927. – 139 გვ.
3. გაბლიანი ეგნატე, მცენა და ახალი სვანეთი, ტფ., 1925. – 206 გვ.
4. სოხაშვილი გივი, სვანეთი, თბ., 1971. – 19 გვ.

5. ქალდანი ანზორ, კუშკების სამყაროში, თბ., 1978. – 114 გვ.
6. ნიუარაძე ლუარა, სვანების მიგრაცია და მათი განსახლების არეალები საქართველოში, თბ., 1999. – 168 გვ.
7. ონიანი ა. სვანური ენა, თბ., 1998. – 284 გვ.
8. მაჩაბელი კიტი, სვანეთის საგანძუროდან, თბ., 1982. – 219 გვ.
9. ყენია რუსულან, ალადაშვილი ნათელა, ზემო სვანეთი: შუა საუძუნების ხელოვნება: გზამკვლევი, თბ., 2000. – 120 გვ.
10. თათარაძე ავთანდილ, ძველი ქართული (სვანური) ფერხულები, თბ., 1976. – 74 გვ.
11. ბოროზდინი პ. სამეგრელო და სვანეთი: 1854-1861 მოგონებანი, თბ., 1934. – 358 გვ.
12. გასვიანი გერონტი, ნარკვევები შუა საუძუნების სვანეთის ისტორიიდან, თბ., 1991. – 217 გვ.
13. მიბუჟანი თემიტუაზ, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989. – 376 გვ.
14. ჩარკვიანი ალექსანდრე, სვანეთი, თბ., 1967. – 268 გვ.
15. ინგოროვა პ. სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. 2. თბ., 1941.
16. თაყაიშვილი ექვთიმე, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩეუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937. – 440 გვ.
17. ჩართოლანი შოთა, მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის, თბ., 1976. – 83 გვ.
18. ცინდელიანი ზიადი, მთი და სინამდვილე: კოლხეურ-მინოსურ ცივილიზაცია კავშირები მითებისა და არქეოლოგიური აღმოჩენების ფონზე, თბ., 2000. – 133 გვ.
19. იოსელიანი ხათუნა, საქორწინო სუფრასთან გამასპინძლების წესი სვანეთში (თამადის ინსტიტუტი და სადღეგრძელოები), თბ., 1999. – 25 გვ.
20. ხარაძე რუსულან, რობაქიძე ალექსი, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964. – 129 გვ.
21. სახოյია თედო, მოგზაურობანი, თბ., 1950. – 324 გვ.
22. Ковалевский Борис, страна снегов и башен. Очерки сванской культуры, Л.:1930.- 214с.
23. Уварова. Кавказ, М.: 1904.

## **Summary**

**Giorgi Mchedlishvili**

**International tourism in Svaneti**

**Svaneti is a perfect place with high-mountain landscape. It is rich in woods, rivers and falls.**

**There are buildings, towers, churches that reflect the life-style of people living there. These monuments are very interesting for tourists. Svaneti has great potential providing that its resources for international tourism are appropriately distributed and used.**

## **Резюме**

**Георгий Мчедлишвили**

**Сванети в ожидании большого туризма**

В Сванетии есть прекрасная база – высокогорные ландшафты кавказских гор, покрытые лесами ущелья рек, невообразимой красоты водопады, высокие горы, памятники отражающие образ жизни края (родовые жилые помещения с боевыми башнями, церкви, места для обрядного поклонения и множество других оригинальных архитектурных памятников), которые всегда привлекали и по сей день привлекают внимание посетителей.

Правильное распределение и использование существующего потенциала Сванети сделает его центром международного туризма.

## თენგიზ ენდელაძე

**მეზობელი ქვეყნების ძალოვანი სტრუქტურები  
საქართველოს გასაბჭოებისათვის ბრძოლაში**

დოკუმენტურად დასტურდება, რომ საბჭოთა რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ძალოვანი სტრუქტურები ასრულებდნენ რა ბოლოშვიკ ხელისუფალთა დაკვეთებს, აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ ჩვენი ქვეყნის გასაბჭოების მიმართულებით. ამისათვის იხინი იყენებდნენ საქართველოში მცხოვრებ კომუნისტებს, კრიმინალური წარსულის მქონე საქართველოს მოქადაქებს, საქართველოში მცხოვრებ არაქართველებს, ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსულ ლტოლვილებს, საქართველოს ხელისუფლებაში მყოფი პირების ნაოესავებსა და მეგობრებს.

განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია (“ვეჩეკა”), რომელმაც ჯერ კიდევ 1919 წელს გარემოები მუშაობა ჩაატარა რუსეთში საქართველოს საკონსულოს მიმართ, მათ შორის გადაბირებებიც განახორციელა. ობერვალის ბოლოს გაიცა ბრძანება მოსკოვში საქართველოს საკონსულოს ლიკვიდაციის თაობაზე. ოუმცა იქ მომუშავე პერსონალის უმეტესობა წარმოუდგენდად მიიჩნევდა რუსეთის გარეშე საქართველოს არსებობას და მუშაობას განაგრძობდა. 1919 წელის 30 ივნისს წარმომადგენლობაში საგანგებო კომისიის თანამშრომლები შევიდნენ და იქ მომუშავენი დაპატიმრეს. ნაწილი ჩასაფრდა და ერთი კვირის განმავლობაში ყველა მიმსვლელი აიყვნა. დაპატიმრებულები რამდენიმე დღე კომენდაციურაში ამყოფეს, შემდეგ კი 17 დღე ბუტირკის ციხეში გამოამწყვდიეს. განთავისუფლების შექმდება კვლავ გააგრძელეს საკონსულოში ჩვეული საქმიანობა. საპასუხოდ რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრმა მ. ლიტვინოვმა მოსკოვის “ვეჩეკა”-ს საიდუმლო-ოპერატიულ განყოფილებას მიწერა, რომ საქართველოს საელჩო, მიუხედავად გაფრთხილებისა, განაგრძობდა ფუნქციონირებას, სცემდა მოწოდებებს, ოფიციალურად მიმართავადა საბჭოთა

დაწესებულებებს და აქდან გამომდინარე აუცილებელი იყო ბოლო მოღებოდა ამას, – საელჩოდან ამოედოთ წიგნები, დოკუმენტები, ბლანკები. გამოეცხადებინათ, რომ საელჩოს შემდგომი ფუნქციონირების შემთხვევაში, ყველა მისი თანამშრომელი დაპატიმრებული იქნებოდა. ამის შემდეგ საქართველოს დიპლომატიური კორპუსი “ვენეცია”-ზე სასწრაფოდ პატიმრობაში აიყვანა და ოვენახევრის განმავლობაში დაკავებული ჰყავდა, რის შემდეგაც საკონსულომ თვითდიკვიდაცია გამოაცხადა.

ძალოვან სტუქტურებს არ შეიძლებოდა უურადღებოდ დაეტოვებინათ რუსეთსა და ზაერბაიჯანში მრავლად არსებული ქართული კოლონიები და მათი “ეროვნული კომიტეტი”, სადაც ქართველები ხშირად იკრიბებოდნენ ჭიქა ჩაიხე, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი საერთო კრებებსაც მართავდნენ. კომიტეტები, რომ მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ იქიდანაც ჩანს, რომ საბჭოური რეპრესიის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი სწორებდა ისინი იყვნენ, რაც მათ შევიწროებაში გამოიხატა.

რუსეთის საგანგებო კომისია იყენებდა საქართველოში მობრუნებულ, სამსახურიდან გათავისულებულ ქართველ და სომებს მეომრებს. “ჩეკისტები” მათ გზადაგზა აპავებნენ, უწყობდნენ დაკითხვებს, ჩრხეკდნენ, ზოგჯერ ხვრელდნენ კიდეც, კონტრევოლუციონერებთან თანამშრომლობის ან მოხალისეთა არმაში მონაწილეობის მოტივით. ასეთ ფაქტს ადგილი პქონდა, მაგალითად, 1918 წლის აპრილის დასაწყისში ქ. არმავირში, როცა “ივერიელთა პოლკის” 39 ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის 13 ქართველი, ხალხის თვალწინ დახვრიტეს.

ჯარისკაცების და საერთოდ, სამშობლოში მომავალ პირთა დაკავებისა და დაკითხვების პროცესში საგანგებო კომისიას საშუალება ეძლეოდა სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციები შეეგროვებინა არამარტო საქართველოში, არამედ თვით რუსეთში მიმდინარე პროცესებზე და განეხორციელებინა ცალკეული გადაბირებები. გარკვეულწილად შეესუსტებინა ქართული სახელმწიფოს ძლიერება მისი მოქალაქეების პატრიოტულად განწყობილი ერთი ნაწილის განადგურების, თუ შემდგომში თავის სასარგებლოდ მუშაობის გზით. აღნიშნულის განხორციელებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი არმიათა განსაკუთრებული განყოფილებებისათვის შექმნილმა 1919 წლის 25 დეკემბრის ინსტრუქციამ “ფრონტისპირა ზოლიდან და ზოლში გადაადგილებულ პირებზე კონტროლის განხორციელების ორგანიზაციის შეასხებ”. დოკუმენტი განსაკუთრებულ განყოფილებებს ავალდებულებდა საჯარო

შემოწმების გარდა, ფრონტის ზოლში მიმავალ მგზავრებზე მუდმივი მეთვალყურეობის წარმოებას.

1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა და მასთან სამშვიდობო ხელშეკრულება დადო. ის, რომ ეს ნაბიჯი რუსეთმა გადადგა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაანადგურა დენიკინი, სხვა ანტისაბჭოთა ძალები და განიმტკიცა ძალაუფლება სამხრეთში, მიუთითებდა იმაზე, რომ დადგა საქართველოს ჯერი. საქართველოს აღიარება და მასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება რუსეთს ხელშეეს უხსნიდა ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში აქტიურად ჩარევისაკენ. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს იმავე წლის 20 ივნისს თბილისში საბჭოთა რუსეთის 51-კაციანი დიპლომატიური კორპუსის ჩამოსვლა და საქმიანობა ბოლშევიკური პარტიის ცნობილი მოღვაწის სერგეი კიროვის მეთაურობით. მათ შორის ექვემდებარებოდნენ იყო.

საქართველოს ხელისუფლებას ობიექტური საფუძვლი პქონდა ეჭვის თვალით შეეხდა საბჭოთა წარმომადგენლობის საქმიანობისათვის თბილისში. ამის დასადასტურებლად ისიც ქმარა, რომ შენობაში, რომელშიც წარმომადგენლობა იყო განთავსებული, გაიმართა საქართველოს კომკავშირის არალეგალური ყრილობა. არდა ამისა, საბჭოთა წარმომადგენლობის ხელშეწყობით საქართველოში “რევოლუციური” მუშაობის საწარმოებლად შემოდიოდა რკპ(ბ)-ს არაერთი აგენტი, შემოჰქონდათ ფული და იარაღი “რევოლუციურ” ძალთა დასახმარებლად და სხვა.

თბილისში რუსეთის საელჩოს გახსნის შემდეგ მალე გაჩნდა რუსეთის სავაჭრო წარმომადგენლობაც. საელჩოსა და წარმომადგენლობაში მომუშავეთა რიცხვმა 400 კაცს მიაღწია. საქართველოში თავისი საელჩოები პქონდათ აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკებსაც. ასე რომ, გასაბჭოების წინა პერიოდში საქართველოში ასობით საბჭოთა აგიტატორი გამოჩნდა, რომელთა შორის “ვეჩეკას” თანამშრომელები და აგენტებიც იყვნენ. ისინი, ბუნებრივია, ქვეყნის გასაბჭოებას ცდილობდნენ და ამისათვის როგორც ლეგალური, ისე არალეგალური მუშაობის ფორმებს იყენებდნენ. ამიტომაც იყო, რომ რუსეთის ხელმძღვანელობას საქართველოში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო ვითარების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია გააჩნდა.

აღნიშნულის გარდა რუსეთის საელჩო ჩვენი ქვეყნის მიმართ ეკონომიკურ საბოტაქსაც ახორციელებდა. კერძოდ, იგი თავისი აგენტების საშუალებით არაოფიციალური გზით იძენდა

დიდად უცხოურ ვალუტას, რაც იწვევდა ამ უკანასკნელზე მოთხოვნილების ზრდას, რის შედეგადაც საგრძნობლად დაჩქარდა ქართული მანეთის გაუფასურება.

გასაბჭოების წინ საქართველოში რამდენიმე ასეული კომუნისტი იყო, რომლებიც ძალისხმეულას არ იშურებდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. 1920 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და მთავრობის წინააღმდეგ ფარული და ღია ჯაშუმობისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულმა რაზმა დაპატიმრა 513 ბოლშევიკი, მათ შორის უცხო სახელმწიფოთა აგენტები, რომლებიც ფარულად თუ აშენად მუშაობდნენ დემოკრატიული საქართველოს წინააღმდეგ, აგროვებდნენ იარაღს, ფულს, სხვადასხვა სასიათის საიდუმლო ცნობებს, ეწეოდნენ ანტისახელმწიფოებრივ აგიტაციას, ავრცელებდნენ სხებს და მოუწოდებდნენ ამბოხებისაკენ.

დაპატიმრებულთა შორის იყო 1918 წელს რუსეთიდან არალეგალურად შემოსული ტიტე ლორთქიფანიძე (1921-1922) წლებში საგანგებო რწმუნებული “ბანდიტიზმთან” ბრძოლაში; 1923-1925 წლებში ამიერკავკასიის “ჩეკას” კონტრდაზვერვის განყოფილებისა და საქართველოს სსრ-ს მთვარი პოლიტიკური სამმართველოს განყოფილების უფროსი), რომელსაც, როგორც კომპარტიის წევრს, ფარულად შემოჰქონდა იარაღი და ლიტერატურა. პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის დავალებით ის 1919 წლის 13 სექტემბერს თბილისის ცენტრში ახორციელებს ტერორისტულ აქტს ამიერკავკასიაში დენიკინის მოხალისეთა არმიისა და სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლობის შტაბის უფროს გენერალ ბარათოვზე, რომელიც მძიმედ დაიჭრა. ტ. ლორთქიფანიძე იყო ერთ-ერთი ორგანიზაციონი საქართველოში ბოლშევიკური აჯანყებისა, რის გამოც აპატიმრებენ და 1920 წლის მაისში ასახლებენ რუსეთში.

ივლისში საქართველო-რუსეთის საზღვრის უკანონო გადმოლახვის მცდელობისას ქართველმა კონტრმზვერავებმა დააკავეს კომუნისტები: ილარიონ ჯიბლაძე, ს. სურგულაძე, ნიკოლოზ ვოლკოვი, ლევან კალანდარიშვილი, რომელთაც აღმოჩნდათ სოეუმის ოლქისა და მისი მსაზღვრე რაიონების რუსები, ქართული ჯარისა და საგუშაგოების განლაგების მითითებით, დღიურები და სხვა დოკუმენტები, რაც მეტყველებდა მათ ჯაშუშურ საქმინაობაზე. სურგულაძისა და კოლეგის სახელზე გაცემულ მანდატებიდან ჩანდა, რომ ისინი იგზავნებოდნენ ყებან-ჩერნომორიის რევკომში გაგრის ფრონტზე მომავალი მუშაობის ზოგიერთი საკითხის შესათანხმებლად. დაბავებულებმა აღიარეს, რომ მათი

მოქმედება მიმართული იყო საქართველოში არსებული წეს-წყობილების წინააღმდეგ.

იმავე დღებში დააპატიმრეს ვინმე კონსტანტინე მაკაროვი, რომელსაც სხვა დოკუმენტებთან ერთად აღმოაჩნდა კომპარტიის სოცუმის საქალაქო კომიტეტის ცირკულარული წერილი, რომელშიც იყო მოწოდება პარტიის წევრებისადმი, ეწარმოებინათ ფარული მუშაობა, მოქალაქეებს კი ბოკოტი გამოეცხადებინათ მთავრობის მიერ გამოცხადებული მობილიზაციისათვის.

დაპატიმრებულთა შორის ასევე იყო შემოგზავნილი აგენტი, ცნობილი ქართველი რევოლუციონერი-ბოლშევკია ა. კობახიძე-მირსკი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ე. გეგეშქორის ნათესავი. იგი საქართველოში 1919 წლის დამლევს ჩამოვიდა. ისი მიზანი იყო არა მარტო სადაზვერვო ინფორმაციის მოჰკვება, არამედ ბოლშევკიური პარტიის მებრძოლ რაზმთა ჩამოყალიბება.

საქართველოს მთავრობის ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც საგარაუდოდ 1920 წლის ივნის-ივლისშია გაკეთებული, ვკითხულობთ?... საქართველოს კომუნისტები იარაღის შესაძენად და აგენტების სამუშაოდ დიდად ფულს ხარჯავენ. ამ დღებში მათ რუსეთიდან მიიღეს 20 მილიონი. უნდათ შექმნან შეარაღებული ძალა და მოაწყონ გამოსვლა... მათ დიდ დახმარებას უწევენ ბაქოელები და კავკაველები. ბაქოელებს უნდოდათ გამოევაზანიათ რამდენიმე ტერორისტი და თ. ედენტის მიერ მოეხდინათ რამდენიმე ტერორისტული აქტი. კავკაველები ეხმარებიან თხებს..."

1920 წლის 17 აგვისტოს სოხუმში დაპატიმრებული იქნენ გემ „ესტრონის“ მგზავრები ვოლკოვი და საზონოვი, რომელთაც აღმოაჩნდათ დიდადი რუსელი ფული. საზონოვს ასევე აღმოაჩნდა რუსეთის კავკასიის ფრონტის სარეგისტრაციო პუნქტის მანდატი თბილისის, სოხუმისა და სოხუმის პორტის რუკების მისთვის გადაცემის შესახებ. აღნიშნულის გარდა, გემზე ასევე აღმოჩნდილი იქნა საბჭოთა ლიტერატურა.

ჯაშუშურ, ტერორისტულ საქმიანობაში და აჯანყებისათვის მზადებაში საბჭოთა რუსეთი აქტიურად იყენებდა მის მიერვე შიდა ქართლში შექმნილ წითელ პარტიზანულ რაზმებს, რომელსაც ს. გეგეშქორი ხელმძღვანელობდა და აგრეთვე იქ მოქმედ 8 კაციან არალეგალურ ორგანიზაციას. მათ კავშირი ფქონდათ ს. კიროვთან და ს. ორჯონიერიძესთან, რომლებისგანაც იღებდნენ ფულს, იარაღს და ცოცხალ ძალას. რუსეთის მხარეს მნიშვნელოვან სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციის აწვდიდა არალეგალური ორგანიზაციის წევრი

გლადიმერ ცაბოლოვი, რომელიც სადგურ “კობში” მუშაობდა ფოსტა-ტელეგრაფის უფროსად.

რუსეთის სასარგებლოდ სადაზვერვო სასიათის დავალებებს ასრულებდა კობის მცხოვრები სოლომონ კარავი, რომელიც ამ მიზნით ხშირად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხებში და ხვდებოდა არადეგალურად მომუშავეებს, მათ შორის მის თანასოფლელ ზაურბეგ საბლიერს. მოპოვებულ ინფორმაციას კარავი უშეალოდ ორჯონიქიძეს, კიროვსა და გეგეჭორს აწვდიდა, რომლებიც ამ პერიოდში ვლადიკავკაზში იმყოფებოდნენ.

“გეგება” საქართველოს წინააღმდეგ სადაზვერვო საქმიანობას ახორციელებდა მე-9, მე-10 და მე-11 არმიების საგანგებო განყოფილებების მეშვეობით. მე-10 და მე-11 არმიები, რომელთა ფორმირება შესაბამისად 1918 წლის სექტემბერში და ოქტომბერში მოხდა, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ არა მარტო სადაზვერვო, არამედ საბრძოლო თავერაციების განხორციელებაში. მართალია მე-10 არმია 1920 წლის ივლისის დაიშალა, მაგრამ მისი ერთ-ერთი დანაყოფი, განსაკუთრებული განყოფილების სახით, 1921 წლის გაზაფხულამდე არსებობდა და აქტიურ მუშაობას ეწეოდა დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ. ამის დასტურია ის, რომ აღნიშნული განყოფილების თანამშრომლები ივანე ინაური და სერგო ხუციშვილი საქართველოში საიდუმლო ოპერატორდი ხსიათის დაგალებით იყვნენ შემოგზავნილები, რომლებიც ჩავარდნენ და დააპატიმრები. მათი გათავისუფლება მხოლოდ საქართველოს გასაძჭრების შემდეგ მოხდა.

რუსეთის არმიათა განსაკუთრებული განყოფილებები თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდნენ “გეგებას” თამჯდომარისა და განსაკუთრებული განყოფილების ხაზით მისის მოადგილის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციებით. ერთ-ერთი ასეთი, კერძოდ, 1920 წლის იანვარში დამტკიცებული ინსტრუქციის თანხმად, განსაკუთრებული განყოფილებების ამოცანა იყო საზღვრისმიღმა აგენტურული პოზიციების შექმნა, რასაც საფუძვლად ედო საზღვარგარეთიდან საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე ჯაშუშების შეგზავნის, კონტრრევოლუციური ორგანიზაციების შექმნისა და სხვა ფაქტების შესაძლო გამოვლენა.

ჩვენი ქვეყნის შესახებ სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება ხორციელდებოდა როგორც რუსეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში “კონტრრევოლუციის აგენტებისაგან შეღწევისაგან აცილების”, ისე საქართველოში “მშრომელთა მური სოლიდარობის გამარჯვებისა და ბურჯუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის” მოტივით.

1920 წლის პირველ რიცხვებში, მე-11 არმიის საგანგებო განყოფილების მიერ, საქართველოში შემოგზავნილი იქნა ლავრენტი ბერია, რომელმაც თბილისში კავშირი დამყარა ამაიაკ ნაზარეთიანთან, შექმნა რეზიდენცურული ქსელი საქართველოსა და სომხეთში და რეგულარულად აგზავნიდა შეტყობინებებს ბაქოში. სადაზვერვო დავალებით შემოსული ლ. ბერიას დაპატიმრებისას აღმოაჩნდა ტანსაცმლის სარჩულები ჩაერებული მე-11 არმიის განსაკუთრებული განყოფილების მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებული მოწმობა, ამავე განყოფილების უფროსის კუნკეს ხელმოწერით.

ლ. ბერიამ ჩავარდნის შემდეგ, იმის ნაცვლად, რომ პატიმრობიდან განთავისუფლებულს ქართული მხარის მოთხოვნის შესაბამისად, სამი დღის ვადაში დაეტოვებინა საქართველო, “ლაკერბაიას” ფსევდონიმით დაიწყო მუშაობა რუსეთის წარმომადგენლობაში ს. კიროვთან.

მე-9, მე-10 და მე-11 არმიების საგანგებო განყოფილებების თანამშრომლები, რომელთაც თავისი ნომრები ჰქონდათ, არალეგალურად მუშაობდნენ საქართველოში და საჭიროების შემთხვევაში არამარტო განყოფილებათა დისლოკაციის ადგილებში (სტაცროპოლი, ვლადიკავკაზი, ბაქო) ბრუნდებოდნენ, არამედ უფრო შორსაც მიემგზავრებოდნენ. ასე მაგალითად, 1920 წლის ნოემბერში, სამსახურეობრივი ინტერესიდან გამომდინარე, მე-11 არმიის განსაკუთრებული განყოფილების თანამშრომლები №№ 29, 30 და 31 ბათუმიდან გემ “ვოზროვდენიეთი” ყირიმში, ფეოდოსიაში ჩადიოდნენ, იქიდან სტაცროპოლში, სადაც ასევე არალეგალურად მუშაობდნენ და თავიანთი ნომრებით მოხსენებებს გრიფით “სრულიად საიდუმლო” წერდნენ მე-9 არმიის განსაკუთრებული განყოფილების სახელზე. ამ უკანასკნელს წარმოებაში ჰქონდა დამუშავების საქმე № 11 გრიფით “საკონსულო”, რომელიც მიჰყავდა რწმუნებულ სუმსკის. აღნიშნული საქმის წარმოების მიზანი იყო როგორც სტაცროპოლში მოქმედი საქართველოს საკონსულოს თანამშრომელთა (მდივანი ქიბილაშვილი, კონსული პაიჭაძე) და იქ მიშვლელთა შესწავლა-გადმობირება, ასე მათი მეშვეობით საქართველოში არსებულ ვითარებაზე ინფორმაციის მოპოვება. ამ მიზნით ისინი იყენებდნენ მუშაობის ისეთ ფორმას, როგორიც იყო თანამშრომელთა პირადი ვიზიტები საკონსულოში საქართველოში მოხვედრის (დაბრუნების) მოტივით. საქართველოს საკონსულოზე მუშაობისას, მე-9 არმიის განსაკუთრებული განყოფილება აქტიურად იყენებდა “ვენეკას” სხვა დანაყოფების თანამშრომელთა მიერ მოწოდებულ ინფორმაციებს, რომელთაც

გარეკვეული შეხება უხდებოდათ საკონსულოსთან. მათ შორის იყვნენ ქართველებიც. ასე, მაგალითად, მე-11 არმიის განსაკუთრებული განყოფილების თანამშრომელი № 29 ალექსი ჩარკვიანი, რომელიც საქართველოში დაბრუნების საბაბით საკონსულოს ხშირი სტუმარი იყო.

1920 წლიდან ფუნქციონირებს “ვეზექას” სრულუფლებიანი წარმომადგენლობა ამიერკავკასიაში, რომელიც ასევე ეწეოდა სადაზვერვო საქმიანობას ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ.

საქართველო რომ განსაკუთრებული მხედველობის არეში პყავდა “ვეზექას”, ამას ადასტურებს განსაკუთრებული განყოფილებისადმი თვით ფელიქს ძერუინსკის (“ვეზექას” თავმჯდომარე) 1921 წლის 8 იანვარს მიწერილი ბარათი, რომელშიც ვკითხულობთ: “აუცილებელია შემუშავდეს მუშაობის გეგმა კავკასიაში, საქართველოში, ანტანტის აგენტების და ჯაშუშების დაჭერისა”.<sup>1</sup>

1921 წლის 11 თებერვალს, დამით, ქვემო ქართლში, ლორეს რაიონში განლაგებულ ქართულ ჯარს თავს დაესხა წითელი არმია, რასაც სომხებით და აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფლებში შეიარაღებული აჯანყების ინსპირირება მოჰყვა. აღნიშნულ პროვოკაციაში აქტიური მონაწილეობა მიიღო სომხეთის საგანგებო კომისიამ ბ. ათქარბეგოვი სელმძგვანელობით.

ყოველივე ზემო აღნიშნული ნათლად მიუთითებს, რომ საქართველოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და გასაბჭოების საქმეში მე-11 არმიის გარდა, რომელსაც ბოლშევიკები შემოუძღვნენ, მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა რესეტისა და მისი სატელიტი ქვეყნების საბჭოთა სომხეთისა და აზერბაიჯანის საგანგებო კომისიათა როლიც.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს პრეზიდენტის არქივი
2. საქრთველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს არქივი
3. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი
4. ოთარ ჯანელიძე. 26 მაისიდან 25 თებერვალიმდე. თბილისი, 1990.
5. История советской разведки. М., 1961.

## **Summary**

**Tengiz Endeladze**

### **Military structures of neighbour states and their role for the sovietization of Georgia**

On the basis of archival materials has been proved, that power structures of Russia, Armenia and Azerbaijan, by the commands of Soviet Authority, worked for sovietization of Georgia.

Power structures of neighbour states in the struggle for sovietization of Georgia were not limited in their actions: terrorist acts, sabotage, espionage.

The struggle for sovietization of Georgia went on in all directions: arrest and subsequent liquidation of the Georgian consulate in Moscow; arrest and physical destruction those soldiers and officers, who came back to Georgia from world war, and who refused to cooperate with bolsheviks; the maximal maintenance (money, weapon, literature...) renegats from "of the fifth column" and military intrusion into the sovereign independent state.

## **Резюме**

**Тенгиз Енделадзе**

### **Силовые структуры соседних государств в борьбе за советизацию Грузии**

На основе архивных материалов документально подтверждается, что силовые структуры России, Армении и Азербайджана, по заказу советского руководства, вели активную работу для установления советской власти в Грузии.

Силовые структуры соседних государств в борьбе за советизацию Грузии не гнувшись ничем: диверсиями, саботажем, шпионажом ... Борьба за советизацию Грузии шла по всем направлениям: арест и последующая ликвидация грузинского консульства в Москве; арест и физическое уничтожение тех солдат и офицеров, которые возвращались в грузию с фронтов мировой войны, и которые отказывались сотрудничать с большевиками; максимальное обеспечение (денегами, оружием, литературой...) ренегатов из «пятой колонны» и как венец всех дел - военное вторжение в суверенное независимое государство.

## დავით თაქთაქიშვილი

რელიგიის საკითხები იმანუილ კანტთან და  
გეორგ გილბერტ ფრიდრიხ ჰეგელთან

იმანუილ კანტი (1724-1804). ამ დიდმა ფილოსოფოსმა ჩაუყარა საფუძველი იმ მიმართულების, რომელსაც გერმანული კლასიკური ფილოსოფია ეწოდება და გარშემო შემოიკრიბა ისეთი ბრწყინვალე მოწაფეები, როგორებიც იყვნენ: ფიხტე, შელინგი და შოპენაუერი. რელიგიის საკითხების განხილვისას კანტი ყოველთვის ასაბუთებდა, რომ ადამიანმა როგორც თავისუფალმა და თავისი ქცევისათვის პასუხისმგებელმა ქმნილებამ რელიგიური რწმენიდან კი არ უნდა გამოიყვანოს თავისი მორალი, არამედ პირიქით, რწმენა გამოიყვანოს მორალიდან, რომ ადამიანის ნამდვილი დირსება არ შეიძლება იყოს არც წინასწარდადგენილი, არც მისგან დამოუკიდებელი. ფილოსოფოსები ამას კანტის კოპერნიკისულ გადატრიალებას უწოდებენ. თვით კანტს საიქო არ სწამდა და არც ეკლესიური იყო. იგი თვლიდა, რომ ნორმალურ ადამიანს თავისი სიწმინდის დასამტკიცებლად გარეგნული რაიმე ნიშნები არ უნდა სჭირდებოდეს და არც საიქო არსებობა-არარსებობა უნდა აწუხებდეს. მიუხედავად ამისა, კანტი ათეისტი არასოდეს ყოფილა, თუმცა სასწაულები არ სწამდა და არც საჭიროდ მიაჩნდა ასეთი რამ. მიუხედავად ამისა, მადლიერმა თანამემამულებმა მისი გარდაცვალების შემდეგ მისი თმებიდან ბეჭდები დაწნეს და მათი დირებულება წმინდანთა ნაწილებს გაუტოლეს. მისი ნეშთი კი კენიგსბერგის მთავარი ტაძრის აედელთან დაკრძალეს. სხვათაშორის, მეორე მსოფლიო ომის დროს მთელი კენიგსბერგი თვითმფრინავებიდან ყუმბარებით მთლიანად გადაადულეს. რაოდენ საოცარია, რომ ამ ტაძარს და კანტის სამარხს ბზარიც არ გაჩენია.

რელიგიის საკითხებს კანტი თავის „კრიტიკულ“ პერიოდამდე იხილავდა. კანტის მთელი ფილოსოფიური კონცეფციები სავსეა შინაგანი წინააღმდეგობებით და ამიტომაც იგი ყოველთვის ცდილობდა გადაესინჯა და მოეწესრიგებინა ეს წინააღმდეგობები. მისი „კრიტიკებიც“ სწორედ ამას ადასტურებს. „წმინდა გონების კრიტიკა“ რომ

დაეწერა, კანტი 6 წელიწადს ფიქრობდა და რომ მოიფიქრა, 3 თვეში დაწერა ეს „უზარმაზარი ნაშრომი. კანტი თავის ნაშრომში „ბუნების საყოველობაო ისტორია და ცის ოქორია” (1755) აყენებს ძალზე მნიშვნელოვან იდეას სისტემის შესახებ. აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ როგორი პრობლემების განხილვისას კანტი დამერთს არ ეხება, ოუმცა აქ გარკვევით ჩანს, რომ სამყაროს წესრიგის პირველმიზეზი არსებობს. სამყაროში ქაოსისა და უწესრიგობისგან არის შექმნილი სრული წესრიგი. აქ მითითებულია უსაზღვრო ძალაზე და საიდუმლოებათა ხელოვნებაზე. 1759 წელს კანტმა გამოაქვეყნა სტატია „ოპტიმიზმის ზოგიერთი გამოკვლევების ცდა“. აქ გატარებულია აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენი სამყარო არჩეულია ყველა სხვა შესაძლებელ სამყაროსგან და ეს გააკეთა დმერთა. კანტის აღრინდელ შრომებში ყველან ნათლად ჩანს დამერთის არსებობა და ამ არსებობის მკაფიო დასაბუთება. ამ მხრივ უურადსადებია „დმერთის არსებობის ერთადერთი შესაძლებელი საფუძველი“, რომელიც 1763 წელს გამოქვეყნდა. აქ სასაფუძვლიანად არის დასაბუთებული დმერთის ჭეშმარიტი არსებობა. კანტი აქ უარყოფს დმერთის არსებობის ონტოლოგიურ საფუძველს, როგორც ლოგიკურად გაუმართლებელს. ცნება დმერთის არსებობა არ უნდა გამოვიყვანოთ მისი რეალური არსებობიდან.

კანტის „კრიტიკული“ პერიოდის შრომებში შპპ გხედებით გარემუშლ ცელილებებს. ამ პერიოდის თხზულებებში წინა პლანზე წამოწეული გნოსეოლოგიური საკითხები. 1781 წელს გამოიცა კამიტალური თხზულება „წმინდა გონების კრიტიკა“. აქ საფუძვლიანად არის განხილული კრიტიკიზმის ძირითადი პრინციპები. აქ ყველა ზეცდისეული, რომელიც ჩვენს გრძნობებამდე ვერ აღწევს, უნდა გამოვრიცხოთ ცოდნის ფარგლებიდან. აქ მეტაფიზიკური ტენდენციები უარყოფილია, როგორც მეცნიერება ზეგრძნობადი ორგანოების შესახებ, რომელიც დმერთის უნაყოფო სპეციალისტია. აქ არის მტკიცებულებანიც სულის უკვდავებისა და თავისუფლების შესახებ. მეცნიერება არ ცნობს იმ საგნებს, რომლებიც არსებობენ თავისთავად, ობიექტურად. საგნები და მოვლენები მხოლოდ სუბიექტზე დამოკიდებული არსებობენ. კანტი აქ საზღვრავს ცოდნის ფარგლებს და მნიშვნელობას ანიჭებს რწმენას. კანტი სასტიკად ეწინაღმდეგება როგორც სქოლასტიკას, ისე მეცნიერულ ცოდნას. ასე იკაფავს იგი გზას რელიგიისაკენ. თუ ადრეულ პერიოდში კანტს ჰქონდა თეზისები დმერთის არსებობის შესახებ, ნების თავისუფლებაზე და სულის უკვდავებაზე და მათ თვლიდა თეორიებად, ახლა უკვე ისინი გადაიქცნენ პრაქტიკული გონების პოსტულატებად.

კანტს თავისი რელიგიური შეხედულებები და მოსაზრებანი ყველაზე მეაფიოდ გადმოცემული აქვს თხზულებაში „რელიგია შხოლოდ გონების ფარგლებში“. შრომა გამოიცა 1793 წელს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ წიგნმა დიდი მითქმა-მოთქმა და უკავშირობილება გამოიწვია თეოლოგებში. უმაღლესი ეშელონების მაშინდელ წარმომადგენლებს და მთავრობასაც არ ეპიტნავა ეს წიგნი. პრუსიის მმართველმა ფრიდრიხ ვილჰელმმა სპეციალური ბრძანებაც კი გამოსცა, რომელშიც კანტს სასტიკი გაფრთხილებით ემუქრებოდა, თუ კანტი ისევ გააგრძელებდა ტრაქტატების წერას პროტესტანტული ორთოდოქსულობის შესახებ და, საერთოდ, რელიგიის თემაზე, მთავრობა მკაცრ ზომებს მიმართავდა და რეპრესიებითაც კი დაემუქრნენ. კანტი იძულებული გახდა ახსნა-განმარტებითი ბარათი დაეწერა, სადაც აღნიშნული იყო, რომ ის ამის შემდეგ თავს შეიკავებდა რელიგიური თემებისაგან. ამ შრომაში კანტი თავის თანამედროვე დვოისმახურებს აკრიტიკებდა. წიგნის მირთადი იდეა ის იყო, რომ მორალი წარმოადგენს ყველა რელიგიის საფუძველს. რელიგია არის გადმერთებული მორალი. რელიგია შინაარსით კი არა, ფორმით განსხვავდება მორალისაგან. ლერთი გახდავთ მორალის კანონმდებელი. ქრისტე არის ადამიანის იდეალი. ჩვენ ის იქსო კი არ უნდა გვწამდეს, რომელზეც ლაპარაკობენ დმერთის მქადაგებლები, არამედ იდეალი, რომელსაც წარმოადგენს ქრისტე და ბიბლია. ბიბლიის ყველა თავი უნდა გავიგოთ მორალის თვალსაზრისით. სამყარო აგებულია ბოროტებაზე, რომელიც რადიკალურია და მისი ადამიანური ძალებით განადგურება არ შეიძლება. სწორედ ამ აზრმა გამოიწვია მაშინ ზემოთხსენებული დიდი აუზაური.

გერმანული კლასიკური ფილოსოფიის მეორე დიდი ფიგურა გახდათ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი (1770-1831). მან შექმნა ფილოსოფიური სისტემა, სადაც სრულად იყო გადმოცემული სამყაროს განვითარების პროცესი, რომელიც განიხილებოდა უწყვეტ, მუდმივ, მარადიულ მოძრაობაში, გარდაქმნასა და განვითარებაში. ჰეგელი ყოველთვის ცდილობდა აქსნა ამ პროცესების შინაგანი კავშირები. ჰეგელის ფილოსოფიური სისტემა სამი ნაწილისგან შედგება – ლოგიკა (მეტაფიზიკა), ბუნების ფილოსოფია და სულის ფილოსოფია. ფილოსოფიასა და რელიგიას განსახილველად ერთიდაიგივე საგანი აქვთ. ეს არის აბსოლუტი ანუ ღმერთი. პირველ ნაწილში ჰეგელი იხილავს დვოაქტრივ აზრებს სამყაროს შექმნამდე, ხოლო მეორეში სამყაროს სხვა განზომილებაში ყოფნას და შემდეგ კი – ჩვენს სამყაროს

შექმნას. მესამე ნაწილში ფილოსოფოსი მსჯელობს სულის თვითგანვითარებაზე და თავის თავში დაბრუნებაზე. საერთოდ, ჰეგელის ფილოსოფიურ სისტემაში სულის თვითგანვითარების შემდეგ მეორე ადგილზეა დაყენებული რელიგიის საკითხები. ჰეგელი რელიგიას ესება თავის ყველა თხზულებაში – დაწყებული ახალგაზრდული წლების სტატიურიდან – დამთავრებული თავისი ფილოსოფიის ისტორიის ლექციებით. ამ საკითხებზე მისი მთავარი შრომაა „რელიგიის ფილოსოფიის ლექციები“. რელიგიის შესახებ თვალსაზრისი მის მოღვაწეობის სანგრძლივ პერიოდში განიცდიდა მნიშვნელოვან ცვლილებებს. ახალგაზრდობის წლებში ქრისტიანული რელიგიის მიმართ მაინცდამაინც არ ჰქონია დადგებითი პოზიციები. მაშინ ჰეგელს ჰქონდა იდეა რადაც სახალხო რელიგიაზე, რომლიც თითქოს ქრისტიანობას აღემატებოდა. მისი აზრით, ასეთი სახის რელიგია დიდ როლს შეასრულებდა სრულყოფილ ადამიანთა ფორმირებაში. ჭარმაგობაში გადამოწმა თავისი ნაამაგარი და უარყო ზოგიერთი ჰეგელმა ფილოსოფიური და პოლიტიკური შეხედულებანი. ამასთანავე, რელიგიური თვალსაზრისებიც შეეცვალა. მან „სახალხო რელიგიის“ კონცეფცია მთლიანად უარყო და ადიარა ქრისტიანული რელიგიის აბსოლუტური დირექტულება. ამ პერიოდის გერმანიაში ადგილი აქვს სოციალურ და ისტორიულ ცვლილებებს. მაშინდელი ფერდალური საზოგადოება თავიანთი პოზიციების გასამაგრებლად რელიგიას მიმართავს. მათ უპირისპირდება ახალი ფორმირება – ბურუუაზია, რომელიც თავის მხრივ ცდილობს პოზიციების გამაგრებას. მაშინდელი ინტელიგენცია კი კათოლიკური ეკლესიისადმი რატომდაც უარყოფით პოზიციებს იკავებს და სწორედ მათ რიცხვში იყო ჰეგელიც. მან ერთხელ განაცხადა „ლუთერანელი ვარ და ასევე მოვაკედებიო“. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში კათოლიკური ეკლესია დიდ წარმატებებს აღწევს. სწორედ ამ პერიოდში გერმანიაში დიდი პოლიტიკური დაპირისპირებებიც აღინიშნება. ინტელიგენცია მოკავშირედ თვლის კათოლიკურ ეკლესიას და მას მიმართავს. ჰეგელი კი ჯიუტად არ თმობს პოზიციებს, რისთვისაც მას თავს ესხმიან ულტრამემარჯვენები. 1827 წელს ევანგელიისტური გაზეთი ჰეგელს „რელიგიის ფილოსოფიის ლექციებისათვის“ ბრალს დებს ათეიზმსა და პანთეიზმში. ჰეგელს განსაკუთრებით უპირისპირდება შლეიხმახერი, რომელიც სასულიერო სემინარიის რექტორი გახდა. ის და მისი თანამოაზრენი არაობიექტურად სწამებდნენ ცილს დიდ ფილოსოფოსს პანთეიზმში და, განსაკუთრებით, ათეიზმში. მართალია, ჰეგელის ფილოსოფიურ-თეოლოგიური კონცეფციები

საგრძნობლად განსხვავდებოდნენ საეკლესიო-ორთოდოქსული შეხედულებებისგან, მაგრამ ის ძალიან შორს იყო ათეიზმისაგან. პეგელს თავისი უარყოფითი აზრები ათეიზმის მიმართ ხშირად გამოუთქვამს.

პეგელი ასკვნის, რომ რელიგია ცოდნას ემთხვევა. ადამიანები თავის შეხედულებებს აბსოლუტის შესახებ რელიგიით გამოხატავენ. ფილოსოფიასა და რელიგიას ერთიდაიგივე ინტერესები აქვთ. ორივე სხვადასხვანაირად და სხვადასხვა მხრიდან ემსახურება ღმერთს. რელიგია დასკვნებს აკეთებს, ფილოსოფია კი ამ ფორმებს ცნებებით წვდება. რელიგია ფილოსოფიისგან იმით განსხვავდება, რომ აქ აბსოლუტი წარმოდგენის ფორმით გვეძლევა. იმავდროულად რელიგია მისაწვდომია სამყაროს ყველა ხალხისათვის. აი, ფილოსოფია კი – ყველასათვის ვერ არის ხელმისაწვდომი. რელიგია არის საშუალება იმისა, რომ ადამიანებმა ცოდნა მიიღონ გრძნობებითა და წარმოდგენებით. საბოლოოდ პეგელმა ასეთი ფორმულირება მოგვცა – „რელიგია თავისი ცნებით არის სუბიექტის დამოკიდებულება, ღმერთის სუბიექტური შეცნობა არის სული“. რელიგია არის შემცნების საეციფიკური ფორმა. პეგელი გულდასმით სწავლობს კანტის რელიგიურ თვალსაზრისებს. კანტთან ღმერთის არსებობა, ნების თავისუფლება და სულის უკვდავება დაუსაბუთებელია. კანტი მათ პრაქტიკული გონების აბსოლუტებად აცხადებს. კანტი ღმერთის ყოველაგარ რაციონალურ დასაბუთებას უარყოფდა (კოსმოლოგიურ, ტელეოლოგიურ და ონტოლოგიურ არგუმენტებს). პეგელი კანტის ვევლა ამ უარყოფილ არგუმენტებს, პირიქით, ცნობს. პეგელთან რელიგიისა და ფილოსოფიის შინაარსი ზოგჯერ ასეთ ტენდენციებსაც შეიცავს – თეზისი რწმენის და ცოდნის ურთიერთგამორიცხვა. მეორეს მხრივ, იგი ხსნის შესაძლებლობებს გამორიცხოს რელიგიიდან მისტიკური ელემენტები და არღვევს რელიგიურ დოგმებს უბრალო ფილოსოფიური სიმბოლოებით. მაგალითად, ქრისტიანული დოგმატის ღმერთს სამების შესახებ არის სიმბოლური გამოხატულება ტრადიციების დიალექტური განვითარების პრინციპებზე. ღმერთი აქ არის აბსოლუტური სულის სიმბოლო, ქრისტე კი კონკრეტული იდეაა. ისინი ერთიანებიან სულსა და ბუნებაში. ამავე დროს პეგელი არასოდეს აღიარებს სულის უკვდავების დოგმატს. პეგელის მიხედვით, ღმერთის დაბადება, ღვთის რისხვა, ღვთის ძენი და ა.შ. მხოლოდ მითებია. თვით ქრისტეს შობა არის აღვეორიული მითი, რომელიც გამოხატავს მარადიულ, ზედროულ საღმრთო პროცესს. რელიგიის განვითარების პროცესში გვეძლევა მისი ცნება, შემდეგ ის იქცვა ცოდნად.

პირველად არის ბუნების რელიგია, შემდეგ გადავდივართ თავისუფლების რელიგიაზე და ამის შემდეგ ვდებულობთ ქრისტიანულ, აბსოლუტურ რელიგიას. ბუნების რელიგია მოიცავს ჩინურ, ინდურ და ბუდისტურ რელიგიებს. პირველი ზომების რელიგიაა, მეორე ფანტაზიის, მესამე კი საყოფაცხოვრებო. პეგელს გარდამავალი რელიგიების კლასიფიკაციაც აქვს მოცემული – ეს არის ირანული, სირიული და ეგვიპტური. პირველი კეთილი და წმინდაა, მეორე ტანჯვის, მესამე კი – გამოცნობის. სულის ინდივიდუალურ რელიგიებად პეგელი მიზნევს იუდაურ, ბერძნულ და რომაულს. პირველს არქეგს ამაღლებულს, მეორე არის შშვენიერების, მესამე კი მიზანდასახულობის. ცოდნის, თავისუფლებისა და სულის რელიგია მხოლოდ ქრისტიანობაა. მისი შინაარსია დავთურისა და ადამიანურის ბუნება. ღმერთი თავის თავს ადამიანური ცნობიერებით იმეცნებს. პეგელი თავის „ესთეტიკაში“ ისევ რელიგიის საკითხებს იხილავს. აქ ამაღლებულის კატეგორია სწორედ ღმერთია. მისი სიდიდის განცდა სწორედ რომ ამაღლებულია. ღმერთი არის განხორციელებული სამყარო, სუბსტანცია. აქ არის ღმერთისა და სამყაროს იდენტურობა, სადაც ჩანს პანთეზის ელემენტები. პანთეზის საპირისპიროდ უარყოფითი დამოკიდებულება გულისხმობს შემოქმედისა და სამყაროს კავშირს, თუმცა მათ შორის არის მანილი, რაც აღარ არის იდენტურობა. ეს უამე დუალიზმია ანუ ღმერთის ტრანსცენდენტურობის დაშვება. შემცნების მთავარი მიზანი არის აბსოლუტური სულის ანუ ღმერთის თვითშემეცნება. პირველსაწყისი იმეცნებს თავის თავს. თავდაპირველად არ იცის რას წარმოადგენს. შემცნების შემდეგ კი დგინდება, თუ რას წარმოადგენს აბსოლუტური სული. თვითშემეცნების დროს ის გაივლის სამ საფეხურს, რის შემდეგაც კვლავ უბრუნდება თავის თავს და რწმუნდება, რომ ერთადერთი არსებული თვითონ არის. თვითშემეცნება მთავრდება იქ, საიდანაც იწყება.

ასეთია ძალზე მოკლედ ორი დიდი გერმანელი მოაზროვნის კანტისა და პეგელის შეხედულებანი რელიგიაზე.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. კანტი. “რელიგია მხოლოდ გონების საზღვრებში” თბ. 1989 წ.
2. კანტი. “წმინდა გონების კრიტიკა” თბ. 1972 წ.
3. გ.თევზაძე “იმანულ კანტი” თბ. 1974 წ.
4. ა. გულიგა. “კანტი” თბ. 1986 წ.

5. პეტერი “ეთეტიკა” თბ. 1966 წ.
6. ჰეგელ «ფილოსოფია религии» М. 1975
7. И.С. Нарский «Кант» М. 1976 г.
8. М.Ф. Овсянников «Гегель» М. 1971 г.

### **Summary**

#### **D. Taktakishvili Religion matters with Kant and Hegel**

In the following article the religious standpoints of two famous German Philosophers - Kant and Hegel are discussed. According to Kant moral is the base of all religions. By Hegel Religion is reachable for all people of the Universe. The same can't be told about Philosophy – it isn't reachable for everyone. By Hegel the main goal of cognition is self-cognition of the absolute soul – God. During self-cognition absolute Soul walks three steps and returns to himself. This process ends where it starts.

### **Резюме**

#### **Давид Тактакишивили Вопросы религии у Канта и Гегеля**

В статье рассмотрены точки зрения о религии двух великих представителей немецкой классической философии Канта и Гегеля.

По канту, мораль представляет собой основу всяких религий. Религия – эта обоготворенная мораль. Бог – законодатель морали, Христос – идеал человечности.

По Гегелю, религия доступна всем людям мира, чего нельзя сказать о философии. Она не всем доступна. Главная цель познания – это самопознание абсолютного духа, т.е. Бога. Во время самопознания абсолютный дух проходит три ступени и возвращается к самому себе. Этот процесс кончается там, где начинается.

## ლალი გვასალია

მხატვრული სახის ცნების ესთეტიკურ-  
პულტუროლოგიური კონცეპტი

მხატვრულ სახეზე მსჯელობა ალბათ იმით უნდა  
დავიწყოთ, თუ რატომაა აუცილებელი ტერმინის - „სახე“  
დასაზუსტებლად ზედსართავი სახელის - „მხატვრულის“  
გამოყენება.

საქმე ის არის, რომ სიტყვას - „სახე“ ქართულ ენაში  
გრძელი ისტორია აქვს. უძველესი დროიდან იგი აღნიშნავს:  
„გარეგნულ იერს“, „გამომეტყველებას“, „დვოის სახეს“; აქედან,  
დღემდე შემორჩენილია, ერთის მხრივ, „სახე ხატი (ანუ  
იტალიური ტერმინით - “icona”), რამდენადაც მასში  
შთაბეჭდილია „დვოის სახე“, ხოლო მეორე მხრივ,  
ჩვეულებრივი ყოველდღიური ფიზიონომია, რომელმაც მიიღო  
უარყოფითი აზრი. სიტყვამ „სახე“ წმინდა ესთეტიკური  
მნიშვნელობა მე-17-მე-18 საუკუნეების მიჯნაზე შეიძინა, მაშინ,  
როდესაც რეალურ მხატვრულ პრაქტიკაში ხატწერა ფერწერად  
გარდაიქმნა, საიდანაც ზეცის მკვიდრთა სახეები მონუმენტურ  
ფერწერაშიცოცხალ ადამიანთა სახეებმა გამოდევნეს დაზურ  
ფერწერაში. თანამედროვე გაგებითაც ცნება „სახე“ არაა  
ერთმნიშვნელოვანი. რეალური სამყაროს საგანთა ხედვით  
აღქმას, ფსიქოლოგიური აზრით, ამ საგანთა „სახეებს“  
უწოდებენ. ფილოსოფიაში გნოსეოლოგიური ცნება „სახე“  
გამოიყენება საგნობრივი სამყაროს არა მხოლოდ გრძნობადი,  
არამედ ინტელექტუალური ასახვის ადსანიშნავად ადამიანის  
ფსიქიკის შეირ. მხატვრული სახე კი - ხატოვნების  
განსაკუთრებული ტიპია, რომელსაც აქვს როგორც  
გნოსეოლოგიური, ფსიქოლოგიური და სემიოტიკური  
მნიშვნელობები, ასევე სხვაგვარი მნიშვნელობის ასპექტთა  
მთელი რიგი, რაც მოითხოვს მისი ხელოვნებაში გამოყენების  
დამაკრინებებელ ეპითეგს - „მხატვრული“.

ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში ცნება „სახე“ მე-  
18 საუკუნის დასასრულიდან ხელოვნების არსის, როგორც  
ცხოვრების სახეებში ასახვის აღმნიშვნელად მკვიდრდება

(შილერთან, შელინგთან, პეგელთან). შემდგომ, „სახის“ ცნება ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს წარმოქმნიდა, მე-20 საუკუნეში იგი მისაღები იყო ტრადიციულად მოაზროვნე ესთეტიკოსებისათვის, მაგრამ არ იყო მისაღები მათვის, ვინც ხელოვნებაში ხედავდა არა სინამდვილის ასახვას, არამედ მხატვრის ემოციურ თვითგამოხატვას, ან ესთეტიკურად მნიშვნელოვან ობიექტთა კონსტრუირებას, ან ფორმათა თვითმიზნურ თამაშს.

**გარეულები** ესთეტიკურ-კულტუროლოგიური კონცეფციიდან გამომდინარე, ხელოვნების სტრუქტურის ყველაზე ზუსტ განსაზღვრებად მიიჩნევა ცნება „მხატვრული სახე“ იმიტომ, რომ ამგვარ ესთეტიკურ-კულტუროლოგიურ ქონცეპტს წარმოშობს შერწყმა რეალობის ასახვისა, შემოქმედის გრძნობათა და აზრთა გამოხატვისა, მატერიალურ-სულიერ საგანთა განსაკუთრებული გვარის კონსტრუირებისა, თამაშისა, რომელიც ამ ფორმათათვისაა გამოყენებული, ფორმის გადაქცვისა ენად, რომელზეც შემოქმედი აღამიანებს ესაუბრება... ამიტომ ხელოვნების ნიმუშები ორგვარად უნდა დავაკონკრეტოთ: 1. როგორც მხატვრულები და 2. როგორც განხორციელებულები. პირველი ეპითეტი ხელოვნებაში სახის სულიერი შინაარსის თავისებურებებზე ლაპარაკობს, ხოლო მეორე – ამ სულიერების მატერიალიზაციაზე.

მხატვრული სახე სულიერია თავისი მოდალურობით. იგი იდეალურის ფორმა როგორც „სუბიექტური რეალობის“, ადამიანურ ცნობიერებაში რომ ლოკალიზდება. შემთხვევითი როდია ქართულ (და მრავალ სხვა ენაშიც) ის ფაქტი, რომ ერთნაირძირიანია სიტყვა „სახე“ და „წარმოსახვა“, „ასახვა“ (გერმანულ ენაში – “Bild” და “Einbildungskraft”). ენა აფიქსირებს სახის ლოკალიზაციას იმ სულიერ სივრცეში, რომელიც ადამიანის წარმოსახვით იქმნება. სახე იბადება შემოქმედის წარმოსახვაში, იქნა მომწიფდება, დრმად მოისაზრება და ხელოვნების ნაწარმოებში ხორცებს მის წყალობით მაყურებლის, მკითხველის, მსმენელის წარმოსახვაში გადაინაცვლებს.

ეს, რასაკვირებელია, არა მხოლოდ მხატვრულ სახეს შეეხება. ამიტომ აუცილებელია დადგინდეს, თუ რაში მდგომარეობს მისი, როგორც საჟციფიკური სულიერი კონსტრუქტის თავისებურებანი. ესთეტიკურ თხზულებებში გადმოცემული ჩევულებრივი წარმოდგენა, რომ სახე „ერთეულისა და ზოგადის ერთიანობაა“, არ ავლენს მის სპეციფიკას, რადგან ეს ადამიანის ცნობიერებაში წარმოქმნილი ყველა სახის დახასიათებაა, რომლებიც განსხვავდებიან უბრალო შეგრძნებათაგან, ერთეულ ყოფიერებას რომ ასახავენ

თავის ხედვით, სმენით, შექებით კონკრეტულობაში. მხატვრული სახის სულიერი სტრუქტურის ნამდვილი თავისებურება კი იმაში მდგომარეობს, რომ შემოქმედებითი მოღვაწეობით, რომელშიც სინკრეტულად შერწყმულია შემეცნება, ღირებულებითი გაცნობიერება და გამოგონილი რეალობის პროექტირება, შექმნილი მხატვრული სახე თავის თავში ატარებს ყოველ ამ სამ საწყისს – ერთმანეთში გადამდნარ და ურდვევე ერთიანობაში.

კონსტანტინე გამსახურდიას თარაშ ემხვარის სახეს ავიღებთ თუ ლადო გუდიაშვილის ქაშუეთის დკოისმშობელს ჩვილით, გია ყანჩელის პიროვნულობის სახეს სიმფონიიდან „მიქელანჯელო“ თუ დავით კაპაბაძის „იმერეთის პეიზაჟს“, პოლიკარპე კაპაბაძის ყვარყვარე თუთაბერის სახეს თუ თენიზ აბულაძის არავიძეს, ყველა შემთხვევაში ჩვენს წინაშეა რომელიმე ობიექტური რეალობის შემეცნებითი ასახვა, შემოქმედის მიერ ასახულის შეფასების ემოციური გამოხატულება და იმ ახალი იდეალური ობიექტის შექმნა, რომელიც ამოსავალ რეალობას იმისათვის გარდაქმნის, რათა მან განახორციელოს ცოდნისა და შეფასების შერწყმული ერთიანობა. ასეთი სამგანზომილებიანი სტრუქტურა არცერთ არამხატვრულ სახეს არ გააჩნია – არც დოკუმენტურეპროდუქციული ხასიათისას, არც სამეცნიერო – ილუსტრაციულის, არც პროექტირებულ-ტექნიკურის. სამყაროს ასახვის მხოლოდ მხატვრული ხერხი ქმნის სამსხრივ იდეალურ კონსტრუქტებს, რომლებიც ოთხმხრივად გარდაიქმნებიან კიდევ ერთი აუცილებელი კომპონენტის წეალობით, ინტენციონალურის, რომელიც წარმოქმნის ხელოვნების ნაწარმოების დიალოგურ მიმართვას მაყურებლის, მსმენელის, მკითხველისადმი, რადგანაც ეს უკანასკნელი შემოქმედისთვის, ჩვეულებრივი, კომუნიკაციური აქტის „რეციპიენტებს“ კი არ წარმოადგენენ, არამედ მათ, ვისაც მოუწოდებენ თანაშემოქმედების, თანამონაწილეობის, ანუ დიალოგისკენ, რომლის მიზანსაც მხატვრული ინფორმაციის გამომუშავება წარმოადგენს.

მინდა ხაზგასმით გავიმურო, რომ მხატვრული სახის ყველა ამ ოთხი მხარის ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება ნაირგარად განხორციელდეს მრავალი მიზეზის გამო: ხელოვნების გვარის, სახის, ჯანრის ბუნებიდან გამომდინარე, მხატვრული მეთოდისა და სტილის პოზიციებიდან გამომდინარე, შემოქმედის ინდივიდუალობიდან გამომდინარე, კონკრეტული მხატვრული ამოცანიდან (რომელსაც შემოქმედი წყვეტს მოცემულ შემოქმედებით აქტში) გამომდინარე, ოღონდაც ამა თუ იმ უფლებით, ვთქვათ, როგორც სახოვანი

დომინანტა, ან სტრიქონებსშორისი ფონი, რომლებიც იქვემდებარებენ სხვა მხარეებს, ან მათთან პარმონიულ წინასწორობას ეძებენ. თითოეული მათგანი აუცილებელია სრულფასოვანი მხატვრული სახისათვის.

აქვე საჭიროა იმის ხაზეასმა, რომ ხელოვნებაში მხატვრული სახის რა მასშტაბზეც უნდა იყოს დაპარაკი, მისი სტრუქტურა მაინც ინგრიანტული რჩება, რადგანაც სწორედ სახის სტრუქტურა ანიჭებს სულიერ შინაარსს მხატვრულ თვისებას.

ეს თვისება მხატვრულ სახეში ობიექტურისა და სუბიექტურის გაიგივებაზე აღმოცენდება. ეს კი გამოვლინდება მის მეტაფორულ უნარში – სუბიექტის თვისებები ობიექტზე გადაიტანს; კონკრეტულად, ისეთი მეტაფორები, რომლებიც ბუნების მოვლენებს სიცოცხლეს ანიჭებს, ადამიანის თვისებებს მიუსადაგებს შემოქმედი:

„ლამის სახლში შემოიჭრას თუთა,  
ლამის თავზე გადამისვას ხელი“;

ან „მე ვარ მისანი ხარი წიქარა,  
შენი დვრიტა ვარ მამულ-დედულო“;

ან „მოგონების ვიოლინოს ჩუმად  
უკრავს წვიმის ხემი,  
ქარში სევდაგანამხელი დგანან  
ხენი“...

შედეგად, ხელოვნებაში ობიექტი ისე იქცევა, როგორც სუბიექტი (გავისხმოთ ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, მისი „შელის ნუკრის ნაამბობი“ და სხვ.) ეს ჩვენ უფლებას გვაძლევს განვსაზღვროთ მხატვრული სახე, როგორც კვაზისუბიექტი, რადგანაც მიხეილ ჯავახიშვილის „მზეჭაბუკის“, კაჭი კაჭასნტირაძისა თუ ლადო გულიაშვილის სერაფიტას სუბიექტურობა მაინც მოჩვენებითია და არა ნამდვილი.

მხატვრული სახის შინაარსის ყველა ეს თავისებურება იწვევს მხატვრული ფორმის განხორციელებულ და ოვალსაჩინო აუცილებლობას. ლაპარაკია იმაზე, რომ მხატვრული სახის ფორმა უნდა იყოს კონსტრუქციულ-მატერიალური და ამავე დროს ნიშნობრივ-ენობრივი. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება იგი იყოს სულიერი შინაარსის ადეკვატური თავისი როგორც გამოხატვის ხერხით, ასევე, იმავდროულად, შემოქმედის მიერ მკითხველის, მაყურებლის, მსმენელის სადიალოგოდ მოწვევის ხერხითაც.

მხატვრული შემოქმედების არსობრივი თვისება, ეს არის სინამდვილის ხელახლა შექმნა, ანუ ახალი სინამდვილის შექმნა, რაც წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს სულიერ შინაარსსა და ხელოვნებების გარეგნული ფორმის მატერიალურობას შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ესაა სულიერების მატერიალიზაცია და მატერიალურის განსულიერება. მათი შეხვედრისა და შერწყმის წერტილი ეს არის ობიექტურისა და სუბიექტურის ერთიანობა კვაზისუბიექტის ფორმაში, ანუ მხატვრულ სახეში.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ოთარ ტაბიძე შემოქმედების არსი. გამომც.
2. „შეცნიერება”, 1980
2. Каган М.С. Морфология искусства.-Л.-М., 1972
3. Каган М.С., Холостова Т.В. Культура-Философия-Искусство. Диалог. М.,1988
4. Петров М.К. Язык,знак,культура-М.1991
5. Философия.Творчество.Культура.-Саратов,1994
6. Чавчавадзе Н.З. Культура и ценности.Тбилиси.1984

### **Summary**

**Lali Gvasalia**

**The aesthetical-cultural concept of the Artistic shape's idea**

The peculiarities of the Artistic shape is considered in the article. Physiological, gnosiological, axiological, semiotic meanings for general understanding the term “shape” and the phenomenon “Artistic Shape” are considered. The concept “Artistic Shape” is considered to be the most exact definition for Art’s structure.

The author’s point of view has been developed on the basis of examples from Georgian classic art.

### **Резюме**

**Лали Гвасалиа**

**Эстетико-культурологический концепт понятия-художественный образ**

В статье рассмотрена специфика художественного образа. Дается как общее понимание термина «образ», так и гносеологическое, аксиологическое, и семиотическое значения феномена – «художественный образ». Этот последний представляет собой точнейшее определение структуры искусства.

Суждения автора развиваются на примерах грузинского классического искусства.

**Maia Chkheidze**

**Principles of Intercultural Communication**

Communication – “it’s not always easy and often takes a lot of determination. But making an effort to remove the obstacles – tangible and intangible – that stand in our way, can be the key to building relationships that really work” (Eric Garner).

We live in a culturally diverse world. People will encounter from different races, religions, nationalities in their day to day encounters. There is often anxiety surrounding unfamiliar cultures. What manners are acceptable? What will offend a person from a very different background? It can be paralyzing to deal with other people if we do not know what to expect.

The desire to communicate is the first step in being effective. No matter what tools you gain in cross cultural communication. The desire to connect with another human being is the bond that will express itself clearly. A genuine effort to understand another person goes along way in the path to communication.

We should be proactive when approaching a new culture. This is a learned skill which means it will require research, practice, and growth. People from different backgrounds may have varied approaches to conflict management, learning styles, family structure, religion, and most other aspects of life.

All people have safety, acceptance, self-esteem, and self-actualization needs. Considering these things it is easy to see our essential common ground. And this is where we can begin our comprehension of others.

We should reach beyond stereotypes. The barriers that exist between cultures are weak. We need desire, information, and willingness to take interpersonal risks to break them. An individual’s ability to be open to new ideas and people will go a long way in the process of cross cultural communication. It starts with acceptance. It leads to an exciting new world full of clarity and connectedness.

Intercultural communication principles guide the process of exchanging meaningful and unambiguous information across cultural boundaries, in a way that preserves mutual respect and minimizes antagonism. For these

purposes, culture is a shared system of symbols, beliefs, attitudes, values, expectations, and norms of behaviour.

The semiotics of communication analyses the verbal and non-verbal codes used to transfer information between people. Should these people have different cultural backgrounds, they may interpret verbal and non-verbal signals differently. Empirical methods for researching such differences purpose that culture is learned by listening to, and observing the behaviour of, other members within the group. Direct and indirect interactions ensure that culture is passed from person to person and from generation to generation. The research methods are predominantly objective and quantitative, observing behaviour without considering the reasons behind it, and cataloguing the types of behaviour identified as common within each culture.

People from different cultures encode and decode messages differently, increasing the chances of misunderstanding. We should get used to the idea that everyone's thoughts and actions are not just like ours. We should not enter a culture with some ethnocentrism. Considering your own culture "correct" is another byproduct of ignorance and cultural misunderstanding. Main types of misunderstanding are:

**Language:** Even when two people think they can speak each other's language, the chance of error is high. Usages and contextual inferences may be completely different between cultures. So even though one speaker may have learned the vocabulary of the other's language, selecting the most appropriate words, with the correct intonation, spoken with appropriate eye contact while standing a proper distance from the other are all critical even before one considers the propriety of the topic to be discussed.

**Rights, values, and needs:** Some cultural characteristics will be easy to identify, e.g. whether people are conscious of status or make displays of material wealth. But many rights are assumed, values are implied, and needs are unspoken, (e.g. for safety, security, love, a sense of belonging to a group, self-esteem, and the ability to attain one's goals).

For example, issues of personal security, dignity, and control will be very different as between an able and a disabled person. Similarly, there may be problems of respect when a person from a rigidly class-based culture meets a meritocrat, or where there is racism, or religious intolerance in play. In such situations, identity is fundamental when disputing the proper role or "place" of the other, about who is in control of their lives, and how they present themselves to the outside world. But the reality is more deeply rooted in power relationships: about who is on top of the social, economic, and political hierarchy. Family members or long term rivals may be obsessed with their mutual competition. The relationships between racial or ethnic groups may be affected by economic jealousy. Nations may assert

that their political systems are superior. Such conflicts are difficult to resolve because no-one wants to be the loser, and few are willing to share the willingness. Stereotyping can aggravate these problems and prevent people from realising that there is another way to interpret a situation, or that groups may define their rights in a different way. Hence, what may appear just or fair to one group can seem unjust to an opposing group.

**Assumptions:** People may misinterpret each other's motives. For example, one group may assume that they are simply exchanging information about what they believe, but the other believes that they are negotiating a change in behavior. This is most likely to arise if the parties are not completely honest with each other from the outset. Individuals may wish to protect their privacy, corporations may be concerned about industrial espionage, and politicians may be bound by requirements of secrecy in the national interest. Nevertheless, clarifying the purpose of the interaction is essential to eliminating confusion, particularly if vested interests are involved.

**The situation:** If time is not a factor and those interacting approach their meetings with good will and patience, effective communication is more likely. But, if the parties are under pressure (whether generated by external circumstances or internal needs), emotions may colour the exchange. Prejudice is a short-cut decision-making tool. In a crisis, fear and anger may trigger more aggressive tactics, particularly if the meeting is being staged under the gaze of the news media.

It is essential that people research the cultures and communication conventions of those whom they propose to meet. This will minimize the risk of making the elementary mistakes. It is also prudent to set a clear agenda so that everyone understands the nature and purpose of the interaction. When language skills are unequal, clarifying one's meaning in four ways will improve communication:

a) avoiding using slang and idioms, choosing words that will convey only the most specific denotative meaning; b) listen carefully and, if in doubt, ask for confirmation of understanding (particularly important if local accents and pronunciation are a problem); c) recognize that accenting and intonation can cause meaning to vary significantly; d) respect the local communication formalities and styles, and watch for any changes in body language; e) investigate their culture's perception of your culture by reading literature about your culture through their eyes before entering into communication with them. This will allow you to prepare yourself for projected views of your culture you will be bearing as a visitor in their culture. If it is not possible to learn the other's language, it is expedient to show some respect by learning a few words. In all important exchanges, a translator can convey the message.

When writing, the choice of words represent the relationship between the reader and the writer so more thought and care should be invested in the text since it may well be thoroughly analysed by the recipient.

Intercultural competence is the factor of vital importance for successful communication. Intercultural communication is the ability of successful communication with people with people of other cultures. This ability can exist in someone at a young age, or may be developed and improved due to willpower and competence. The bases for a successful intercultural communication are emotional competence, together with intercultural sensitivity. Interculturally competent is a person who captures and understands, in interaction with people from foreign cultures, their specific concepts in perception, thinking, feeling and acting. Earlier experiences are considered, free from prejudices; there is an interest and motivation to continue learning. Basic needs are sensitivity and self-consciousness: the understanding of others behaviour and ways of thinking as well as the ability to express one's own point of view in a transparent way with the aim to be understood and respected by staying flexible where this is possible, and being clear this is necessary. It is a balance, situatively adapted, between three parts:

a) knowledge about other cultures, people, nations, and behaviors; b) empathy – understanding feelings and needs of other people and c) self-confidence – knowing what I want, my strengths and weaknesses, emotional stability.

Cultural characteristics can be differentiated between several dimensions and aspects

The ability to perceive them and to cope with them is one of the bases of intercultural competence.

## რეზიუმე

### მათა ჩხეიძე პულტურათა შორისი კომუნიკაციის პრინციპები

ეფექტური კომუნიკაცია განსხვავებული კულტურის წარმომადგენელთან განსაკუთრებით პრობლემატურია. კულტურა უზრუნველყოფს ადამიანს აზროვნებისა და სამყაროს ინტერპრეტაციის წესებით. ყველა კულტურული განსხვავება იწვევს კომუნიკაციურ პრობლემებს.

სტატია ეხება ეფექტური კულტურათაშორისი კომუნიკაციის  
მიღწევის პრობლემას, ინტრალინგვისტური და  
ინტერლინგვისტური კომუნიკაციის სფეროებისათვის  
რელევანტური სხვადსხვა პრინციპების გამოყენებით.  
კულტურათაშორისი კომუნიკაციის პრინციპების სისტემის  
ანალიზი განიხილება, როგორც კონკრეტული ინფორმაციული  
ორიენტირების იდენტიფიცირების ერთ-ერთი შესაძლებელი.

### **Резюме**

#### **Майа Чхеидзе** **Принципы Межкультурной Коммуникации**

Эффектная коммуникация с людьми из разных культур является особенно сложной задачей. культура даёт людям способы мышления и интерпретации мира. Все культурные различия приводят к коммуникационным проблемам.

Статья касается проблемы достижения эффектной межкультурной коммуникации при помощи различных принципов релевантных для сферы интралингвистической и интерлингвистической коммуникации. Анализ системы принципов межкультурной коммуникации рассматривается как самый эффективный метод идентификации информационных ориентиров текста.

## რუსუდან თაბუკაშვილი

ენისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების  
პრობლემა სოციოლინგვისტიკაში

ენასა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს შორის ურთიერთმიმართებისა და მათ შორის დამოკიდებულების პრობლემების იკვლევს სოციოლინგვისტიკა. სოციოლინგვისტიკას ხშირად ენის სოციოლოგიის ზოგად ცნებად აღიქვამენ. ცხადია, რომ სოციოლინგვისტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული მის მონათესავე დისციპლინასთან – სოციოლიოგიასთან. რადგან სოციოლინგვისტიკა ენის სოციალურ ასპექტებს იკვლევს, ამიტომ იგი დისციპლინათ შორის მეცნიერებად ითვლება. ზოგიერთი მეცნიერი სოციოლინგვისტიკას უპირისპირებს ენის სოციოლოგიას. ითვლება, რომ ასეთი მიდგომა სოციოლინგვისტიკისადმი ავიწროებს მის ჩარჩოებს და ახდენს მისი საკვლევი ობიექტის რედუცირებასა და რესტრინგირებას.

სოციოლოგიასა და ლინგვისტიკას შორის ურთიერთმიმართება და კავშირი ორმხრივია და ძნელია გამოყოფა იმ მოქნეობისა, თუ რომელია უპირატესი, ორივე ასპექტს, სოციოლოგიასა და ლინგვისტიკას, ერთნაირი დატვირთვა, ხელდრითი წილი აქვს და ორივე ერთად ქმნის იმ კონგლომერატს, რომელიც ერთმანეთს გულისხმობს და ერთმანეთს განაპირობებს. ამდენად, სოციოლინგვისტიკა წარმოადგენს სოციოლოგიასა და ლინგვისტიკის სიმბიოზს, რომელთაგან თითოეულ მათგანს თანაბარი სტატუსი აქვს და ორივეს თანაბრად შეაქვს წვლილი ენაომეცნიერების ამ დარგის კვლევისა და შესწავლის საქმეში. ის, რომ სოციოლოგია გულისხმობს ლინგვისტიკას და, ლინგვისტიკა კი, თავის მხრივ – სოციოლოგიას, განპირობებულია ორი მოქნეობით: პირველ რიგში ენა მოიაზრება როგორც სოციალური ფენომენი, რომლის აღწერა და კვლევა ხდება ენის მატარებელთა სოციალური და საზოგადოებრივი ასპექტების გათვალისწინებით. ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში ანტუან მეიე, ფრანგული სოციოლოგიური სკოლის დამფუძნებელი, ამბობს: „ენის გაბება და მისი შემცენება შეიძლება მხოლოდ მისი სოციალური ხასიათის გათვალისწინებით“. მეორე მხრივ კი, სოციოლინგვისტიკა

ემყარება ემპირიზმს, რაც გულისხმობს ნებისმიერი კონკრეტული ენობრივი საზოგადოებისა თუ კოლექტივის ჩარჩოებში მოცემული კონკრეტული ენობრივი აქტის კვლევასა და მკვლევარის მიერ იმ პოზიციის განსაზღვრას, რომელიც ემპირიულ კვლევაზეა დაფუძნებული. კვლევის პროცესში საჭირო მასალის მოპოვება ხდება სოციოლოგიდან ნასესხები სპეციალური ტექნოლოგიებით ან პირადი დაკვირვებებით.

კვანძიტიტურობაზე გათვლილ კვლევებთან ერთად, რომელთა ობიექტს ენობრივი აქტების მონაცემთა შეგროვება წარმოადგენს, სოციოლინგვისტიკაში სულ უფრო სმირად ვხვდებით კვანძიტიტურობაზე დაფუძნებულ კვლევებს, რომელთა შედეგებიც არ ეფუძნება ენობრივი მონაცემების სტატისტიკას, არამედ იგი ემყარება ცალკეული ენობრივი ქმედებების ინტენსიურ და დეტალურ ანალიზს, რომლის დროსაც განსაკუთრებული აქცენტი პიროვნებაზე კეთდება.

აქედან გამომდინარე, სოციოლინგვისტიკის კვლევის სამიზნე ორი ობიექტია: ერთი მხრივ ეს არის იმ ენობრივი ქმედებების ფორმების დადგენა, რომლებიც ტიპიურია ენობრივი კოლექტივის ამა თუ იმ სოციალური ჯგუფისათვის და მეორე მხრივ, ეს არის იმ ენობრივი ბარიერების დაძლევის გზები, რომლებიც პოლიტიკური და ეკონომიკური ძვრების ფონზე წარმოშობა.

სოციოლინგვისტიკის კვლევის ობიექტებიდან გამომდინარე ლინგვისტიკამ შეიძინა პრაქტიკულად ახალი სტატუსი – ლინგვისტიკა საზოგადოებრივი მეცნიერებაა, ანუ სოციალური მეცნიერებაა. ამ დონეზე ენა განიხილება როგორც საზოგადოების ამა თუ იმ სოციალური ფენის პროდუქტი.

როგორც უპე აღნიშნეთ, რადგან ენა სოციალური ფენომენია, იგი არსებობს საზოგადოებაში და არასოდეს გადის საზოგადოების ჩარჩოებს გარეთ. საზოგადოება თავისთავად დინამიურია, იგი ვითარდება, მუდმივად განიცდის ცვლილებებს და არასოდეს ინარჩუნებს პირველად სოციალურ მდგომარეობას. საზოგადოებაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა სოციალური ფაქტორები: პოლიტიკა, ეკონომიკა, ტექნიკა, კულტურა, რაც, თავის მხრივ ახდენს საზოგადოების დიფერენციაციას. რადგან ენა უშუალო კავშირშია საზოგადოებასთან, სწორედ ის ასახავს საზოგადოების დიფერენციაციას სხვადასხვა სოციალური ფენებად და შესაბამისად ხელს უწყობს ენაში საზოგადოების სოციალური ფენების შესაბამისი ენობრივი ფორმების წარმოშობას, ანუ ენის სოციალური გარიანტების წარმოშობას.

აქედან გამომდინარე, სოციოლინგვისტიკამ სოციალური სტრუქტურა და ენა უნდა განიხილოს დინამიკაში, რადგან

სოციალური ცვლილებები მუდმივად ხდება, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს ენაზე და მუდმივად შეაქვს მასში შესაბამისი ცვლილებები, კორექტივები.

საზოგადოების მუდმივი განვითარების პროცესში ენასა და საზოგადოებას შორის კავშირი დიფერენცირებული და კომპლექსურია. სოციალურ-ეკონომიკური პროცესი, ტექნიკა, მეცნიერება, კულტურა, სპორტი ენისაგან მოითხოვს რეალობის აღყვატურ, ზუსტ, დინამიურ, ლოგიკურ აღწერას. სწორედ ენამ უნდა ასახოს როგორც შინაარსობრივად, ასევე სტრუქტურულად საზოგადოების განვითარების პროცესის თანამდევი შედეგები. ამდენად, ენა და საზოგადოება სოციო-ლინგვისტიკაში უნდა განიხილოს მხოლოდ დინამიკაში და არა სტატიკაში, რადგან ორივე მუდმივი განვითარების პროცესში მყოფი ცოცხალი ორგანიზმია. ენამ ფეხი უნდა აუწყოს ნებისმიერ ცვლილებას საზოგადოებაში, რამეთუ სოციალური ცვლილება განსაზღვრავს ენობრივ ცვლილებას.

როგორც უკვე ითქვა, სოციოლინგვისტიკა იკალებს ენასა და საზოგადოებას შორის კორელაციას. ასევე საყოველთაოდ ცნობილი პოსტულატია, რომ ენა საზოგადოებრივი, სოციალური მოვლენაა. აქ აშპარად იჩენს თავს ორმხრივი ურთიერთეორელაცია: საზოგადოება – ენა, ენა – საზოგადოება, რაც ბადებს ლოგიკურ შეკითხვას; საზოგადოება ახდენს გავლენას ენაზე და იწვევს ცვლილებებს მასში, თუ ენა ახდენს გავლენას საზოგადოებაზე და დიფერენცირებულს ხდის მას.

ენა მუდმივად ახდენს გავლენას საზოგადოებაზე. ეს საკმაოდ მარტივი და ბანალური დეფინიციაა, თუკი ჩვენთვის მისაღებია ის თეზა, რამ ადამიანის აზროვნება ვერბალური აზროვნებაა, რაც იმას გულისხმობს, რომ ენა მონაწილეობს ყველა იმ პროცესში, რომელიც ადამიანის აზროვნებასთანაა დაკავშირებული. ეს მოსაზრება შეიძლება განვავრცოთ და კოქვათ, რომ ენა მთლიანადა საზოგადოების კულტურაში ინტეგრირებული და კულტურის შექმნის პროცესშიც კი მონაწილეობს. ადამ შაფი (1976) ემხრობა იმ თვალსაზრისს, რომ ენა ახდენს გავლენას საზოგადოებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. იგი ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნევს: ლინგვისტურ ნოეტიკასა და ლინგვისტიკურ პრაგმატიკას. ლინგვისტურ ნოეტიკაში (მოდლერება შემეცნებაზე) ავტორი გულისხმობს იმ პრობლემათა კორპუსს, რომლებიც ენასა და აზროვნებას შორის დამოკიდებულებას ეხება. ამ მოდლერების მიხედვით ენა ზემოქმედებს ზოგადად მთელ საზოგადოებაზე და არა მხოლოდ ცალკეულ ინდივიდებზე, რომლებიც შემეცნების

პროცესის კონკრეტული სუბიექტები არიან. რადგან ჩვენ მუდმივად ერთი ენის ჩარჩოებში და ამ კონკრეტული ენის საშუალებით ვაზროვნებთ, ენა ფლობს შემეცნებისათვის საჭირო საშუალებებს საზოგადოებრივი მასშტაბით და არა რომელიმე ცალკეული ინდივიდისათვის, თუკი, ცხადია, საზოგადოებაში ადამიანთა იმ ჯგუფს ვიგულისხმებთ, რომლებიც ერთ ენაზე მეტყველებენ.

ლინგვისტიკაში ამ კუთხით ორი მოსაზრება არსებობს: პირველი მოსაზრების თანახმად, ენას აქვს ადამიანის შემეცნების ჩარჩოების განსაზღვრაში გადამწყვეტი ფუნქცია – შემეცნების პროცესში სამყაროს არტიკულაციიდან დაწყებული, დამთავრებული იმით, თუ როგორ აღიქმება მოვლენები და როგორ ხდება ამ მოვლენათა ინტერპრეტაცია. მეორე მოსაზრება ამ ფაქტორს უგულებელყოფს, უარყოფს მის მნიშვნელობას, თუმცა იმავდროულად, ეს მოსაზრება იცავს ენაში უნივერსალიზმის არსებობის პოზიციას, მიუხედავად იმისა, თუ როგორი კონკრეტული ფორმები აქვს ამ ენის ბგერით სტრუქტურას.

ჩვენს მიერ განხილული ორი მოსაზრებიდან, პირველს – რომლის მიხედვითაც ცალკეული ენის სისტემები გავლენას ახდენენ ადამიანის აზროვნებასა და სამყაროს აღქმაზე – დიდი ხნის ტრადიცია და ისტორია აქვს: იგი სათავეს იღებს მე-18, მე-19 საუკუნეების მიჯნაზე, ვილჰელმ ჰაუპტმან (ადამიანი აზროვნებს ისე, როგორც ლაპარაკობს, და ლაპარაკობს ისე, როგორც აზროვნებს) და მთავრდება მე-19–მე-20 საუკუნეების გასაყარზე ნეოპუმბოლდტიანებულების ენის ველის თეორიით (ტრირი, პერციგი და ვაისგერბერი). ამ სკოლის წარმომადგენლები გაერთიანდნენ ერთი იდეით: რადგან ადამიანი აზროვნებს მხოლოდ ერთი ენის ჩარჩოებში და მხოლოდ ამ ერთი ენის საშუალებით (ცნებითი აზროვნება ყოველთვის ვერბალურია), ამიტომ სხვადასხვა ენის სისტემები გავლენას ახდენენ ამ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოების აზროვნებაზე (იმაზე, თუ როგორ აღიქმავენ და შეიმეცნებენ ადამიანები სამყაროს). ე. ი. ენის სისტემა, რომლის ჩარჩოებშიც ადამიანი აზროვნებს, გავლენას ახდენს ამ ადამიანის აზროვნებაზე. რადგან არსებობს მრავალი ენა და შესაბამისად ამ ენათა მრავალი სისტემა, უნდა არსებობდეს დიფერენციაცია შესაბამის ენაზე მოლაპარაკე შესაბამისი საზოგადოების აზროვნებაში, იმაში, თუ როგორ ახდენენ ისინი სამყაროს არტიკულირებას, აღქმასა და შემეცნებას. ამ სკოლის მიმღევრები ენათმეცნიერების ამოცანად მიიჩნევენ სწორედ ენასა და აზროვნების შორის ურთიერთკორელაციისა

და განსხვავებების კვლევას ენის შინაარსობრივი, სემანტიკური ასპექტის გათვალისწინებით.

საპირისპირო ტენდენცია აქვს მეორე მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ენას არ აქვს ფუნქცია ადამიანის აზროვნების პროცესში და შესაბამისად არარეალურია ენის გავლენა როგორც ცალკეული ინდივიდის, ასევე მოელი საზოგადოების შემცნების პროცესზე. შესაბამის დაეთანხმოს კიდევ ამ მოსაზრებას, თუკი უარვყოფთ იმას, რომ: 1. ადამიანი აზროვნებს ერთი ენის ჩარჩოებში და აზროვნების რეალიზაციისათვის მას სჭირდება რაიმე იარაღი; 2. ენის სისტემა არის სემანტიკურად დიფერენცირებული, რაც ლოგიკურად უნდა დასრულდეს ამ ენის შესაბამისი აზროვნების სისტემის დიფერენციაციით. ორივე შემთხვევაში ხდება პირველი სკოლის წარმომადგენელთა მოსაზრების უარყოფა, უარყოფა იმისა, რომ ადამიანი მუდმივად აზროვნებს კონკრეტული ენის ფარგლებში და მისი საშუალებით ხდება აზროვნების რეალიზაცია. ასევე იგნორირდება ის, რომ ენის სისტემები სემანტიკურად დიფერენცირებულია, რაც თავისთვალი გამოიხატება შესაბამისი კონიტიური სისტემების დიფერენციაციაში.

მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოსდა ადამიანი არ აზრივნებს ერთი ენის ჩარჩოებში, ტრივიალური, ფილოსოფიური და ემპირიზმს მოკლებულია. ამ მოსაზრების აგტორები ხელოვნების ან ზუსტი მეცნიერებების ის წარმომადგენლები არიან, რომლებიც სპეციებით, სიმბოლური ნიშნებით ოპერირებენ (ნოტები, მათემატიკური სიმბოლოებით და ა. შ.). ისინი თვლიან, რომ აზროვნების რეალიზაციისათვის საჭიროა ხელოვნური ენა, სიმბოლიკა და არა ბუნებრივი ენა. მათი აზრით, ადამიანის აზროვნება არ არის ვერბალური და ამიტომ, ენის გავლენა შემცნებაზე ნულის ტოლია.

მეორე მოსაზრება ენის სისტემის სემანტიკური დიფერენცირების უარყოფის შესახებ შესაბამის გაბათილდებს იმ არგუმენტით, რომ არ შეიძლება არსებობდეს რამდენიმე ენისათვის საერთო უნივერსალური გრამატიკა. ეს არის მხელოდ მოსაზრება, რომელსაც აქვს უფლება იარსებოს პიპოლების სახით.

როგორია საზოგადოების გავლენა ენაზე და იწვევს თუ არა მისი ზეგავლენა ენაში ცვლილებები? ამ ძირითად საკითხს ლოგიკურად მოსდევს მრავალი სხვა კითხვა: როგორია სოციალური ჯგუფების (საზოგადოების კლასების, პროფესიონალთა ჯგუფების, ეთნიკური ჯგუფებისა და ა. შ.) გავლენა ენის განვითარებასა და მის სტრუქტურაზე, აქვს თუ არა სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე ადამიანთა

ჯგუფებს შორის ურთიერთობას გავლენა ენაზე და ა. შ. ამ შეკითხვებზე პასუხი ჩვენსავე რეალობაშია, რადგან ჩვენ ვცხოვრობთ განსაზღვრულ პერიოდში და ფაქტიურად შეგვიძლია დაკვირვების გზით ბუნებრივად ჩავატაროთ კიდევ ექსპერიმენტი სოციოლინგვისტიკაში. ნებისმიერ ქვეანაში ინდუსტრიალიზაციას მოაქვს შედეგად ინდუსტრიული საზოგადოება, რომელიც ჩაენაცვლება პრიმიტიულ საზოგადოებას. ინდუსტრიალიზაციის პროცესს თან სდევს აშკარა ცვლილებები საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საზოგადოების კულტურაში. რასაკირველია, ეს ცვლილებები ეხება ენასაც – უპირველეს ყოვლისა ლექსიკას. ლექსიკური მარაგი მდიდრდება და მრავალფეროვანი ხდება სხვადასხვა ენებიდან ნასესხები ლექსიკური ერთეულების საშუალებისა და ნეოლიტიზმებით. „სოციალურ პროცესებთან ენის კავშირს ასახავენ ენის ცალკეული დონეები. უშეტესწილად ეს კავშირები დამახასიათებელია ლექსიკისათვის, რომელიც უშუალოდ უკავშირდება იდეოლოგიის სფეროს, რეალიებსა და ცნებებს“ (2, გვ. 206). უფრო როგორია ენის სინტაქსში საზოგადოების ეკონომიკური თუ პოლიტიკური პროგრესის ფონზე მიმდინარე ცვლილებების ანალიზი, ასევე სირთულეს ქმნის სოციოლინგვისტიკის უმნიშვნელოვანები პრობლემების – ენის პრაგმატიკის კვლევა, რაშიც მოიაზრება ენის დამოკიდებულება საზოგადოებრივ საქმიანობასთან.

ამრიგად, სოციოლინგვისტიკის ჩარჩოებში ამა თუ იმ პრობლემის კვლევისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ენისა და საზოგადოების, საზოგადოებისა და ენის ურთიერთობის საკითხები, მათ შორის დამოკიდებულების მრავალფეროვნება, სირთულე და კომპლექსურობა. სოციოლინგვისტური კავლება უნდა ეფუძნებოდეს იმ პოსტულაცის, რომ ენა და საზოგადოება – ეს ის სტრუქტურებია, რომლებსაც განსაკუთრებული ტიპის ურთიერთკორეგლაცია აქვთ და, რომელთა კოექსისტენციაც ქმნის ამ ორი კომპონენტის სრულყოფილებას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. А. Мейе. Введение в сравнительное изучение индоевропейских языков. Русский перевод. М.-Л., 1938, стр. 471.
2. Adam Schaff, Zum Forschungsgebiet und Programm der Soziolinguistik, Warschau-Wien, გვ. 206.
3. И. Вахек. Лингвистический словарь Пражской школы, стр. 264.
4. Metzler Lexikon Sprache, Herausgegeben, von Helmut Glück, 2, erweiterte Auflage, 2000. Stuttgart, Weimar.

## Резюме

**Русудан Табукашвили**

**Проблема взаимоотношений между языком и обществом в социолингвистике**

В статье рассмотрена проблема взаимоотношений между языком и явлениями жизни общества в социолингвистике. Выделены объекты исследования этой области и такими называют: 1. определение форм языковых действий для той или иной социальной группы языкового коллектива; 2. пути преодоления тех языковых барьеров, которые происходят на фоне политических и экономических изменений. Исходя из того, что язык существует в обществе, а общество постоянно развивается и никогда не сохраняет свое первоначальное социальное состояние, рассматривает социолингвистика социальную структуру и язык в динамике, так как социальные изменения вносят в язык соответствующие изменения. В статье существует попытка дать ответ на вопрос: общество влияет на язык, или наоборот.

## Summary

**Rusudan Tabukashviki**

**Coordination problems of language and society in sociolinguistic**

This article researches sociolinguistic coordination problems of language and society. It marks out objects in this researches and calls them: 1. it determines forms of action for a different social groups; 2. ways for overcoming this actions on the political and economic background changes. Therefore, language exist in society, and society is developing constantly and never save it's original social condition and shows sociolinguistic like a social structure and like a language in dynamic, also social changes carrying in language changes like a respective changes. In this article we are trying to give answer on the question: does society have influence on language, or vice versa.



## თინათინ იაშვილი, ირინა იაშვილი

**გაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (ვმო) და მისი  
როლი მსოფლიო ეკონომიკაში**


XXI საუკუნის დასაწყისში შეინიშნება როგორც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ახალი ტექნიკიცები, მიმართულებები და განვითარების ფორმები, რაც ძირითადად დაკავშირებულია გლობალიზაციასთან, ისე, ახალი პრობლემები და წინააღმდეგობები. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესი ახალ მოთხოვნებს უქენებს საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემას, ძირითადად იმათ, რომლებიც ფაქტიურად არიან მსოფლიო გლობალური მასშტაბის ორგანიზაციები. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში გადამწყვეტ როლს თამაშობს გაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (ვმო).

გაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია წარმოადგენს სახელმწიფოთა შორის არსებულ ორგანიზაციულ მექანიზმს, რომლის ამოცანაა ქვეყნებს შორის გაჭრობის განხორციელების ხორმების შემუშავება და ურუგვაის რაუნდის შედეგად შექმნილი სამართლებრივი დოკუმენტების რეალიზაციის უზრუნველყოფა, ასევე, საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში შემდგომი მოლაპარაკებებისთვის ბაზის შექმნა.

მოდელი, რომლის საფუძველზეც იქმნებოდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, წარმოადგენს გენერალურ შეთანხმებას ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ (GATT), რომელიც ფაქტიურად რამდენიმე ათეული წლის (1948-1994წ.) მანძილზე ასრულებდა საერთაშორისო საგაჭრო ორგანიზაციის ფუნქციებს. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შექმნის შესახებ შეთანხმებაში პირდაპირაა აღნიშნული, რომ თავის საქმიანობაში ვმო ხელმძღვანელობს გენერალური შეთანხმებით ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებებით, პროცედურებითა და პრაქტიკით. იგივე ეხება გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმს და ვაჭრობის

მსოფლიო ორგანიზაციის ორგანოების სტრუქტურას, რომლის მართვის ორგანოები შედგება სამი იერარქიული საფეხურისგან.(ნახ.1)

სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღება უმაღლეს დონეზე ხდება სამინისტროს კონფერენციაზე, რომელიც იმართება მინიმუმ ორ წელიწადში ერთხელ. მინისტრთა კონფერენციის დაქვემდებარების ქვეშ არის გენერალური საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია მიმდინარე სამუშაოს აღსრულებაზე. იგი იკრიბება რამოდენიმეჯერ წელიწადში ქენევის შტაბ-ბინაში. საბჭოს წევრებში შედიან ვმოს წევრები, რომლებიც მირთადად ელჩები და მონაწილე ქვექვების დელეგაციის უფროსები არიან. გენერალური საბჭოს მმართველობაში შედის ორი სპეციალური ორგანო: 1) სავაჭრო პოლიტიკის ანალიზის; 2) კამათის მოგვარების. აგრეთვე გენერალურ საბჭოს ჰყავს ანგარიშვალდებული კომიტეტები: გაჭრობაში და განვითარებაში; შეზღუდვაში; სავაჭრო ბალანსთან დაკავშირებით; ბიუჯეტში; ფინანსებში და ადმინისტრაციულ საკითხებში.



ნახ .1

ვმოს ორგანიზაციული სტრუქტურა (გამარტივებული)

უკუკ განისაზღვრა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ერთი ძირითადი მიმართულება ესაა – სამართლებრივი კომპლექსი, რაც საფუძვლად უდევს ვმო-ს; იგი განსაზღვრავს იმ სამართლებრივ პირობებს, რომლის საფუძველზეც უახლოეს წლებში უნდა განხორციელდეს მსოფლიო ვაჭრობა საქონლისა და მომსახურების სფეროში. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაწილე ქვეყნების მთავრობები მკაცრი ვალდებულებების აღებასთან ერთად, საბუთარი ექსპორტიორებისა და იმპორტიორებისთვის, მეწარმეებისა და მომსახურებლებისთვის ქმნიან უფრო დია, უნივერსალურ (მათ მიერ ამ პროცესში მრავალი ქვეყნის ჩართვის ოვალსაზრისით) და ადვილად განსაჭრებე „მოძრაობის წესებს“ საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზარზე. ამ წესების სისტემის გარეთ, ქვეყნები აღმოჩნდებიან მსოფლიო სავაჭრო სისტემის პერიფერიაზე და ვერ მიიღებენ მონაწილეობას მის განვითარებასთან დაკავშირებით უახლოეს წლებში დაგეგმილ მრავალმხრივ მოლაპარაკებებში.

აღნიშნული ნაშრომის მიზანია – ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო დაფუძნების საკითხის შესწავლა, მისი სტრუქტურის, გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმის და საქმიანობის უკუ განსაზღვრული მიმართულებების გაცნობა, გარდა ამისა, მისი როლის წარმოჩენა მსოფლიო ეკონომიკაში. ნაჩვენებია წინააღმდეგობები და პრობლემები, დაკავშირებული მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციასთან.

2001 წლის ნოემბერში დოხაში (კატარი) გამართულ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის კონფერენციაზე (ამ ორგანიზაციაში) კორეის სახალხო რესპუბლიკისა (ქსრ) და ტაივანის მიღების შედეგად, ვმო-ის მონაწილეთა რიცხვი საქონლით მსოფლიო ვაჭრობაში გაიზარდა თითქმის 95%-მდე.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ხუთი ათეული წლის მანძილზე გადაიღახა პროტექციონიზმის გაძლიერების ტენდენცია, რომელიც ბატონობდა ორ მსოფლიო ომებს შორის პერიოდში, ნაწილობრივ კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც. შედეგად მივიღეთ, საერთაშორისო ვაჭრობის დინამიკური ზრდა – 1948 წლიდან 2000 წლის ჩათვლით საქონლის მსოფლიო ექსპორტი 346 მლრდ. დოლარიდან გაიზარდა 6346 მლრდ. დოლარამდე, ე.ი. 18-ჯერ და მეტად. მისი საშუალო წლიური ზრდის ტემპი

(7%) 1,5-ჯერ წინ უსწრებდა მსოფლიო წარმოების ზრდის ტემპს (4%) [1].

როგორც ვმო-ის გენერალური დირექტორი მაიკ მური 2002 წლის 2 იანვარს ვმო-ს მონაწილე ქავენების მთავრობებისთვის გაგზავნილ თავის საახალწლო წერილში აღნიშნავდა: „გასული წელი იყო ნამდვილად შესანიშნავი წელი გაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისთვის, შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანიც ჩვენი ხანძოების მანძილზე. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ეხლა დარწმუნებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ჩვენ ნამდვილად ვართ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დაბადების მომსწრები. ახლა იგი უკვე ადარაა ძველი GATT მცირე სიმბოლური მოძრაობებით ახალი გლობალური რეალობის მიმართულებით, და უკმოხსადაა არეკლილი ჩვენი მრავალწევრიანი ორგანიზაციის ახალი მოთხოვნილებები.“ [2]

უნდა ადინიშნოს, რომ XXI ასწლეულის დასაწყისითვის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციამ ვერ შეძლო გადაეჭრა საერთაშორისო ვაჭრობის ყველა წინააღმდეგობები და პრობლემები. პირიქით, განსდა ახალი პრობლემები, რაც ძირითადად, დაკავშირებულია მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისთვის, რომელსაც გარდა პოზიტიურისა, ასევე ახასიათებს ნეგატიური ნიშნებიც. მსგავსი ნეგატიური ასპექტების დადასტურებაა 1997-1998 წლების ფინანსური კრიზისი, რომელმაც შეარყია განვითარებადი ქვეყნების თითქოსდა ყველაზე სტაბილური რეგიონი – აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნები, ხოლო შემდეგ გავრცელდა მსოფლიოს სხვა რეგიონებზეც. საერთოდ, 2001 წლისთვის დამახასიათებელია მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვნად უფრო უარესი დინამიკა, ვიდრე 2000 წლისთვის.

ამასთან დაკავშირებით არც ისაა შემთხვევითი, რომ ანტიგლობალისტების კრიტიკის ძირითადი ობიექტია ვმო (რაც განსაკუთრებით ნათლად გამომჟღავნდა 1999 წლის დეკემბერში ქ. სიეტლში, სადაც ფაქტიურად ჩაიშალა ვმო-ს სესია, ასევე, 2000 წლის სექტემბერში ქ. პრადაში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ყოველწლიურ სესიაზე და 2001 წლის ზაფხულში ქ. გენუაში მსოფლიოს 8 წამყვანი ქმაყნის მეთაურთა შეხვედრაზე).

ვმო-ს მოღვაწეობის არაერთგვაროვანი შეფასებებისას უნდა ადინიშნოს, რომ დღესდღეობით არსებობს მიმდინარეობა, რომელშიც გაერთიანებულნი არიან ოეორეგიონები და პრაქტიკოსი პოლიტიკოსები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციასა და როგორც ვმო-ს,

ასევე სხვა საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების დომინანტურ როლს ამ პროცესში. მათი აზრით, საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია იწვევს განვითარებადი ქვეყნების დარიბი ფენების ეკონომიკური მდგრადი უფრო გაუარესებას. ამ პროცესს მივყავართ „მსოფლიო გლობალური შემოსავლების“ გადანაწილებისკენ „ოქროს მილიარდის“ ქვეყნების სასარგებლოდ. ასევე გზას უსსნის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევებისკენ მხოლოდ და მხოლოდ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებსა და უმსხვილეს ტრანსნაციონალურ კორპორაციებს.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პოზიცია გამოირჩევა გარეული მარგინალურობით, იგი არაა მოკლებული საფუძველს და ემყარება მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის ფარგლებში მიმდინარე რეალურ პროცესებს. მართლაც, მსოფლიო ეკონომიკაში არ რჩება ილუზიის ადგილი თავისუფალი კონკურენციისა და თანაბარი ეკონომიკური პირობების შესახებ მასში მონაწილე ყველა სუბიექტისთვის. ერთ-ერთ ყველაზე ფართომასშტაბიან დაპირისპირებას ქმნის წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნების ჯგუფსა და ყველა იმ დანარჩენ ქვეყანას შორის წინააღმდეგობა, რომლებიც ვერ „ჯდებან“ მსოფლიო ეკონომიკის ბირთვში და პერიფერიებს მიეკუთვნებიან.

მიუხედავად იმისა, რომ ვმო დეკლარირებას ახდენს ყველა მონაწილე ქვეყნის თანასწორუფლებიანობის შესახებ, ამ ორგანიზაციის შიგნით არსებობს ძლიერი ობიექტური წინააღმდეგობები განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის.

განვითარებულ ქვეყნებს ჰყავთ იაფი, მაგრამ არასათანადოდ კვალიფიცირებული მუშა ხელი. ამიტომ ამ ქვეყნებს შეუძლიათ მხოლოდ ტრადიციული საქონლის – პირველ რიგში ქსოვილის, ტანსაცმლის, სასოფლო-სამქურნეო პროდუქციის მიპორტი.

*ასე მაგალითად, დღვისათვის დასავლეთის სამყარო უკვე სერიოზული შიშით უყურებს აღმოსავლეთ აზიიდან (ჩინეთი, ვიეტნამი, სამხ. კორეა და ა. შ.) მათ საზღვრებს მომდგარ ათასგვარი საქონლით დატვირთულ კონტეინერებს. ამ საქონლთან კონკურენციამ მრავალი ევროპული თუ ამერიკული ფირმის გაკოტრება გამოიწვია.*

2007 წელს ჩინეთის ეროვნული მეურნეობის წინსვლაში “ლომის წილი” სწორედ საგარეო ვაჭრობიდან მიღებულ შემოსავლებს მიუძღვის (უცხოურ ინვესტიციებთან ერთად,

რომელმაც მხოლოდ 2007 წლის პირველ ნახევარში 30 მლრდ დოლარს გადააჭარბა).

ჩინური ექსპორტი ბოლო წლებში მართლაც შესამჩნევად იზრდება. კერძოდ, 2006 წელს 2000 წელთან შედარებით თითქმის ოთხჯერ, ხოლო წინა წელთან შედარებით 27,4 პროცენტით გაიზარდა და 969,380 მლნ დოლარი შეადგინა.

განსაკუთრებით მძიმე დღეებში აღმოჩნდნენ ევროპელი თუ ამერიკელი ფეხსაცმლისა თუ მსუბუქი მრეწველობის დარგის საწარმოები. ისინი საგონიერებლში არიან ჩავარდნილნი: როგორ გაუწიონ კონკურენცია, მაგალითად, ჩინურ ფეხსაცმელსა თუ ტანსაცმელს, როდესაც მათ ანალოგიური პროდუქციის დამზადებისათვის საჭირო ნედლეული უფრო ძვირი უჯდებათ, ვიდრე თავად ეს აღმოსავლეური უკვე მზა პროდუქცია დირსება.

არადა, მათ საქონლის საწარმოებლად, ნედლეულის გარდა, სჭირდებათ – გადასახადების გადახდა, შრომის დანახარჯების დაფარვა და ა. შ. და ეს მაშინ, როდესაც ჩინეთსა და კიუნამში ნედლეულიც გაცილებით იაფია და სამუშაო მაღაც

ამასთან, სახელმწიფო მის ხელთ არსებული მრავალი ბერკეტითაც ახალისებს წარმოებას და წარმოებული პროდუქციის ექსპორტს, – გადასახადების შემცირება იქნება ეს, ფირმისათვის სუბსიდიების მიცემა თუ სხვა. ჩინელ მეწარმეს ვეროპელი თუ ამერიკელი კოლეგისაგან განსხვავებით დიდი თანხები არც გარემოს დაცვით დონისძიებებზე ეხარჯება (რაც ცივილიზებულ ქვეყნებში საკმაოდ სერიოზულ ფინანსებთანაა დაკავშირებული). გარდა ამისა, ჩინეთის ხელისუფლება განგებ ინარჩუნებს იუანის დაბალ კურსს დოლართან და ევროსთან მიმართებაში, რათა ამ გზითაც წაახალისოს ექსპორტი. არსებობს ასევე ზოგიერთი სხვა მეთოდიც, რომელთა გამოყენებითაც ჩინური პროდუქცია კიდევ უფრო იაფი ხდება. მაგალითად, ტანსაცმელზე თუ ფეხსაცმელზე მიკერპეულ იარღიზე ნედლეულის შემადგენლობა, რაც რეალურად ამ საქონლის სარისს დაბლა სწევს, თუმცა, მყიდველთა უმეტესობას ძირითადად მისი დაბალი ფასი იზიდავს და ხიბლავს.

ამასთან, ვეროპის თუ ამერიკის ბაზრებზე ჩინური პროდუქცია შედის დეპინგურ ფასებშიც (როდესაც საქონელი მის ფაქტობრივ დირებულებაზე დაბალ ფასად იყიდება). მას შემდეგ კი, რაც იგი ადგილობრივ საზოგადოებაში პოპულარობას მოიპოვებს, მასზე ფასს თანდათან ზრდიან.

აზიური საქონლის დაბალი ფასები მაგიურად მოქმედებს ნებისმიერი ქვეყნის მომსმარებელზე. ამის გამო აღმოსავლეთიდან შემოსული ფირმები ძლიერდებიან, ხოლო

ევროპული ფირმები კოტრდებიან. შედეგად, ამ ქვეყნებში მცირდება დასაქმებულთა რაოდენობა, დარიბდება მოსახლეობა, კნინდება მისი მსეიდველობითი უნარიანობა, რის გამოც ისინი კვლავ იაფი საქონლის შესყიდვას ამჯობინებენ, ყიდულობები აზიური ფირმების მიერ შემოტანილ იმპორტულ საქონლებს, რაც კვლავ აღგილობრივი ფირმების გაკოტრებას იწვევს, და ასე საოცრად ტრიალებს ეს ბორბალი.

ჩინური საქონლის სიიაფეს განსაკუთრებით ის უწყობს ხელს, რომ მათი დიდი ნაწილი ევროპასა თუ ამერიკაში შედარებით პატარა პარტიებით საბაჟოს გვერდის ავლით შედის.

მაგალითად, უაღრესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ფეხსაცმლის მწარმოებელი ევროპული (განსაკუთრებით იტალიური) ფირმები. ევროკავშირში ფეხსაცმლის ძირითადი იმპორტიორები არიან ჩინეთი, ვიეტნამი, ინდოეთი, ინდონეზია, ტაილანდი, რუმინეთი და ბრაზილია (აქვე აღსანიშნავია, რომ ჩინელებს არა მხოლოდ მხა პროდუქცია შეაქვთ ევროპაში, არამედ აქ მისი დამამზადებელი საამქროებიც შექმნეს, მაგალითად, იტალიაში). მაგრამ შეტანილი ფეხსაცმლის ნახევარზე მეტი მაინც ჩინეთსა და ვიეტნამზე მოდის.

2006 წელს ჩინეთმა ევროკავშირში შეიტანა თითქმის მილიარდ-ნახევარი წევილი ფეხსაცმელი, რაც ევროკავშირის ქვეყნებში რეალიზებული ფეხსაცმლის ნახევარზე მეტია. ამასთან, ბოლო ხუთ წელიწადში აქ გაყიდული ჩინური ფეხსაცმლის რაოდენობა ათჯერ და მეტჯერ გაიზარდა, ხოლო მისი ფასი ამავე პერიოდში 30 პროცენტზე მეტით დაეცა. მსგავსი სიტუაციაა ვიეტნამის ფეხსაცმელთან დაკავშირებითაც – რომლის რეალიზაციის მოცულობებიც ამავე პერიოდში გაორმაგდა, ხოლო ფასი 20 პროცენტით შემცირდა. ყოველივე ამან კი საბოლოო ჯამში ის მდგომარეობა გამოიწვია, რომ 2001 წლის შემდგომ პერიოდში ევროპაში ფეხსაცმლის წარმოების მასშტაბები 30 პროცენტით შემცირდა, ხოლო ამ დარგიდან 40 ათასზე მეტი დასაქმებული გამოთავისუფლდა.

ჩინური ფეხსაცმლის ასეთი მოზღვავებით დაშინებულმა დარგის ევროპელმა მესვეურებმა გადაწყვიტეს, აქმულებინათ ევროკომისია, მისგან დასაცავად საბაჟო გადასახადი დაეწესებინა. ამ მიზნით ბრიუსელში მრავალგზის დემონსტრაციები გაიმართა, სადაც არა მხოლოდ ევროპელი, არამედ თურქი ფეხსაცმლის მწარმოებელი ფირმებიც იღებდნენ მონაწილეობას (ეს უკანასკნელი ამ ბოლო დროს ევროპის ბაზრებზე ფახსაცმლის ერთ-ერთი სერიოზული იმპორტიორები გახდნენ). ევროკომისიამ შეისწავლა ეს საკითხი და დადგინა, რომ ჩინელი და ვიეტნამელი ფეხსაცმლის მწარმოებლების

მხრიდან მართლაც აქვს ადგილი დემპინგური ფასების გამოყენებას, რის გამოც ევროკავშირის ქვეყნებმა სერიოზული ზარალი განიცადეს.

ევროკავშირის ქვეყნებში ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მრავალი ფირმა გაკოტრდა და აქ მომუშავე ათასობით ადამიანმა დაკარგა სამუშაო. მაგალითად, 2006 წელს ევროკავშირის ქვეყნებსა და ჩინეთს შორის ვაჭრობის ლიბერალიზაციის შედეგად მხოლოდ ტექსტილის საწარმოებში მომუშავე 7 ათასი ფრანგი, 70 ათასი ესპანელი და 200 ათასი იტალიელი დაითხოვეს. მხებავს ვითარებაში არიან ჩავარდნილნი ფეხსაცმლის მწარმოებელი ევროპელი საწარმოებიც. ანალოგიური პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ ამერიკული ფირმებიც, რომლებიც იძულებილნი გახდნენ, 2006 წელს სამსახურიდან 20 ათასი ადამიანზე მეტი გაენთავისუფლებინათ.

შექმნილი მდგრმარეობიდან გამოსავალს, როგორც ამ პროდუქციის მწარმოებელნი, ისე ექსპერტები, საბაჟო გადასახადების გაზრდაში ხედავენ. მაგრამ ამის გაკეთება ევროპის ცალკეულ ქვეყნებს არ ხელეწიოდებათ.

ბოლო დრომდე ევროკავშირში ფეხსაცმელზე და ტანსაცმელზე არსებობდა 5-დან 12 პროცენტამდე საბაჟო გადასახადი. ამჟამად ეს გადასახადები გაუქმებულია, ოუმცა აღნიშნული პროდუქციის მწარმოებელთა ლობის ზეწოლით ზოგიერთი სახის ფეხსაცმელზე საბაჟო გადასახადები კვლავ აღდგა. ადსანიშნავია, რომ ამ საკითხზე ევროკავშირის ქვეყნებს შორის თანხმობა არ არსებობს, მაგალითად, შვედი, ჰოლანდიელი და კავშირის კიდევ ზოგიერთი ქვეყანა ეწინაღმდეგება მის გაზრდას.

ევროპასთან შედარებით უფრო ოპერატიულად და ხისტად მოქმედებენ შეერთებულ შტატებში, ეს უკანასკნელი, ოუმცა ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის თავდადებული დამცველია, მაგრამ უფექტურად ეხმარება საკუთარ მწარმოებლებს. კერძოდ, ეს იმაში გამოიხატება, რომ ამ ქვეყანამ, მას შემდეგ, რაც ჩინური მრეწველობის პროდუქცია და ფეხსაცმელი ზღვასავით მიაწვა მის საზღვრებს, ოპერატიულად აამოქმედა საბაჟო გადასახადები.

მოკლედ ევროპის ქვეყნებს ერთადერთ გამოსავლად ისდა დარჩენიათ, რომ უფრო კარგად მოემზადონ ჩინეთთან კონკურენციულ ბრძოლაში ჩაბმისათვის.

ოუმცა ეს ადგილი როდი იქნება. თავად ჩინეთშიც გულხელდაპრეფილნი როდი სხედან – იქაც ავითარებენ და სვეწენ არსებულ ტექნოლოგიებს, ჩაქვთ ახალი ტექნიკა და ტექნოლოგიები, სხვა ქვეყნებიდან იწვევენ საუკეთესო

სპეციალისტებს, ქირაობენ გამოცდილ მენეჯერებს, რომლებიც ამ ტექნიკას მოქმედას ურებიან და ა. შ.

“ევროპიდან ქრება მწარმოებელი და მომსახურების დარგები, მხოლოდ ვაჭრობით კი ჩვენი კონტინენტი ზორს ვერ წავა,”— აი, ასეთ პესიმისტურ დასკვნას აკეთებს ზოგიერთი ევროპელი ექსპერტი.

განვითარებული ქვეყნები, იცავს რა თავის მსუბუქ მრეწველობას და აგრძინებენ, ზღვდავს განვითარებადი ქვეყნებიდან იმპორტს, ადებს რა საიმპორტო საქონელს მაღალ საბაჟო გადასახადს. თავიანთ პროტექციონულ ზომებს ისინი სხინიან იმით, რომ განვითარებადი ქვეყნები იყენებენ დემპინგის პოლიტიკას. თავის მხრივ განვითარებული ქვეყნები ლიდერობენ მაღალტექნოლოგიური საქონლის ბაზარზე და ეხლა უკვე განვითარებადი ქვეყნები იყენებენ მათ წინააღმდეგ პროტექციონული დაცვის ზომებს. ასე რომ, პროტექციონული დაცვას ამა თუ იმ ხარისხით იყენებს პრაქტიკულად ყველა ქვეყნა. ამიტომ პროტექციონული ბარიერების ორმხრივი შემცირება ხდება საკმაოდ რთული პროცესი.

მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაცია რთულდება ასევე იმით, რომ განვითარებად და განვითარებულ ქვეყნები ძალიან განსხვავდებიან ეკონომიკურად. ამიტომ განვითარებად ქვეყნებს ყოველთვის ეჭვი აქვთ, რომ განვითარებული ქვეყნები ყოველთვის თავს ასვევენ მათ თავიანთვის მომგებაან ურთიერთანაბრრომლობის სისტემებს. თავის მხრივ განვითარებული ქვეყნები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ მრავალი ქვეყანა ღიად სპეცულირებს თავისი ნაკლებად განვითარებულობით, ცდილობენ რა ეკონომიკური მოდერნიზაციის მაგივრად საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში, გამოსტურონ განვითარებულ ქვეყნებს შედავათები და დათმობები.

განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის ურთიერთდამო-კიდებულობის ასიმეტრიულობა, განსაკუთრებით იგრძნობა ინტელექტუალური საკუთრების კანონის დაცვისას. უპირველეს ყოვლისა საქმე ეხება განვითარებული ქვეყნების ცნობილი ფირმების სავაჭრო ნიშნების გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლას, განვითარებად ქვეყნებში. მიუხედავად ამისა, მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაცია ობიექტურად აწყობს როგორც განვითარებად ისე განვითარებულ ქვეყნებს. ცნობილია მაგალითად, რომ ვმო-ში განვითარებადი ქვეყნების გაწევრიანება მკეთრად ზრდის ამ ქვეყნებში უცხოურ ინვესტიციებს, ამიტომ ვმო-ს წევრი ქვეყნები ეძებენ და პოულობენ რთული პრობლემების კომპრომისულ გადაწყვეტას. ვმო-ს განვითარების სტრატეგია გახდა ამ ორგანიზაციაში

სულ ახალ-ახალი ქვეყნების მუდმივი მოზიდვა, ამასთან ქვეყნის ეკონომიკა რაც უფრო ნაკლებადაა განვითარებული, მთი უფრო ხანგრძლივი პერიოდი ეძღვება მას თავისუფალი ვაჭრობის პრიციპების სრული რეალიზაციისთვის. იბრძვიან რა განვითარებულ ქვეყნებში, “მესამე ქვეყნის” იმპორტზე შეზღუდვების წინააღმდეგ განვითარებადი ქვეყნები მიმართავნ ვმო-ს არბიტრაჟს და აღწევენ “ანტიდემპინგური” ზომების გაუქმებას. ასე მაგალითად, XXI-ე საუკუნის დასაწყისში ინდოეთმა ვმო-ს მიმართა პროტესტით, ამერიკისა და ევროპაურთიანების წინააღმდეგ, რომლებმაც შეზღუდვები ინდოეთში დამზადებული ქსევილებისა და ტანსაცმლის იმპორტი თავიანთ ქვეყნებში. ხანგრძლივი განხილვების შემდეგ ვმო-მ დაავალდებულა მოპასუხები, გაგუქმებინა პროტექციონული ზომები. თუმცა, ასეთი კონფლიქტები არა მხოლოდ განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის ხდება, არამედ ასევე სხვადასხვა განვითარებად ქვეყნებს შორისაც. ასე მაგალითად, 2001 წლის მეორე ნახევარში ინდოეთი ინიციატორი იყო ვმო-ს 51 “ანტიდემპინგური” გარჩევებისა, აქედან 9 – ჩინეთის, 7 – სინგაპურის და 3 – ტაილანდის წინააღმდეგ.

ჩინეთის მაგალითი, რომელიც ვმო-ში 2001 წლის დასასრულს გაწევრიანდა, ნათლად მეტყველებს ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე. ჩინეთი ვმო-ში მიიღეს 200 მნიშვნელოვანი შენიშვნით. კერძოდ, ჩინეთმა მთლიანად უნდა გახსნას თავისი შიდა სადაზღვევო ბაზარი უცხოელი ინვესტორებისთვის და გააუქმოს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონებში არსებული საინვესტიციო პირები, რამაც თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. 15 წლის განმავლობაში ჩინეთი არ ჩაითვლება საბაზრო ეკონომიკის ქრონიკულ ქვეყნად და აქედან გამომდინარე ვერ გამოიყენებს დაცვის ანტიდემპინგურ პროცედურებს და ვერ მიმართავს ე.წ. Roster-ს (ვმო-ს კვაზისაარბიტრაჟი სასამართლო). ამით ქვეყანას ჩამოერთმევა ერთ-ერთი საკვანძო უფლება, რომელსაც პრიციპი ვმო-ს ახალი წევრი (განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყანა) უნდა ფლობდეს. ვმო ასევე განახორციელებს ჩინეთის კანონმდებლობის მონიტორინგს ეკონომიკის სფეროში და ასევე, ეკონომიკის რეგულირების პრაქტიკის იმ ამოცანებთან შესაბამისობის შემოწმებას, რომლებიც ჩინეთს წაუქენეს ვმო-ში მიღებისას. ვმო-ში შესვლასთან დაკავშირებით მცირდება იმპორტის გადასახადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპების მოსალოდნელ

შენელებასთან ერთად გამოიწვევს დასაქმების პრობლემის გამწვავებას, განსაკუთრებით სოფლიდ. [3]

ბეკრისთვის ვმო ჯერ კიდევ უცნობი სიდიდეა, რაც არცაა გასაკვირი, რადგან ისეთი ორგანიზაციებისგან განსხვავებით, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ვმო-ს საქმიანობა არ არის თვალსაჩინო: ვმო არ იძლევა მრავალმილიარდიან კრედიტებს, არ მონაწილეობს სახელმწიფო მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში. თუმცა, მსოფლიო ეკონომიკაში ვმო-ის მნიშვნელობას არ უარყოფენ არც მოწინააღმდეგებნი და არც რა თქმა უნდა მისი მომხრეები. დღეისათვის ვმო-ში გაერთიანებულია თითოეული 150 ქვეყანა, რომელიც მოდის მსოფლიო საგაჭრო ბრუნვის 95% და სწორედ ვმო-ის მეშვეობით ისინი მსოფლიო ბაზარზე აღგენენ თავისი თამაშის წესებს.

უოველივე ზემოთ თქმული, საქმაოდ მკაფიოდ ასახავს მსოფლიოში ვმო-ის დადგებით და უარყოფით როლს. ვმო-ში ცალკეული ქვეყნის შესვლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება თითოეული კონკრეტული შემთხვევის ცალკე განხილვის შედეგად. დადგებითი პასუხის შემთხვევაში ეს ქვეყანა ხდება მსოფლიო ვაჭრობის კიდევ ერთი შემადგენელი როლი.

ვმო-ს, ისევე როგორც სხვა ორგანიზაციებს გააჩნია უარყოფითი მსარეებიც, მაგრამ ძირითადი უარყოფითი შეფასებები არ შეიძლება მიმართული იყოს თვით ვმო-ზე. მისი ამოცანაა დაადგინოს საერთაშორისო ვაჭრობის ძირითადი წესები, ის არ ემსახურება სხვა სოციალური მიზნების მიღწევას. ამიტომ პრობლემა ვმო-ში კი არ არის, არამედ ასეთივე გავლენიანი და ეფექტური ორგანიზაციების არარსებობაშია, რომელებიც მოწოდებული იქნებოდა სოციალური ხასიათის პრობლემების გადასაჭრელად. ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, რომ პირადი მოხმარების საქონლის წარმოება აღემატება საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფის დონეს.

დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ ვმო-ს მოღვაწეობის პერიოდში მკეთრად შეიცვალა სასაქონლო მომსახურების საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკური და ეკონომიკური როლი მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების ეკონომიკური კეთილდღეობისთვის. ახალი ათასწლეულის მიჯნაზე არსებული გლობალური ეკონომიკა გაცილებით რთული ეკონომიკური ორგანიზმი აღმოჩნდა, ვიდრე ამას 80-იანი წლების დასაწყისში ვარაუდობდნენ, მრავალმხრივი მოლაპარაკებების შესახებ საუბრისას. ვმო-ს, GATT-სგან

განსხვავებით არ პქონდა „გაქანების“ პერიოდი. 1994 წლის აპრილში ჩატარებული სხდომის შემდეგ მარაკეშში გამოცხადდა ვმო-ს შექმნის შესახებ, ხოლო უკვე 1995 წლის 1 იანვარს ვმო-მ დაიწყო საქმიანობა. დღევანდელი ეპონომიკური პირობები უფრო განსხვავდება იმ პირობებისგან, რომელშიც იქმნებოდა და ფუნქციონირებდა ვმო.

გასული წლების მანძილზე გამოიკვეთა ვმო-ს მოღვაწეობის პრიორიტეტული მიმართულებები. სასაქონლო ვაჭრობის სფეროში ეს არის: დაშვება ბაზრებზე (სატარიფო და არასატარიფო ბარიერები);

ვმო-ს წესების რეალიზება ისეთი სპეციფიკური საქონლის მიმართ, რომორიცაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ტექსტილი და ტანსაცმელი;

წესები ანტიდემპინგური გადასახადების გამოყენებასთან დაკავშირებით, ასევე სუბსიდიების, დაცვითი ზომების, ტექნიკური ბარიერების გამოყენებისთვის ვაჭრობაში, ასევე სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების მიმართებით;

საიმპორტო ლიცენზირება და საიმპორტო ლიცენზირების პროცედურები. ყოველივე ზემოთ ოქტემბრი ასევე კრცელდება ვმო-ს მოღვაწეობის ამ მიმართულებაზეც. ამასთან, უფრო გამოიკვეთა წინააღმდეგობები აშშ-ს და ევრო-კავშირს შორის, აშშ-სა და იაპონიას შორის, ვმო-ს შეთანხმებების რეალიზების მიღების გზებთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოთ ოქტემბრი, უფლებას გაძლიერებას ვიღებარაკო ვმო-ს დიდ როლზე მსოფლიო ეკონომიკაში და მის საქმიანობაში პრობლემების დაგროვებასა და არატრადიციული განტვირთვის გზების მოძიების აუცილებლობაზე.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Palmeter, N. David; Winters, Allan L. (2004). ~Overview~, Dispute Settlement in the World Trade Organization: Practice and Procedure. Cambridge University Press. ISBN 0-521-53003-2.
2. Functions of the WTO ([http://www.iisd.org/trade/handbook/3\\_2.htm](http://www.iisd.org/trade/handbook/3_2.htm)). The Basics of the WTO. Internentional Institute for Sustainable Development. Retrieved on 2007-03-17.
3. Jennar, Raoul Marc. A ~Consultative Parliamentary Assembly~ to the WTO: a Reform that Changes Nothing (<http://www.urfig.org/ana-eng-wto-cpa-pt.htm>). Unite de

### **Summary**

**Tinatin Iashvili, Irina Iashvili**

#### **World Trade Organization (WTO) and its role in world economy**

The purpose of given proceeding – study of international foundation issues of WTO, its structure, mechanism of making decisions, getting to know directions of outlined activities, as well as the increasing role of organization in world economy. Listed are the obstacles and problems regarding globalization of world economy.

The obstacles are pointed out between developing and developed members of WTO. Indicated is the expansion of light industry of East Asia and particularly China in Europe and America with its severe outcome.

### **Резюме**

**Тинатин Яшвили, Иринэ Яшвили**

#### **Всемирная Торговая Организация (ВТО) И ее роль во всемирной экономике**

Цель данной работы- изучение вопросов основ возникновения Всемирной Торговой Организации, ее структуры, механизма принятия решений а также ознакомление с деятельностью уже намеченных направлений, и все возрастающей ролью организации во всемирной экономике. Показаны препятствия и проблемы, связанные со всемирной экономической глобализацией.

Показаны преграды у развитых и развивающихся стран членов Всемирной организации. Рассмотрена экспансия товаров легкой промышленности Восточной Азии и, особенно, Китая в Европу и Америку, и те тяжелые последствия, которые ее сопровождают.

თინათინ იაშვილი, ირინა იაშვილი  
რუსეთი და მსოფლიო საგაჭრო ორგანიზაცია,  
პრობლემები,  
წინააღმდეგობები

მსოფლიო საგაჭრო ორგანიზაცია (მსო) [World Trade Organization – WTO] – საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციაა, რომელიც არეგულირებს საერთაშორისო გაჭრობის წესებს ლიბერალიზმის პრინციპების მიხედვით.

მსო ფუნქციონირებს 1995 წლის 1 იანვრიდან. გადაწყვეტილება მისი შექმნის შესახებ მიიღეს მრავალწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ GATT (განერალური შეთანხმება საქონლით გაჭრობის შესახებ) – ის უუგაის რაუნდის (ურ) ბოლოს, 1993 წლის დეკემბერში. ოფიციალურად კი მსო დაარსდა მარაკეშის კონფერენციაზე 1994 წლის აპრილში, ამიტომ შეთანხმებას მსო-ის დაარსების შესახებ, ასევე უწოდებენ მარაკეშის შეთანხმებას.

თუ GATT აწარმოებდა მხოლოდ საქონლით ვაჭრობის რეგულაციას, მსო-ის საქმიანობის სფერო გაცილებით უფრო ფართოა: საქონლით ვაჭრობის გარდა იგი ასევე არეგულირებს მომსახურებით ვაჭრობას და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების საგაჭრო ასეპტებს. მსო-ს გააჩნია გაერო-ს (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის) სისტემის სპეციალიზირებული დაწესებულების სტატუსი.

მსო-ის ამოცანები. მსო-ს მთავარი ამოცანაა ხელი შეუწყოს თავისუფალ მსოფლიო ვაჭრობას. განვითარებული ქავნები, რომელთა ინიციატივითაც შეიქმნა მსო, ვარაუდობენ, რომ ეკონომიკურ ზრდას და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას ხელს უწყობს ეკონომიკური თავისუფლება საერთაშორისო ვაჭრობაში.

ამჟამად ითვლება, რომ მსოფლიო საგაჭრო ორგანიზაცია უნდა შეესაბამებოდეს

შემდეგ 5 პრინციპს:

- 1) ვაჭრობაში არ უნდა არსებობდეს დისკრიმინაცია.

არცერთმა სახელმწიფომ არ უნდა დააზარალოს რომელიმე სხვა ქვეყანა საქონლის ექსპორტ-იმპორტზე შეზღუდვების დაწესებით. იდეალში, ნებისმიერი ქვეყნის შიდა ბაზარზე ნაციონალური და უცხოური პროდუქციის გაყიდვის პირობებს შორის არ უნდა არსებობდეს არანაირი განსხვავება.

- 2) უნდა შემცირდეს საგაჭრო (პროტექციონისტული) ბარიერები.

საგაჭრო ბარიერებს უწოდებენ ფაქტორებს, რომლებიც ამცირებენ უცხო ქვეყნის საქონლის შესვლის შესაძლებლობას რომელიმე ქვეყნის შიდა ბაზარზე. ამ ფაქტორებს პირველ რიგში მიეკუთვნება საბაჟო გადასახადები და იმპორტზე დაწესებული კორტები (იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვა).

საერთაშორისო გაჭრობაზე ასევე მოქმედებს ადმინისტრაციული ბარიერები და ვალუტის გაცვლითი კურსის განსაზღვრის პოლიტიკა.

- 3) გაჭრობის პირობების სტაბილურობა და თანმიმდევრულობა.

უცხოური კომპანიები, ინგესტორები და მთავრობები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ საგაჭრო პირობები (სატარიფო და არასატარიფო ბარიერები) არ შეიცვლება უცხრად და თვითნებურად.

- 4) საერთაშორისო გაჭრობაში შეჯიბრის პრინციპის სტაბილირება.

სხვადასხვა ქვეყნის ფირმების თანასწორი კონკურენციის უზრუნველსაყოფად, საჭიროა აიკრძალოს კონკურენტული ბრძოლის „უსამართლო“ ხერხები ისეთი, როგორიცაა – საექსპორტო სუბსიდიები (ექსპორტიორი ფირმების დახმარება სახელმწიფოს მხრიდან), დემპინგური (განზრას შემცირებული) ფასების გამოყენება ახალი გასაღების ბაზრების ხელში ჩასაგდებად.

- 5) შედავათების მინიჭება საერთაშორისო გაჭრობაში ნაკლებად განვითა-

რებული ქვეყნებისათვის.

ეს პრინციპი ნაწილობრივ ეწინააღმდეგება წინა პრინციპებს, მაგრამ ის

აუცილებელია პერიფერიის სუსტად განვითარებული ქვეყნების

(რომლებსაც პირველ ეტაპზე აშკარად არ შესწევთ უნარი თანაბარი კონკურენცია გაუწიონ განვითარებულ ქვეყნებს) მსოფლიოს მეურნეობაში ჩართვის

თვალსაზრისით. ამიტომ ითვლება „სამართლიანად“, სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვის განსაკუთრებული პრივილეგიების მინიჭება.

საერთო ჯამში მსო აწარმოებს ფრითრედერის (თავისუფალი ვაჭრობის) იდეის პროპაგანდირებას, იბრძვის პროტექციონისტული ბარიერების გადალახვისათვის.

მსო-ის მუშაობის პრაქტიკული პრინციპები. მსო-ის საქმიანობას საფუძვლად უდევს სამი საერთაშორისო შეთანხმება, რომლებიც ხელმოწერილია მსოფლიო სამეცნიერო ურთიერთობებში აქტიურად მონაწილე სახელმწიფოების მიერ: გენერალური შეთანხმება საქონლით ვაჭრობის შესახებ (GATT) 1994 წლის რედაქციით, გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ (UIX) და შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების სავაჭრო ასპექტების (TRIPS) შესახებ. ამ შეთანხმებების ძირითადი მიზანია დაქმაროს ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებში მონაწილე ყველა ქვეყნის ფირმებს.

მსო-ის შეთანხმებების შესრულებას, როგორც წესი, მოაქვს არამარტო გრძელვადიანი სარგებელი, არამედ, ასევე იმავდროული სინხელეებიც, მაგალითად, საბაჟო ტარიფების პროტექციონისტულ შემცირებას მოსდევეს მომხმარებელისთვის შედარებით იაფი უცხოური საქონლის შეძნის გაიოლება, მაგრამ ამავე დროს შეუძლია ადგილობრივი მწარმოებლების გაკორებაც, თუკი ისინი აწარმოებენ მაღალი თვითონირებულების მქონე საქონელს. ამიტომ, მსო-ის მონაწილე ქვეყნებს წესდებით უფლება ეძლევათ გაატარონ გათვალისწინებული ცვლილებები არა მყისიერად, არამედ ეტაპობრივად – „პროგრესირებადი ლიბერალიზაციის“ პრინციპით. ამ დროს, როგორც წესი, განვითარებად ქვეყნებს უფრო ხანგრძლივი დრო ეძლევათ თავისი ვალდებულებების სარეალიზაციოდ.

მსო-ის ყველა წევრი ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულებები თავისუფალი ვაჭრობის წესების დაცვის შესახებ, შეადგენს „მრავალმხრივი ვაჭრობის“ სისტემას. დედამიწის უმეტესი სახელმწიფოები, ყველა ძირითადი ექსპორტ-იმპორტიორი სახელმწიფოების ჩათვლით, წარმოადგენს ამ სისტემის წევრებს. თუმცა, მთელი რიგი სახელმწიფოები არ შედიან ამ სისტემაში, ამიტომ სისტემას უწოდებენ „მრავალმხრივს“ (და არა „მსოფლიო“ სისტემას). პერსპექტივაში, მსო-ის მონაწილე ქვეყნების რიცხვის ზრდის შედეგად, „მრავალმხრივი ვაჭრობის“ სისტემა უნდა გარდაიქმნას ნამდვილ „მსოფლიო ვაჭრობის“ სისტემად.

### მსო-ის ძირითადი ფუნქციებია:

- მსო-ის საბაზო შეთანხმებების მოთხოვნების შესრულების კონტროლი;
- მსო-ის წევრ ქვეყნებს შორის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებთან დაკავშირებით მოღაპარაკებების საწარმოებლად პირობების შემნა;
- სახელმწიფოთა შორის საგარეო-ეკონომიკური სავაჭრო პოლიტიკის პრობლემების შესახებ წარმოქმნილი დაგების განხილვა, დარგვულირება;
- საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში მსო-ის წევრი ქვეყნების მიერ წარმოებული პოლიტიკის კონტროლი;
- დახმარების აღმოჩენა განვითარებადი ქვეყნებისთვის;
- თანამშრომლობა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

იმის გამო, რომ შეთანხმებების ტექსტებს ადგენს და ხელს აწერს საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში მონაწილე ქავების დიდი რაოდენობა, ეს პროცესი იწვევს დებატებს და დავებს. სშირად მოლაპარაკებებში მონაწილე მხარეებს სხვადასხვა მიზნები აქვთ. გარდა ამისა, შეთანხმებები და კონტრაქტები (მათ შორის ისინი, რომლებიც დაიდო სანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად მსო-ის შუამავლობით) სშირად საჭიროებენ შემდგომ განმარტებებს. ამიტომ, მსო-ის ერთ-ერთი ამოცანაა – შეასრულოს კ.წ. შუამავლის როლი სავაჭრო მოლაპარაკებების დროს, ხელი შეუწოს დავების დარეგულირებას.

საერთაშორისო ეკონომიკური კონფლიქტების პრაქტიკამ აჩვენა, რომ სადაც საკითხები უმჯობესია გადაიჭრას მსო-ის მიერ დადგენილი წასით, რომელიც ემყარება ურთიერთშეთანხმებულ იურიდიულ ბაზას და მხარეებისთვის უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებს და შესაძლებლობებს. ამ მიზნით მსო-ის ეგიდით ხელმოწერილი შეთანხმებების ტექსტებში აუცილებლად შეაქვთ დავების დარეგულირების წესების ამსახველი პუნქტი. როგორც დავების დარეგულირების წესებისა და პროცედურების შესახებ ხელშეკრულების ტექსტში გაითხელობთ – „მსო-ის ფარგლებში დავების დარეგულირების სისტემა წარმოადგენს მთავარ ელემენტს“

ვაჭრობის მსოფლიო სისტემის უსაფრთხოებისა და თანმიმდევრულობის „უზრუნველყოფაში“.

მსო-ის წევრები ვალდებულებას იღებენ, რომ ვაჭრობის წესების შესაძლო დარღვევების შემთხვევაში ცალმხრივად არ განახორციელებენ მოქმედებებს დამრღვევთა მიმართ. უფრო მეტიც, ისინი ვალდებულებას იღებენ, რომ სადაცო საკითხებს გადაწყვეტენ დავის დარეგულირების მრავალმხრივი სისტემის ჩარჩოებში და დაემორჩილებიან მის წესებსა და გადაწყვეტილებებს. სადაცო საკითხების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება ყველა მონაწილე ქვეყნის მიერ, როგორც წესი, კონსენსუსის რიგებში თანხმობის განსამტკიცებლად

თავდაპირველად მსო-ში გაერთიანდა 77-ქვეყანა. 2003 წლისათვის კი მასში გაწევრიანებული იყო 146 ქვეყანა. მათ შორის – განვითარებული, განვითარების სტადიაზე მყოფი და პოსტ-სოციალისტური ქვეყნები.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების მიზნით, 1994 წელს საქართველოს სახელმწიფო მეთაურის დავალებით შეიქმნა., სამუშაო ჯგუფი. საქართველომ იმავე წელს მიიღო დამკავირვებლის სტატუსი ამ ორგანიზაციაში, მაგრამ 1995 წლის 1 იანვრიდან, GATT – ის მსო-ში გარდაქმნასთან დაკავშირებით, აუცილებელი გახდა ამ ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად მოლაპარაკებათა პროცესის თავიდან დაწყება.

1996 წლის 26 ივნისს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გენერალური საბჭოს სხდომაზე საქართველოს მსო-ს დამკავირვებლის სტატუსი მიენიჭა. 1996 წლის ივლისში საქართველოს მხარემ აღნიშნული ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მიღების სურვილი ოფიციალურად გამოთქვა. გაწევრიანების პროცესში, რომელიც დაახლოებით სამ წელიწადს გრძელდებოდა, გაიმართა 5 ოფიციალური მრავალმხრივი, აგრეთვე, ორმხრივ მოლაპარაკებათა რამდენიმე რაუნდი 30-მდე წევრ ქვეყნასთან.

გაწევრიანების პროცესს ხელმძღვანელობდა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შექმნილი კომისია, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის, სახელმწიფო კანცელარიის, თითქმის ყველა სამინისტროსა და კონომიკურ საკითხებთან შეხებაში მყოფი უწყების წარმომადგენლები, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს მსო-ში გაწევრიანების მიზნით ტექნიკურ დახმარებას უწევდნენ.

1999 წლის 6 ოქტომბერს მსო-ს გენერალურმა საბჭომ მოიწონა სამუშაო ჯგუფის მოხსენება და ხელი მოეწერა მსო-ს

დამფუძნებელ მარაჯეშის შეთანხმებაზე საქართველოს მიერთების ოქმს. 2000 წლის 20 აპრილს საქართველოს პარლამენტმა რატიფიკაცია გაუკეთა მსო-ში საქართველოს გაწევრიანების ოქმს და 2000 წლის 14 ივნისიდან საქართველო მსო-ს სრულუფლებიანი, 137-ე წევრი გახდა.

მსო-ში გაერთიანდნენ ასევე ზოგიერთი ექს-საბჭოთა ქვეყნები: ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, სომხეთი, მოლდავეთი, ყირგიზეთი. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მსო-ში ჩინეთის შესვლა 2001 წლის დეკემბერში, რომელიც ითვლებოდა მსოფლიო ვაჭრობის ერთ-ერთ ყველაზე პერსაპეტიულ მონაწილედ. მსო-ში შემავალ ქვეყნებზე მოდის მსოფლიო საქონელბრუნვის დაახლოებით 90%, რაც სინამდვილეში წარმოადგენს მთლიან მსოფლიო ბაზარს რუსეთის გარეშე. გარდა ამისა, კიდევ რამდენიმე ქვეყანამ ოფიციალურად მიიღო დამკვირვებლის სტატუსი. 2003 წლისთვის მსოფლიოში დამკვირვებლის სტატუსით გაერთიანებული სახელმწიფოების რიცხვი შეადგენდა 29, მათ შორის იყვნენ რუსეთი და ზოგიერთი სხვა პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოები (უკრაინა, ბელორუსია, აზერბაიჯანი, ყაზახეთი და უზბეკეთი).

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობა რუსეთისთვის წლიდან წლამდე მხოლოდ პერსაპეტიული რჩება(1). ამის მიუხედავად, რუსეთი ჩქარობს, ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად მოლაპარაკებები წლის ბოლომდე დაასრულოს. რუსეთი დიად აცხადებს, რომ აშშ და ევროკავშირი მხარს უჭერს რუსეთის მისწრაფებას, 2007 წლის ბოლომდე დაასრულოს მოლაპარაკებები მსო-ში გასაწევრიანებლად.

მსო-ში ახალი წევრის მიღების დაბლოკების საკითხთან დაკავშირებით ვეტოს უფლების გამოყენება ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს აქვს. ასე რომ, რაც არ უნდა დამაიმედებელი იყოს მოსკოვისთვის აშშ-სა და ევროკავშირის მხარდაჭერა, რუსეთისთვის მსო-ში შესასვლელი გზა ყველა შემთხვევაში თბილისზე გადის.

საქართველოს მთავრობა რუსეთის მსო-ში გაწევრიანების ფარგლებში მხოლოდ ერთი საკითხის გადაწყვეტას მოითხოვს: ეს არის რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ორი არალეგალური საბაჟო-გამშვები პუნქტის – “განთიადი-ადლერისა” და “როკი-ქვემო ზარამაგის” – დაგალიზაცია და გამართული ფუნქციონირება. საქართველოს მთავრობას რუსეთის მსო-ში გაწევრიანების ფარგლებში მოთხოვნა არ გააჩნია. ქართულმა დელეგაციამ რუსეთის მხარეს წარუდგინა დოკუმენტი, სადაც დეტალურად აღწერილი და დასაბუთებულია საქართველოს

მოთხოვნა რუსეთის მიმართ ამ უკანასკნელის მსო-ში გაწევრიანების ფარგლებში.

“საქართველოს პოზიცია ემყარება რუსეთის მიერ საქართველოს წინაშე მსო-ში რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დასრულებაზე 2004 წლის მაისში ხელმოწერილი ორმხრივი ოქმით აღებულ ვალდებულებას.

ამ ოქმით რუსეთმა ვალდებულება აიღო, დააჩქაროს“ ქვეყნებს შორის საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული საბაჟო დარეგულირებისა და

აღმინისტრირებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრა,“ – ნათქამია დოკუმენტში.

“რუსეთის მსო-ში არშესვლა ჩვენთვის თვითმიზანი ნამდვილად არ არის. რუსეთის მსო-ში შესვლას მაშინ დავთანხმდებით, თუ 2004 წელს ნაკისრ ვალდებულებებს შეასრულებს და ფსოუსა და როის გვირაბთან არსებული საბაჟო-გამშვები პუნქტების ლეგალიზებას მოახდენს. საქართველოს პოზიცია მეტად ტექნიკურ და პოლიტიკურია. რუსეთთან არსებულ პრობლემებზე, რომელიც მართლაც მრავლად გვაქსს, არ ვსაუბრობთ. არ უნდა დავუშვათ, რომ მსო-ს ფორმატში მიღწეული ორმხრივი შეთანხმებები მხოლოდ ფარატინა ქადალდი იყოს, რომელსაც არავინ ცნობს. სხვათაშორის, ასეთი პრობლემა რუსეთს არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ აშშ-სთან და ეროვანშირთანაც აქვს. რუსეთს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი იმისათვის, რომ მსო-ს სრულუფლებიანი წევრი გახდეს. ჯერჯერობით კი რუსეთს საქართველოსთან და სხვა პარტნიორებთან უამრავი ვალდებულება აქვს შესასრულებელი,“ – ასეთია საქართველოს პოზიცია, თუმცა როგორც ჩანს, რუსეთმა ევროკავშირთან და აშშ-სთან გარკვეულ შეთანხმებებს მაინც მიაღწია, რადგანაც, ოფიციალური მოსკოვი აცხადებს, რომ რუსეთმა ამერიკელი პარტნიორებისგან მხარდაჭერის მქარი პირობა მიიღო (2). მოსკოვს სულაც არ აღელვებს ქართული მხარის პოზიცია. უკანასკნელ პერიოდში საქართველოს თანხმობის გარეშე რუსეთი მსო-ში შესვლას ჩატარობს და მსო-სკენ მიმავალ გზაზე წონადი პარტნიორების მხარდაჭერისთვის უკან არაფერზე იხევს. ამის მიზეზი, შესაძლოა, ის გარემოებაც იყოს, რომ მოსკოვს საქართველოს მიერ “აღმართული“ ბარიერი მნიშვნელოვნად აბრკოლებს და საერთო ენის გამონახვას “ჯიუტი მეზობლის“ მეგობრებთან ცდილობს.

თუმცა რეალობა ასეთია: წლის დასასრულის მოახდოებასთან ერთად რუსული მედია და პოლიტიკური წრეები ინტენსიურად და თანმიმდევრულად საუბრობენ იმ

წარმატებებზე, რასაც ისინი მსო-სკენ მიმავალ გზაზე აღწევენ და დასტურად აშშ-ს მხარდაჭერასა და ევროკავშირთან წარმატებულ მოლაპარაკებებზე მიანიშნებენ(3). თუმცა მსო-ში გაწევრიანების მოლაპარაკებების ფორმატს ერთი თავისებურება აქვს – ყველა ძველანა ერთმანეთთან ორმხრივ მოლაპარაკებებს მართავს და მისი წარმატების დასრულების შემდეგ შესაძლებელია მისი მეორე ეტაპზე – მრავალმხრივი მოლაპარაკებების ფორმატში გადატანა.

რაც შეეხება ევროკავშირს, რუსეთისთვის ცხადია ის გაცილებით ავტორიტეტულია, ვიდრე საქართველო, ამიტომაც მისი მხარდაჭერისთვის მნიშვნელოვან დათმობებზეც მიღის. თუმცა არ არის გამორიცხული, რუსეთმა ამ დათმობით ევროკავშირის მხარდაჭერაც მოიპოვოს და, ამავდროულად, ეს “დათმობა” ევროკავშირის მიერ საქართველოზე ზეგავლენისთვის გამოიყენოს.

რუსეთის მიერ ევროკავშირისთვის შეთავაზზებული კომპრომისული ვარიანტი მის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ბუნებრივ სიმძიდრეს – ტყეს შეეხება. რუსეთმა ევროკავშირს მის მიერ ტყეზე საექსპორტო გადასახადთან დაკავშირებით კომპრომისული გადაწყვეტილება შესთავაზა, რომელსაც შეუძლია მოხსნას ევროკავშირის პრეტეზია რუსეთის მსო-ში გასაწევრიანებლად. ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ უკვე განაცხადა, რომ ევროკავშირი არ შეცვლის თავის თანხმობას რუსეთის მსო-ში გაწევრიანების მხარდაჭერაზე. პარალელურად, უკვე გარკვეულია საკითხი რუსეთიდან დაუმუშავებელი ხის ექსპორტის გადასახადთან დაკავშირებით. რუსეთი ევროკავშირს დათანხმდა, გააუქმოს ან კორექტირება მოახდინოს ტყის საექსპორტო გადასახადზე.(1)

რუსეთის ვიცე-პრემიერმა სერგეი ივანოვმა რუსეთის უკომპრომისო პრზიციის შესახებ განაცხადა და აღნიშნა, რომ რუსეთი ეტაპობრივად გაზრდის მორებზე საექსპორტო გადასახადს. მანვე აღნიშნა, რომ ტყის ექსპორტზე გადასახადის ზრდის პროგრამა 2007 წლის ივლისიდან მოქმედებს და 2009 წლისთვის მთავრობის გეგმის მიხედვით ის ეტაპობრივად გაიზრდება.

რუსეთის ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ და მრეწველობისა და ენერგეტიკის სამინისტრომ აღნიშნული საკითხი ტყის ახალ კოდექსს დაუკავშირებს. გათვალების მიხედვით, შექმნილმა ბარიერებმა რუსეთის ტყის გადამამუშავებელ სექტორში ინვესტიციები უნდა გაზარდოს. გადასახადების დაწესების წინააღმდეგ პროტესტი გამოთქვა ფინეთმა და დაიმუქრა, რომ მოახდენდა ინიცირებას 2004 წელს ევროკავშირსა და რუსეთს შორის რუსეთის მსო-ში

გასაწევრიანებლად გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების გასაწყვეტად.

რუსეთის სავაჭრო მოლაპარაკებების ხელმძღვანელმა მედვედიოვმა რუსეთის ვიცე-პრემიერის გამონათქმამთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რუსეთის უკელა შეთანხმება, მსოსთან დაკავშირებით ძალაში შედის მხოლოდ ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ. მისივე განმარტებით, რადგან რუსეთი ჯერჯერობით არ არის მსო-ს წევრი, გადასახადის ზრდა დასაშვებია. მედვედიოვი მიიჩნევს, რომ ეს პოზიცია არ ეწინააღმდეგება კომპრომისს – გადასახადი ტყეზე არ შეესაბამება მსო-ს ნორმებს და იგი უნდა შეიცვალოს ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ. ექსპერტების ვარაუდით, შესაძლოა, ლისაბორში რუსეთმა ევროკავშირს გარდამავალ პერიოდში მისი გაუქმებაც კი შესთავაზა. ფაქტია, რომ რუსეთისა და ევროკავშირის სამიტის დასრულების შემდეგ ევროკომისიის პრეზიდენტმა უოზე მანუელ ბაროზუმ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ევროკავშირი მხარს დაუჭერს რუსეთის ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებას და 2004 წელს მიღწეულ შეთანხმებას არ გადახედავს.

უახლოესი მომავალი გვიჩვენებს, როგორ გადაწყდება რუსეთის მსო-ში გაწევრიანების პრობლემა, როგორ შესრულდება საქართველოს მოთხოვნები და როგორ გადაიღახება მათ შორის არსებული წინააღმდეგობები.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Об основных результатах переговоров по доступу на рынки товаров и услуг в рамках присоединения России к ВТО МЭРТ. Проверено 2007-01-19 г.
2. Вступление в ВТО: "Задержись на пороге" Журнал "Эксперт". Проверено 2006-12-02 г.
3. World Trade Organization. (2007d). Understanding the WTO - The Doha agenda. Retrieved 1 December 2007.

## **Summary**

**Tinatin Iashvili, Iren Iashvili  
Russia and World Trade Organization  
Problems and Obstacles**

The article covers the problems concerning membership of Russia in World Trade Organization (WTO). The obstacles Russia comes across in applying for WTO membership are named.

Main principles and functions of WTO are discussed in the article. On the one hand, application for WTO membership and implementation of these principles is very suitable for long term profit, but on the other hand, various difficulties can emerge (e.g. local producer going bankrupt).

The article deals with the history of Georgia's application for WTO membership. Requirements of Georgia for Russia's joining WTO are also analyzed. It is pointed out how Russia is trying to deviate from requirements of Georgia for joining WTO.

In order to get membership of WTO Russia has to overcome obstacles and make concessions to European Union. All these issues are mentioned in the article.

## **Резюме**

**Тинатин Яшвили, Иринэ Яшвили  
Россия и Всемирная Торговая Организация.  
Проблемы и препятствия.**

В данном труде освещены проблемы на пути членского вступления России во Всемирную Торговую Организацию (ВТО) и показаны препятствия, существующие на сегодняшний день этому вступлению.

В работе освещены основные принципы и функции ВТО, а также показано, что членство в ВТО несет на себе не только долгосрочные преимущества, но также и сложности (в виде банкротства внутренних предпринимателей).

Проведен исторический анализ членства Грузии в ВТО требований выдвигаемых Грузией на пути вступления России в ВТО, и то как Россия пытается уйти в сторону от предъявляемых требований.

Проанализированы и другие препятствия, которые Россия должна преодолеть и уступки, на которые идет Россия на пути ее вступления в ВТО.

**სოფიო ტიტვინიძე**  
**ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნები**  
**და საერთაშორისო ვაჭრობა**

„ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების“ საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში ჩაბმა და სხვა სახელმწიფოების მსარდამხარ კონკურენციის გაწვა გართვლებულია რიგ მიზეზთა გამო. ამ მიზეზებს განეკუთვნება: სუსტად განვითარებული ეკონომიკური სტრუქტურა; ადამიანური, ინსტიტუციონალური, ტექნოლოგიური და საგაჭრო რესურსების სიმწირე ან არ არსებობა; სუსტად განვითარებული სოციალური ინფრასტრუქტურა; გარემოს დაბინძურება; და რთული გეოგრაფიული მდებარეობა და/ან მწირი ბუნბერივი რესურსები. ამრიგად, ამ ქვეყნებს არ გააჩნიათ შესაძლებლობა განავითარონ წარმოება, მოიზიდონ უცხოური ინვესტიციები ან მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ვაჭრობაში. „ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების“ მდგომარეობას კიდევ უფრო ამბიმებს საგარეო ვალები, ნავთობის ფასის მერყეობა და სოფლის მეურნეობაში მდიდარი ქვეყნების პროტექციონისტული კანონმდებლობები. ამ სახელმწიფოების პრობლემებს უკანასკნელ წლებში დაემატა გლობალური დათბობითა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული არსებული და პოტენციური რისკები.

წვენი სტატიის მიზანია ვაჩვენოთ ამ კატეგორიის სახელმწიფოების საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობის მნიშვნელობა.

„ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნები“ წარმოადგენენ წვენი სამყაროს უდარიბეს და ყველაზე დაუცველ ნაწილს. ამ ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური განვითარება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თავად ამ ქვეყნებისათვის, არამედ საერთაშორისო პარტნიორი სახელმწიფოებისათვისაც. აღნიშნულ ქვეყნებში გაბატონებულ უკიდურეს სიღარიბეს, ეკონომიკის სტრუქტურულ სისუსტესა

და განვითარების შეუძლებლობას ემატება არასახარბიელო გეოგრაფიული მდებარეობა, რის გამოც ამ ქვეყნების ნებისმიერი მცდელობა რამდენადმე მაინც გააუმჯობესონ საკუთარი ხალხის ცხოვრების დონე კრახით მთავრდება.

ამ ჯგუფის სახელმწიფოებს არ გააჩნიათ ადამიანური რესურსები და ინსტიტუციონალური თუ წარმოების საშუალებები; მათვის უცხოა დემოკრატიული პრინციპები და მმართველობის თანამედროვე მეთოდები. ისინი განსაკუთრებით დაუცველნი არიან გარე ეკონომიკური შოკების, ხელოვნური თუ ბუნებრივი კატაკლიზმებისა და ინფექციური დაავადებების წინაშე. ძალიან ცოტას თუ მიუწვდება ხელი განათლებაზე, ჯანმრთელობის დაცვასა და სხვა სოციალურ მომსახურებაზე. მწირი ბუნებრივი რესურსები და ინფრასტრუქტურა, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების არ არსებობა არანაირად არ უწყობს ხელს ამ ქვეყნებს თამამად დაადგნენ ეკონომიკური განვითარების გზას. სამწუხაროდ, ისიც ფაქტია, რომ საერთაშორისო პარტნიორების დახმარება და მხარდაჭერა ხშირად არააღეპვატურია. ზემოთ ჩამოთვლილი სირთულეების გადასალახავად საჭიროა, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ „ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს“ უფრო ფართო, მიზანმიმართული და ეფექტური დახმარება გაუწიოს.

„ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების“ გაონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ტენდენცია 90-იანი წლების ბოლოს დაფიქსირდა. 1991 წლიდან 1995 წლამდე წარმოების ზრდის ინდიკატორმა 2 პროცენტი შეადგინა, 1996-2000 წლებში – 5 პროცენტი, ხოლო 2001-2005 წლებში 6.5 პროცენტი. ადსანიშნავია ისიც, რომ „ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების“ ზრდა ზოგადად განვითარებადი ქვეყნების ზრდასთან შედარებით უფრო სწრაფი ტემპით ხასიათდებოდა. ეს განსხვავება მით უფრო შესამჩნევი ხდება, თუ განვითარებადი ქვეყნების სიიდან ამოვიდებთ ჩინეთსა და ინდოეთს.

2004 და 2005 წლებში „ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების“ ეკონომიკურმა ზრდამ ოთხშის მიაღწია „ბრუსელის სამოქმედო გეგმაში“ მითითებულ 7 პროცენტიან ნიშანულს. თუ ადნიშნული ჯგუფის სახელმწიფოებს ცალ-ცალკე განვიხილავთ, 2005 წელს სულ მცირე ათმა ქვეყანამ დაძლია 7 პროცენტიანი ეკონომიკური ზრდის ნიშანული, იგივე რაოდენობის ქვეყნებში დაფიქსირდა 3 პროცენტზე ნაკლები ეკონომიკური ზრდა, ხოლო ქვეყანათა უმრავლესობაში (დაახლოებით 30 სახელმწიფო) ზრდის ტენდენცია სამსა და შვიდ პროცენტს შორის მერყეობდა.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 2001 წლიდან დაწყებული ეკონომიკური ზრდა განაპირობა სამომხმარებლო საქონელზე ფასების მანძლე არსებული ნეგატიური ტენდენციის სასიკეთოდ შემობრუნებამ. სავარაუდოა, რომ ამ ჯგუფში შემავალ ზოგიერთ ქვეყანაში მაღალი ეკონომიკური ზრდა ან ახალი საბადოების აღმოჩენამ და/ან მსოფლიო ბაზარზე ნავთობზე ფასების ზრდამ განსაზღვრა. აგრეთვე ადსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ პერიოდში დაფიქსირდა სასარგებლო წიაღისეულზე ფასების ზრდა, რასაც მოჰყვა ახალი ინვესტიციების მოზიდვა. მაშასადამე, უკანასკნელ რამდენიმე წელიწადში ნავთობსა და სასარგებლო წიაღისეულთან დაკავშირებულმა დანახარჯებმა გამოიწვია „ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში“ ინვესტიციებისა და მშპ-ს შეფარდების თანდათანობითი გაუმჯობესება.

საერთაშორისო ვაჭრობა, ის უმთავრესი მექანიზმია, რომლის საშუალებით ამ ჯგუფის სახელმწიფოებს გარკეთებული წარმატების მიღწევა შეუძლიათ. ზოგადი განმარტების მიხედვით საერთაშორისო ვაჭრობა არის საქონლისა და მომსახურების გაცვლა საერთაშორისო საზღვრებსა და ტერიტორიებს შორის. უმრავი სახელმწიფოსათვის საერთაშორისო ვაჭრობა მათი მთლიანი შიდა პროდუქტის უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს.

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას მრავალი საუკუნის ისტორია აქვს, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე იხვეწებოდა და ვითარდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ვაჭრობის ეკონომიკური, სოციალური ოუპოლიტიკური მნიშვნელობა უკანსკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში განსაკუთრებით არსებითი გახდა.

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაზე განსაკუთრებული გავლენა იქნია ტრანსპორტის, კომუნიკაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების არანახულმა განვითარებამ. ამ პროცესებს ასევე ხელი შეუწყო მსოფლიოს მასშტაბით სახელმწიფოების ინდუსტრიალიზაციამ და გლობალიზაციამ, დიდი კორპორაციების შექმნამ.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ვაჭრობა თავად არის მრავალი ცელიდებისა თუ ინოვაციის ხელშემწყობი. ვაჭრობაში ჩაბმული მსარეები ბევრს მოგზაურობენ, ერთმანეთში ინფორმაციას ცვლიან, გამოცდილებას უზიარებებენ, რის შედეგად ინერგება მრავალი ახალი ტენდენცია და ყალიბიბება ახალი მიღვომები. საერთაშორისო ვაჭრობა ასევე ხელს უწყობს კონკურენციას, რომელსაც თავის მხრივ ტექნოლოგიების დახვეწის, სამუშაო მაღის სპეციალიზაციის, ხარისხის გაუმჯობესების, რესურსების

ოპტიმიზაციის, განვითარების დაცვითი პოლიტიკის დანერგვისა და სხვა მნიშვნელოვანი დადებითი ტენდენციებისაკენ მივყავართ.

როგორც ჩვენმა კვლევებმა ცხადყო, „ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების“ წლის მსოფლიო ვაჭრობაში 1990 წლიდან ზრდის ტენდენცია დაეტყო (აბსოლუტურ გამოსახულებაში), თუმცა მან მსოფლიო ექსპორტის მხოლოდ 0,6 პროცენტი, ხოლო მსოფლიო იმპორტის მხოლოდ 0,8 პროცენტი (2004 წ.) შეადგინა.

ზრდის ტენდენციები გასული 15 წლის განმავლობაში განსხვავებული იყო. 1990 წლიდან 1998 წლამდე „ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების“ ექსპორტის ზრდა მსოფლიო ექსპორტის ზრდის ტემპებთან შედარებით უმნიშვნელო იყო, მაგრამ უკანასკნელ წლებში ეს ტენდენცია სასიკეთოდ შეიცვალა და ორაერთხელ დაფიქსირდა, რომ ამ ქვეყნების ჯგუფის ექსპორტის ზრდის პროცენტული მაჩვენებლი მსოფლიოს ექსპორტის ზრდის მონაცემებს აჭარბებდა.

„ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის“ განსაკუთრებით დასამახსოვრებელი 2004 წელი იყო, როდესაც ექსპორტის ზრდამ 34 პროცენტი შეადგინა; მაშინ, როდესაც მსოფლიო ექსპორტი მხოლოდ 21 პროცენტის ტოლი იყო. მიუხედავად ამ თითქოსდა ძალიან დადებითი სურათისა, რეალური სიტუაცია გაცილებით სავალადოა. საქმე იმაშია, რომ აღნიშნული ზრდის უდიდესი ნაწილი ამ ქვეყნების ჯგუფის მხოლოდ მცირე რაოდენობაზე მოდის და შესაბამისად, ჯგუფში შემავალი უმრავლესობისათვის საერთაშორისო ვაჭრობაში აქტიური მონაწილეობის მიღება ჯერ კიდევ ძალიან როგორი ან სრულიად შეუძლებელია.

მაგალითად, 2004 წლის მაჩვენებლებით ამ ჯგუფის საერთო ექსპორტის 35 პროცენტი 50 ქვეყნიდან მხოლოდ 2 ქვეყნაზე მოდის – ერთი არის ანგოლა, რომელიც ბენზინის ექსპორტიორი სახელმწიფოა და მეორე - ბანგლადეში, რომელიც ტანსაცმლის მწარმოებელი ქვეყნაა. ხოლო ექსპორტის მონაცემებით ბოლო 13 ადგილზე მყოფი ქვეყნების ექსპორტის საერთო მაჩვენებელი „ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების“ საერთო ექსპორტის 1 პროცენტს არ აღემატება.

ამ ქვეყნების ექსპორტის დაყოფა სხვა კუთხითაც არის შესაძლებელი: ერთი მხრივ, ნავთობის, ხოლო მეორე მხრივ, სამომხმარებლო საქონლის მწარმოებელი ქვეყნები. ქვეყნების პირველ ჯგუფზე „ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების“ მთლიანი ექსპორტის 47 პროცენტი მოდის, ხოლო მათი ექსპორტის ზრდის მაჩვენებელი 52 პროცენტია. რაც

შეეხება მეორე ჯგუფს, მთლიან ექსპორტში მათი წლილი 19 პროცენტი, ხოლო ზრდის მაჩვენებელი – 22 პროცენტია.

აღსანიშნავია ის სამწუხარო ფაქტიც, რომ „ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების“ რვა სახელმწიფოში ზრდის ნეგატიური მაჩვენებელი დაფიქსირდა.

თვალსაჩინოა გარკვეული დადგებითი ძვრები. „ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნები“, როგორც წესი, დასავლეთზე, კერძოდ კი, ევროპაშირის წამყვან 15 წევრ-ქვეყანასა და ამერიკის შეერთებულ შტატებზე იყვნენ დამოკიდებული საექსპორტო პროდუქციის გასაღების მხრივ. მაგალითად, 1995 წელს „ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების“ პროდუქციის 60 პროცენტი სწორედ აღნიშნული ქვეყნების ბაზარზე იყიდებოდა. თუმცა, 2004 წლის მიხედვით ეს მაჩვენებელი 52-მდე შემცირდა. ეს გამოწვეულია განვითარებადი ქვეყნების ბაზრების გაფართოებით. მაგალითად, ამ მომენტისათვის ჩინეთი აღნიშნული ჯგუფის ქვეყნების ექსპორტის რიგით მესამე ყველაზე დიდ ბაზარს წარმოადგენს.

„ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში“ წარმოებული პროდუქცია ბეგარისაგან და რაოდენობრივი შეზღუდვებისაგან გათავისუფლებაზე ბეგრს საუბრობენ, თუმცა რეალური ნაბიჯები ჯერ არ სჩანს. 2003 წლის მონაცემებით, აღნიშნული ქვეყნების ექსპორტის 27,6 პროცენტი იბეგრება და, ძირითადად, განვითარებული ქვეყნების მიერ.

ცნობილია, რომ იმპორტირებულ უცხოურ საქონელთან დაკავშირებით ყველა სახელმწიფოს თავისი მიღებობა, კანონები და პოლიტიკა გააჩნია. მიუხედავად საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან სერიოზული ლობირებისა, „ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან“ სხვა ქვეყნებში იმპორტირებული საქონელი ჯერ კიდევ მაღალი გადასახადებით იბეგრება. „ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს“ კი უფრო განვითარებული ქვეყნებისათვის კონკურენციის გაწევა, ერთი მხრივ, მაღალი გადასახადების, ხოლო მეორე მხრივ, რაოდენობრივი შეზღუდვების გამო ძალიან უჭირს, რის გამოც ისინი ხშირად ბაზრის მიმდა რჩებიან.

აღსანიშნავია, რომ „ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან“ იმპორტირებულ საქონელს ყველაზე მაღალი განაკვეთით ამერიკის შეერთებული შტატები და იაპონია ბეგრავს.

ამ სფეროში უკეთესი მომავლის იმედებს იძლევა ის ფაქტი, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმა ორგანიზაციის მინისტრთა მექქსე შეხვედრის

დეკლარაციაში (Sixth World Trade Organization Ministerial Declaration) ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმად 2008 წლიდან იგეგმება „ყველაზე ნაკლებად განვითარებული 7 ქვეყნის“ ექსპორტის ბეგარისა და რაოდენობრივი შეზღუდვებისაგან გათავისუფლება. თუ რომელიმე წევრ ქვეყნას გაუჭირდება აღნიშნული პირობის სრულად შესრულება, იგი ვალდებულია სატარიფო ცხრილში მითითებული პროცესის სულ მცირე 97 პროცენტს გარკვეული პრიორიტეტი მიანიჭოს.

„ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების“ საქონლის ექსპორტი ხასიათდება სამი განსხვავებული თვისებით:

- (1) პროდუქციის არამრავალფეროვნება,
- (2) საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაციის სიმცირე,
- (3) ტექნოლოგიების დაბალი დონე.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ბენზინის ექსპორტის წილი „ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების“ საქონლის ექსპორტში საგრძნობლად გაიზარდა. 2003 წელს მისი წილი შეადგენდა ამ ჯგუფის მთლიანი ექსპორტის ლირებულების 37 პროცენტს. მეორე და მესამე ადგილს ამავე წელს ინაწილებენ ტანსაცმლის და სოფლის მეურნეობის პროცესის ექსპორტი. ეს უკანასკნელი 1995 წელს პირველ ადგილზე იყო „ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების“ ექსპორტში.

ბაზრის კონცენტრაციის მიხედვით, როგორც ერთხელ უკვე ავღნიშნეთ, ძირითადი როლი განვითარებულ ქვეყნებზე მოდის. თუმცა ისიც ფაქტია, რომ განვითარებადი ბაზრების მნიშვნელობა „ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების“ პროდუქციის ექსპორტისათვის ბოლო პერიოდში გაიზარდა. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანია ჩინეთის როლი. ნავთობის საექსპორტო პერსაქტივები იზრდება ტაილანდისა და ინდოეთის ბაზრებზეც, რომლებიც დღესდღისობით შედიან იმ განვითარებადი ქვეყნების სამეულში, რომლებიც წარმოადგენენ „ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების“ ნავთობის ყველაზე დიდ იმპორტიორ სახელმწიფოებს.

დაბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ დიდი სამუშაო ჩაატარა დაბალ შემოსავლიანი ქვეყნების პრობლემების წინ წამოჭრის მხრივ და ლობირება გაუწია მათი ინტერესების დაცვას საერთაშორისო ფორუმებზე, ხოლო მდიდარმა ქვეყნებმა დაინახეს პირადი ინტერესები აღნიშნული სახელმწიფოების ეკონომიკის განვითარებაში და დარწმუნდენ, რომ მათი მდგომარეობის გაუმჯობესება და

სიღარიბის მორევიდან მათი ამოყვანა უფრო მნიშვნელოვანია კონკრეტულად ამ მდიდარი ქვეყნების ეკონომიკური სიძლიერისათვის, ვიდრე თავად დაბალ შემოსავლიანი ქვეყნების კეთილდღეობისათვის.

ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე მოიმატა დასავლეთის ქვეყნების ფინანსურმა და ტექნიკურმა დახმარებებმა, დაბალ შემოსავლიან ქვეყნებში განხორციელებულმა განვითარების პროგრამებმა, მათ მიმართ შედავათიანი ეკონომიკური აქტების მიღებამ, ლიბერალური პოლიტიკის გატარებამ და გაჭრობისა და ინფესტიციების წამახალისებელი შეთანხმებების დადებამ. გარდა ამისა, ცხადი გახდა რომ მრავალი დაბალ შემოსავლიანი ქვეყნის ეკონომიკური სიღარების უპირველესი მიზეზები პოლიტიკურ კონფლიქტებსა და სოციალურ პრობლემებში მდგომარეობს. უკანასკნელ პერიოდში გაიზარდა სოციალური დახმარებები განათლების, ჯანდაცვისა და სხვა სფეროებში; ასევე გაძლიერდა საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობა და შეიარაღებული კონფლიქტების გადაჭრის მიზნით სამხედრო ძალებითა თუ აღჭურვილობით დახმარება.

ჩვენ ვეთანხმებით იმ აზრს, რომ ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის შემცირების მიღწევისათვის საერთაშორისო ვაჭრობა ძალიან მნიშვნელოვანია. ამ პროცესში, რა თქმა უნდა საკმაოდ დიდ როლს ითამაშებს ვაჭრობის ლიბერალიზაციაც. თუმცა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ სრული პროგრესის მიღწევისათვის საჭიროა ქვეყნების სამეწარმეო შესაძლებლობების განვითარება და მთლიანი პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს სამუშაო ასაკის მოსახლეობის განვითარებამ და განათლებამ, და არსებული ბუნებრივი თუ ადამიანური რესურსების სრულმა გამოყენებამ.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

- United Nations Conference on Trade and Development (UNCTAD), The Least Developed Countries Report 2004, Linking International Trade with Poverty Reduction, UN, New York and Geneva, 2004.

2. Berkeley, Principles of Macroeconomics, International Trade, Trade Principles and Developing Countries Power Point Presentation, California, USA, 2003 .
3. World Trade Organization (WTO), WTO Work Programme for the Least Developed Countries, Switzerland, 2002.

### **Summary**

**Sophia Titvinidze**

#### **The Least Developed Countries and International Trade**

The article deals with a group of countries referred to as the least developed countries and describes the reasons for their grievous state, among which are a weak economic structure, either lack or shortage of human, institutional, technological and trade resources; poorly developed social infrastructure, etc. The situation is even more aggravated by foreign debts and oil price fluctuations on the world market. The article demonstrates why it is so important to assist these countries to get actively involved in international trade. The assistance of the world community has been significant recently; however it should be more diversified. To achieve this it is not enough to provide them with technical or material assistance, it is more important to invest in the development of their industrial capacities, in education so that both natural and human resources be efficiently applied.

### **Резюме**

**Софья Титвинидзе**

#### **Наименее развитые страны и международная торговля**

В статье рассматривается группа стран, называемых наименее развитыми странами и перечисляются причины их бедственного состояния. Этими причинами являются слабо развитая экономическая структура, нехватка трудовых, институциональных, технологических ресурсов, слабо развитая инфраструктура и т. д. Ситуацию еще больше усугубляет внешний долг и неустойчивость цен на нефть на мировом рынке. В статье говорится почему так важно способствовать активному участию этих стран в международной торговле. Последнее время международное сообщество оказывает существенную помощь, однако, желательно чтобы эта помощь была более разносторонней. Поэтому развитые страны должны вкладывать больше инвестиции для развития производственных мощностей и сферы образования, чтобы как природные, так и трудовые ресурсы были наиболее эффективно использованы.

## CONTENTS

<b>Giorgi Bagaturia, Otar Bagaturia</b>	
<b>The Basis of the State Solidary Philosophy -----</b>	<b>5</b>
<b>Temur Todua, Shota Dogonadze</b>	
<b>Aristotle about the State Government-----</b>	<b>28</b>
<b>Otar Kochoradze, Ivane Bejashvili</b>	
<b>State construction of Georgia: dynamics and prospects</b>	
<b>(The comparative analysis) -----</b>	<b>39</b>
<b>Otar Kochoradze, Nikoloz Bejashvili</b>	
<b>Politics and national interest</b>	
<b>(The comparative analysis) -----</b>	<b>45</b>
<b>Genadi Iashvili</b>	
<b>Conception of strategic management in small</b>	
<b>enterprises-----</b>	<b>51</b>
<b>Bela Goderdzishvili</b>	
<b>Maia Danelia</b>	
<b>The Strategy of Territorial Development-----</b>	<b>60</b>
<b>Genadi Iashvili</b>	
<b>The role of a modern strategic manager</b>	
<b>in enterprises-----</b>	<b>69</b>
<b>Giorgi Mchedlishvili</b>	
<b>International tourism in Svaneti -----</b>	<b>77</b>
<b>Tengiz Endeladze</b>	
<b>Military structures of neighbour states and their role for the</b>	
<b>sovietization of Georgia -----</b>	<b>98</b>

<b>D. Taktakishvili</b> <b>Religion matters with Kant and Hegel-----</b>	107
<b>Lali Gvasalia</b> <b>The aesthetical-cultural concept of the Artistic shape's idea -----</b>	114
<b>Maia Chkheidze</b> <b>Principles of Intercultural Communication-----</b>	119
<b>Rusudan Tabukashviki</b> <b>Coordination problems of language and society in sociolinguistic-----</b>	124
<b>Tinatin Iashvili, Irina Iashvili</b> <b>World Trade Organization (WTO) and its role in world economy -----</b>	131
<b>Tinatin Iashvili, Iren Iashvili</b> <b>Russia and World Trade Organization Problems and Obstacles-----</b>	144
<b>Sophia Titvinidze</b> <b>The Least Developed Countries and International Trade -----</b>	154

## СОДЕРЖАНИЕ

<b>Георгий Багатурия, Отар Багатурия Основы государственного солидарного мировоззрения -----</b>	<b>5</b>
<b>Темур Тодуа, Шота Догонадзе Аристотель о государственном управлении-----</b>	<b>28</b>
<b>Интервью профессора Шота Догонадзе интернетизданию южного Кавказа «Новый регион»-----</b>	<b>38</b>
<b>Отар Кочорадзе Иване Бежашвили Государственное строительство Грузии: динамика и перспективы (Сравнительный анализ) -----</b>	<b>39</b>
<b>Отар Кочорадзе Николай Бежашвили Политика и политический интерес (Сравнительный анализ) -----</b>	<b>45</b>
<b>Генадий Яшвили Концепция стратегического менеджмента в малых предприятиях-----</b>	<b>51</b>
<b>Белла Годердзишвили Мая Данелия Стратегия Территориального развития-----</b>	<b>60</b>
<b>Геннадий Яшвили Роль современного стратегического менеджера в предприятиях -----</b>	<b>69</b>
<b>Георгий Мchedлишвили Сванети в ожидании большого туризма -----</b>	<b>77</b>

<b>Тенгиз Енделадзе</b> <b>Силовые структуры соседних государств в борьбе</b> <b>за советизацию Грузии -----</b>	98
<b>Давид Тактакишили</b> <b>Вопросы религии у Канта и Гегеля -----</b>	107
<b>Лали Гвасалиа</b> <b>Эстетико-культурологический концепт</b> <b>понятия-художественный образ -----</b>	114
<b>Майя Чхеидзе</b> <b>Принципы Межкультурной Коммуникации -----</b>	119
<b>Русудан Табукашвили</b> <b>Проблема вазимоотношений между языком и</b> <b>обществом в социолингвистике-----</b>	124
<b>Студенческие страницы -----</b>	<b>131-154</b>
<b>Тинатин Яшвили, Иринэ Яшвили</b> <b>Всемирная Торговая Организация (ВТО)</b> <b>И ее роль во всемирной экономике -----</b>	131
<b>Тинатин Яшвили, Иринэ Яшвили</b> <b>Россия и Всемирная Торговая Организация.</b> <b>Проблемы и препятствия -----</b>	144
<b>Софья Титвинидзе</b> <b>Наименее развитые страны и международная</b> <b>торговля -----</b>	154

## ავტორები

- გიორგი ბალათურია** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
- ოთარ ბალათურია** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის მიმართულების უფროსი მასშავლებელი
- ივანე ბექაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი
- ნიკოლოზ ბექაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პუმანიტარულ-სოციალური მაგისტრანტი
- ლალი გგასალია** - ი.ჭავჭავაძის სახ. უნივერსიტეტის სრული პროფესორი
- ბეჭა გოდერმიშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელი
- მაია დანელია** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პედაგოგი
- შოთა დოლონაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი
- თენგიზ ენდელაძე** - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, გენერალ-მაიორი
- რუსულან თაბუკაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი
- დავით თაქთაძეშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა მიმართულების ასოცირებული პროფესორი
- თემურ თოლეუა** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის მიმართულების სრული პროფესორი
- გენადი იაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი
- ირინა იაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი
- თინათინი იაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი
- გიორგი მჭედლიშვილი** - ისტორიის-კულტუროლოგი, ი.ვ. ჯავახიშვილის სახელმწიფო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
- სოფიო ტიტვინიძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის მაგისტრანტი
- ოთარ ქოჩორაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
- მაია ჩხეიძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უცხოური ენგბისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი

## ქურნალის რედკოლეგია

**ნანა ავალიანი** - ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მთადგილე, პროფესორი

**მეუღე აბრამი (გარმელია)** - დასაცავთ ევროპის მიტროპოლიტი  
**გიორგი ბალათურია** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

**ოთარ ბალათურია** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი

**გახტანგი გურული** - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**შოთა დოდონაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი

**თეიმურაზ თოდუა** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

**როინ მეტრეველი** - აკადემიკოსი

**ქეთი ქოქრაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი

**ოთარ ქოჩორაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

**რუსუდან ქუთათელაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი პედაგოგიური კურსის სამსახურის მდგრადი მუნიციპალური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

**მაია ჩხეიძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უცხოური ენებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი